



© გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის
სახელმწიფო მუზეუმი, თბილისი 2012

Tedo Sakhokia. *In Siberia. Memories of the 1905 revolution*
© Literature Museum, Tbilisi 2012

www.literaturemuseum.ge

ტელ.: +995 32 293-20-45

info@literaturemuseum.ge

გამომცემელი	ლაშა ბაქრაძე
ყდა	ლევან ხარანაული
რედაქტორები	თეა თგაღაგაძე, ია ღალაძე
წიგნის იმუშავეს	დიმიტრი შველიძე, ნინო გოგუა
კორექტორი	ეპა გრიგოლიძე
დამკაბადონებელი	ირინე ამირიძე
ტექსტის ამკრეფი	ლია ქიტიაშვილი

დაიბეჭდა სტამბაში სი-ჯი-ეს

ლიტერატურის მუზეუმი მადლობას უხდის კომპანია **მაგონგომების**
გამოცემის დაფინანსებისთვის

ISBN 978-99940-28-76-4



ჩვენ ქართულ საქმეს ვაკითახთ



„ТОВАРИЩЕСТВО”

ТИФЛИСЪ.

თედო სახოკია

ციმბირში

მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის
დროიდან



თბილისი

2012

რამდენიმე ნაკლებად ცნობილი ეპიზოდი თედო სახოკიას ცხოვრება-მოღვაწეობიდან

ქართველი საზოგადოების წინაშე თედო სახოკიას განსაკუთრებული ნარდგენა არ სჭირდება. იგი იყო გასული საუკუნის პირველი ნახევრის ცნობილი მოღვაწე, შესანიშნავი მთარგმნელი, ერთ-ერთი პირველი ეთნოგრაფი და ლექსიკოგრაფი. მკითხველს გავახსენებთ, რომ თედო სახოკიამ თარგმნა ჯოვანი ბოკაჩიოს, გი დე მოპასანის, ვიქტორ ჰიუგოს, ვოლტერის, ალფონს დოდეს, ფრანსუა კოპეს, ოქტავ მირბოს, ემილ ზოლას, ჰანს ქრისტიან ანდერსენის, ივან ვაზოვის, ჯუზეპე გარიბალდისა და სხვათა მრავალი ნაწარმოები.

კიდევ უფრო შთამბეჭდავი იყო თედო სახოკიას თავაუღებელი ლექსიკოლოგიური მოღვაწეობა. იგი რამდენიმე ათეული წლის მანძილზე, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში აგროვებდა ხალხური ზეპირსიტყვიერების ნიმუშებს, ხატოვან სიტყვა-თქმებს, ანდაზებს, ენეოდა მის სისტემატიზაციას. შედეგი ამ შრომისა გახლდათ 1950–1955 წლებში გამოცემული უნიკალური სამტომეული: „ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი“. აქვე აღვნიშნავთ, რომ მისი გარდაცვალების შემდეგ, 1967 წელს გამოიცა „ქართული ანდაზები“.

თედო სახოკიამ თვალსაჩინო კვალი დატოვა ქართულ ეთნოგრაფიულ მეცნიერებაშიც. ამ დარგის სპეციალისტებისათვის და არამარტო მათთვის, კარგადაა ცნობილი მისი ეთნონარკვევების კრეპული „ეთნოგრაფიული ნაწერები“ ან კიდევ მისივე 1950 წელს გამოქვეყნებული „მოგზაურობანი“, რომელშიც შევიდა ნარკვევები გურიაში, აჭარაში, სამურზაყანოსა და აფხაზეთში მოგზაურობათა შესახებ. თედო სახოკია ერთ-ერთი პირველი ქართველი ეთნოგრაფი-მეცნიერი გახლდათ. იგი სწავლობდა პარიზის უმაღლეს ანთროპოლოგიურ სასწავლებელში და შემდგომში საფრანგეთის ანთროპოლოგიური საზოგადოების წევრ-კორესპონდენტადაც აირჩიეს.

თედო სახოკია შესანიშნავი ავტობიოგრაფიული მოგონებების ავტორიცაა. 1955 წელს გამოქვეყნდა მისი ახალგაზრდობის პერიოდის მომცველი მოგონებები: „როგორ ვიზრდებოდით ძველად“. განსაკუთრებით საინტერესოა და ქართველი მკითხველისათვის კარგად ცნობილი მისი მოგონებების კრებული: „ჩემი საუკუნის ადამიანები“. ეს კრებული თედო სახოკიას გარდაცვალების შემდეგ, 1984 წელს გამოსცა პროფესორმა სოლომონ ხუციშვილმა.

ამ და სხვა მსგავსი ნამოღვანარისა და დიდი შემოქმედებითი მემკვიდრეობის შემხედვარე მკითხველს, ბუნებრივია, თედო სახოკიას პიროვნება თვალწინ ნარმოუდგება, პროფესორ სოლომონ ხუციშვილის სიტყვებით რომ ვთქვათ, „უფრო შინ მომუშავე, კაბინეტში კარჩაკეტილ მეცნიერად“. ეს ასე არ იყო. თედო სახოკიას მხოლოდ, „ნიგნის კაცებისაგან“ განასხვავებდა ერთი ისეთი შტრიხი, რომელიც ასე ამშვენებს და მიმზიდველად აქცევს პიროვნების ბიოგრაფიას – ეს შტრიხი თავგადასავალი გახლდათ. რა თქმა უნდა, თავგადასავალში რომელიმე მოგზაურის ან ავანტიურისტის ხიფათით სავსე ცხოვრებას არ ვგულისხმობთ. აქ უფრო ღირსეული და კეთილშობილური მიზნისათვის ხიფათიანი ცხოვრების გზა იგულისხმება, რასაც მამულიშვილის ბრძოლა ჰქვია საკუთარი ქვეყნის თავისუფლებისათვის. სწორედ ამ ბრძოლაში იყო ჩაბმული ახალგაზრდა თედო სახოკია, თავგადასავალიც მის პატრიოტულ მოღვაწეობას უკავშირდება 1890-იან-1900-იან წლებში.

პატრიოტულ-არალეგალური საქმიანობისათვის თედო სახოკია, ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა, გარიცხეს თბილისის სასულიერო სემინარიიდან. 1890-იანი წლების დასაწყისში თედო სახოკიას ვხედავთ „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წევრთა შორის. როგორც ცნობილია, ამ სტუდენტურ-პოლიტიკური არალეგალური ორგანიზაციის მიზანი ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის ბრძოლა იყო. „ლიგაში“ საქმიანობის დროს მის თანამოაზრე-თანამებრძოლთა შორის იყვნენ: შიო დედაბრიშვილი (არაგვისპირელი), გიორგი დეკანიზიშვილი, გიორგი გვაზავა, იაკობ ფანცხავა და სხვა მომავალი პატრიოტი მოღვაწენი. 1894 წლის დასაწყისში თედო სა-

ხოკია დააპატიმრეს, თუმცა იმხანად ისიც და მისი მეგობრებიც სერიოზულ სასჯელს გადაუჩრჩნენ. რუსეთის ხელისუფლება მოერიდა ახალგაზრდა სეპარატისტების საქმის გახმაურებას და ყველა ბრალდებულის პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ მოქცევით დაკმაყოფილდა. როგორც ერთ-ერთი „ლი-გელი“ მიხეილ მირიანაშვილი იგონებს: „გამოძიება გაგრძელდა 3 წელს, 1894–1896 წლამდე, 7-8 თვის პატიმრობის შემდეგ დაპატიმრებულები გაანთავისუფლეს თავდებობის ქვეშ და მისცეს პოლიციის ზედამხედველობის ქვეშ“ (რევაზ გრძელიძე – „საქართველოს განთავისუფლების ლიგა“. თბილისი, 2000, გვ. 52).

ზუსტად არაა ცნობილი, რამდენ ხანს გრძელდებოდა პოლიციის მეთვალყურეობა თედო სახოკიას მიმართ, მაგრამ ის კი ცხადია, რომ 1890-იანი წლების ბოლოს იგი კვლავ მოექცა რუსეთის სპეცსამსახურების ყურადღების არეალში. სწორედ ამ პერიოდში თედო სახოკია სათავეში ჩაუდგა ქართველი მოღვაწეების ძლიერ დაჯგუფებას აფხაზეთში, რომელიც მწვავედ დაუპირისპირდა იმპერიის რუსიფიკატორულ პოლიტიკას სოხუმის ოლქში. როგორც პროფესორ ვახტანგ გურულის მიერ მოკვლეული საარქივო მასალებიდან ირკვევა, თედო სახოკიას ხელმძღვანელობით შექმნილა ე. ნ. „ქართული პარტია“, რომელიც აერთიანებდა აფხაზეთში მოღვაწე ქართული კულტურის წარმომადგენლებს, პედაგოგებს, მღვდელმსახურებს და სხვ. კავკასიის რუსული ადმინისტრაცია ენერგიულად ცდილობდა აფხაზეთის სკოლებიდან გამოედევნა ქართული ენა, მოესპონ ქართული წირვა-ლოცვა ეკლესიებში, მხარეში ჩაესახლებინა რუსი და სხვა ეროვნების კოლონისტები და ამ და მსგავსი მეთოდებით განეხორციელებინა მხარის რუსიფიკაცია. ამ ღონისძიებებს და კურსს აფხაზეთში მძაფრ წინააღმდეგობას უწევდა თედო სახოკიას მიერ ორგანიზებული „ქართული პარტია“ და ამას მჭევრმეტყველურად თვით სპეცსამსახურების მასალები ადასტურებენ:

„Поставив себе целью воспрепятствовать мерам правительства сблизить коренное население Абхазии и Самурзакани с русским и вовлечь среди него начало русской гражданственности, Сахокия

организовал в пределах Сухумского округа партию грузин, настойчиво домогающихся: а) отправления богослужения в церквях с абхазским населением не на славянском, а исключительно на грузинском языке и б) преподавания всех предметов обучения в церковно-приходских школах Общества восстановления православия на Кавказе, находящихся в пределах Абхазии и Самурзакани, на грузинском, а не на русском языке, дабы этим путем огрузинить население Абхазии и Самурзакани" (აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული – საქართველოს განყოფლობისათვის ბრძოლის ისტორიიდან. ნაკვეთი II. თედო სახოვიას ქართული პარტია აფხაზეთში. თბილისი, 1999, გვ. 19).

ბუნებრივია, რომ იმპერიის ხელისუფლება დიდხანს ვერ მოითმენდა ვერც თედო სახოვიას და ვერც მისი „ქართული პარტიის“ თანამოაზრების პატრიოტულ საქმიანობას. ქუთაისის გუბერნიის უანდარმთა სამმართველოს სოხუმის ოკრუგის განყოფილებამ დაიწყო „ქართული პარტიის“ საქმიანობის გამოძიება. შეგროვილი მასალები საფუძვლად დაედო ქუთაისის სამხედრო გუბერნატორის ორ მოხსენებას. კავკასიის რუსული ადმინისტრაციის მაღალჩინოსნები დაჟინებით მოითხოვდნენ თედო სახოვიასა და მისი მეგობრების გადასახლებას. 1904 წელს კავკასიის მთავარმართებლის საბჭომ გამოიტანა გადაწყვეტილება „ქართული პარტიის“ აქტიური წევრების და, პირველ რიგში, თედო სახოვიას ამიერკავკასიოდან რუსეთის იმპერიის შიდა გუბერნიებში გასახლება-გადასახლების შესახებ (აპოლონ სილაგაძე, ვახტანგ გურული – იქვე, გვ. 162).

მაგრამ თედო სახოვიამ, როგორც ჩანს, დროულად დააღნია თავი ხელისუფლების მოსალოდნელ რეპრესიებს. მან ჯერ 1900 წლის მეორე ნახევარში დატოვა საქართველო, ხოლო შემდეგ, 1903 წელს სამშობლოში მცირე ხნით ყოფნის შემდეგ, კვლავ მიაშურა დასავლეთ ევროპას. უსაფუძვლო არ იქნება ვივარაუდოთ, რომ მოსალოდნელი საფრთხის გამო „ქართული პარტია“ გააფრთხილეს.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, 1900 წლის ზაფხულიდან თედო სახოვია პარიზში მკვიდრდება და შედის „საანთროპოლო-

გიო საზოგადოებასთან ცნობილ ანთროპოლოგ ბროკას მიერ დაარსებულ საანთროპოლოგიო უმაღლეს სკოლაში, სადაც პროფესორებად იყვნენ მაშინდელი მნათობნი საანთროპოლოგიო მეცნიერებათა, როგორებადაც ითვლებოდნენ: „შარლ ლეტურნი, ანდრე ლეფევრი, ლ. მანუელი და სხვ. ჩემის სიცოცხლის საუკეთესო, უტკბესი დრო იყოს ის ოთხი წელიწადი...“ (თედო სახოკია – ჩემი საუკუნის ადამიანები. გამოსცა სოლომონ ხუციშვილმა. თბილისი, 1984, გვ. 7).

სხვა მხრითაც იყო პარიზის წლებითედო სახოკიასთვის, „საუკეთესო“ და „უტკბესი“. 1902 წელს საფრანგეთის დედაქალაქში ჩადინან არჩილ ჯორჯაძე და გიორგი დეკანოზიშვილი. მათი მიზანია, გამოსცენ ქართული თავისუფალი გაზეთი, რომელიც წამოაყენებს და გასწევს ეროვნული სახელმწიფოს აღდგენის პროპაგანდას. ისინი გარს შემოიკრებენ პარიზში მცხოვრებელ პატრიოტ ქართველთა მცირე ჯგუფს. თედო სახოკია უპირველესია ამ ჯგუფში. იგი თავდავიწყებით ებმება გაზეთის გამოცემის საქმეში და ხდება გიორგი დეკანოზიშვილის უახლოესი თანამშრომელი. ისინი ხომ ჯერ კიდევ „საქართველოს თავისუფლების ლიგის“ წლებიდან არიან თანამებრძოლები, თანაპატიმრები და წაცადი მეგობრები. ქართველი პატრიოტების მიზანია, ახალი გაზეთი შეიქმნეს მათ მიერ ორგანიზებული პირველი ეროვნული პოლიტიკური პარტიის – სოციალისტ-ფედერალისტების ცენტრალური ორგანო.

1903 წლის 1 მაისს პარიზში, თავისუფლების ამ ქალაქში გამოვიდა პირველი ქართული „თავისუფალი“ გაზეთი „საქართველო“. ცოტა მოგვიანებით დაიწყო „საქართველოს“ ფრანგული დამატების „ლა ჟეორჟის“ გამოცემა. როგორც თავად თედო სახოკია ლაკონურად აფასებს, „ეს იყო პირველი შემთხვევა, როცა ევროპულ პრესაში ჩვენი ქვეყანა გამოჩნდა და მის პოლიტიკურ უფლებებზე ხმა გაისმა“ (მარკოზ ტულუში – გიორგი დეკანოზიშვილი. ჟურნ. „კავკასიონი“. წიგნი მეათე პარიზი, 1967, გვ. 100). ამ დიდ საქმეში თედო სახოკია გიორგი დეკანოზიშვილს გვერდიდან არ მოსცილებია. ეს კი, დიდსა და საპატიოსთან ერთად, მძიმე საქმე იყო – სტამბის ადგილისა თუ ტექნიკური აღჭურვილობის შოვნა-მონება, შრიფტის

აწყობა, ქალალდით უზრუნველყოფა, საგაზეთო მასალების მოგროვება-მომზადება, სტატიების კორექტურა, რაც მთავარია – ტირაჟის საქართველოში გამოგზავნა და სხვა ათასი რამ. ამ ყველაფერს სხვა ჩვეულებრივ ვითარებაში, გაზეთის რედაქციის რამდენიმე ათეულ-კაციანი გუნდები უზრუნველყოფნენ. აქ კი, „საქართველოს“ გამოცემას სამი-ოთხი კაცი დღე-ღამ ემსახურებოდა, აგროვებდა, ამზადებდა, ბეჭდავდა, ავრცელებდა, გზავნიდა და ა. შ. ესენი იყვნენ გიორგი დეკანოზიშვილი, არჩილ ჯორჯაძე, ასოთამწყობი, მიხეილ კიკნაძე და... კიდევ ერთი კაცი – თედო სახოკია. ხან ამ მცირერიცხოვან გუნდს ალექსანდრე გაბუნია თუ წამოაშველებდა ხოლმე ხელს: „თედო სახოკიაც გულით და სულით მშველის“ – მადლიერებით აღნიშნავს გიორგი დეკანოზიშვილი თავის „დლიურში“ (დიმიტრი შველიძე). გიორგი გაფრინდაშვილი – გიორგი დეკანოზიშვილი – მამულიშვილის დაბრუნება. თბილისი, 2010, გვ. 171).

„საქართველოს“ გამოცემა 1905 წლამდე გრძელდებოდა და თედო სახოკიამ ბოლომდე უერთგულა გაზეთს, რომელმაც პირველმა, თავისუფლად, ნიკოლოზ მეორის ცენზურისაგან შეუზღუდავად, წამოაყენა ქართული სახელმწიფოს აღგენის მოთხოვნა და მისთვის ბრძოლის აუცილებლობა. „თედო სახოკია, – წერს გიორგი ლასხიშვილი, – მკვიდრად ჩაება საგაზეთო მუშაობაში და „საქართველოს“ დახურვამდე (1905) მისი თანამშრომელი იყო“ (გიორგი ლასხიშვილი – მემუარები. ტფილისი, 1934, გვ. 160). მეტიც, გარკვეული პერიოდის განმავლობაში, თედო სახოკია იძულებული გამხდარა, მარტოს ემუშავა რედაქციაში. ამის შესახებ გიორგი დეკანოზიშვილი წერდა თბილისში გიორგი ლასხიშვილს: ამ ზაფხულში (1905) მე ავადმყოფობის გამო სამხრეთ საფრანგეთში უნდა წავიდე, არჩილ ჯორჯაძეც ავადაა. სასწრაფოდ გამოგზავნეთ პარიზში გაზეთისათვის თანამშრომელი, თორემ რედაქციაში მარტოდმარტო თედო სახოკია რჩება.

გიორგი ლასხიშვილი, როგორც საქართველოს სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერთაგანი, იძულებული გამხდარა თვითონ ჩასულიყო პარიზში, გაზეთის გამოცემის

გასაგრძელებლად. სხვათა შორის, იგი თავის „მემუარებში“ მოგვითხრობს გაზეთ „საქართველოს“ ტირაჟის სამშობლოში გამოგზავნის ერთ-ერთ ეპიზოდს: „პირველ დღეებში მე და ოე-დო სახოკია გულმოდგინედ შევუდექით „საქართველოს“ მო-რიგ ნომრის მზადებას. დავბეჭდეთ იგი და საქართველოში გა-საგზავნად დავამზადეთ. იმ დროს პარიზში თავის შევილის სა-ნახავად საქართველოდან ჩამოსულიყო გორელ ვექილის ნატ-როშვილის მეუღლე, რომელიც სწორედ იმ დღეებში აპირებდა უკან დაბრუნებას. თედომ გადაწყვიტა ამ შემთხვევით ესარ-გებლა გაზეთის გასაგზავნად. ამ მანდილოსნისაგან თანხმო-ბა მიიღო და შეუდგა მზადებას: ჩემოდნების ძირში ჩაალაგა გაზეთები და ზედ წვრილი ფიცრითა და გადაკრულ მატერი-ით მეორე ძირი გაუკეთა, ისე რომ ორგანყოფილებიანი ჩემო-დანი მიიღო. ნატროშვილის ქალი წავიდა და ჩვენ ვითხვეთ, როგორც კი გადასცილდებოდა რუსეთის საზღვარს, მაშინვე დეპეშა გამოეგზავნა, რომ კარგად არის. ეს იმის ნიმანი იქნე-ბოდა, რომ საზღვარზე მშვიდობიანად გადავიდა და ჩვენი ლი-ტერატურა ხიფათს გადარჩა“ (გიორგი ლასხიშვილი – იქვე, გვ. 178). ამ ეპიზოდს თავად თედო სახოკიაც იხსენებს.

1904 წელს აპრილში უენევაში ჩატარდა ქართული პოლი-ტიკური მიმდინარეობებისა და დაჯგუფებების კონფერენცია, რომლის შედეგადაც შეიქმნა საქართველოს სოციალისტ-ფე-დერალისტთა პარტია. პირველი ეროვნული პოლიტიკური პარტიის სახელით მასში გაერთიანდნენ თვით ფედერალის-ტები, ეროვნულ-დემოკრატები, ახარქისტები და ესერები. ალ-ბათ, სწორედ ამ დროს ან ახლო ხანებში უნდა შესულიყო ამ პარტიის რიგებში თედო სახოკიაც. იგი უენევის კონფერენ-ციის მონაწილეთა შორისაა დასახელებული, თუმცა უცნობია, რა იყო მისი ფსევდონიმი. როგორც ცნობილია, კონფერენციი-ის მასალებში და „ოქმებში“ კონფერენციის მონაწილეები ფსევ-დონიმებითაა მოხსენიებულ-დაფიქსირებული.

1905 წლის გაზაფხულზე, თედო სახოკიას ცნობითვე, შემ-დგარა პარიზის ქართველთა კოლონიის შეკრება. თავყრილო-ბას უნდა გადაეწყვიტა ერთი საკითხი – როგორ და რა გზით მიეღოთ მონაწილეობა რუსეთის იმპერიაში და საქართველო-

ში დაწყებულ დიდ რევოლუციაში. „გადაწყდა, ყველანი საქართველოში დაგვრუნებულიყავით“ – წერს თედო სახოკია და მალე ჩამოდის კიდევ სამშობლოში.

თედო სახოკია აღარაფერს წერს იმის შესახებ, რომ საქართველოში იგი მხოლოდ ზოგადი გადაწყვეტილებით არ ჩამოსულა – მას ჰქონდა სრულიად კონკრეტული და უაღრესად სახითათო მისია დავალებული. საქმე იმაშია, რომ 1905 წლის გაზაფხულისათვის, გიორგი დეკანოზიშვილს ნამოწყებული ჰქონდა ევროპიდან საქართველოში იარაღის ფარულად ჩამოტანის ორგანიზება. როგორც ცნობილია, იაპონიის ხელისუფლებამ რუსეთან ომის პერიოდში სერიოზული ფინანსური დახმარება აღმოუჩინა რუსეთის იმპერიის ეროვნულ-პოლიტიკურ და რევოლუციურ პარტიებს, რათა ამ უკანასკნელებს შეიარაღებული აჯანყება მოეწყოთ თვითმშეყრობელობის წინააღმდეგ. პარტიების დაფინანსებას უშუალოდ აწარმოებდა იაპონიის სამხედრო ატაშე სტოკოლმში პოლკოვნიკი მოტოძირო აკაში. ეს უკანასკნელი იმპერიის პარტიებს ფინელ პატრიოტის კონი ცილაკუსისა და გიორგი დეკანოზიშვილის საშუალებით უკავშირდებოდა. საქართველოში გემ „სირიუსით“ იარაღის შემოტანის პროცესი დაწვრილებითაა შესწავლილ-გადმოცემული ჩვენს მონოგრაფიაში, ამიტომ ამ საკითხზე აღარ შევჩერდებით (დიმიტრი შველიძე. გიორგი გაფრინდაშვილი – გიორგი დეკანოზიშვილი – მამულიშვილის დაბრუნება. თბილისი, 2010).

აქ მხოლოდ იმას აღვნის აღვნისავთ, რომ 1905 წლის გაზაფხულისთვის, როცა თედო სახოკია პარიზის „ქართული კოლონიის“ კი არა, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ლიდერების დავალებით საქართველოსკენ გამოეგზავრა, ამ დროისათვის უკვე გადაწყვეტილი იყო იარაღის შეძენა. აპრილში ჩატარდა, სხვათა შორის, ესეც იაპონური ფულით – რუსეთის რევოლუციური და ოპოზიციური პარტიების მეორე კონფერენცია, რომელმაც მიიღო შეიარაღებული აჯანყების გადაწყვეტილება. ივლისის შუა ხანებისათვის, პოლკოვნიკ აკაშისაგან მიღებული ფულით, გიორგი დეკანოზიშვილმა უკვე იყიდა 25000 შაშხანა და 4 მილიონზე მეტი ვაზნა, რომელიც იმპე-

რიის პარტიებს, მათ შორის, ფინელ „აქტივისტებს“, რუს ესე-რებს და ქართველ სოციალისტ-ფედერალისტებს რუსეთში უნდა შეეტანათ.

1905 წლის 16 ოქტომბერს ამსტერდამიდან გამოვიდა გი-ორგი დეკანოზიშვილის მიერ ნაყიდი გემი „სირიუსი“, რომელ-საც საქართველოში შემოსატანად ფარულად მოპქონდა 8000 თოფი და 1 მილიონ 200000 ვაზნა. თედო სახოკია სწორედ ამ იარაღის მიღების ორგანიზაციისთვის გამოიგზავნა და ჩამო-ვიდა კიდევ სამშობლოში. განზრახული იყო, რომ „სირიუსი“ ფოთის მახლობლად გაჩერებულიყო და იარაღი ნავებში გად-მოეტვირთათ. ბათუმში რუსის საგარნიზონო ჯარის ნაწილი იდგა. ფედერალისტების კომიტეტს გადაუწყვეტია, ჯარის-კაცებში რევოლუციური აგიტაცია ჩაეტარებინათ, მათი მიმ-ხრობის მიზნით, რათა გარნიზონს ხელი მაინც არ შეეშალა იარაღის გადმოზიდვისათვის.

იმხანად ბათუმში ცხოვრობდა და ჯარში მსახურობდა და-ვით კლდიაშვილი. თბილისიდან ბათუმში თედო სახოკიასთან ერთად ჩადის პარტიის ერთ-ერთი ლიდერი ალექსანდრე ჯაბა-დარი და დავით კლდიაშვილს სთხოვენ დახმარებას, რადგან თურმე ჩვენს დიდებულ მწერალს ჯარისკაცებსა და ოფიცერებ-ში დიდი ავტორიტეტი ჰქონია. მაგრამ, როგორც ჩანს, ეს არ კმაროდა ჯარისკაცების მისამხრობად. ასეა თუ ისე, ფედერა-ლისტები მონდომებით ემზადებოდნენ იარაღის მისაღებად.

ამ ვითარებაში, 1905 წლის 22 ნოემბერს, იარაღით დატ-ვირთული „სირიუსი“ ფოთს მიადგა. რუსეთის ხელისუფლე-ბას და სპეცსამსახურებს დიდი ხანია ჰქონდათ ინფორმაცია, რომ ქართველები იარაღის შემოტანას აპირებდნენ. რუსის ეს-კადრა გაფაციცებით დაცურავდა და დაეძებდა გემ „სირიუსს“. ასეთ ვითარებაში ძალიან რთული იყო დიდი რაოდენობის თოფ-იარაღის შეუმჩნევლად გადმოზიდვა სანაპიროზე. საბო-ლოოდ 8000 თოფი იარაღის თითქმის ყველა მაძიებელს შეხვ-და. 3000-მდე თოფი ფედერალისტების პარტიას, სოციალ-დე-მოკრატებს და მოსახლეობას ერგო: დაახლოებით 1200–1500 ცალი ნიკოლოზ მეორის ჯარს ჩაუვარდა ხელში, ხოლო და-ნარჩენი – დაახლოებით 3500-მდე, რომლის გადმოტვირთვაც

ვერ მოხერხდა, ზღვაში გადაყარეს. თვით თედო სახოკია ოპერაციის წარუმატებლობას სოციალ-დემოკრატიულ პარტიას აპრალებს, რადგან მისი წარმომადგენლები შეეცადნენ იარაღი მიეთვისებინათ. იგი გიორგი დეკანოზიშვილს სწრდა: „მივიღეთ (იარაღი – დ. შ.) მხოლოდ ნახევარი. მეორე ნახევარსაც მივიღებდით, მაგრამ სოციალ-დემოკრატებმა სწორედ ნავების წასვლის დროს ხელი შეგვიშალეს.

...რაც სოციალ-დემოკრატებმა ჩვენ დღე დაგვაყენეს და გვაყენებენ ამ იარაღის გამო, კაცი ენით ვერ გამოთქვამს. გურიაში იმ ორ სანდალს (ნავს) უნდა გამოეტანათ იარაღი. არ გამოუტანიათ, თორემ ისეთი სისხლის ლვრა მოხდებოდა ჩვენებსა და სოციალ-დემოკრატებს შორის, რომ საქვეყნოდ თავი მოეჭრებოდა ჩვენს ხალხს. ვერ აგინერ, რა სისაძაგლეს არ მიმართეს, ოღონდ ჩვენთვის ხელი შეეშალათ. იმ გადარჩენილ იარაღის შესახებ ხალხს უბნებიან, იმიტომ მოიტანეს ფედერალისტებმა, რომ თავადებს დაურიგონ და ხალხი გააულეტინონ“ (მარკოზ ტულუში – გიორგი დეკანოზიშვილი. ცხოვრება და მოქმედება. ჟურნ. „კავკასიონი“. წიგნი მეათე. პარიზი. 1965. გვ. 145). მიუხედავად ამისა, ქართველების მიერ არცთუ იდეალურად ჩატარებული ოპერაცია ერთადერთი წარმატებით განხორციელებული იარაღის შემოტანა იყო რუსეთის იმპერიის მასშტაბით, რადგან ყველა სხვა ცდა მარცხით დამთავრდა. საქართველოში კი, განსაკუთრებით სამეგრელო-იმერეთში, „სირიუსით“ შემოტანილი შევიცარული „ვეტტულისის“ ტიპის თოფები, მოსახლეობაში „ბევრგან იყო გაფანტული“ – წერს გიორგი ლასხიშვილი.

* * *

მაგრამ თედო სახოკიასა და იარაღის გადმოზიდვის ოპერაციაში მონაწილე რამდენიმე პირისთვის ამით საქმე არ დასრულებულა. ისინი დააპატიმრეს, გაასამართლეს და ციმპირში გადაასახლეს. აქედან იწყება თედო სახოკიას ცხოვრების, ალბათ, ყველაზე მძიმე პერიოდი. იგი ხომ თავისუფლების ქალაქიდან – პარიზის „უტკეცესი“ და „საუკეთესო“ გარემოდან ჯოჯოხეთურ პირობებში მოხვდა. სწორედ ეს პერიოდი აღნე-

რა თედო სახოკიამ თავის ხელნაწერ მოგონებებში, რომელიც 1931 წლითაა დათარიღებული. იგი დღემდე გამოუქვეყნებელი ინახებოდა გიორგი ლეონიძის სახელობის ქართული ლიტერატურის სახელმწიფო მუზეუმში. (მხოლოდ VII, VIII და IX თავები გამოქვეყნდა უურნალში „მნათობი“ (1939, №10-11, ოქტომბერი-ნოემბერი, გვ. 273-292).

„ციმბირში. მოგონებანი 1905 წლის რევოლუციის დროიდან“ – ასეა დასათაურებული თედო სახოკიას ხელნაწერი. მას წინ უძლვის ხალხოსნური მოძრაობის ყოფილი მონაწილის – კოტე მესხის მცირე წინასიტყვა. იგი სამართლიანად აღნიშნავს და ჩვენც გვინდა დავეთანხმოთ, რომ თედო სახოკიას მოგონებები „არ არის დაწერილი შაბლონურად, როგორც საერთოდ უმეტესი წაწილი სხვადასხვა“ ამ სახის ნაწარმოებისა. ავტორი აღარ განმარტავს, რაში მდგომარეობს წინამდებარე მოგონებების ორიგინალობა. შევეცდებით ჩვენ გავცეთ პასუხი კოტე მესხის მოსაზრებას. საქმე იმაში გახლავთ, რომ რუსეთის იმპერიის განმათავისუფლებელი მოძრაობის მონაწილე-მემუარისტები უმთავრესად აღწერდნენ რევოლუციური მოძრაობის პერიპეტიებს, ცნობილ პოლიტიკურ მოღვაწეთა საქმიანობას, შეხედულებებს, მათთან შეხვედრებს, მსოფლმხედველობრივ პოზიციებს, პარტიების ურთიერთდამოკიდებულებას და ა. შ. ეს სავსებით ბუნებრივია და სწორედ ეს გარემოება ხდის საინტერესოს ლევ დეიჩის, ჰეტრე კროპოტკინის, ივანე ჯაბადარის, სრეები სტეპნიაკ-კრავჩინსკის, შიო დავითაშვილის, სოფრომ მგალობლიშვილის, გიორგი ლასხიშვილისა თუ სხვა ათეულობით და ასეულობითაც კი მოღვაწეთა მემუარებს.

თედო სახოკია, მართლაც, განსხვავებულ გზას დაადგა, თავისი მოგონებების წერას როცა მიჰყო ხელი. მან გადაწყვიტა აღეწერა არა პოლიტიკური გარემო, მოღვაწეთა საქმიანობა, მიზნები, არამედ – თვით ციმბირში გადასახლების პირობები, მიმდინარეობა, პატიმართა ყოფა-ცხოვრების მძიმე რეალობა, თვით ციმბირის ბუნება, სოფლები, ქალაქები, იქ მცხოვრები ადამიანების საქმიანობა, გადასახლებულთა მდგომარეობა, შემხვედრი სრულიად რიგითი ადამიანები და საკუთარი თავ-

გადასავალი. მკითხველი თვალწინ წარმოიდგენს მოგონებების ავტორის განვლილ გზას ქუთაისის გუბერნიიდან ციმბირის შიდა რაიონებისაკენ, რომელსაც გადასახლებულები თვეობით გადიოდნენ. ეს გზა ასეულობით კილომეტრზე იყო გადაჭიმული. აი, რუკა-მარშრუტი გადასახლებულების მიერ განვლილი გზისა: ქუთაისი, ბათუმი, ნოვოროსიისკი, როსტოვი, რიაზესკი, სამარა, ურალი, ზლატოუსტი, ორენბურგი, ომსკი, კრასნოიარსკი, კაჩუგა, ვერხოლენსკი, ჟიგალოვო...

ასევეა აღწერილი ციმბირიდან გამოქცევაც, გზაც, პირობებიც. ზედმეტი იქნება მცირედით მაინც შევეცადოთ, თედო სახოკიას გადასახლებისა და ციმბირში ყოფის აღწერა. ამას თვით ავტორი, ცნობილი მეცნიერი, შესანიშნავი მთარგმნელი, ლექსიკოგრაფი და, რაც მთავარია და რასაც საპჭოთა პერიოდში არ აღნიშნავდნენ, ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის გამოჩენილი მოღვაწე და ქართული სახოკია – უზადოდ წარმოგვიდგენს წინამდებარე მოგონებებში.

დიმიტრი შველიძე

თ. სახოკიას მოგონება, ჩემის აზრით, დიდათ საინტერესოა. იგი არ არის დაწერილი შაბლონურად, როგორც საერთოდ უმეტესი ნაწილი სხვადასხვა მოგონებების, რასაკვირველია, ზოგიერთის გამონაკლისით, როგორც მაგ. დეიჩის, რუსანოვის, ვიტაშევსკის („По Владимирике“) და სხვ. სახოკიას მოგონება შეიცავს რუსეთის ეტაპის საინტერესო აღნერას (არაცალმხრივი), სხვადასხვა ტიპების გამოხატვას, ციმბირის ბუნებას და ციმბირში კატორლის შემდეგ დარჩენილ ტიპების გამოხატვას და სხვ. ნაწილობრივ ეხება 1905 წ. ამბებს და უმეტესად რეაქციის ხანას. მოგონება არ არის მოკლებული იუმორს.

სათანადო რედაქციის შემდეგ, საჭიროა მოგონება დაიბეჭდოს ან ცალკე წიგნაკად და ან მომავალ კრებულში.

კ. მესხი
18/I, 32 წ.

ამ სოფლით გარდასრულთა – კირილე კორშიას,
ელიზბარ ჩარტიას, ზოსიმე ხუბუას და
ვასო თურმანიძის ხსოვნას.

თ. სახოვავის

შესავალი

მეოთხედ საუკუნეს წინათ იყო ეს ამბავი. მაინცა და მაინც, დიდი ხანი კი არ გახლავსთ გასული მას აქეთ, მაგრამ რევოლუციები ამ მანძილზე ისეთის თავბრუდამხვევის სისწრაფით მისდევდა ერთი-მეორეს, ქვეყნის მმართველობის რეჟიმების ცვალებადობა ისეთი ხშირი იყო, რომ რაც იმ დროს ჩვეულებრივ, ყოველდღიურ მოვლენად ეჩვენებოდა ადამიანს, ახალი რეჟიმის, თანამედროვე მოდგმისათვის ოლონდაც რომ დაუჯერებელია! და ნეტავი თანამედროვეთ, რომ ამ არასანატრელ ძველს ამბავს არ მოსწრებიან, ძველი სალმობანი და პატიჟი არ უწვენებიათ!..

ამ სტრიქონების დამწერს თავის თავზე განუცდია სიტკბო წარსულისა, და აპა, იმანაც აღწერა იმდროინდელი ამბავი ისე, როგორც ამას განეცადნა, ენახნა თუ გაეგონა, უფერ-უმარილოდ, უმეტნაკლებოდ, იმდენათ, რამდენათ კალამს ძალედვა სისწორით გადმოეცა ნაფიქრ-ნანახი. შეიძლება ალაგ-ალაგ ფერადებით თანამედროვე მკითხველს მუქად ეჩვენოს, მაგრამ დავარწმუნებთ – ამისთვის ჩვენ არა ცდილვართ. თუ რამ საყვედური ითემის ჩვენს წინააღმდეგ, ითემის, პირიქით, ამ ფერადების შენელებისა და „გაარისტორატებისათვის“. აღარც უმაგისობა გახლავსთ, ავტორი ვერა გრძნობდეს, რომ ასეთის მდიდარის ტემის (გაციმბირების) ყოველმხრივ გასაშუქებლად და ქალალ-დზე დაწვრილებით გადასატანად (ავტორი შორსაა ასეთს პრეტენზიაზე) ცოტა მეტი ლონე და უფრორე მეტი დრო ეგებოდა.

დასასრულ, ჰეთა მიდა ჩემს წმიდა მოვალეობად ჩამეთვალნა ეს მცირე რამ მოგონება გულსავსებით მეძღვნა იმ უჩინარ ოთხ ადამიანისათვის, პირდაპირ ხალხის გულითგან მოწყვეტილ არსებათათვის, რომელთაც თავიანთი მარტივი სიცოცხლე უანგაროთ, სავსებით და გულწრფელათ ზვარაკად მიიტანეს საქართველოს რევოლუციის სამსხვერპლოზე, და რომელთანაც ციმბირში ხანმოკლე ყოფნის დროს ერთად ვიყოფდი ჭირსა და ლხინს. ორმა მათგანმა, ელ. ჩარტიამ და კორშიამ თავისიანების მიერ დაუტირებელთ და სამშობლოს მიწამიუყრელთ, თავიანთი ძვლები ციმბირის გაყინულ მხარეში ჩასტოვეს ისე, რომ დღეს აღარც-კი ვიცით, სად იმყოფება მათი წმიდა საფლავები.

ნაწილი პირველი

იქით

|

გასამართლება. — განაჩენის გასაჩივრება. — დაჭერა და ბოქაული მიქაბერიძე. — ქუთაისში გამგზავრება. — ქუთაისის ციხე. — გამოწყობა ციმბირში გასამგზავრებლად. — ფეხებში ბორკილები და „დიშლა“. — თანამგზავრნი. — ბათომში.

1905 წლის რევოლუციის დროს საზღვარგარეთიდან საქართველოში შვეიცარიულ სისტემის თოვების შემოტანაში და საერთოდ სარევოლუციო მოძრაობაში მონაწილეობის მიღებისათვის, წინასწარ ციხეში ორი წლის ჯდომის შემდეგ, წიკოლოზის სასამართლოს წინაშე უნდა წამდგარვიყოფა და პასუხი უნდა ეგებინებინათ. საქმე გასარჩევად დანიშნული იყო 1907 წლის ენკენისთვის 17, ქ. სოხუმში. ჩემთან ერთად, საბრალმდებლო ოქმის თანახმად, სასამართლოს წინაშე უნდა წამდგარიყვნენ სოც.-ფედერალისტი იოსებ მატახერია და გუდაუთის სოციალ-დემოკრატიულ ორგანიზაციის წევრები: სერგო ორჯონიკიძე, ვასილ ღურჯუა, დომენტი ქუჩულორია, პეტრე კვარაცხელია, იასონ გიგიბერია, ნ. სასანია, ახმეტ ბექიროლლი (ლაზი), რომელთაც, მთავრობის საწინააღმდეგო პროპაგანდის გარდა, პბრალდებოდათ ხსენებულ იარაღის შემოტანა გაგრიდან გუდაუთაში. ჩვენის, ფედერალისტების, და გუდაუთელ სოც.-დემოკრატების საქმეებს ერთად მოუყარეს თავი და დაარქვეს: „საქმე სოხუმის რესპუბლიკისა“.

ამ საქმის გასარჩევად სოხუმში ტფილისის სამოსამართლო პალატის სესია იყო ჩამოსული: თავმჯდომარედ ბოგოროდსკი, წევრებად — ლ. ორლოვსკი და ლ. იონინი. ამათ სოხუმში მიემატენენ წოდებათა წარმომადგენელნი: სოხუმის ქალაქის თავი ნიკო თავდგირიძე, ექიმი პავლე ბარსკი და მესამეც — სოხუმის ახლო მოსახლე ესტონელთა სოფლის მამასახლისი ფრიდრიხ ულმანი. ჩემ დამცველებად მოწვეულნი იყვნენ პეტერბურგიდან იმ დროის პეტერბურგის პირველხარისხო-

ვანი ვექილები ლუარსაბ ანდრონიკაშვილი და 6. სიდამონ-ერისთავი, ხოლო ტფილისიდან გ. გვაზავა და იოსებ ბარათაშვილი, ესენიც ცნობილნი დამცველნი და პოლიტიკურ პროცე-სებში არაერთხელ გამოსულნი. აბა, რა თქმა უნდა, ჩემს დამ-ცველთ ჩემ გასათეთრებლად ბჭერმეტყველება და გონების სიმახვილე არ დაუკლიათ. მაგრამ თქვენ ისა ბრძანეთ, რა ამ-ბავი ყოფილა კულისებში, სათათბირო ოთახში!.. მოსამარ-თლენი ორ აშვარა მოწინააღმდეგე ბანაკად გაყოფილან: ერთ-ში მოქცეულან პალატის წევრნი ორლოვსკი და იონინი, ორნი-ვე ცნობილნი, როგორც უსასტიკესნი მოსამართლენი, რომელ-ნიც ბრალდებულს, თუნდაც უდანაშაულოს, რაკი ერთი ხელ-ში ჩაუკარდებოდათ, დაუსჯელად აღარ უშვებდენ, რათვან ბრალდებულის დასჯა მათი პირდაპირ ორგანიული მოთხოვ-ნილება იყო, ხოლო მოწინააღმდეგე ბანაკში მოქცეულან ზე-ვით ჩამოთვლილნი წოდებათა წარმომადგენელნი, რომელთაც მიმხრობია თვით სესიის თავმჯდომარე ბოგოროდსკი. ესენი გაღმიდან დასდავებიან ორლოვსკისა და იონინს და მოუთხოვ-ნიათ ჩემი სრული გამართლება... მერე ნელ-ნელა უკან და-უხევიათ და ჩამოსულან ჩემთვის უფლებათა აყრაზე და სა-უკუნო საცხოვრებლად შორეულ ციმბირში გაგზავნაზე. ორ-ლოვსკი-იონინს ესეც ეცოტავათ თურმე და თითქმის თხოვ-ნით მიუმართნიათ, თავისს მეტის-მეტად ლიბერალურ კოლე-გებისათვის: „Да помилуйте, нужно присудить по крайней мере к 4-м годам каторги“ („რასა ბრძანებთ, სულ უკანასკნელი 4 წე-ლიწადი იძულებითი სამუშაო უნდა მიესაჯოს (მე)“). მაგრამ წოდებათა წარმომადგენელთ თავისი გაუტანით.

როცა თავმჯდომარემ სასამართლოს განაჩენი გამოიტანა და საუკუნო გაციმბირება გამომიცხადა, თან დაურთო: შეუძლია დამნაშავეს ასის თუმანის თავმდებით განთავისუფლდეს, სანამ კასაციის პასუხი უმართებლეს სენატისაგან (პეტერბურ-გიდან) მივიდოდესო. სასამართლოს სხდომის დარბაზში ხალ-ხის ჭდევაა. ერთბაშად გამოერჩევა სოხუმის მოქალაქე ქრის-ტეფორე სამურიდი და უშიშრათ განუცხადებს სასამართლოს – ნება გვიბოძეთ მე ვუთამდებო დამნაშავესაო... მაყურებლებ-მა მოქალაქე სამურიდის ამ ჯენტლმენურს უესტს, ცოტას გან-

ყდა, ტაში არ დაუკრა და ყველას მაღლიერი თვალები ძალაუნებურათ დიდხანს იყო მისკენ მიპყრობილი...

სანამ საჭირო ფორმალობას შეასრულებდენ (ზაზინაში სათავმდებო თანხის მაგიერ ჩეკის შეტანა და სამაგიერო ქვითარის გამოტანა), არ გაუვლია სულ ორ საათს, ისე მეცა და ჩემთან ერთათ გასამართლებულებს (ს. ორჯონივიძის გარდა, რომელიც გაქცეული იყო და მისი საქმე გამოყოფილი) სატუსალოს კარები უკან დაგვრჩა.

სასამართლოს განაჩენით, რა თქმა უნდა, კმაყოფილი არ დარჩენილვარ. ვისარგებლე სასამართლოს განაჩენის განსაჩივრების უფლებით და საქმე სენატში გადავიტანე. სანამ იქიდან პასუხი მომივიდოდა, სრულიათ თავისუფალი ვიყავ... შემეძლო ოთხივ კუთხივ წასულვიყავ, მით უფრო, რომ ჩემს მოთავდებესთვის ასის თუმანის დაკარქვა მაინცადამაინც საგრძნობელი არ იქნებოდა. ასე მითხრა: ვეთაყვათ, ნუ მომეხათრებით, ასი თუმანი თქვენი ჭირის სანაცვლო იყოს, ვითომც არც-კი მქონია, ისე მივითვლი, თუ ამით თქვენს მდგომარეობას ელჩინებარამეო.

მაგრამ, სამწუხაროთ, სავსებით ვერ გამოვიყენე ჩემის მოთავდების პატივისცემა, რათგან ამ გახურებულ რევოლუციის შემდეგ, ციხეში ჯდომისა და იქიდან გამოშვების ინტერვალებში, არ დამვიწყნია ოჯახსაც მოვკიდებოდი, მშვიდობის-მოყვარე მოქალაქის სახე მიმედო, ოჯახის უფროსის როლი ერთგვარ ფარად გამომეყენებინა... ეს გარემოება მაიძულებდა, როგორც იქნებოდა, გამეძლო სასჯელისათვის, საფრანგეთისა და ევროპის სხვა თავისუფლების სამშობლო ქვეყნებში სავანეს ძებნა იმ დროისათვის გადამედო, როცა ამას იქით სხვა გზა აღარ მექნებოდა.

ამასობაში მოვასწარი სამ მუზეუმისა (პეტერბურგისა, კავკასიისა და წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოებისა) სამეგრელოს საეტნოგრაფიო კოლექცია შემეგროვებინა და თან გავცნობოდი სამეგრელოს ისეთს მივარდნილს კუთხეებს, რომელთა უნახაობა გულზე ლოდად მაწვა და ჩემთვის ნატვრის საგანს შეადგენდა. ზოგი ჭირი მარგებელიაო... იარაღის შემოტანის საქმე რომ არ ყოფილიყო, ვინ იცის, ამ ადგილების

ნახვა აღარც-კი მღირსებოდა და ისიც სულ ადვილად შესაძლებელი იყო, ნატვრა საფლავში ჩამეტანა.

გასამართლების დღიდან უკვე წელიწადმა განვლო. მოსალოდნელი იყო სენატისაგანაც პასუხის მოსვლა. მაგრამ უკანასკნელ წამამდე ყოყმანში ვარ: განვიცადო ყოველი სიკეთე „ტრაპით“ სიარულისა, თუ რამდენსამე საათში საზღვარი გადავლახო? ამ რევენში, ამ „ჰო-არა“-ში ვარ სულ ბოლო წუთამდე, მეძნელების რაისამე გადაწყვეტა. ამიტომ ვცდილობ სენატის პასუხი (აბა, რა თქმა უნდა, უარყოფითი!) წინდანინვე გავიგო, რომ თუ საზღვარგარეთ გადასვლაა, მაშინ ერთბაშათ გადავიდე. ეს კი შესაძლებელი იყო პოლიციის საშუალებით, რომელსაც უნდა მისვლოდა ჩემის დაჭერის ქალალდი. პოლიციაში იმ დროს სოხუმში ბოქაულის თანამდებობაზე მსახურობდა ვინმე პლატონ მიქაბერიძე. როგორც მარტოხელი, ბინად იდგა ჩემ მეგობარ ნიკო თავდგირიძესთან, მაშინ ქალაქის თავთან, რომელთანაც, დაჭერამდე, მდივნად ვიყავი. იმ დროს 6. თავდგირიძეც მარტოხელი იყო და ორსავე ერთგვარი კომუნა ჰქონდათ. ჩემის მხრით სრულებით ბუნებრივი იყო 6. თავდგირიძის საშუალებით მეთხოვნა მიქაბერიძისათვის: როცა სენატისაგან ჩემის საკასაციო საჩივრის უარი მოვიდოდა და პოლიციას მოწერილობა ექნებოდა ჩემის დაჭერისა სასამართლოს განაჩენის სისრულეში მოსაყვანად, მიქაბერიძეს ჩემთვის წინდანინ შეეტყობინებინა ყოველივე, თუნდაც იმავე თავდგირიძის საშუალებით, და თუ შევიძლებდი თავის შველას, მეც ვუშველიდი თავს. მიქაბერიძისაგან ამის თანხმობა უკვე მქონდა. ვერ წარმომედგინა, თუ მიქაბერიძე ასეთს აშკარა ღალატს არ ითაკილებდა და არ დამზოგავდა დასაჭერად, მით უფრო რომ ჩემი, როგორც ცოლშვილში გამოცხადებულად მცხოვრებელის, დაჭერა მაინცდამაინც დიდ ვაჟკაცობაში არ ჩამოერთმევოდა და ამისთვის არამცთუ უბრალო ჯილდოს არავინ მისცემდა, უბრალო მადლობა რა არის, უბრალო მადლობასაც არავინ ეტყოდა, მიქაბერიძის დაპირება შინაურებსაც გავუზიარე.

ერთს, სხვათათვის შეიძლება მშვენიერს, ხოლო ჩემთვის კი მეტად უშნო დილას შინიდან გაველ ქალაქის გამგეობისაკენ წა-

სასვლელად. გზად გავუარე ნ. თავდგირიძეს. თავდგირიძე და მიქაბერიძე ახალი ამდგრები იყვნენ, წინ სამოვარი ედგათ და ჩაის შეექცეოდნენ. დიასახლისობდა პ. მიქაბერიძე. მეც დამინვიეს და თვითონ მიქაბერიძემ დიდის თავაზით დამიღვა წინ მისის ხელით დასხმული ჩაი. რაღაც ბანალური ლაპარაკი გავაპით. მიქაბერიძე მიცინოდა, თეთრ კბილებს მიჩვენებდა და ამავე დროს... წარმოიდგინეთ... აბა რას წარმოიდგენთ?!!. ჩემის დაჭერის ბრძანება ჯიბეში-კი სდებია და სულ მალე, ერთს საათს უკან, ამ ბრძანების ასრულებასაც აპირებდა თურმე...

გამოვეთხოვე...

ჩემს შემდეგ მიქაბერიძე პოლიციაში მისულა, იქიდან ერთი პოლიციელი უახლებია და ფორმისათვის ჯერ ჩემ სახლში მისულა და შინაურებისათვის უკითხავს – მჭირია, ქალალდი რამ უნდა ჩავაბაროვო. რო გაუგია ჩემი სადმყოფობა, პირდაპირ ჩემკენ წამოსულა.

მე ქალაქის საბჭოს კანცელარიის დიდ ოთახის ერთ კუთხეში ვზივარ. უცბად კარი გაიღება, თავს შემოჰყოფს მიქაბერიძე და გამოჩენისათანავე მომაძახებს: „Вы арестованы!“ („დაჭრილი ხართ!“). ვცდილობ დავუმტკიცო, გამქცევი არსადა ყოფილვარ და აღარც ვარ-მეთქი. მაგრამ ის ჩემი დამტკიცება არა სჯერა და თავისისა გაიძახის: „Вы арестованы“...

საქმეში გაერკვა ნ. თავდგირიძე... ცდილობს, სირცხვილ-ნამუსზე შეაგდოს ერთგული მსახური ნიკოლოზისა, მაგრამ ყოველი ცდა ამაოდ რჩება... უკვე გარეთაც გავიდა ხმა ჩემის დაჭერისა. ყველამ წვერზე ფუ უყო, მაგრამ იმას თითქო ბუზიც არ აფრენოდესო. თავი ისე ეჭირა, თითქო დიდის ხნის გავარდნილი ყაჩალი დაეჭიროს ცხარე შეტაკებასა და იარაღის ტრიალს შემდეგარ...

გულში ჩავიხვივე მიქაბერიძის ჯავრი და გულშივე დავემუქრე: შენმა რა მიყოს, თუ შენი ჯავრი არ ვიყარე-მეთქი. მერე ვიყარე კიდეცა ეს ჯავრი და კარგადაც ვიყარე, მაგრამ ამაზე შემდეგ...

მერე სხვებმა დამიხასიათეს მიქაბერიძე, როგორც მოუქრთამავი, თავის სამსახურის ერთგული ამსრულებელი, იმდენათ ერთგული, რომ თუ უბრძანებდნენ, თავის თავსაც არ დაჰ-

ზოგავდა თურმე დასაჭერად... ასეთს შემთხვევაში მამა, თუ დედა ხომ არ არსებობდა მისთვის, არცერთს მათგანს მისგან დაწყობის იმედი არ უნდა ჰქონოდა. მტერი და მოყვარე ერთ-პირად ადასტურებდენ მისს მიუსყიდველობას, ქრთამით მის გულის მოვება შეუძლებელი იყოვო. საშინელი ერთგულება ახასიათებდა ამ კაცს სამსახურში: სულ ერთი იყო, ვისიც იქ-ნებოდა ეს სამსახური – ნიკოლოზისა, თუ მენშევიკების მთავრობისა. ქართულს ანდაზას: „ურის პური სჭამე – ურის ხმა-ლი მოიქნიო“ – ზედმიწევნით და უკლებლივ ასრულებდა. სწორეთ ეს მიქაბერიძე იყო, რომ ვლადიმერ სულაქველიძემ, მენშევიკების დროს მილიციის უფროსმა, ხელით შეურაცყოფა მიაყენა რუსთაველის გამზირზე, ავტომობილში. მაგრამ მას ეს შეურაცყოფად არ ჩაუთვლია და არც შელახულ თავ-მოყვარეობის აღდგენა მოუთხოვნია ვისთვისმე.

მიქაბერიძის, ნიკოლოზის ამ ტიპურ მოხელის, ვინაობაზე ცოტა მეტხანს იმიტომ შევჩერდით, რომ მან, ჯერ ეს ერთი, გადამწყვეტი როლი ითამაშა ჩემს ციმბირში გამგზავრების საქმეში და მეორე მხრით იმიტომ, რომ უფრო გარკვევით და ნათლათ წარმოვიდგინოთ მიქაბერიძის სახე მერე, როცა მას-თან ბედი მეორეჯერაც შეგვახვედრებს, მხოლოთ ჩემთვის უკეთესს პირობებში. მაგრამ ამბავს წინ ნუ გავუსწრებთ და მიყვეთ ყველაფერს ქრონოლოგიურათ.

ორიოდ კვირა სოხუმის ციხეში ყოფნის შემდეგ, ქუთაისის ციხეში გამომგზავნეს, რომ იქ დაენიშნათ ციმბირის გუბერნია, სადაც უნდა მეცხოვრნა, როგორც გადასახლებულს, გა-მოვერწყვეთ გასამგზავრებლად. ქუთაისში პირველ დამეს მო-მათავსეს საერთო (სისხლის სამართლის დამნაშავეთა და პო-ლიტიკურთა), ეგრედწოდებულ გამანანილებელ კამერაში, სა-დაც მასპინძლად დამხვდა კონია ქავთარაძე, სოციალ-დემოკ-რატი და შეურიგებელი პოლიტიკური მონინააღმდეგე გარეთ, დაჭერამდე, მაგრამ აქ მორბილებული, ალერსიანი, თითქო არც-კი არსებულა ჩვენს შორის პოლიტიკის ნიადაგზე უთან-სმოებაო... დამხვდა აგრეთვე თანამოსაგრე საზღვარგარეთი-დან შემოტანილი იარაღის საქმისა, სვანი მაქსიმე გასვიანი, რომელსაც გუდაუთაში ამოსულ იარაღიდან რამდენიმე თო-

ფი ჩაუგდია ხელში, იქიდან დალის ხეობით (აფხაზეთში) სვანეთში გადმოსულა, აქ დაუჭერიათ, გაუსამართლებიათ, გაუციმბირებიათ და ჩემსავით ისიც ელოდა, თუ ციმბირის რომელ გუბერნიაში გაამგზავრებდნენ.

დამხვდნენ აგრეთვე პოლიტიკურები, რომელთაც საზღვარგარეთ გაქცევა ვერ მოესწროთ, ტყე-ლრეში თავის მალვა მოჰყეზრებოდათ და ადმინისტრაციას ჩაჰარდნოდენ ხელში. აქ თავმოყრილი იყვნენ ეგრედნოდებულნი უკანასკნელნი ნაშთის 1905 წლის რევოლუციისა და ამ ნაშთის დაჭერით და დასჯით მთავრობა ლიკვიდაციას უშვრებოდა რევოლუციას.

დამხვდნენ მასპინძლებადვე ზესტაფონის ხაზინის ეკარკოპრიაციის საქმეში მონაწილენი: პავლე საყვარელიძე, კარპე მოდებაძე, საშა სტეპანოვი და სხ. მასპინძლები ცდილობდენ, რაც შეიძლებოდა, შეემსუბუქებინათ ციხის რეჟიმი, რომელსაც მაინცა და მაინც მკაცრის სახელი არ დაერქმევოდა. პოლიტიკურების კამერები კორპუსს შიგნიდან მთელი დღე ლია იყო, შეგვეძლო თავისუფლათ ერთმანერთთან მისვლა-მოსვლა, წიგნების კითხვა, წერა და საერთო გონებრივი გართობა. დუქანში, რომელიც შიგ ციხეში იყო გამართული, ყველაფრის შოვნა შეიძლებოდა. შეგვეძლო ბარათები მიგველო, ვისგანაც უნდა ყოფილიყო და გაგვეგზავნა, ვისთანაც გვინდოდა, ციხის მზარეულების საშუალებით, რომლებიც გარეთ ყოველდღე გამოდიოდენ სურსათის მოსატანად. თვით ადმინისტრაცია ციხისა მეტად იყო დაშინებული: ამას წინათ პოლიტიკურებს მოეკლათ ციხის უფროსი აპშილავა, მერე პოლიტიკურებსვე გვირაბი გამოეყვანათ ციხეს ქვეშ მეზობელ სახლიდან და სწორეთ პოლიტიკურების კამერაში ამოდიოდა. ამ გვირაბით 1907 წელს ენკენისთვეში გასულიყო 37 კაცი, რომელთაგან ყველას უშველნია თავისთვის, გარდა სტეპანოვისა, ალ. ჩიქავასი, ლავრ. ესვანჯიასი და გედევან კაჭარავასი. ესენი ხამები ყოფილან ქუთაისში და ქალაქიდან გარეთ გასვლა ვერ მოესწროთ, მდევრებს არქიელის გორაზე დაეჭირნათ და ისევ ციხეში შემოეყვანათ. ამ გვირაბისათვის საგანგებოდ ჩამოეყვანათ ჭიათურიდან შავიქვის მაღაროების მთხრელები, გამოცდილი მუშები. 50 მეტრი სიგრძე გვირაბი თურმე მათემატიკურის სიზუს-

ტით გაეჭრათ და ამოეყვანათ პოლიტიკურების ერთ-ერთს კა-მერაში. თურმე სპეციალისტი ინჟინერებსაც კი აკვირვებდათ ასეთს პირობებში ასეთის სიზუსტით ასეთის სერიოზულის სიძნელის ძლევა. ამან დიდათ ასწია საერთოთ ადმინისტრა-ციისა და კერძოთ ქუთაისის ციხის ადმინისტრაციის თვალში პრესტიჟი პოლიტიკურ ტუსალებისა, მათდამი ერთგვარი რი-დი და კრძალვა დაებადათ და მოპყრობის რეჟიმი მათდა სა-სარგებლოდ შეაცვლევინა. კარპე მოდებაძეს რო ვუყურებ-დით, შთაბეჭდილება ისეთი იყო, თითქმ ტუსალი კი არა, თვით ციხის უფროსიაო, თუ მეტი არაო....

თვით უფროსი ციხისა?..

აბა ეს იყო, რაც იყო!.. ცალთვალა, გვერდელა, წელში სა-ცოდავათ მოხრილი მოგაგონებდათ დაბერებულ, მუშაობისა-გან არაქათ გამოცლილ ცხენს ქუთათელ წყლის მზიდავისას... სიარულიც ბებურ ცხენისა ჰქონდა, თავწაგრძელებით, ფეხე-ბისა და კომიკურათ ჩამოკანტურებულ ხმლის თრევით, თით-ქო დასაკლავად სადმე ძალით მიათრევენო! როცა ხვიხვინებ-და, რასაც ის სიცილს ეძახდა, ცხენი მოგაგონდებოდათ, თან დამპალ ქბილებს გამოაჩინდა, ტუჩებს თავისებურად დაგრეხ-და, გრძელ, მოკაუჭებულ ცხვირს მიგრიხ-მოგრეხდა, ერთსაც ჰაერს შეისუტავდა.

ტუსალებს ბევრი ფიქრი არ დასჭირებიათ მისთვის ზედგა-მოჭრილი სახელი დაერქმიათ... დაშვი (ფაეტონის ხელნა), ანუ, სატუსალოს ქართულის გამოთქმით – დიშლა. ამ სახელს ეძახ-დნენ ტუსალები ყველასთან, და ბოლოს თვითონაც ისე შეეჩ-ვია, რომ არც-კი თაკილობდა. ბოროტი თითქმ არ იყოვო, ბევ-რის დავიდარაბის თავი არა ჰქონდა, თუ მაინცა და მაინც იქით არ დაუშავებდნენ, აქეთ მისგან დაშავებას არავინ მოელოდდა...

ორიოდ ანბანი რომ უსწავლია, მას აქეთ კანცელარიას არ მოჰშორებია, მთელი თავისი დღენი „ოტნოშენიების“ (მიმარ-თვათა) გადაწერისათვის შეუწირნია. ამ „ოტნოშენიების“ გა-დაწერით დასრულდა მისი განათლება და ახლა აღყვანილ იქ-მნა „ჩინოვნიკობის“ უმაღლეს საფეხურზე – ციხის უფროსო-ბაზე!.. ამას იქით მისი ნატრა აღარ მიდიოდა და რა თქმა უნ-და, აფასებდა თავისს ანინდელ მდგომარეობას! თან ცდილობ-

და მთავრობასთანაც პირნათლად ყოფილიყო და ტუსალებიც გადაკიდებული არა ჰყოლოდა, ისიც ამ არეულ დროებაში, როცა ამ ძველებურ უფროს-უმცროსობის მცნებას საძირკველი გამოეთხარა.

ტუსალები უმეტეს ხანს წიგნის კითხვას ანდომებდნენ და ათასში ერთხელ პარტიულ ტემაზე პაექრობას. წიგნები შიგ ციხეში, ისიდორე კვიცარიძის წყალობით, თითქმის ყოველგვარი მოიძებნებოდა, ლეგალური თუ არალეგალური. ზოგს ბიბლიოთეკაცა ჰქონდა, სურათებით შემკული კამერა. მაგ., კარპე მოდებაძის სამყოფელი უფრო სასურათო გალერეიას მოგაგონებდათ, ვიდრე... ტუსალის კამერას. ერთბაშათ გავიწყდებოდათ, სად იყავით: თავისუფალი კაცის ბინაზე, თუ ციხის სენაცში...

დადგა გამგზავრების წამიცა. ქუთაისის გუბერნატორმა გადაგვიწყვიტა ირკუტსკის გუბერნიაში დასახლება ჩემი. ციხეში კომისიამ შეგვამოწმა ჯანმრთელობის მხრივ, თუ გავუძლებდით შორეულ ციმბირის ჰავას. ფოტოგრაფს გადააღებინეს ჩვენი ორნაირი (პირდაპირი და გვერდის) სურათი, რომელიც ჩვენს დოკუმენტებს თან უნდა გამოჰყოლოდა ციმბირამდე. ბოლოს, ფეხებში ბორკილები გაგვიყარეს. ეს პირველათ იყო, რომ პოლიტიკურებს ბორკილებს უყრიდენ ფეხებში. ბრძანება იყო პეტერბურგიდან ციმბირში გასასტუმრებელ პოლიტიკურ დამნაშავეთათვის ბორკილები (ოკოვი) გაეყარნათ, და რაკი ბრძანებაში ნიშანდობლივ არ იყო ნათქვამი, რა ბორკილები გაეყარნათ – ფეხებისა თუ ხელებისა, სიტყვა იკოვა ყოველმა საგუბერნიო ციხეთა ინსპექციამ თავისებურათ განმარტა: ზოგმა, მაგალითად ქუთაისისამ, ისე გაიგო, რომ წასაყვან (პოლიტიკურ) ტუსალისათვის ფეხებში გაეყარნა ბორკილები; სხვა გუბერნიებში ხელბორკილებს ხელებზე ადებდენ. მაგალითად, გზაში ვინც კი შემოგვიერთდნენ პოლიტიკური დამნაშავენი, ყველას ხელხუნდები ეკეთა. იმდენს ტუსალებში მარტო ქუთაისიდან წამოყვანილები ვერჩევოდით ამ მხრივ. მართალია, ზნეობრივს დამცირებასა ვვრძნობდით, მაგრამ ეფეკტის მხრივ, სხვა უბრალო სისხლის სამართლის დამნაშავეთა თვალში, ამ ფეხის ბორკილებს სულ დიდი უპირატესობა ჰქონდა, და ზოგჯერ გამოგვადგა კიდეცა, ნიფათისაგან გვიხ-

სნაიქ, საცა ჩვენის ფიზიკურის ლონით მტერს პასუხს ვერ გავ-სცემდით.

ბორკილების დაჭედვას თვითონ „დიშლა“ დაესწრო. მა-მობრივის ზრუნვით დასტრიალებდა თავს მჭედელს, დარიგე-ბას აძლევდა, ხელი არ დაეკლო, დაჭედილი კარგათ გამოსუ-ლიყო, გზაში გატეხვა არ შემძლებოდა, ან კიდენ ფეხიდან არ წამეძრო... ხუმრობა ხომ არ იყო!.. მერე პასუხი „დიშლას“ უნ-და ეგო, მისთვის დაუდევრობაში უნდა ჩამოერთმიათ, საყვე-დური ეკადრებინათ... ჭედვა რომ გაათავეს, „დიშლამ“ კმაყო-ფილისა და სრულებით სერიოზულის სახითა მკითხა: ხომ კარ-გათაა, მვილო, დაჭედილიო, ხომ არ გიჭერსო?.. თითქო უხა-როდა და თითქო მჭედელმა კი არა, თვითონ დამიჭედა ბორ-კილები ფეხებზედაო... მშვენივრათ მადგია-მეთქი, დავაკმა-ყოფილე მისი ცნობისმოყვარეობა.

– გიხდება კიდეცაო, – დაატანა „დიშლამ“.

დასჭედეს აგრეთვე სხვებიც, ვინც ჩემთან ერთად უნდა წამოსულიყვნენ ეტაპში. „დიშლამ“ ამათაც გაუშინჯა ბორკი-ლები, შეამონმა მჭედლის (რუსი სოალდათი იყო, ალბათ ქარ-თველ მჭედელს ვერ ენდვნენ, სულს გადაუდგებაო) ოსტატო-ბა, ჩვენ კი გვითხრა – მშვიდობაში ატარეთო და ყველას... გზა დაგვილოცა...

ამას შემდეგ ერთს კვირას კიდევ ვსუნთქავდით სამშობლოს ჰაერით, კიდევ შევხაროდით სამშობლოს ლაქვარდ ცას, აჭარის მთების თოვლიან მწვერვალებს (ციხიდან მშვენივრად მოსჩანს) და გამოვიცხადეს დღე, როდესაც უნდა გავემგ ზავრებინეთ.

გამგზავრების დღეს ერთმა ოფიცერმა ციხეში კონვოი (გა-მომყოლი სოლდათები) მოიყვანა და ციხის უფროსისაგან ჩაგ-ვიბარა გასამგზავრებლად. კონვოის უფროსს სია ჰქონდა იმ ნივთებისა, რომლის წალება პატიმარს შეეძლო. ამ სიაში აღნიშ-ნული იყო: მაზარა, იმისავე საქონლის ქუდი გარიბალდის ქუ-დის სახისა, მაზარისავე ძიქვა, ერთი წყვილი ჩუსტები (ქუთა-თური სამოგვის ჩუსტები ციმბირში!), ერთი წყვილი ტოლალე-ბი და 2 წყვილი ფეხსახვევი ტილო! ეს სახელმწიფო სამოსი! ად-მინისტრაციას 40 გრადუსიან სიცივისათვის, რომელშიაც ჩვენ ვიქნებოდით ციმბირში, ეს სრულებით საკმაოდ მიაჩნდა. ჩემი

მიმქონდა (ამის უფლება მქონდა): ორ-ორი წყვილი ბომაზეს პერანგი და პერანგის ალერსი, ხის საწვნე კოვზი, ჩაის სასმელი ტოლჩა, წყლის ასაღულებელი თუნუქის ქეთლი და ერთიც მხარზე გადასაკიდებელი ჩანთა, გვადრუცის მაგიერ, რომელშიაც ჩემი ბარგი მელაგა და რომელსაც გზაში სასთუმალ-ბალიშის მაგივრობაც უნდა გაეწია. ლოგინი, თუნდ ნაწილი მისი, როგორც მაგალითად, ბალიში, არ ჰხამდა ტუსალს ჰქონოდა. ყოველისავე ზემოხსენებულს გარდა, ქუთაისის ციხიდან გამომყვა ერთი ნაჭერი საპონი და კბილის სახეხი.

ქუთაისიდან მივდიოდით ჯერ ბათომში. ეტაპში ოც კაცამდე ვიყავით. ამათში ბორკილებიანები სამი: მე, მაქსიმე გასვიანი და ერთიც რაჭველი. მე და გასვიანი პოლიტიკურები ვიყავით, ხოლო რაჭველი სისხლის სამართლის დამნაშავე იყო, მისჯილი ჰქონდა 20 წლიწადი საკატორლო ციხე და სასჯელის მოსახდელად მოსკოვის ცენტრალურ ციხეში მიჰყავდათ. მე და რაჭველი დაბლები ვიყავით, სამაგიერო რაც სიმაღლე ჩვენთვის დაეკლო ბუნებას, ის ერთი-ოთხად მაქსიმე გასვიანისათვის მიენიჭებინა. შორიდან მისი ყურება, და ისიც ბორკილებიანისა, მაყურებელს თავზარსა სცემდა.

ციხიდან გამოყვანისას, პროცესის თავში ჩვენ სამნი დაგვაყენეს. წინ ერთი თოფიანი ჯარისკაცი გაგვიძლვა, რიგი იქით-აქეთ გვერდებზე აგვედევნა, დანარჩენები უკანიდან მოგვყვნენ. თან აგვედევნენ ცხენოსანი და თოფებიანი ჩაფრებიც. ესენი გზიდან ხალხს ერეკებოდენ და საცა ჩვენ უნდა გაგვევლო, დუქნებს აკეტვინებდენ. ცხადია, ეშინოდათ – ამ ხალხის დახმარებით ჩვენ არ გაქცეულვიყავით (ჩვენის ბორკილებითა!)! ცხადია, ჩვენის ბორკილების ჩხარუნს და ასეთის ზეიმით გატარებულებს სათანადო ეფეკტი უნდა მოეხდინა მაყურებლებზე, და არამცუ არა ცდილობდენ ჩვენს განთავისუფლებას, პირიქით გზას გვიტევდენ და ისწრაფვოდენ მოპრიდებოდენ იქაურობას, თითქო ალალმა დაჰქროლაო. ტფილისის ქუჩაზე კონია მკურნალი შეგვევდა, სახელი დავუძახე და მშვიდობით ვუთხარი. ხმა ჩაუწყდა და ლულლულიც კი ვერ მოახერხა... საცოდავათ მოიბუზა, თვალი გამადევნა და საჩქაროზე სხვა ქუჩას თავი შეაფარა...

ქუთაისის რკ. გზის სადგურზე ვაგონში შეგვიყვანეს და იმდენი თავისუფლება გვქონდა, რომ ბაქანიდან ჩვენიანებს თავისუფლათ შეეძლოთ ჩვენი ყურება და ჩვენ კიდევ – მათი. მხოლოთ... ისიდორე კვიცარიძემ ჯიბიდან ფული ამოიღო და მაჩვენა – როგორ გადმოგცეო? ხელით ვანიშნე შეუძლებლობა ასეთის პროცედურისა.

ქუთაისიდან წამოსულები, გზაში, რიონის სადგურს რომ გამოვსცდით, ყველას სათითაოდ ინსპექცია გვიყო ტფილი-სიდან მომავალმა კონვოიმ და თურამე „ზედმეტი“ (ფული თუ სხვა რამ, რაც ტუსალს არ ეგებოდა ჰქონოდა) აღმოგვაჩნდა, ჩამოგვართვეს, რა თქმა უნდა, ჩამორთმეულის დაბრუნები-სათვის არავის უფიქრინია.

ბათუმში დამე ჩავედით. ჩვეულებრივ ენვიმნა და ქუჩები მორევებად გადაქცეულიყო. ბორკილები მაინცა და მაინც არ გვიშლიდა ზედ გადამხტარვიყვით. რათვან ბორკილებიანები წინ მივუძლოდით, ვცადეთ კიდეცა ჩვენი სიმარჯვე, მაგრამ, ცოტას გაწყდა, ძვირად დაგვიჯდა ეს ცდა: ჯარისკაცმა სიშტი მოგვიღერა, „ნესიერ“ სიარულის დარღვევისათვის, დაგვაჯერა დედა-მამის სულის შეკურთხებას და მოგვაგონა – ნაბიჯით უნდა გვევლო როგორც მშრალზე, ისე გუბეშიაც... ისიც ჩვენის ჩუსტებით!..

ორი დღე ციხეში შეგვასვენეს. ამიერითგან, მთელის ეტაპის დროს, ჩვენი სასტუმრო – ციხეა ხოლმე. აქ დაგვიხვდა აუარებელი ხალხი: ზოგი გასამართლებული და წასაყვანი ციმბირისაკენ, ზოგიც გასასამართლებელი. ყველანი (პოლიტიკურები) – 1905 რევოლუციის ლიკვიდაციის ობიეკტები არიან. ციხის რეზიმი, ქუთაისის ციხის მსგავსად, ჯერ-ჯერობით აქაც, შედარებით, გასაძლისია. ეტყობა, რევოლუციის შიშისაგან ჯერ სავსებით არ არის განთავისუფლებული როგორც ციხის აღმინისტრაცია, ისე საგუბერნიო მმართველობა. სარევოლუციო პარტიებს (სოც.-ფედერალისტებს და სოც.-დემოკრატებს) ერთმანერთან მევობრული განწყობილება აქვსთ, უფრო დამშვიდებით დავობენ პრინციპალურ საკითხებზე... ჯამს უკეთებენ თავიანთს შეცთომებს, ერთიმეორეს თითქო ბოდიში უნდა მოხადონ, პარტიულ გაცხარების მომენტებში, ერთიმეორისად-

მიმიუწებულ უნებლიერი შეურაცყოფისათვისო... საერთო გაჭირვება, საერთო მტერი თითქო ყოველ გულისწყრომას „პარტიულ ფანატიზმს“ ანიულირებსო...

II

ბათომიდან. — ნოვოროსიისკის კონვოი. — ნოვოროსიისკის ციხეში. — სოდომიტები. — იონა კუხალაიშვილი. — ეკატერინოდარის კონვოი. — როსტოვში ჩასვლა. — სადგურიდან ციხემდე.

ბათომიდან ზღვით უნდა წავიდეთ, ნოვოროსიისკში. სამშობლოდან პირველი ეტაპი ეს იქმნება. იმ კონვოის სოლდათები, რომელსაც ბათომისა და ნოვოროსიისკს შუა დაჲყავდა ტუსალები, ერთს საუკეთესო კონვოიდ ითვლებოდა შეგნებით, ლმობიერებით. ეს ხომ სავსებით გამართლდა. გზაში გამოირკვა უმეტესობა ჯარისკაცებისა პოლონელებისაგან შესდგებოდა და იმით თუ აიხსნებოდა მათი ადამიანური თავისდაჭერა მათვის ჩაბარებულ ტუსალთა მიმართ.

სატუსალოდან სალამოს უნდა გავეყვანეთ, რომ „რუსეთის საზოგადოების“ გემით, რომელიც ღამის 11 საათზე გადიოდა ბათომიდან, ნოვოროსიისკის გზისათვის გავეყენებინეთ. ჩვენი წამყვანი კონვოი დღისა სინათლით მოვიდა სატუსალოში, უნდა შეესრულებინა პროცედურა, რომელიც ყველა ციხეშია ხოლმე შესასრულებელი ციხიდან საეტაპო ტუსალების გამოყვანის დროს. გამოგვიძახეს და სათითაოდ ყველას ბარვი და ტანისამოსი გაგვიშინჯეს. ჩამოთვალეს ჩვენი სახელმწიფო ქონება სათითაოდ. გაგვათავისუფლეს ზედმეტისაგან. ასეთი „ზედმეტი“ იყო საპონი. არცერთს შეგვარჩინეს: უსაპონდაც მშვენივრად დაიბაზნო ხელპირსაო! მე პირადად საპონს გარდა „ზედმეტი“ აღმომაჩნდა კბილის სახეზი და კბილის ფხვნილი. კონვოის სოლდათმა ჯერ რამდენჯერმე შეატრიალა; ეტყობოდა, პირველადა ხედავდა ასეთს „უცნაურს“ ნივთს და არ იცოდა მისი დანიშნულება. ჩემის მშობელის კარგათ მოუხსენებლადა მკითხა: ეს რა არისო? კბილები ვაჩვენე და შევეცადე ხელის მოძრაობით ამესნა, თუ როგორა ვხმარობდი. — „Еще чего выдумаешь, ё-ё твою матку!...“ — ენერგიულათ მომაყვირა ჩემმა კონტროლიორ-

მა. ამის თქმა იყო და კბილის სახეხის ხელი ორად იქცა მის თო-
თებში. ეს არ აკმარა: ძირს დაანარცხა ბრაზმორევით, ფეხებით
ზედ შესდგა და მანამდე სრისა, სანამ მიწაში არ დამალა... მო-
მავონდა ერთი დიდის სწილის, 70-ან წლების, ამბავი. შვეიცარიის
ერთ-ერთ სატუსალოში სატუსალოს ადმინისტრაცია ტუსალს
უმტკიცებდა – კბილის სახეხის ქონების უფლება არა გაქვსო.
საქმე სასამართლომდე მივიდა, სასამართლოში ტუსალის ვე-
ქილს ბევრი ლაპარაკი არ დასჭირებია, რომ დაემტკიცებინა,
რომ მართალია, ისტორიის წინადროის ადამიანთაგან დარჩე-
ნილ და ჩვენს დრომდე მოღწეული მატერიალურ კულტურის ნივ-
თებს შორის კბილის სახეხის მსგავსის ნივთის აღმოჩენა დამტ-
კიცებული არ არის ისევე, როგორც საპნისა, მავრამ თანამედ-
როვე და, ცოტათიც არის, პირველყოფილი მდგომარეობიდან გა-
მოსულ ადამიანისათვის არამცთუ უფლებაა კბილის სახეხისა
და საპნის ქონება, არამედ მოვალეობაცაა. მე-კი ვერც ვექილს
დავიჭერდი და ვეღარც სასამართლომდე ვივლიდი, რათგან
უმაღლესი ინსტანცია ჩემი ნიკოლოზის სოლდათი იყო, ჩემი სუ-
ლი და ხორცი მის ხელთ ჩაებარებინათ, უნდა ყოფილვიყავ მისი
ყურმოქრილი მონა, არა ჰერაკლიტის მხრით თუნდ კნინი ურ-
ჩობა, თუ არ მინდოდა, მეტი რომ არა ვსთქვათ, უსიამოვნოდ
გათავებულიყო საქმე... მეტი გზა არ იყო, წინადელ ბოლმისათ-
ვის ესეც უნდა მიმემატებინა და გულში ჩამეხვივნა...

ჩაგვსხეს გემში. ცალი მხარე მესამე კლასის განყოფილე-
ბისა ეტაპმა და ჩვენმა კონვოიმ დაიტირა. კონვოის უფროსი
ისეთის კარგი თვისების ადამიანთაგანი გამოდგა, რომ მეგობ-
რებს შეეძლოთ ჩემთან მოსვლა, ხელის ჩამორთმევა, სასმელ-
საჭმელის გადმოცემა და ლაპარაკი, სანამ გემი ბათომის ნავ-
თსადგურში იდგებოდა; ნასვლის დროს – გამოთხვებაცა.

გემიც დაიძრა. დასაწოლი ხალვათადა გვაქვს: ხმელა ფი-
ცარი, სასთუმლად ჩვენი ჩანთა, ლეიბ-საბნად – ჩვენივე მაზა-
რა. გიორგობისთვის 22-ია, მაგრამ ორთქლით გახურებულ
გემზე ჯერ არა ცივა.

ღამის 12 საათზე ფოთში ვართ. ჩემს დასახვედრად მოსულ
და ნაპირას გადმომდგარ მეგობრებს გემის სარკმელებიდანა
ვხედავ, შორით სალამს გვაძლევენ და გზას გვილოცავენ...

დილის 6 საათზე უკვე სოხუმის ნავთსადგურში ვარ, საიდანც ამ ერთს თთვის წინად ქუთაისის ციხეში წამიყვანეს. ბნელა. ვერცარავინ ჩვენა გვხედავს, ვერცარავის ჩვენა ვხედავთ. იციან კი, რომ ამ გემით უნდა გამოგვატარონ. მხოლოთ ჩემი პატარა, 1 წლის ქალი სწორეთ იმ საათს პპოდავდა და თავისს მამას უხმობდა თურმე... მეც სწორეთ იმ დროს ვემშვიდობებოდი გონების თვალით ყველას და ყველაფერს, რაც რამ უძვირფასესი მრჩებოდა სამშობლოში, ვემშვიდობებოდი დროებით რევოლუციას, რომლისათვის თავი სასიკვდილოდ არ გვეზოგებოდა მე და ჩემ თანამოსაგრეთ მომავალ, მეორე რევოლუციამდე, რომელიც პირველს უქველად უნდა მოჰყოლოდა და რომელიც უფრო გადამწყვეტი, უფრო რადიკალური უნდა ყოფილიყო, ვიდრე პირველი... გზად გული-გულში სალამი მივეცი იმ ადგილებს: ისორათს (ანაკლიასთან), სოხუმს, გუდაუთას, გაგრას, სადაც 1905 წელს მოტანილი იარალი გამოვიდა, რომლისათვის ციმბირში სამი მესანდლე (ზოსიმე ხუბუა, კირილე კორშია, ელიზბარ ჩარტია) უკვე წავიდა და ახლა მათს კვალს მე მივყვებოდი.

მესამეჯერ აყვირდა გემის საყვირი, აგუგუნდა სამანქანო ნანილი და გავსწიეთ პირდაპირ ნოვოროსიისკისაკენ, რომელსაც შეღამებულზე უკვე მივადექით კიდეცა. გზაში კონვოისა და ჩვენს შორის გაუგებრობას რასმე ადგილი არა ჰქონია. ერთმანერთს მეგობრებად დავშორდით. ზღვაც მშვიდობიანი იყო.

ყოველ ეტაპის გათავებაზე ჩვენი დასასვენებელი ადგილი და უსასყიდლო სასტუმრო იმ პუნქტის სატუსალოა, სადაც საეტაპო მგზავრობა თავდება. ციხეს შუალამის 12-ზე მივადექით და ჩვენ სამნი, ბორკილიანები, მე-4 კამერაში შეგვიყვანეს. ეს კამერა წარმოადგენს დიდს ოთახს, სადაც მოთავსებული არიან სისხლის სამართლის მძიმე დამნაშავენი, რომელთა უმრავლესობას ბორკილები უყრია ფეხებში. ხოლო პოლიტიკურნი სხვა კამერაში მოეთავსებინათ.

კამერაში შეგვლალეს თუ არა, ტუსაღებმა იქით-აქეთგან თავები წამოჰყვეს და იკითხეს ჩვენი საითგანმომავლობა და საითკენმიმავლობა. ერთ კუთხეში ლოგინზე წამოსხდნენ და

ხელათ ქალალდის თამაში გააჩაღეს, უნდოდათ ჩვენც ჩავეთ-რიეთ თამაშში და თუ რამ ფული გვეპადა, გავეღვარცვეთ: სამ-მა თაბირი გავმართეთ, რა ღონე უნდა გვეღონა, რომ მათის გაძარცვის მსხვერპლნი არ გამხდარვიყავით. ამ საშიშარ ელე-მენტების მოშორებით, კარს ახლო, იატაკზე დავაწყვეთ ჩვენი ჩანთები (იგივე ბალიშები) და გადავწყვიტეთ, სანამ ორი თვალს მოატყუებდა და ფხიზლათ დაიძინებდა, მესამეს ედარაჯნა და ტუსალების ყოველ მოძრაობისათვის თვალყური ედევნებინა, ვინიცობაა – რამ განეზრახათ, გაეღვიძებინა დაძინებული ორი ამხანაგი და სამნივე საერთო ძალით შევგებებოდით განსაც-თელს. აშკარათ ეტყობოდა, რომ კერძოთ ჩვენის ამხანაგის სვანის ახოვანება და საერთოთ სამისავე ბორკილები სათანა-დო შთაბეჭდილებასა სტოვებდა ჩვენდამი მტრულათ განწყო-ბილ ტუსალებზე. ცოტა არ იყოს, მორიდებით გვექცეოდენ. თან სათითაოდ რომ გვკითხავდენ ერთი-მეორის სატუსალო სტაჟს, ვცდილობდით გაზვიადებით მოგვეჩვენებინა ჩვენი წარსული. ამ წვალებით, როგორც იქმნა, შემოგვათენდა და ეზოში გამოგვიშვეს სასეირნოდ. ტუსალთა შორის დავინახე იონა კუხალეიშვილი, სოციალ-დემოკრატი-ბოლშევიკი, რო-მელთანაც 1905 წელს ნოემბერს გაგრაში საჯარო მიტინგზე პაექტობა მიხდებოდა და რომლის ნინაშე ხალხს ვუმტკიცებ-დი, რომ ავტონომია, რომელსაც ფედერალისტთა პარტია ხალხს უქადაგებდა, ბურჟუების და თავადების მოგონილი არ იყო და თუ კი ამას როგორმე ველირსებოდით, ჩვენი ხალხი არ წააგებდა. ი. კუხალეიშვილიც ღებულობდა მონაწილეობას, გუდაუთიდან ჩამოსულ სერგო ორჯონიკიძესთან ერთად, გაგ-რასთან, სოფ. ალაპაძში, ალ. ინალიშვილის მამულში ფედე-რალისტების მიერ გამოტანილი იარაღის განაწილებაზე და, როგორც მერე გავიგე, იმის მადლობელი უნდა ვყოფილიყა-ვით ფედერალისტები, რომ ჩვენ-მიერ მოტანილი თოფებისა-გან ჩვენც გვერგო ერთი ნაწილი! ბარემ მწარე დაცინვა იყო ბე-დისა, მაგრამ რაღაც ვიზამდით... კუხალეიშვილი სოჩელების აჯანყებისათვის გაესამართლებინათ და გაციმბირება პქონდა მისჯილი, გაგრის საქმისათვის სასჯელს კიდევ ცალკე მო-ელოდდა. მომეგება როგორც ტოლსა და რევოლუციის თანა-

მოსაგრეს. როგორც მასპინძელი, დატრიალდა, ჩვენის კამერის ტუსალები დაარიგა, პატივისცემით და თავაზიანად მოვცყერობოდნენ, როგორც პოლიტიკურებს. წინამდებარე მოგზაურობის დროს მოსალოდნელი ავი და კარგი, რამდენადაც მის ხელთ იყო, გაგვაცანო. ერთის სიტყვით, ერთმანერთს თუ მოყვრებად არა, კეთილ ნაცნობებად მაინც დატორდით.

სამი დიალ საშინელი და ჯოჯოხეთური ღამე გავატარევით გახრენილების ამაზზრენ ატმოსფერაში. ჩვენის კამერის მდგმური, ყველანი სხვადასხვა დარგის კვალიფიციურნი ავაზაკნი, ზნეობის სულ დაბალ საფეხურზე ჩამოქვეითებულიყვნენ, განდარცვოდათ ყოველი სამოსელი კეთილშობილებისა, ნასახი არ შერჩენოდათ იმისა, რასაც კულტურულ ქვეყანაში სინიდისს ეძახიან, მოკლებულნი იყვნენ ყოველსავე იმას, რაც თანამედროვე ადამიანს ქვის ხანის ადამიანისაგან განასხვავებდა; თუ კი ვისმე იმათგანს, აქ შემოსვლამდე, კიდევ დარჩენოდა თუნდ კნინი შეგნება ელემენტარულის ზნეობის სიწმინდისა და სიფაქიზისა, ამ ციხეში მოკლე ხნის ესეც წარუხოცნია. აქაურების ზნეობრივის დეგრადაციის მაჩვენებელი იყო, სხვათა შორის, აქ გამეფებული ის სენიც, რომელიც დევლ ბიბლიურ დროს ძალიან გავრცელებული იყო პალესტინის (მარილოვან ზღვის მახლობლად) ქალაქებ სოდომსა და გომორში, სადაც მკვიდრნი იმ ზომამდე თავს წავიდნენ, რომ კინაღამ გააუპატიურეს ზეციერი სტუმრები პატრიარქ აბრაამის ნათესავის ლოტისა, მის სახლში დავანებულნი. ისრაელთა იეგოვამ, თვისის მრისხანებით ცნობილმა, მოთმინების ფიალა გავსებულმა, აქაურობას სულ ცეცხლის წვიმა ანვიმა ზეცით და მიუხედავათ მამათმთავრის აბრაამის შუამდგომლობისა, როგორც ვიცით, ძლივას გადარჩენ მხოლოდ ლოტი და მისი გასათხოვარი ასულები, რომელთაც შემდეგში, მართალია, სიმთვრალეში მყოფი მამა შეაცოინეს.

ახლა იმავე იეგოვას, ექვს ათას წელს შემდეგ, იმავე სასჯელით რომ მოენდომებინა დაესაჯნა ნოვოროსიისკის ციხის მე-4 კამერა, შიგმყოფი ამ სასჯელს ერთიც ვერ დააღწევდა თავს. პასივები, 15-16 წლის ბიჭები, სხვა კამერებიდან არიან განგებ გამოყვანილები და ისე იქცევიან, როგორც პროფესი-

ონალი მეძავები. ტუსალთა შორის სოდომიტობა სრულებით ნორმალურ მოვლენად და ბუნებრივ სქესობრივ კავშირად ითვლება და არამცოუ არავის აშფოთებს, აღარც კი აკვირვებს. ეს ამბავი, რასაკვირველია, ციხის ადმინისტრაციამაც იცის და მა-მათმავლობას ნორმალურადვე და ბუნებრივადვე სთვლის და, ასე ვსთქვათ, მფარველობს კიდეცა სატუსალოს ზღუდეთა შორის, და ამით წათამამებული სატუსალოს პანსიონერი ასე იძანის: *je prends mon bien où je le trouve!*¹ ესეც ერთი დამახასიათებელი თვისებათაგანი იმ დროინდელ ციხეებისა...

ნოვოროსიისკიდან უნდა წავეყვანეთ ეგრედნოდებულ ეკატერინოდარის კონვოის (ბადრაგს). ამ კონვოის ხსენება ყოველ საეტაპო ტუსალს გულს შემოჰყორიდა ხოლმე. ეს კონვოი ტუსალს ავინწყებდა ყველა სხვა კონვოის სისასტიკესა და სიმხეცეს! ტუსალებმა წინდაწინვე მოგვამზადეს მისად მისაგებებლად. წაყვანის წინ დილით პირდაპირ ეზოში გამოგვლალეს ტუსალები. უკვე გიორგობისთვის 25-ია. თოვლ-ჭყაპია და, რა თქმა უნდა, მშრალი არაფერია დატოვებული. ყველანი უნდა გაგვჩერიკონ, ბარგი (პატარა ჩანთაში მოთავსებული) სათითაოდ უნდა გაპქექონ. სოველ ეზოს ქვაფენილზე გამოვალაგეთ ჩვენი კატას ასაკიდებელი ავლადიდება, ზევიდან თოვლჭყაპი დაგვდის. კონვოის სოლდათები მაინც გულსმოდგინეობენ და გვიშინჯავენ ყველაფერს სათითაოდ. თუ ბარგი სველდება ან ჩვენ თვითონ ვსველდებით, იმის დარდი, ეტყობათ, ყველაზე ნაკლებ ანუხებსთ. ჩემი სოლდათი ბარგის გასინჯვას მორჩა და, ბოლოს, დაატანა: „лишнего ничего нет, ... твою м...“

ამნაირ დახვეწილ ლაპარაკს ყური უკვე შევაჩვიე, და თან ტუსალებისგანაც გაფრთხილებული ვიყავ: ღმერთი არ გამწყრომოდა, პარიზის სალონების საფერი სიტყვა-პასუხი არ მომეთხოვნა ამათგან და მათებური ლაპარაკი სათაკილოდ არ მიმეჩნია, თუ არ მინდოდა ჩემი მდგომარეობა გამეუარესებინა. ამიტომ ყოველ მისს წათქვამს იობის მოთმინებით ვისმენდი.

ჯერი მიდგა ბორკილების შემოწმებაზე. ეზოში პირდაპირ გუბე იდგა, მაგრამ სოლდათმა მაინც ძირს ჩამსვა, გამახდე-

1. სიამოვნებას ვიღებ იქ, სადაც ვპოულობ (გამომცემლის შენიშვნა).

ვინა ჩუსტები და წინდები და სანამ ბორკილებს ფეხზე გადა-
საძრომად მოიზიდავდა, მეკითხება:

- Ё.. т.. м..., скажи правду, кандалы слазют?
- Нет, как раз, – зუპასუხე.
- Брешешь, сук... с..., слазют, – დამიყვირა.
- Попробуй, если свободные, – гаვუჟედე სიტყვის შებრუ-
ნება და თან მეშინიან, ვაი თუ მართლა მძვრებოდეს ე გასატი-
ალებელი ბორკილები და ტყუილი რომ გამომივიდეს, მაშინ რა-
ღა წყალში ვვარდე-მეთქი. მით უფრო, რომ ბორკილების გაძ-
რობა აზრადაც არ მომსვლია, მაშასადამე, არცა ცდილვარ მის
გაძრობას.

სოლდათმა ყური არ ათხოვა ჩემს ნათქვამს და მოკლეთ მოს-
ჭრა: რაც ძალა და ღონე ერჩოდა, ორისავ ხელით მოჰზიდა ბორ-
კილი თავისკენ. რომ მემწვავა, მინდოდა გარეგნულათაც გამო-
მეხატნა ჩემი გაჭირვება და დავაპირე დაყვირება, მავრამ თან
შემეშინდა, – პროტესტად არ მიმითვალოს-მეთქი და, თავდაც-
ვის ინსტინკტის გავლენით, ზეკაცობრიული ძალა დავატანე
თავს, ყელამდე მისული ყვირილი პირშივე გამეჩერებინა... მოს-
წინ ბორკილს მეორეჯერაც... მაგრამ ცდამ ამაოთ ჩაუარა, –
ბორკილის თვალი ჩემს ქუსლს ვერ გადააძრო, სამაგივროთ ჩე-
მის ფეხის ქუსლს სისხლის წვეთები ჩამოასხდა. სისხლის დანახ-
ვამ სოლდათი თითქო ცოტათი შეაკრთო და ასე მანუგეშა:

– Ах ты ё... т... м..., видать, не сбrehал, в самом деле не слаз-
зют... ну, одевайся, живо... ё... т... с...

მეც ავასრულე მისი ბრძანება: ჩავიცვი ჩუსტები, გადავიკი-
დე ჩანთა და სხვა ბორკილებიანებთან წინ წავდექი კოჭლობით.
დავუწყეთ ლოდინი ბრძანებას აქედან გასასვლელად. ესეც გა-
ისმა და დავადექით რკინის გზის სადგურისაკენ მიმავალ გზას.

ჩაგვბარგეს ვაგონში... ცენტრი ყურადღებისა და სიბ-
რთხილისა ჩვენ სამნი, ბორკილებიანები, ვართ: პირველათ
ჩვენ უნდა შევიდეთ, საცა კი შესასვლელია, პირველათ ჩვენ
უნდა დავსხდეთ, როცა დასაჯდომია, პირველათ ჩვენ უნდა
გამოვვიძახონ, თუ გამოსაძახებელია ვინმე, ჩვენთვის განსა-
კუთრებითა ჰზრუნავენ, რაიცა სხვა ტუსაღების თვალში რი-
დისა და მოწინების შარავანდედითა გვმოსავს.

დღიურათ სარჩოდ სამ შაურს გვაძლევენ თითოეულს. ეს უნდა ვიმყოფინოთ, რათგან ფული სხვა არაფერში გვეხარჯვის: გზა, ლამის გასათევი ბინა სახელმწიფო გვაქვს. როცა რომელსამე დიდს სადგურს ვუახლოვდებით, როცა მატარებელი, რომელსაც ჩვენი საარესტანტო ვაგონი აქვს მიბმული, კარგა სანს ჩერდება, კონვოის ერთ-ერთი სოლდათი, სხვებზე უკეთ მცოდნე წერა-კითხვისა და ანგარიშისა, შეადგენს სიას, თუ რომელ ტუსალს რა სურსათი და რამდენი უნდა უყიდოს სადგურზე, მერე ამ სიით იყიდის და იმავ სიით დაარიგებს ხოლმე. ჩემი გვარიც ჩაინერა რის ჭაპან-წყვეტით და აღნიშნა სასყიდლად ორის შაურის პური. დაბარებული ყველასათვის ეყიდნა და ჩემის ცოდვით სავსეს ჩემი გვარი სულაც გამორჩენოდა. რომ ყველას დაურიგა თავ-თავისი, მე ჩემი თავი მოვაგონე. გადაათვალიერა სია და ჩემი გვარი-კი ვერ იპოვნა.

– Мать твою так... чаво брешешь... ты мне денег не давал...

– მოგეცით-მეთქი, – მოკრძალებით ვეუბნები.

– Да брешешь, сукин ты сын...

გავჩუმდი... მეტი რა გზა მქონდა...

სამაგივროთ სლდათმა ენა ვერ დააყენა... საქმეში ჩაპრია კონვოის უფროსი, უნტერ-ოფიცერი, რომელიც დისკრეციონულის უფლებით არის ხოლმე აღჭურვილი ტუსალების მიმართ... შეუძლია, რაც მოეგუნებება, ის უყოს მის ხელში მყოფ ტუსალებს, შეუძლია, შარი მოგდოს – მეურჩებოდა... ჩემი შემთხვევაც ასეთი შეიქმნა.

– Туды твою мат! чаво брешешь, когда денег не давал...

– Господин Начальник, а ему дал 10 коп. на хлеб. Очень может быть, что он позабыл! – მოვახსენე თავმდაბლათ.

– Врешь, сволочь ты этакий!

– Ну чорт с ним с этим хлебом, да не хочу его вовсе. – თითქმის ვედრებით ვუთხარი, იქნება დამეხსნას მეთქი.

თითქო სწორეთ ამის თქმას ელოდდა ჩემგანაო!.. როგორ გაპბედე და „უფლისაგან ნაკურთხ“ პურზე როგორა სთქვი – „Чорт с ним“-იო, ხელი ხმლის ვადაზე დაიდო და დამემუქრა: ახლავე თავს გაგაგდებინებ ასეთის სიტყვისათვის და ახიც იქნება შენზედაო!.. ძალზე შეშინდნენ ჩემი ამხანაგები; უნდა გა-

მოვტყდე, არც მე შემშინებია ნაკლებ: გამხეცებულისა და ისიც არაყვადა კრულისაგან, რა თქმა უნდა, სიკეთეს არასფერს მოველოდი. მოვსათხოვე პოდიში, პატივება. როგორც იქმნა, გადავრჩი, ხმა ჩავიწყვიტე და ისიც გაჩუმდა.

ჩემი თანამგზავრები უკვე შეექცეოდენ მოტანილ სურსათს. მე-კი, ჯერ ეს ერთი, პური არა მქონდა, რომ მეჭამნა და რომ მქონოდა კიდეც და პირში ჩამედო, ყელი ვერ გადაჰყლაპავდა...

ამ დროს მოდის ჩემთან სურსათის მომტანი სოლდათი, ხელში უჭირავს სია და მეუბნება:

— Так ты, сталбить, мне на хлеб гриненник дал, мать твою так! Вот ишь твоя хвамилия прописана... (საშინლათ დამახინჯებულათ ჩემი გვარი ამოიკითხა). Но теперь уже поздно, куплю на большой станции...

დუმილით მოვისმინე... მადლობა მოვახსენე ზრუნვისათვის. მიხაროდა, რომ ჩემი სიმართლე არ დაიკარქა... ამხანაგებმა მშვიდობით გადარჩენა მომილოცეს. შიშგამოვლილთ, როგორც იყო, მივატანეთ როსტოკოვს. ერთმანერთს ვულოცავდით, რომ მალე ამ შვიდგზის შეჩვენებულ ეკატერინოდარის კონვოის გადავრჩებოდით...

III

როსტოკში. — შემოერთება ტფილის-ბაქოს ეტაპებისა. — როსტოკის ციხეში. — ლეკები და ადმინისტრაციის თავგასულობის მსხვერპლი. — რიაუს კში ჩასვლა. — რიაუს კის ციხის რეჟიმი. — შემოერთება რუსეთის სხვადასხვა ადგილების ეტაპებისა. — ცირკულიარების თავისებურათ გაგება ქუთაისის ციხის ადმინისტრაციის მიერ. — სამარამდე. — სამარის ციხე. — უფის კონვოი.

როსტოკის რკინის-გზის სადგურზე შემოგვიერთდა ტფილის-ბაქო-დაღესტნიდან წამოსული ეტაპებიცა. ასე 500 კაცამდე მოვგროვდით — კარგ სოფელს ვეყოფოდით დასასახლებლად. რომ გაგვამწკრივეს, მთელის ერთის კილომეტრის მანძილი გვეჭირა. ციხე სადგურს მთელს სამ-ოთხ კილომეტრითა აქვს დაშორებული. წინ, ჩვეულებრივ, ბორკილებიანები

მივუძღვებით ამდენს ხალხს სარქალებივით. ქალაქი განვლი-ეთ და უკვე ქალაქის განაპირების ქოხ-მახებზე გვიხდება გავ-ლა. მდაბიოთა დედაკაცები ტუსალებისა, და განსაკუთრებით ბორკილებიანების, დანახვაზე, თავზარდაცემულები, პირ-ჯვარს ისახავენ და ტუჩებს აცმაცუნებდენ, ალბათ უფალს ევედრებიან – დაიცვას და დაიფაროს ბოროტისა და მავნისა-გან!.. ხუმრობა ხომ არ იყო, ამდენის კაცისმკვლელისა და ავა-ზაკის დაუთავებელის პროცესის ნახვა!..

ცხვრებივით შეგვრეკეს უზარმაზარ ციხეში, სადაც სამი დღე დავვრჩით, სანამ ეტაპს განვაგრძობდით. კამერები თით-ქო სუფთები იყოვო, იატაკიცა, მაგრამ ის ცხოველები, რო-მელთა არსებობა ევროპაში დიდი ხანია დავიწყებული აქვსთ, აქ იმდენათ გამრავლებულა, რომ იატაკზე რომ ფეხს ვადგამ-დით, პეტარდებივით სკდებოდენ. ადვილი წარმოსადგენია, რა დღე უნდა დასდგომოდა ჩვენს ისედაც განანამებ სხეულს, რო-ცა ამ იატაკზე დავწვებოდით მოსასვენებლად!..

ჩვენთან ერთად მოჰყავდათ შამილის სამშობლოს ხალხი. უმეტესობა ხანშიმესულები იყვნენ (ერთი 75 წლისაც იყო). ყვე-ლანი ადმინისტრაციულის წესით იყვნენ გადასახლებულნი ურალის მხარეს. თითქო მთავრობისაგან სასჯელი არ ეყოფო-ბოდათ, საშინელს დაცინვას და დამცირებას განიცდიდენ რო-გორც ციხის ადმინისტრაციისა, ასე თვით ტუსალებისაგანაც. ტანთ ყველას ჩოხები ემოსათ, თავთ ბუხრის ქუდები ეხურათ და რუსულს ვერ ლაპარაკობდენ. აქამ და რუსული ლაპარაკი არ იციანო, არც რისამე გაგება შეუძლიათო, ისე ექცეოდენ, როგორც პირუტყვებს, თავის თავს მოვალეთა სთვლიდენ და-ეცინათ, და მასხარად აეგდოთ, სწორეთ ისე, როგორც ძვე-ლად სლავიანებმა გერმანელებს მუნჯები (немец) დაარქვეს, რაკი მათებური, სლავიანური, ლაპარაკი არ იცოდენ!.. განსა-კუთრებით განამებულები ჰყავდათ ლეკები, როცა ესენი ლოც-ვად დადგებოდენ ან საჭიროების ალაგში გასვლის შემდეგ გან-ბანვის წესს ასრულებდენ, თანახმათ მაჰმადის სჯულისა. ერ-თი მოხუცი ატირეს კიდეცა, სანამ თვითონ ტუსალები არ ჩა-ვერივნეთ და არ გამოვექომაგენით დაჩაგრულთ.

ამ ლეკებს დასტა-დასტად მიერეკებოდენ სამშობლოდან

ურალისაკენ, ორენბურგის გუბერნიაში, ზოგს ორის წლით, ზოგს – სამით და ზოგს 5 წლითაც კი! არც-ერთს მათგანს სასა-მართლოს მიერ არა ჰქონია სასჯელი მისჯილი. ყველანი ადმი-ნისტრატულის წესით იყვნენ გადასახლებულნი. იმ დროს ისეთ დანაშაულისათვის, რომლის დამტკიცება სასამართლოში არ შეიძლებოდა, ადმინისტრაცია – მაგასახლისი-პოქაული-მაზ-რის უფროს-გუბერნატორიანად – მიუსჯიდა ხოლმე რუსეთის შიდაგუბერნიებში ან ციმბირში გადასახლებას ისეთ პირებს, ვინც, მათის აზრით, საშიშნი იყვნენ სახელმწიფოს მშეიდობია-ნობისათვის. ამ შემთხვევაში ადმინისტრაციას დისკრეციონუ-ლი უფლება ჰქონდა მინიჭებული და ფართედაც სარგებლობ-და ამ თავიანთის უფლებით. პირად სიმპატია-ანტიპატიას, ჩი-ნოვნიკების თვითნებობას, დაბეზღებას, ენატანიობას დიდი გა-სავალი ჰქონდა, ხალხის ამ სულთამხუთავებს ანგარიშს არავი-ნა სთხოვდა, მათს ნამოქმედარს კონტროლს არავინ უკეთებ-და. და მით უფრო დიდი იყო ჩვენს მხარეში შედეგი მათის თავ-გასულობისა! ბანარალებით მისდევდა ეტაპი ეტაპს, ადმინის-ტრაციის მიერ გაუბედურებულთა, რომელთაც რუსეთისა და ციმბირისაკენ ედოთ გზა. რა პირობებში უხდებოდათ გადასახ-ლებულთ ცხოვრება, წერა-კითხვისა და რუსულ ენის უცოდი-ნართ, ან რამდენი იხოცებოდა, ან რა ცოტა % ბრუნდებოდა სამშობლოში?.. რამდენი ერთი ჩამოსთვალოს კაცმა!?!.. ეს ად-მინისტრატივული აღვირაშვებული თვითნებობა არსებობდა სახელმწიფო „კანონიერების“ გვერდით, ამ კანონიერების უძ-ლურების დასაფარავად, მის შესავსებად...

ამ ეტაპსვე შემოუერთდა ტფილისიდან ნამოყვანილი გუ-ლა წულუკიძის ქალი, რომელიც სოხუმის ციხეში ჩემთან ერ-თად იჯდა სოც.-დემოკრატიულ ორგანიზაციაში მუშაობი-სათვის და ახლა ადმინისტრატივულის წესით გადმოესახლე-ბინათ ორენბურგის გუბერნიაში. მთელს იმოდენა ეტაპში მის მეტი ნაცნობი არავინ აღმოჩნდა.

გამოვიარეთ კოზლოვი უხიფათოდ. უკვე შევეჩვიენით ეტაპს, გასაჩერებელ პუნკტებში დამხვდურ ტუსაღების ტი-პებს, მათს ზნე-ჩვეულებას. ჩავედით რიაჟსკში. ეს პუნკტი შე-მაერთებელია ერთის მხრით სამხრეთ რუსეთიდან ნამოსულ

ეტაპებისა, მეორეს მხრით – დასავლეთ რუსეთით, მოსკოვ-პეტროგრადიდან წამოსულებისა. აქედან ეტაპები სამარის გზით მიემართება ურალზე გადასასვლელად და მერე ციმბირის რკინის გზით სავლელად დანიშნულ ადგილებისაკენ. ამ საკვანძო პუნქტში სამიოდ დღე მოგვიხდა ცდა და დასვენება. მეტად თავისებური წესები არსებობდა ციხეში. ციხის ადმინისტრაციის არაჩვეულებრივის ლმობიერების წყალობით ტუ-სალებს, თვით ბორკილიანებს ციხის დარაჯების თანხლებით შეგვეძლო ქალაქში გავლა და ყიდვა, თუ რამ გვჭიროდა. სხვა რომ არა ყოფილიყო რა, მარტო თავისუფალ ჰაერის ჩასუნ-თქვა რადა ლირდა! ამნაირი წესები ჩვენს შემდეგ, ერთსანს კიდევ გაგრძელებულა, ბოლოს ტუსალებში გამორეულა ისე-თებიცა, რომელთაც ბოროტად გამოუყენებიათ ციხის უფრო-სის გულკეთილობა და მოუხერხებიათ გაქცევა, რაც, რა თქმა უნდა, მოლიბერალე ციხის უფროსის დათხოვნით და „თავი-სუფლების ეპოქის“ მოსპობით დამთავრებულა. რიაჟსკის ცი-ხეშივე კედელზე დავინახე ფანქრით დახატული ნავი და ქვეშ მინერილი ქართულათ „ზოსიმე ხუბუა, კირილე კორშია და ელიზბარ ჩარტია“ და თარიღი ამათის აქ გამოვლისა. ესენი იყვნენ მენავენი, რომელნიც 1905 წელს ფოთში იარაღის შემო-ტანაში მხურვალე მონაწილეობას ლებულობდენ, 1907 წლის მა-ისში ბათომში გაასამართლეს და სამნივე გააციმბირეს. ქუ-თაისიდან ერთის თთვის წინათ იყვნენ წამოსულნი და ახლა გავლილ გზაზე თავისი კვალი დაუტოვებიათ, რომ მათს შემ-დეგ გამომვლელთათვის დაეტოვებინათ მათის საითმიმავლო-ბის ამბავი. ამგვარი კედლის ლაკონიური ლიტერატურა ცი-ხეში მეტად გავრცელებულია და ზოგჯერ ტუსალს ვრცელ ეპისტოლეზე თუ მეტს არა, ნაკლებს არ ეუბნება...

რიაჟსკში ჩამოგაშორეს მესამე თანამგზავრი – რაჭვე-ლი. ამას მისჯილი ჰქონდა საუკუნო კატორდა და სასჯელი უნდა მოეხადნა მოსკოვში საკატორდო ციხეში, მაშასადამე, ის მოსკოვისაკენ წაიყვანეს. რიაჟსკიდან გამოსული ეტაპი მა-ტარებელში შეგვიერთეს მოსკოვიდან და საერთოდ დასავ-ლეთ-ჩრდილოეთიდან წამოსულ ეტაპებს, რომელთაც მთელი საგანგებო მატარებელი ეჭირათ. აუარებელი მოჰყავდათ პო-

ლიტიკურები, ასე რომ სამი თუ ოთხი ვაგონი მარტო პოლიტიკურებს გვეჭირა. პარტიული შედგენილობა ეტაპისა მრავალფეროვანი იყო: აქ ნახავდით ანარქისტებს, მაქსიმალისტებს (მაშინ პოლშევიკები ამ სახელს ირქმევდენ), სოციალ-დემოკრატებს, ფედერალისტებს (ქართველები და უკრაინელები). სამინელი სივიწროვე იყო, ასე რომ ღამე დასაწოლის შოვნის იმედზე ხელი უნდა აგვეღო. უძილოთ ღამის გატარებისათვის რომ ვემზადებით, ისე ერთბაშათ კონვოის სოლდათები შემოდან ჩვენს ვაგონში და ჩემსა და გასვიანის გვარს იძახიან. ცოტა არ იყოს, არ გვესიამოვნა შუალამისას ჩვენი გამოძახება. კონვოის უფროსი გიბარებენო. ამან უფრო შეგვაშინა. გავყევით. შეგვიყვანეს ერთ ვაგონში. შიგ დავინახეთ ერთი გრძელულვაშება მოღიმარი ახალგაზდა ოფიცერი და ჩემი ნაცნობი გულა წულუკიძის ქალი. ოფიცერმა ჩვენი თავი ჩააბარა წულუკიძის ქალს, თვითონ კი თავაზიანად თავი დაუკრა და გაშორდა. სახტად დავრჩით, არ გვესმოდა, რა ხდებოდა ჩვენს თავს. თურმე ნუ ბრძანებთ, კონვოის უფროსი ოფიცერი პოლონელი ყოფილა და, როგორც ასეთი, მეტად დარდიმანდი. ქალი რომ უნახავს ეტაპში და ისიც მერე თავადიშვილისა, როგორც პოლონელთ ჩვეოდათ, კავალრობა გამოუჩენია და ალერსიანის სიტყვებით მოჰყრობია. წულუკიძის ქალს ამით უსარგებლნია და უთხოვნია: ნათესავები მყავს სადღაც ვაგონში, მგონი, ვინროდ არიან და აქ, ჩემთან, გადმოაყვანინეთ, რომ თავისუფლათ შეიძლონ მოგზაურობაო. უფროსაც ხელათ განკარგულება გაუცია, რომ ქალის გული მოეგო. იმ ღამეს დასაწოლიცა გვქონდა და მოსვენებით შეგვეძლო მოგზაურობა. უკეთესის ნატვრა არ შეიძლებოდა, ისე მოვდიოდით თვით სამარამდე.

გავიცანით პოლიტიკურები. ვინ იცის, რა მხრიდან არ იყვნენ: მოდიოდენ ორიოლის ციხიდან, ხარკოვიდან, კიევიდან, მოსკოვიდან და საერთო რუსეთის სხვა ქალაქებიდან. ეროვნების მხრივ იყვნენ: რუსები, პოლონელები, ებრაელები, ესტონელები, ლატიშები, უკრაინელები, ქართველები; იყვნენ როგორც კაცები, ისე ქალები, ხნით სულ ახალგაზრდანი იყვნენ, ასე 20–23 წლისები. ყველანი ერთის გრძნობით, ერთის აზ-

რით იყვნენ გამსჭვალულნი: ერთობრივის ძალით ეპრძოლნათ თვითმპყრობელობის წინააღმდეგ, მის დასამხობად მთელი თავისი ახალგაზდობა, მთელი სიცოცხლე შეეწირნათ, გულ-წრფელად სწამდათ, რომ საბოლოო გამარჯვება მებრძოლთ დარჩებოდათ... დაითურგნებოდა ძალმომრეობა, ტირანია, თვითმპყრობელობა და ტახტზე მორქმით დაჯდებოდა საყოველთაო სიმართლე, თანასწორობა, ძმობა, ერთობა, ხალხის სუფევა... საბოლოოდ სინათლე სძლევდა სიბნელესა.

პოლიტიკურებს ყველას ხელზუნდები ეკეთათ და უკვირდათ, რომ მე და ჩემს ქუთათელ ამხანაგს ფეხებზე გვედო ბორკილები. გამოირკვა, რომ სამინისტროს ბრძანება: „вести политических арестантов в оковах“ მხოლოდ ქუთაისის საგუბერნიო ციხის ადმინისტრაციას გაუგია ისე, რომ ფეხებზე უნდა გვქონოდა ბორკილები. რაღას ვიზამდით, ეს მისი შეცოომა გზაში ძნელი გასასწორებელი იყო, ირკუტსკში ჩასვლამდე არა-ფერი ეშველებოდა.

გავედით რუსეთის დედა-მდინარეზე – ვოლგაზე, რამდენისამე კილომეტრის სიგანედ რომ არის გადაჭიმული. ჩვენის გავლისას გაყინული იყო და ზედ ურმები და მარხილები გადიოდა. ჩემს სიცოცხლეში პირველათ აქა ვხედავდი იმ სურათს, რომელსაც სასანავლებელში თუთიყუშივით ვიმეორებდი – მდინარის გაყინვის შესახებ და რომელიც ვერასგზით წარმომედგინა, თუ როგორ უნდა მომხდარიყო ასეთი ამპავი.

გზაში ისეთი მხიარულება სუფევდა, რომ არც-კი შეგვიტყვია, როგორ მიგვიყვანეს სამარაში, სადაც რამდენსამე დღეს უნდა გაჩერებულვიყავით, შემდეგის ეტაპის გასვლამდე. გადაგვთვალა ციხის ადმინისტრაციამ, შეამოწმა ჩვენი საგზაო დოკუმენტები, ჩაგვიბარა კონვოისაგან და შეგვიშვა ციხეში. ციხეში, მაგრამ რა ციხეში! სამსართულიანი ციხე ჯერ გარეგნულათ იყო სასიამოვნო სანახავი, რაც აქამდე ციხეები გვენახა, მასთან მისატანი არცერთი იყო. ეტყობოდა, სატუ-სალო ინსპექციას ხარჯი არ დაუზოგნია, რომ შენობა საშვილიშვილო და სანაქებო გამოსვლოდა. შიგნითა ნაწილი სავსებით შეეფერებოდა გარეგნულსა. მაღალი, ვრცელი და ნათელი ოთახები! ძველებურ სლავიანურ თემნიცა-ს სრულიად არა

მე მგონია, ადმინისტრაციას ასეთი პალაცცო სარეკლა-
მოთ, უცხოელების საჩვენებლად და თავის მოსაწონებლადა
თუ ჰქონდათ!..

ალაგობრივი ტუსალნი ყოველ ეტაპის მოსვლას სული-
სულზე მოელიან ხოლმე. ეტაპს მოაქვთ თვალუნვდენელ რუსე-
თის სხვადასხვა კუთხიდან ახალი ამბები რევოლუციის ლიკვი-
დაციისა და შავის რეაქციის გამეფებისა, ამბები დარჩენილი
სარევოლუციო წრების მიერ მუშაობის გაგრძელებისა, ეტაპს
მოჰყვებიან მეგობრები, ნაცნობები. ესენიც რომ არ იყვნენ, ცი-
ხე, საერთო უბედურება სულ ადვილათ, სულ მალე, სულ ბუ-
ნებრივათ აახლოვებს ერთგვარათ მოაზროვნეთა, ერთის საქ-
მისათვის გულშემატკივართა და მებრძოლთა. ყოველგვარი
ცნობები, გარედან მოტანილი, დამხვდურთ გადაეცემათ სხარ-
ტულათ, სწრაფათ, საერთო სეირნობის დროს, ციხის ეზოში.
გამვლელნიც სამაგიერო, ალაგობრივს ცნობებს „მასპინძლებს“
გადასამუშავენ და ამასობაში გზის განვირობის დროცა დგება.

სამარიდან წამოგვიყვანა ეგრედნოდებულმა უფის კონვოიმ, ე. ი. იმ კონვოიმ, რომელიც სამარასა და უფას შუა ატარებდა ტუსაღებს ეტაპით. ამ კონვოის ქება ჯერ ისევ ნოვოროსიის ციხეში გვსმენოდა. ახლა-კი ჩვენ თვითონ დავ-

რწმუნდით, რომ ეს ქების სახელი ღირსეულადა ჰქონდა დამ-სახურებული. ერთი რომ კონვოის არცერთს ჯარისკაცს ჩვენ-თვის სალანძლავი სიტყვა არ უკადრებია, ის კი არა, მეტისმე-ტად თავაზიანად გვექცეოდენ. ზოგიერთი ჩვენთაგანი, ვინც პროპაგანდის გუნებაზე იყო, ჩაუდგა და პოლიტიკურ ტემაზე ლაპარაკი ჩამოუგდო. ყველანი განსაკუთრებულის ყურადღე-ბით უსმენდენ და ზოგიერთ ბუნდ საკითხზე ახსნა-განმარტე-ბასაც-კი თხოულობდენ. აღმოჩნდა, რომ უმეტესობა მათგა-ნი, როგორც ნოვოროსიის კონვოიში, პოლონელები ყოფი-ლან და თურმე ესაც ყოფილა მიზეზი მათის თავაზიანობისა. უფაში თავს რომ გვანებებდენ, წერილები დაგვანერინეს ჩვე-ნიანებთან, ჩალათები და მარკები თვითონ მოგვიტანეს და ჩვენ რომ ვუყურებდით, ისე ფოსტის ყუთებში ჩაუშვეს... ყველა ჩვენთაგანისათვის, ვინც ამდენჯერ ყოფილვართ მსხვერპლი კონვოის სალდათების ენით გამოუთქმელ სიმხეცისა, დაუვი-წყარი და მარადმოსაგონარი იქნება ამ კონვოისთან გატარე-ბული დრო!.. მათს ხელში ისე ვგრძნობდით თავს, როგორცა გრძნობს თავს სახარის უდაბნოში დატანჯული მგზავრი, რო-ცა ერთბაშად სადმე ოაზისში ამოჰყოფს თავს და პალმების ჩრდილს თავს შეაფარებს, წყლით დაისველებს ამომშრალ ხა-სას და სულად მისული ისევ დაუბრუნდების სიცოცხლეს.

უფაში არ დაგვისვენია, მხოლოთ მატარებელი გამოგვიც-ვალეს, ახალმა კონვოიმ ჩვენი თავი ჩაიბარა და განვაგრძეთ გზა. აბა ბუნების სიმშვერიერე აქედან იწყება, აი!.. თუ აქამდე მივდი-ოდით რუსეთის ნირშეუცვლელ და თოვლით დაფარულ ვაკეზე, სადაც თვალს, ისიც საქართველოს მთა-გორიან ადგილმდება-რეობას შეჩვეულს, უზომოთ მოუწყენია, სადაც რამდენსამე დღეს მატარებლით ისე გაირბენ, რომ ერთს გორაკს ვეღარა ნა-ხავ, სამაგივროთ, აქედან თვალი ვეღარა ძლება თოვლით და-სუნთლულ ნინვიან ტყით დაფარულ ურალის მთის კალთების ყურებით; ზამთრის ბუნების თვალნარმტაც სურათების რიგი ბა-ნარალებით მოსდევდა ერთიმეორეს დაუსრულებლივ. მაშინ ყვე-ლაფერი თოვლის სიმძიმის ქვეშ იღუნებოდა და აბა რას მოვი-ფიქრებდი, რომ სწორეთ ხუთს თთვეს უკან იმავე ადგილების ნახვა ისევ მომიხდებოდა მხოლოდ უკონვოიოდ და უთოვლოდ!..

IV

აზიაში გადასვლა. — სავსება ციმბირის გზაზე. — სიმ-დიდრე დასავლეთ ციმბირის ბუნებისა. — ახალ-ახალი ტუსა-ლები. — ნიმუშები „ცივილიზაციისა“. — აღმოსავლეთ ციმბი-რის ზონაში გადასვლა. — სიცივეები. — აქაური მზე და დღე-ები. — ერთლინანდაგიანი გზა და მისი ნაკლი. — მატარებლის სისწრაფე. — ჩვენის კონვოის უფროსი „ვისიკოროდიე“ და გაზე-თი. — ოკუტსკიში ჩასვლა.

გავედით ურალის გვირაბში და თავი ამოვყავით აზიაში. გამოვეთხოვეთ ევროპას და თავი დავუკარით ციმბირს, სადაც დასავლეთიდან ბანარალებით მოდიოდენ გადასახლებულნი და მისი მუცელი მაინც ვერა ძლებოდა. და რომელსაც ეტყობოდა, კაცი ასე ადვილათ ვერ გააძლებდა ხალხითა. რუსეთიდან მო-ჭარბებული მოსახლეობა იგზავნებოდა, ხოლო ციმბირი იმდე-ნად ვრცელია, რომ მთელი რუსეთიც რომ აიყაროს, ყველას და-იტევს, ყველას ეყოფა, ყველას შიგ მოითავსებს.

ზლატოუსტში ჩამოგვაშორეს ყველანი (და მათს შორის წულუკიძის ქალიცა), ვინც ადმინისტრატიულის წესით იყვნენ გამოგზავნილნი ორენბურგის გუბერნიაში, ასე რომ დავრჩით მხოლოთ გაციმბირებულნი, და ეტაპელთა რიცხვიც საგრძნობ-ლად შემცირდა.

გავუარეთ ჩელიაბინსკაც, ამ საზღვარს ევროპის რუსე-თისა და აზიის რუსეთისას. აქედან იწყება უხვება და საგვარება ყოველისავე. სადგურებზე გლეხებს გამოაქვსთ: შემწვარი გო-ჭები, ინდოურები, ბატები, ქათმები, კარაქი (ნამდვილი, ციმ-ბირისა!), მსუქანი რძე... შემწვარ გოჭს 8-10 გირვანქიანს სამ აბაზად აფასებენ... არიან ისეთი მუშტრებიც, რომელთაც ეს ფასი ებევრებათ და ეჩინჩებიან, ორ აბაზს აძლევენ... ინდო-ური 7-8 გირვანქიანი — ათ შაურად, ბატი — ორ აბაზად, მთელი ბოთლი საუკეთესო რძე, ნალებით სავსე — შაურად, საუცხოვო კარაქი — ექვს შაურად გირვანქა, პური — 3 კაპიკად გირვანქა. ჩვენმა კომუნამ, ათის კაცისაგან შემდგარმა, ერთი გოჭი იყი-და, ზედ მიაყოლა ინდოური და ერთის აბაზის რძეც. ჩვენ გავ-ძეხით და კონვოის სოლდათებიც დავიწვიეთ და ისინიც მად-

ლიერები დაგვრჩნენ. ეს ის მხარეა, სადაც (ომსკში) დანიელთ
იჯარითა ჰქონდათ აღებული თვალურვდენელ სივრცის (რამ-
დენიმე ასი ათასი ჰეკტარი) საძოვრები, მესაქონლეობა გაეჩა-
ღებინათ, აუარებელ ერბო-კარაქს ამზადებდნენ, მერე საცი-
ვარ ვაგონებით პირდაპირ დანიაში მიჰქონდათ, ხოლო დანი-
იდან ევროპის უმთავრეს ბაზრებზე (განსაკუთრებით ლონ-
დონში) მომხმარებელთ ციმბირულ ერბო-კარაქს აწვდიდნენ.
ამბობდნენ, დიდი, სულ დიდი ფული შეიძინა ამ კომპანიამაო.
რატომაც არ შეიძენდნენ, როცა ბუნებას უხვების კალთა აქა-
ურობაზე ჰქონდა დაბერტყყილი და ადამიანის მხრივ მხოლოდ
ცოდნა და გარჯილობა იყო საჭირო ამ უხვების გამოსაყენებ-
ლად... დანიელთ არც ერთი აკლდათ და ალარც მეორე. და ადა-
მიანის გონივრული შრომა და ენერგია სავსებით ჯილდოვდე-
ბოდა ბუნების ყოველგვარად ხელისშემწყობ პირობებთან პა-
რალელურად!...

მივდივართ ერთი დღე, ორი დღე, სამი... გვემატება ტუსა-
ღები, მაგრამ არა პოლიტიკურნი, არამედ ადგილობრივი, ჩვე-
ულებრივი დამნაშავენი... დაგლეჯილნი, შიშველ-ტიტველნი,
თან შემოაქვსთ საშინელი სიბინძურე, ჭუჭყი, მყრალი სუნი და
ყველაზე მეტად შემოჰყავსთ სიბინძურის თანამგზავრნი – მკე-
ნარენი... ვაგონი პირდაპირ გაიცსო ამ პარაზიტებით, თავს ვე-
ლარ ვიფარავთ, პირდაპირ იერიში მოაქვსთ ჩვენზე, ქვედა ქან-
დარაზე რომ წევართ, ზევიდან, საცა ახალშემომატებული თა-
ნამგზავრები განისვენებენ, ყოველს მათს ვვერდის ცვლაზე,
თითქო თუთის ხე დაბერტყყესო, პანტა-პუნტით მოდის პარა-
ზიტები და ისეთის მსხვილის ჯიშისაც, რომ სახეზე რო გვეცე-
მა, ვგრძნობთ... აყროლებულის სუნისაგან პირდაპირ ვიგუდე-
ბით... რა საჭიროა, ადამიანს ყოველგვარ პირობებთან შესძლე-
ბია შეგუება, შერიგება, ოლონდ არსებობისათვის ბრძოლაში
როგორმე ფონს გავიდეს... და აკი ჩვენც შევეგუეთ, ჩვენც შე-
ვურიგდით და იმდენადაც შევურიგდით, რომ ადამიანის თა-
ნაცხოვრება ამ პარაზიტებთან ნორმალურად გვიჩანს, ლამის
არის, ადამიანი უამპარაზიტოდ ვერც კი წარმოვიდგინოთ. მით
უფრო, რომ საპნის ხმარება აკრძალული გვქონდა, ცივილიზა-
ციის ეს გამოგონება ტუსალისათვის (რომელსაც ადამიანობის

პრეტენზია დაეკარქნა) არ არსებობდა. აკი ამიტომ იყო ეს ცხოველი იმ დროის რუსეთში გავრცელებული!..

მართლაც რომ, საკვირველი იქნებოდა, რომ ასეთს პირობებში მოგზაურობის დროს რამე სენს თავი არ ეჩინა ჩვენს შორის. გზაში შემოგვიერთდა ცნობილი ტერორისტი სერგო ხინტკირია, პოლიტიკური სტაროსტა ჩვენთან მომავალ ტუსაღებისა. კატორლაში (ნერჩინსკში) გაგზავნილი იქიდან გამოქცეულა, დაუჭერიათ და ახლა უკანვე გზავნიდენ ალექსანდროვსკის საკატორლო ციხეში. სერგო ხინტკირიამ, სხვათა შორის, მოჰკლა სოხუმში ბოქაული სვარიკოვი. აი, სწორეთ ამას შეხვდა პარტახტანი სახადი და იძულებული ვიყავით ომსკში დაგვეტოვებინა. დიდი იმედი გვქონდა მისი გადარჩენისა. სწორეთ 12 წლის შემდეგ ჩემი მაშინდელი თანამგზავრი ტფილისში დავინახე: სახადასაც კი არაფერი დაუკლია მის რკინის ჯანისათვის! მზად იყო, თუ საჭიროება მოითხოვდა, თავისი წარსული პროფესია მოეგონებინა.

მეორე თანამგზავრიც გაგვიხდა ავად ამავე სენით. ის-კი კრასნიიარსკამდე როგორც იყო ჩავიყვანეთ და იქ დავტოვეთ. ესეც გადარჩენილა სიკვდილს. სხვები ბედმა გვიპრალა, თუმცა კანონით უნდა დაგვმართნოდა, რათგან ავადმყოფების გვერდით ვიწექით, ვუვლიდით, ვპატრონობდით პრიმიტივულის საშუალებით, ასე რომ თუ სულ ასივე არა, შანსი 98% მაინცა გვქონდა სენი შეგვყროდა.

კრასნიიარსკიდან დაიწყო ჩვენი გოლგოთა, ჩვენი წამდვილი ტანჯვა-წამება. უკვე ქრისტეშობისთვის 10-ია. გასულია უკვე ეგრეთწოდებული ნიკოლოზობის (დეკემბერის 6-ს, ნიკოლოზობას) ყინვები (Никольские морозы). აქ მკითხველს უნდა განვუმარტოთ, რომ რუსეთში, საცადიდი ყინვები იცის, ოთხ ხანად არის დაყოფილი ამ ყინვების სუსხიანობა. პირველი ხანა არის ნიკოლოზობა, ანუ ქრისტეშობისთვის 6, მეორეა საშობაო ყინვები, რომელიც თავის სიძლიერის მწვერვალს მიაღწევს შობას, მესამე ხანაა ნათლიღებისა ანუ იანვრის 6-ს და მეოთხე ხანაა მირქმისა ან თებერვლის ორისა. ამ ოთხ თარიღში ყინვის სუსხი მიაღწევს საკულმინაციო წერტილს. უკანასკნელ ხანის ან მირქმის დღესასწაულის შემდეგ სიცივეს ღო-

ჯი უტყდება და გაზაფხულის მოახლოვებას შეჰქარის ყოველი სულდგმული.

ჩვენ უკვე აღმოსავლეთ ციმბირის ზონაშია ვართ. სიცივე ძალზე უჭერს, 35 გრადუსამდე ჩამოდის სინდიყი სითბოს საზომში. უნდა გვახსოვდეს, რომ ჩვენს მატარებელს კნინი პრეტენზია არა აქვს დაემსგავსოს ეგრედწოდებულ ამიერციმბირის მატარებელს, რომელიც 15 დღეში მიდის პეტერბურგიდან ვლადივოსტოკში, შიგ ყოველგვარი მოწყობილებაცაა მგზავრთათვის (საპონიც, რა თქმა უნდა), 17° სითბოა და ფანჯრიდან მეტად საამოა გარშემო ციმბირის ზამთრის ზენარში გახვეულ ბუნების თვალიერება, და საათშიაც 35–40 კილომეტრის სიჩქარით მიჰქრის.

ჩვენი მატარებელი ძალზე შორსაა ასეთის პრეტენზიებისა-გან. სითბო შიგ 8–10 გრადუსია. გაყინულია საჭიროების ალა-გი და კანონით გარეთ გასასავლელი სიბინძურე, ჯერ დაგუბდა, მერე გადმოვიდა და ეფინება ვაგონის მთელს იატაკს. 3-4 მეტრის მახლობლათ საჭიროების ალაგიდან მშრალს ალაგს ვერ იძოვნით ფეხის დასადგმელს. ჩვენსავე განავალში ვსტოპავთ ან და ფეხებმოკეცილები ვსხედვართ. ვაგონი თითქმის გერმეტულათ არის დაკეტილი. რაღაც საცოდავი რკინის ღუმელი ახურებს ვაგონს, რომელიც 8–10 გრადუს სითბოს ძლივას აყენებს. ვენტილაცია არავითარი! თითქმის მთელი კვირა ასეთს ჰაერში ყოფნა ჰაი, ჰაი რომ მოგვერევოდა! კარგათმყოფნი ასე იყო თუ ისე, ვუძლებდით. მაგრამ ერთი სტუდენტი გვერია, ფილტვების ჭლექით ავადყოფი, სამარასთან შემოერთებისას არა უშავდა რა და ახლა კი ხველებამ უმატა, სისხლს აღებინებდა, უარესად დასუსტდა, გვეგონა, ირკუტსკამდე ვეღარც-კი ჩააღწევდა.

ასე უნდა გავატაროთ მთელი ხუთი დღე, სანამ ირკუტსკში, ჩვენის რკინისგზით მგზავრობის ტერმინუსში, ჩავალნევდეთ, ლოკომოტივს ხან ნახშირი დააკლდება, ხან ვინ იცის, რა ცოდვისა ეკითხება, საათში 5-6, სულ ბევრი – 7 კილომეტრს გადის. დღეებიც სულ ჰატარებია. დედასა, სადა ხარ, საქართველოს ცხრათვალა მზევ, რომელიც ზამთარშიაც არა ჰკარქავ შენს სიცხოველეს და შუქმფენაობას!.. აქაური მზე წარ-

მოადგენს მრგვალ ნარინჯის ფერ ბურთს, სწორეთ ისეთს, მზის დაბნელების დროს რომ გვინახავს, თითქმის უსინათლოს, ყოველსავე სითბოს მოკლებულს... დილით საათის 8-ზე ამოხტება (სწორეთ – ამოხტება!) და ნაშუადღევის 3-ზე უკვე ჩასულია. თან ისიც უნდა გვახსოვდეს, რომ 43° სამხრეთის სიგანედიდან წამოსულნი 55 გრადუსზედა ვართ ასულნი. მზე ცაზე, სულ ბევრი, 10 გრადუსამდე ამოინევა და ისევ დაეშვება. აქაური მზის ასვლა-ჩასვლის შთაბეჭდილება ისეთია, რომ ამოხტება, პატარა რკალს გააკეთებს და ჩახტება. მთელი ღამე თითქმის ბნელში ვზივართ. ასეთს პირობებში მგზავრობა, სწორე მოგახსენოთ, არავისთვის შემშურდებოდა.

გზაც ერთლიანდაგიანია. წარმოგიდგენიათ, 10 ათას კილომეტრის მანძილზე ერთის ლიანდაგის საშუალებითა ხდებოდეს მოძრაობა! ადვილათ წარმოსადგენი გახლავსთ, ეს მოძრაობა რა სისწრაფეს უნდა ანვითარებდეს განსაკუთრებით ომიანობის დროს, როცა ამ სისწრაფეს არსებითი მნიშვნელობა აქვს ჯარებისა და მათის ამუნიციისა და პროვიანტის გადაყვან-გადატანის საქმეში! სხვათა შორის, აკი ამიტომაც წააგო ბრძოლა ნიკოლოზის დროის რუსეთმა ამომავალი მზის ქვეყანასთან!.. იაპონია შინ იყო, რუსეთის მხედრობა კი მთელის თთვეობით მოგზაურობდა, გაუთბობელ ვაგონებში, გაყინულ-გათოშილი და როცა ბრძოლის ველს ჩააღწევდა, ერთი ხანი იმისთვისა სჭიროდა, რომ მოესვენა, მოშუშებულიყო, იმის მაგიერ, რომ მტერს მისვლისათანავე ერთბაშათ შებმოდა! ასე რომ ოიამას ჯარს საუკეთესო დამხმარე აღმოუჩნდა კუროპატკინის წინააღმდეგ, ციმბირის რკინის გზის სახით...

ჩვენი მატარებელი სადმე რომ გაჩერდებოდა, მერე იქიდან დაძვრა აღარ მოაგონდებოდა დალოცვილს, იდგა მთელის საათობით, სანამ მოპირდაპირე მატარებელი არ ჩაუვლიდა.

კონვოის უფროსად ერთი ძველი ფელდფებელი მოგვყვება. ჩასუქებული, პირუტყვული სახისა, მუდამ პირქუში, გაუცინარი, ტარას ბულბას ჩამომავალი. თუ რამ ცნობა დაგვჭირდება, „господин начальник“-ობით მივმართავთ ხოლმე. პასუხს გვაძლევს, მაგრამ ზლაზვით, ცოტა არ იყოს, უხალისოდ. ერთ-ერთს ჩვენთაგანს აზრად მოუვიდა „Ваше благородие“

დაეძახნა – ამ კაცისათვის, რომლის ხელში ჩვენი სული და ხორცი იყო. ეამა. ულვაშებში ღიმილის ნასახი გაუკრთა. მთელს ვაგონში ღამით ბენელა (ელექტრონით განათება ვაგონებისა, ყოველსავე შემთხვევაში ტუსაღების ვაგონებისა, ჯერ შემოღებული არ იყო). კონვის უფროსს წინ ენთო კართოფილის სამთელი, ფანჯრის რაფაზე დაღვენთებით დაკრული და რაღაც პროვინციალურ (მგონი „კრასნოიარსკის უწყებები“ იყო) გაზეთსა კითხულობდა ჩათვლით. თითქმის ერთი თვე არ გვენახნა გაზეთი და ერთბაშათ ადამიანის ხელში ვხედავთ!.. ცოტნება მეტად დიდი იყო, რომ ყოველი ღონე არ გვეღონა და ამ გაზეთისათვის ხელი არ მოგვეკიდნა. გავსწიო რისკი, განვიმსჭვალე მერეხელობითის სურვილით გაზეთი წამეგითხნა, ხელზე დავიხვივი ის ჭეშმარიტება, რომ მოჭარბებულის ერბოთი საჭმლის გაფუჭება არ შეიძლებოდა და გადავწყვიტე კონვის უფროსის ტიტულ ბლაგორდიე-სთვის „высоко“ (მაღალი) მიმეტატებინა. ზოგჯერ გამშედაობა ყოველგვარ საპრკომის მრეა ხოლმე. ჩემს მიერ მისის ღირსების მაღლა აწევამ სასიამოვნოთ უღიტინა მის ჩახურულს გულს, სახეზე კმაყოფილების გრძნობამ გადაურბინა, მოწყალე მექმნა. საჭიროდ ჩასთვალა თავისი მოწყალება ზრდილობიანობის სამოსელშიაც გაეხვია და თქვენობით მითხრა: „прочтите и верните“-ო (წაიკითხეთ და დააბრუნეთო). ახლა აღარ მაგონდება, რა წავიკითხე, ისლა მახსოვს, რომ დავრწმუნდი – ქვეყანა, სხვა ქვეყანა, ჩვენს მატარებელს გარეშე, კიდევ არსებულა, სხვა ხალხი, ჩვენს მატარებელში მოქცეულ ხალხს გარდა, კიდევ ყოფილა და მასაც ჰქონია თავისებურ არსებობის სურვილი, იმედი და ზრახვანი. ამის შემდეგ ვაგონში ისეთი არა ყოფილა-რა, რომ უფროსს გავეცუდებინეთ. მაგრამ არც ჩვენ გვავინუდებოდა ჩვენი მოვალეობა თავაზიანობისა და მისთვის უხვად ვიმეტებდით ღირსების აღმატებას. თუ ჰირველში ვისიკობლაგორდიეთი გავაპიოთ მასთან ურთიერთობა, ბოლოს, ირკუტსკის მიახლოვებისას ვისიკობლაგორდიე ვისიკობლაგორდიე-დ (მაღალშობილება) იქცა, ე. ი. მე-8 კლასის მოხელის ტიტული გავუხადეთ მე-5 კლასის მოხელის ტიტულად. სწორედ რუსეთის ნეტარხსენებულის იმპერატორიცა ეკატერინე „დიდის“ მსგავსად (მოწინე-

ბით ბოდიშს ვიხდი დიდებულის გვირგვინოსნის წინაშე, რომ ვკადნიერდები და ჩემს უღირსს თავს მისს უდიდებულესობას ვადარებ! მოვიქეცი, რომელმაც ხუთად-ხუთის წუთის განმავლობაში უბრალო მეჯინიბე გენერლად გახადა! მაგრამ ეკატერინე „მბრძანებელი“ ბრძანდებოდა მთელის რუსეთისა და მე-კი უბრალო სიკვდილის შვილი გახლდით და ისიც ტუსალი...

ამ ქვეყნად ყველაფერს დასასრული ჰქონია. ახლა გავი-გეთ. ჩვენს ამგვარ მგზავრობასაც დასრულების პირი უჩანდა. ქუთაისის ციხიდან ნოემბრის 18-ს გამოსული, ქრისტეშობის-თთვის 15-ს ირკუტსკის გუბერნიის დედა-ქალაქ ირკუტსკში ჩაგვიყვანეს, სადაც 40 გრადუსი სიცივე გვხვდება და ჩვენს (ქუთაისიდან ნამოყვანილების) ჩაცმულობას არაფერი მოჰ-მატებია: რკინისგზის სადგურიდან ციხეში მივდივართ (სამის კილომეტრის მანძილია) ჩუსტებისა, და თხელ, უსარჩულო ფა-რაჯის სინაბარა!.. მაშინ ვირწმუნე, რომ სასწაული კიდევ არ-სებულა ქვეყანაზე, რათგან ჩუსტებმა შესძლო სატუსალოში მისვლამდე ჩემთვის დაუძვრელად შეენარჩუნებინა ფეხები...

V

ირკუტსკის ციხე და ტუსალების დახვედრა. — რეტროს-პერიოდი თვალის გადაულება გამოვლილ მგზავრობისათვის. — ციხის რეჟიმი. — ჩვენთვის მაზრების დანიშვნა. — ირკუტ-სკის გუბერნია და მისი თვისება. — კირენსკის მაზრა. — კი-რენსკის მაზრის მეზობლად. — მამონტი ანუ გარდასული ცხო-ველი აქაურობისა.

რკინის გზის სადგურიდან საგუბერნიო ციხის ეგრეთწო-დებულ გადასაგზავნ (пересылочныи) განყოფილებამდე, რა თქმა უნდა, ქვეითათ გვატარებენ. პირველათ ვუსწორებ თვალს ალ-მოსავლეთის გრძედის 45 გრადუსზე ყინვას, რომელიც 35–40 გრადუსამდე ჩამოდის ხოლმე. ქუჩებში ჩამი-ჩუმი არ ისმის, მის-რიალებს მარხილები, რომელთაც დაბალი, გრძელფაფარა, ბან-ჯგვლიანი ციმბირული ცხენები უბიათ; შივ სხედან ქურქებში გახვეული მგზავრები, რომელთაც თვალები ღა უჩანთ, სხვა ყველა ორგანოები თავისა დაფარული აქვსთ. ხმას არავინ

იღებს, თითქო ყველა დამუნჯებულაო. ფრინველს, როგორც, მაგალითად, ბეღურაა, რომელიც ყველგან ქალაქებში ქუჩის ფრინველად ითვლება, თვალით ვერა ნახავთ, ან რა უნდა ბეღურას ისეთ ქუჩაზე, საცა ყველაფერი გაყინულია, ქვადაა ქცეული! გაისმის მხოლოთ ჩვენის გამცილებელ სოლდათების ბრძანების ხმა: ხა ლევო, ხა პრავო... ეგ არის და ეგ!..

მივადექით ალაყაფის კარებს ციხისას, რომელსაც რვა მეტრის სიმაღლე ფართე მესერი აქვს შემოვლებული, ასე რომ ჩიტი ვერ გადაფრინდება, არამცუ ადამიანმა მოახერხოს გადატომა, რაც უნდა გავარჯიშებული იყოს მუშაითობაში.

შეგვლალეს ხის შენობაშივე, ეგრედნოდებულ განსანაწილებელში. ასეთი სახელი ციხის ამ განყოფილებისათვის იმიტომ დაურქმევიათ, რომ რუსეთის უზარმაზარ იმპერიის ოთხივე კუთხიდან ირკუტსკის გუბერნიაში დასასახლებლად გამოგზავნილი ხალხი ჯერ აქ უნდა მოიყვანონ, აქ ციხეთა საგუბერნიო ინსპეკტორმა მიუჩინოს ყველას თავ-თავისი მაზრა საცხოვრებლად, ან ალექსანდროვსკის საკატორლო ციხეში გაგზავნოს, რომელიც 35 კილომეტრითა შორავს ირკუტსკსა.

ჩვენი შესვლა დამხვდურთათვის პირდაპირ დღესასწაული იყო: ვინ ეძებდა ნაცნობს, ვინ ესწრაფვოდა ახალმოსულთაგან ახალი ამბავი მოესმინა იმ ქვეყნისა, რომელსაც დაშორებული იყვნენ 10 ათას და მეტის კილომეტრითა და გადმოტყორცნილნი ამ ყინულეთში, სადაც როგორც ადამიანისა, ისე ბუნებისაგან ჩაგვრისა, დამცირებისა და განადგურების მეტს სხვა სიკეთეს არ უნდა მოჰლოდებოდენ..., სადაც დღეყოველი და უამსა ყოველსა წინ უნდა ედგესთ აჩრდილი სიკვდილისა ამა თუ იმ სახითა.

დამიხვდენ: ზოსიმე ხუბუა, ელიზბარ ჩარტია და კირილე კორშია, მენავენი, რომელთაც ფოთში იარაღის გადმოტყირთვისათვის ციმბირი ჰქონდათ მისჯილი და ქუთაისიდან ჩემზე ერთის თთვით ადრე იყვნენ გამოსტუმრებულნი. გავიხარეთ, რომ ბედმა ერთათ შეგვყარნა და ერთად გვიხდებოდა ციმბირის ჭაპნის განევა. მოკლეთ ერთმანერთის მოკითხვის შემდეგ მასპინძლები ფიცხლავ შეუდგნენ ჩემს ფეხებზე ბორკილების მტვრევას. ზოსიმე ხუბუა აღმოჩნდა ამ საქმეში დაოსტატებუ-

ლად. ერთი პირობა შემეშინდა, უკანონობაში არ ჩამომერთვას-მეთქი, მაგრამ ამიხსნენ – ჩვეულება ყოფილა: ყოველ ახალმოყვანილ ტუსალისათვის ტუსალებსვე უნდა აეყარნათ როგორც ხელისა, ისე ფეხის ბორკილები. რა თქმა უნდა, ადმინისტრაცია ამაც იცოდა ეს და არაფერს ამბობდა მანამდე, სანამ წასაყვანი არ გახდებოდა იგივე ბორკილიანი ტუსალი ალექსანდროვსკის საკატორლო ციხეში, ან დასასახლებელ მაზრაში.

ბორკილიდან თავი გავითავისუფლე, მაგრამ ოღონდაც რომ სახარბიელო არ იყო ჩემის სხეულის მდგომარეობა წა-ბორკილევს: ფეხები კოჭებს ზემოთ მთლათ დამწყლულებო-და, პარაზიტებსაც კარგათ მოუკიდნიათ ფეხი ჩემს სხეულზე. ჩემის ხელის თითების ფრჩხილების სამუშაო დღე ნორმალურს გაცილებით აღემატებოდა. მეტი სასჯელი არ შეიძლებოდა ადამიანისათვის, განსაკუთრებით ისეთისათვის, ვისაც ენახ-ნა რუსეთს გარდა ევროპის სხვა ქვეყნებიც, სადაც საპნის ხმა-რება ფუფუნების საქმედ არ მიაჩინიათ, სადაც ჭუჭყი და სი-ბინძურე მრავალგვარის სენის გამჩენად ითვლება და ამაების მოსასპობად მეცნიერებას სხვათა შორის საპონიც საუკეთე-სო საშუალებად მიაჩინია....

თვალი გადავავლე ჩემს 27 დღის განმავლობაში „მგზავრო-ბას“... წათლათ წარმოვიდგინე ყველაფერი, სურათის სრულ-საყოფად მოვიშველი ჩემის სხეულის ანინდელი სავალალო მდგომარეობა, როგორც რეზულტატი ამ „მგზავრობისა“. ისიც მოვიგონე, რომ ძველად, ოდეს ციმბირის რკინის გზა ჯერ კი-დევ არ გაეყვანათ, ურალიდან ირკუტსკამდე ეს გზა ფეხით, ან, უკეთეს შემთხვევაში, ურმებით უნდა ევლოთ მთელის თთვეობით და წლობით ტუსალებს და ამ დაუსრულებელ გზა-ში აუკრებელი ხალხი იხოცებოდა, რათგან ამ საშინელებას ვე-ღარ უძლებდა. მართალია, ძველებურ მგზავრობას *cum pedes apostolorum* ახლანდელი აპა, რა თქმა უნდა, არ შეედრება, მაგ-რამ, ცოდვილი ვარ, უნდა ვსთქვა – მაინც საშინელებად უნდა ჩაითვალოს. აზრად დამებადა: თუკი ვინმე მკითხავდა და თუ, რა თქმა უნდა, ეს კადნიერებაში არ ჩამომერთმევოდა, მთავ-რობისათვის რჩევა ასეთი უნდა მიმეცა: მოესპონ სატუსალოე-ბი და ამ სატუსალოების მომვლელ მოსამსახურეთა აუკრებე-

ლი შტატი, მოესპონ ამ სატუსალოებში ხალხის დამწყვდევა და-სასჯელად. ვისი დასჯაც უნდოდა მთავრობას, ეტარებინა ეტაპით ირკუტსკამდე და ირკუტსკიდან უკან. რაოდენობა იქით-აქეთ ტარებისა უნდა შესთანხმებოდა დამნაშავის მიერ ჩადენილ დანაშაულის სიმძიმეს. ასე რომ მთავრობას დიდი ეკონომიკა დარჩებოდა და პატიმართა მაღასაც დანაშაულის ჩადენისათვის სამუდამოთ მოეჭრებოდა კბილი. ჩემის აზრით, ეს იქნებოდა რადიკალური და უებარი საშუალება ბოროტე-ბის აღმოსაფხვრელად...

სატუსალოში დუქანი იყო, სადაც იშოვებოდა ყველაფე-რი, რაც კი ტუსალს დასჭირდებოდა: ჩაი, შაქარი, თეთრი პუ-რი, ხიზილალა (კეტისა, ყვითელი, გირვანქა ექვს შაურად), კა-რაქი (ომსკისა, გირვანქა ექვს შაურად), კბილის სახეხი ფხვნი-ლი და საპონი როგორც ხელის საბანი, ისე სარეცხი. პირვე-ლად დავიწყე იქიდან, რომ საპინის საშუალებით სამკვდრო-სა-სიცოცხლო ბრძოლა, ბრძოლა ულმობელი, გავუმართე მებე-ნარებს. მაგრამ გაწყვეტილების ალაგას ამ ცხოველების ახა-ლი და ახალი რიგები ჩნდებოდენ ჩემის მეზობლების წყალო-ბით. ჩემს გულმოდგინებას რომ უყურებდენ, სიცილად არა ყოფნიდათ და უსაქმურ კაცის მოგონილადა სთვლიდენ ამ პა-რაზიტებთან ბრძოლას...

ჩვენი დამპალ იატაკებიანი კამერა იქმნებოდა 24 მეტრის სიგრძე, ათის მეტრის სიგანე და 4 მეტრის სიმაღლე. შიგ კი ვიყავით 150 კაცამდე. ტუსალებირიგი ტახტებზე ვიწექით, ხო-ლო სხვები ტახტებს ქვეშ ან და პირდაპირ იატაკზე, ასე რომ ღამით გავლა სჭირდებოდა. მეტად შიდჭრელს ხალხს მოეყარ-ნა თავი კამერაში: აქ იყვნენ პოლიტიკურები (ყველანი 1905 წ. რევოლუციაში მონაწილენი), ადმინისტრატულები, კაცისმკ-ვლელები, დამცემლები და სულ უკანასკნელ ხარისხის ჯიბგი-რები. ზოგი ახლა მიჰყავდათ სასჯელის მოსახდელად, ზოგი სასჯელს გამოჰქცეოდა, ხელმეორეთ დაეჭირნათ და ისევ თა-ვის ალაგას აპრუნებდენ. უმეტესობა კი მაზრებიდან ჩამოსუ-ლები იყვნენ, ზამთრის პირას თავი დაუჭერინებიათ, რომ ზამ-თარში ციხეში აჭამონ, ასვან, თბილი ბინა და თბილი ტანისა-მოსი მისცენ. მაგრამ ყველას ტონის მიმცემი, დირიჟორები –

პოლიტიკურები არიან, დანარჩენები ამათ ემორჩილებიან. ეროვნობის მხრივ ნამდვილი კალეიდოსკოპი იყო აქაურობა: იყვნენ რუსები, უკრაინელები, ებრაელები, პოლონელები, ლა-ტიშები, ესტონელები, ხუთი კაცი ქართველიც კი ვერიენით.

ციხის რეჟიმს მაინცა და მაინც ვერ დავეძლურებოდით. დილით ადრე რომ შემოვიდოდა ადმინისტრაცია და დათვლი-და ტუსალებს, მერე მთელი დღე ღია რჩებოდა კამერის კარები და თავისუფლად შეგვეძლო ეზოში სიარული. ყველაფერი გა-ყინულიყო, სიცივე იდგა 40°, მაგრამ ადვილათ ვუძლებდით. კამერას გარეშე რაც იყო, ყველაფერი შეკრული იყო ქვასებრ ყინულისაგან. ფეხის ალაგი ეზოში იდგა, გამოწმედა არა სჭი-როდა, რათვან აქაური ყინვა საუკეთესო დეზინფექტორი იყო. ყოველივე, რაც ადამიანის სხეულს მოშორდებოდა, მინაზე და-ცემამდე ყინულად იქცეოდა. ნახველი ძირს გაყინული ეცე-მოდა. ეზოში ცხელ წყალს მოვასხამდით და საუცხოვო საცუ-რაო კეთდებოდა. ზოგი (ესტონელები) სპორტსმენი გვერია, დილიდან საღამომდე საცურაოთი ერთობოდენ. ამ წმინდა ჰა-ერზე ყოფნა ნეიტრალიზაციას უშვრებოდა ღამით კამერაში მდგარ მოშხამულ ბუღს, უამისოდ თქვენი მტერი, ჩვენს ფილ-ტვებს ნახშირმბადით სავსე ჰაერისათვის ვერ გაეძლო!

საჭმელად გვქონდა გემრიელი ჭვავის პური, წვინიანი ცო-ტა ხორცით და მოხარშული უგრეხელი ღორის ქონიანი. ფუ-ლი ვისაც ნებას აძლევდა, შეეძლო ყველაფერი ეშოვნა, რაც უნდოდა.

სულიერი საზრდო ტუსალებისა? – არავითარი! თითო-ოროლა პოლიტიკურს საიდანლაც და როგორლაც ერთი-ორი წიგნი შერჩენოდათ და ერთმანერთსა სტაცებდენ. უმრავლე-სობა – მასა პირუტყვულ მდგომარეობაზეა გაჩერებული, საზ-რუნავი აქვსთ მხოლოთ ფიზიკურ არსებობის შენარჩუნება. დილით დიდის კასრით ჩაისათვის ადულებულს წყალს რომ შე-მოიტანენ, ყველა ეშურება თავისი ჭურჭელი შიგ ჩაჰვის წყლის ამოსალებად. მერე რა ჭურჭელი! (ყველგან ნაგდები, ათასგვარი სიბინძურე მიკრობილი...). რომ უყურებ, არ შეიძ-ლება გული არ აგერიოს. ყოყმანში ხარ, არ იცი – შენც უნდა მიჰპაძო სხვებსა და იმავე წესით ამოიღო წყალი, რომელიც სავ-

სე იქნება (ამას დიდი გამოცნობა არა სჭირია!) ყოველგვარის მიკრობებით და შენს საჭმლის მოსანელებელ ორგანოებში უნდა ჩავიდეს... თუ თავი შეიკავო. ბოლოს, თვალებსა ჰეუჭავ და შენც მიპახავ იმათ, ვის გვერდით ყოფნა ბედისაგან გინერია. ახლა კიდევ დავრწმუნდი, რომ ადამიანი ყოფილა ცხოველი, რომელიც ყველა ცხოველზე მეტად შენაჩვევა ყოველ ახალ წრეს, ყოველს ახალს პირობებს ცხოვრებისას!.. განსაკუთრებით, როცა კითხვა ეხება არსებობისათვის ბრძოლას... ჩაი გათავდება თუ არა, გაჩაღდება ქალალდის თამაში და სულითხორცამდე გატყავდებიან. ზოგი გულმოდგინე მოთამაშე იქამდე გაეტყავინებოდა, რომ აგებდა ყველაფერს, რაც ზედ ეცვა და დაიჯერებთ? – დედიშობილა დარჩენილიც მინახავს.

ამასობაში სადილობაც მოატანდა. რამდენიმე კაცი ცისის ფურნეში წავიდოდით ათ-ათ კილოიან ჭვავის პურების მოსატანად, სხვებს სამზარეულოდან უზარმაზარ, ურდულგაყრილ კასრით სალაფავი მოპქონდათ. მორიგე პურს გაანაწილებდა და ყველანი ჩვენ-ჩვენის ჯამებით კასრს ვეძერებოდით სალაფავის ამოსაღებად. რა თქმა უნდა, შიგ ჩასაყოფი ჭურჭლის სუფთავისათვის არავინა ჰირუნავდა.

ყველამ ამოიყორა მუცელი. ზოგი დასაძინებლად მიწვა და ამ ორომტრიალში დაძინებასაც ახერხებს. ერთი წყება სხვადასხვა კუთხეში მიჯდება ან იქვე, საცა მისი საწოლია, შეუდგება ნადირობას... მკენარებზე, რომლებიც მთელის ღამის განმავლობაში თავს აპეზრებს და არ ასვენებს. გაიხედავ, ჯვუფი შემდგარა, ქალალდი გაუშლიათ და ერთგვარი იპოდრომი გაუმართავსთ. მხოლოდ მერნების მაგივრად საასპარეზოდ გამოუყვანიათ თავიანთი ფალაგანი-მკენარები და გაუშვიათ სარბენად. იგივე ნერვიულობა, იგივე სანიზლაოები, jiry, რაც ჩვეულებრივს დოლში გინახავს! პრიზაღებულს მკენარას ინახავენ, ულოლიავებენ, რომ სხვა დღეებშიაც აჩვენონ მაყურებელთ მათი ლირსება, მათი სიკისკასე, მათმა აღმზრდელმა თავი მოიწონოს... საცა სხვა გასართობი არ არის, ესეც გასართობად უნდა ჩაითვალოს, ანუ, საცა არ იყოს, ცოტაც კმარიყოს! ზოგგან წრეები კეთდება და კარგი მოლაპარაკე მსმე-

ნელთ ანეგდოტებით ართობს. რა თქმა უნდა, ეს ანეგდოტები შენელებულია წმინდა რუსულ შესამკობ სიტყვებითა – უიმისობა არ ეგების! – უმარილო გამოვა... საღამოს ხუთ საათზე ჩაი... მერე ქალალდის თამაშობა, ერთი-მეორის გინება, მოთამაშეთა გაშიშვლება. ერთმა თავისს პარტნერს ცოლი მოუგო... ფაქტს მოგახსენებთ, ჰო, ჩემმა მზემ.

მერე დათვლა ტუსაღებისა, კამერის დაკეტვა და ავად თუ კარგათ ძილად მისვლა... ცოტა ხანი გაივლის და თითქმის გერმეტულად დაბშულ კამერაში ლამპრები ბუტვას იწყებს. თანდათან ნახშირმბადით ივსება აქაურობა. რის წვალებით მივატანთ მეორე დღემდე, რომელიც ჰგავს წინადღეს და რომელსაც ემგვანება მესამე, მეოთხე და ასე სხვა დღები. ჩვენს გარდა ძე-ხორციელს ვერავისა ვხედავთ, ჩვენთან არავინ შემოდის, ჩვენი ამბავი არავის ეინტერესება. ლამის არის, დაგვავიწყდეს, რომ ჩვენს კამერას გარეშე სხვა ქვეყანა და სხვა ხალხი კიდევ არსებობს თუ არა.

გარეთ ყინვა მატულობს. სითბოს საზომი ხშირათ ჩამოდის 40° ქვემოთ. ეზოში სულიერი არსების წარმომადგენელია რამდენიმე გასაცოდავებული ბეღურა, სახურავზე საკვამლის გარშემორომი იყუშებიან, მობუზულები, ხმის ამოღების უნარს მოკლებულები. რომ უყურებთ, პატარა, შავ (კვამლისაგან გაშავებულებია) ბურთებსა ჰგვანან... ეს არის და ეს!..

ასე მიდის ცხოვრება აქ ჩამოგდებულ ტუსაღისა, ზნეობრივ გახრწილებასა და ფიზიკურ ჭუჭყს შორის, გამგუდველ ჰაერში, ადამიანის სახედაკარქულ პატიმართა გვერდით... ერთი დღე მეორესა ჰგავს, მესამე მეორეს პირია... ნირშეუცვლელი, მოსაწყენი... საშინლათ მოსაწყენი... არავითარი ვარჯიშობა გონებრივი, გინა ფიზიკური... ასე გადის ერთი კვირა. იწყება მეორე. თენდება შობა. ციხის უფროსი, გამსჭვალული ქრისტეს სიყვარულით, შემოდის სატუსაღოში ბრწყინვალე დღესასწაულის მოსალოცავად. ეტყობა, ზრუნავს ჩვენის სარწმუნოებრივის გრძნობისათვის... პირადად მე ქრისტეს შობის მოლოცვასთან ერთად ტელეგრამა გადმომცა და მომილოცა: ვაჟიშვილი შეგძენია, ღმერთმა გაჩუქოსო! უზომოდ გამაოცა

მისმა სანტიმენტალიზმა. ჩემს თავსა ვკითხევი: ნუ თუ ამ სპირების დახავსებულ გულშიაც ჩარჩენილა ადამიანური გრძნობის ნასახი-მეთქი?... მაღლობა გადავუხადე.

ყინვა მატულობს, რათგან მეორე პერიოდი ყინვის გაძლიერებისა სწორეთ შობაა და ყინვასაც შობის ყინვას (Рождественские морозы) ეძახიან. ორი მეტრი პერიოდი მაგარი ყინვებისა – სანათლისლებო და მირქმისა (креещенские და стретенские) წინ გვიდევს. ასე რომ საცაა, ზამთრის მეორე ნახევარში გადავდებით.

ამასობაში სატუსალოთა ინსპექციაში სწყდება ჩვენი ბედი. აქ უნდა გამოირკვეს, რომელი ტუსალი ირკუტსკის რომელ მაზრაში უნდა გაიგზავნოს. როგორც ვიცით, ირკუტსკის გუბერნიაში სულ ხუთი მაზრაა: თვით ირკუტსკისა, ნიჟნეუდინსკისა, ბალაგანსკისა, ვერხოლენსკისა და კირენსკისა. თითოეულ მაზრას უჭირავს დაახლოვებით 160.000 კვ. კილომეტრის სივრცე ანუ ორჯელ მეტი იმ სივრცეზე, რაც საქართველოს უჭირავს. მთელი ირკუტსკის გუბერნია გადაჭიმულია 800 ათას კვ. კილომეტრის სივრცეზე, ანუ 82 მილიონ ჰეკტარზე! ამ მაზრებში ყველაზე შორეული და ჩრდილოეთის ყინულიან ოკეანეს დაახლოვებული მაზრაა – კირენსკისა, სადაც მოთავსებულია (ბოდაიბოში, მდ. ლენის ნაპირების მახლობლად) ეგრეაზნოდებული ლენას მადნები და სადაც ძველად იძულებითს სამუშაოებზე იგზავნებოდენ როგორც არაპოლიტიკური, ისე პოლიტიკური საკატორლო ტუსალები. ამ მაზრაში ნასვლა შესაძლებელი იყო მხოლოდ მდ. ლენაზე ნავიგაციის გახსნის დროიდან, ე. ი. მაისის პირველ რიცხვებიდან. მანამდე ირკუტსკში ჩამოყვანილებს და ამ მაზრაში გასაგზავნებს ამყოფებდენ ალექსანდროვსკის საკატორლო ციხეში (ირკუტსკიდან 35 კილომეტრის მანძილზე).

კირენსკის მაზრას ადამიანის საცხოვრებლად ირკუტსკის გუბერნიის მაზრათა შორის ყველაზე ცუდი სახელი ჰქონდა დამსახურებული. და სამართლიანადაც! ჯერ ეს ერთი – მისი ცენტრი, სამაზრო ქალაქი კირენსკი, სადაც რაღაც 20-30 კომლი ითვლებოდა, ირკუტსკს დაშორებულიყო 700 კილომეტრით. მთელს მაზრაში მიწის მოსავალი არაფერი მოდიოდა, ასე

რომ ყველაფერი – პური თუ სხვა სანოვაგე, შიდა ციმბირიდან მიჰქონდათ მდინარე ლენას საშუალებით, მოსახლეობა ძალზე თხელი იყო, ისიც 5-10 კომლიან სოფლებისაგან შესდგებოდა. იქ გავზიავნილს, განსაკუთრებით პოლიტიკურს დამნაშავეს, სამუშაოს რისამე (რა თქმა უნდა, ფიზიკურის) იმედი ტყუილათ არ უნდა ჰქონოდა; ათასში ერთი გლეხი თუ მისცემდა სამუშაოს და ეს სამუშაო იძულებით სამუშაოს უდრიდა: დღელამე მუშაობისათვის მომუშავეს გასამრჯელოდ სწორედ იმდენი პური და კართოფილი ეძლეოდა, რომ შიმშილით არ მომკვდარიყო. არაჩვეულებრივის ჯანის პატრონი უნდა ყოფილიყო გადასახლებული, აქაურ გლეხის მოთხოვნილებისათვის გაეძლო. ხშირი იყო გადასახლებულთა თვითმკვლელობა ამ ნიადაგზე. თუ კაცმა მონადირეობა იცოდა და თოფიცა ჰქონდა, ამით კიდევ, ასე იქნებოდა თუ ისე, თავს გაიტანდა. მაგრამ გადასახლებულთა შორის მონადირე და ისიც თოფის პატრონი ათასში ერთი თუ გამოერეოდა.

ახლა თქვენ სიცივე იკითხეთ ამ მაზრისა! 50–55 გრადუსი-ანი ყინვები ჰყინავს ყველაფერს, რის გაყინვაც შესაძლებელია. სწორეთ ამ მხარეში ბინადრობდა მეოთხე ხანის ცხოველი ელეფას პრიმიგენიუსი (პირველყოფილი სპილო), რომელსაც ყინულიან ოკეანეს სანაპიროების მცხოვრებმა იაკუტებმა მამონტი დაარქვეს. ეს ცხოველი გეოლოგიურ მეოთხე ხანაში ევროპის სითბოს გაექცა და რათგან ცივი ადგილები უყვარდა, შეეხიზნა ციმბირის ჩრდილოეთით ყველაზე ცივ ადგილებს ყინულეთის ოკეანესაკენ, მისი თითო ეშვი 7 მეტრ სიგრძისაა და ინონის 200 კილოს ან წყვილი ეშვი ინონის 400 კილოს (25 ფუტს)! ასეთ სიმძიმე ეშვებისათვის ცხოველს ოღონდაც რომ საშინლად ღრმა და მაგარი ალვეოლარული ღრუები უნდა ჰქონოდა! სიმაღლე ცხოველის ქეჩისთან აღემატებოდა 5 მეტრს.

მამონტის უხრწნელი სხეული ყინულში აღმოეჩინა ინგლისელ ბუნებისმეტყველს ადამის 1799 წელს მდინარე ლენას შესართავებისაკენ, ჩრდილოეთის პოლარულ სარტყელის მახლობლად. ადამის მაშინათვე აღეძრა შუამდგომლობა მთელის ცხოველის გატანის შესახებ. მაგრამ სანამ წალების ნებას მისცემდენ პეტერბურგის ძველებური ბიუროკრატები, გასულა

მთელი ორი წელიწადი და ამასობაში ზოგი აქაურ მცხოვრებ იაკუტებს თავის ძალებისათვის უჭმევიათ ასეთ ძვირფას აღმონაჩენის ხორცი, ზოგიც გარეულ ნადირებს ეჭამნათ. თვითონ ჩინჩხი და ერთი ნაწილი ტყავისა პეტერბურგის მუზეუმში იქმნა გადატანილი. და აქედან ევროპის მუზეუმებს დაურიგდათ თითო რამ ნაწილი ამ საოცარი ცხოველისა. პარიზის მუზეუმში ერთი ბეწვია იმ ეკზემპლიარისა დაცული, წმინდა კანაფის სიმსხო.

მამონტების ეშვებს ხშირათ და ბევრგან ჰპოულობენ ციმბირში და ეს ძვლები, როგორც სპილოებისა, დიდის აღებ-მიცემობის საგანს შეადგენს. როცა მამონტი ამ მხარეში ცხოვრობდა, ცხადია, საკვებიც უნდა ჰქონდა და ბლომადაც. დღეს კი მამონტის ნაცხოვრებ ადგილას არაფერი მოიძევა, ხავსი თუ-ღაა დარჩენილი აქა-იქ. ყინულია, ყინული და ისევ ყინული! ყინული კი შეუძლებლადა ხდის საერთოდ რამე ორგანულ-მა იარსებოს და, მაშასადამე, უკანასკნელი სამყოფელი ადგილი მამონტისა ციმბირის ეს ნაწილი უნდა ყოფილიყო და აქვე უნდა მოსპობილიყო, სადაც დღეს მხოლოდ ამონათხრად-ლა ვპოულობთ მის ნაშთსა.

კირენსკის მაზრა მეზობლადაა ამ საშინელ ადგილებთან. ასე რომ აქ დასასახლებლად ადამიანი ადამიანმა, თუ სადმე სამართალია, არ უნდა გაიმეტოს. მაგრამ გაციმბირებულთ ხომ აყრილი გვერნდა ყოველგვარი ლირსება და პირადი უფლება, მოკლებული ვიყავით უფლებას, საზოგადოების წევრებად ჩაგვეთვალნა ჩვენი თავი, ყველას უფლება ეძლეოდა, როგორც უნდოდა, ისე შეელახნა ჩვენი პიროვნება, კანონი ჩვენ არ გვიფარავდა, ერთგვარათ კანონს გარეშე გამოცხადებულები ვიყავით.

და ამიტომ ირკუტსკის საგუბერნიო სატუსალო ინსპექცია დასასახლებელ ტუსაღებს ირკუტსკის გუბერნიის სხვადასხვა მაზრებში ასე ანაწილებდა: დაყოფილები ვიყავით ეროვნები-სა-და მიხედვით და ჩვენი საცხოვრებელი მაზრაც ამის კვალად უნდა შეერჩიათ. ქართველებს, პოლონელთ, უკრაინელთ და ებრაელთ – კირენსკის მაზრა; რუსებს – ვერხოლენსკისა და ბალაგანსკის მაზრები, ხოლო ქალებს – ირკუტსკზე ზედ-

მიკრული მაზრები ირკუტსკისა და ნიუნე-უდინსკისა. ამ მაზრებში, გარდა კირენსკის მაზრისა, უალექსანდროვსკოდ, შეიძლებოდა ზამთრის ყველა დროში მარხილებით გაგზავნა გადასახლებულებისა, რათვან ამ ოთხის მაზრის უუშორესი პუნკტი მხოლოდ 400 კილომეტრით ჰშორავდა ირკუტსკს.

კირენსკის მაზრა სხვა მაზრებისაგან კიდევ იმით განირჩეოდა, რომ გადასახლებულს იქიდან გამოქცევა ისე ადვილათ არ შეეძლო. სუმრობა საქმე ხომ არ იყო 1000 კილომეტრის მანძილის გამოვლა უფულო კაცისათვის! და იქ გაგზავნილს იშვიათათ თუ ვისმე ექნებოდა სამყოფი ფული, ყოველსავე შემთხვევაში, ზამთარში მარხილით წამოსასვლელად და ზაფხულში კიდევ, ნავიგაციის დროს, გემით! ეს გარემოება კარგათა ჰქონდა გათვალისწინებული საგუბერნიო სატუსალო ადმინისტრაციას, როცა გადმოსახლებულის ბეჭ-ილბალს ასე თუ ისე სწყვეტდა.

ჩემი ამხანაგი იარაღის შემოტანის საქმეში ელიზბარ ჩარტია აქ ჩამოუვანიათ ნოემბერში; გადაუწყვეტიათ კირენსკის მაზრაში გაეგზავნათ. მაგრამ რათვან მაშინ პირდაპირ კირენსკში გზა შეკრული იყო, გაზაფხულამდე, ნავიგაციის გახსნამდე, ვერხოლენსკის მაზრის სოფელ ზნამენკაში გაუგზავნიათ. გაზაფხულზე კირენსკში წაიყვანეს კიდეცა, მაგრამ იმ ზაფხულსავე (1909 წ.) ბოდაიბორში გადასულა. მეორე ამხანაგი კირილე კორშია ჩემს სატუსალოში ყოფნის დროსვე საავადმყოფოში გადაიყვანეს. მერე აქვე გარდაიცვალა. ზოსიმე ხუბუასათვის აც კირენსკში გაგზავნა გადაუწყვეტიათ და წაიყვანეს ალექსანდროვსკის საკატორლო ციხეში ზამთრის გასატარებლად.

ბოლოს მე და მაქსიმე გასვიანსაც გამოვიცხადეს კირენსკის მაზრაში გამგზავრება. ჩვენთვის ეს ამბავი, რა თქმა უნდა, მოულოდნელი არ იყო. შევუდექით მზადებას. ჯერ, ჩვეულებრივ, ალექსანდროვსკის საკატორლო ციხეში უნდა გადავეყვანეთ. ამიტომ წინადღით საერთო კამერიდან მეორე კამერაში გადაგვიყვანეს, სადაც დაგვირიგეს ყველას ტყაპუჭები და მატყლისგან მოთელილი წალები (ვალენკები), რომ ფეხით სიარულის დროს სიცივისათვის გაგვეძლო.

ახლა მე და მაქ. გასვიანი იმის ფიქრში ვართ, თუ როგორ

დავალნიოთ, თუნდ 4 თთვითაც, ალექსანდროვსკის საკატორ-ლო ციხეში ყოფნას თავი. დაუყოვნებლივ წაყვანისაგან ერ-თად-ერთი – ავადმყოფობა გვიხსნის, ორგანიზმის დასუსტე-ბა. ესენი მე-კი არ მაკლია, მაგრამ გასვიანის გარეგნობა კაცს ყველაფერს ეუბნება, გარდა სისუსტისა და ავადმყოფობისა! მაინც ბედი უნდა ვცადოთ და დილით, წაყვანის წინ, გამოძა-ხების დროს, უნდა ვიწვნეთ იატაკზე და ადმინისტრაციას ვაჩ-ვენოთ, რომ ადგომისა და მით უფრო სადმე ფეხით გამგზავ-რების თავი არა გვაქვს. შემმოწმებლად ერთი ფერშალია. სით-ბოს საზომმა 38° აჩვენა ჩემი ტემპერატურა და საავადმყო-ფოში წასაყვანად გამწერა, გასვიანისა კი ნორმალური. ამი-ტომ გასვიანს პირდაპირ შეუტია – ადექიო. იმასაც დაავიწყდა თავისი განზრახვა გაუნძრევლად წოლისა და ერთბაშათ მთე-ლის თავისი სიმაღლით რომ აიყუდა, ფერშალს გული გაუხეთ-ქა ამ არაჩვეულებრივის სიმაღლის კაცის ნახვამ და ულაპა-რაკოდ კარგათმყოფებში ჩარიცხა და სხვებთან ერთად ალექ-სანდროვსკის ციხის გზას გაუყენეს. გაზაფხულზე კირენსკში წაუყვანიათ. იქიდან იმ წელსვე გამოქცეულა სამშობლოში და იქვიღასაც მარცხად შემოჰკვდომია.

VI

საავადმყოფოში. – საავადმყოფოს ბატონ-პატრონები და წესი. – პან სიგიზმუნდი. – შემოწმება. – საავადმყოფოს მკვიდრნი. – პან სიგიზმუნდის „ყსიკოიტელინე“ ანუ „დასამ-შვიდებელი“. – ექიმი ქალი. – დამბლად ჩავარდნილი. – ავადმყოფების მკურნალობა. – მიცვალებულების დასაფლა-ვება და შესანდობარი. – გაზაფხულის ნიშნები. – გამგზავ-რების მოლოდინში.

მომათავსეს საავადმყოფოში, სამ-ოთახიან ხის შენობა-ში. ერთ დიდ და თითქმის სუბთა ოთახს ყველა მხრითგან ფან-ჯრები ეკეთა, ასე რომ სინათლე უხვად შემოდიოდა. ინვაოცამ-დე ავადმყოფი. მასპინძლად დამიხვდა კირილე კორშია, ჩემზე წინ მოყვანილი, და როგორც ჭლექით მძიმე ავადმყოფი, აქ და-ეწვინათ. საწოლი საწოლს მივუდგით, დავაარსეთ პატარა კო-

მუნა და ერთმანეთს შევფიცეთ, ამ უცხო ხალხში მოქცეულნი ყოველსავე განსაცთელს ერთობრივის ძალით შევეგებებოდით და შევებრძოლებოდით.

ავადმყოფებს მომვლელად და ყურისმგდებლად გვყვანდა ერთი პოლონელი ტუსალი, პან სიგიზმუნდი, რომელსაც სამი თთვე-ლა დარჩენოდა სატუსალოში გასატარებელი, მისი გაქცევის შიში არა ჰქონდათ, ენდობოდენ, მიხვედრილი და ნავალი კაცი იყო და საავადმყოფოს ყურისგდებაც მიუნდვიათ და ისიც პირნათლათ უძლვებოდა მისთვის დაკისრებულ საქმეს. ეს კაცი იმავ დროს ძალაუნებურად ასრულებდა საავადმყოფოს ფერშლის თანამემნის როლს. თვით ფერშალს კანონადა ჰქონდა დადებული – ფხიზლად მაშინდა ყოფილიყო, როცა პილატეს ცრემლი მისთვის მიუნდომელი იქნებოდა. მაგრამ რათგან საავადმყოფოს აფთეეკაში სპირტი ანუ სპირტზე დაყუნებული წამლები სულ მუდამ იყო, ესეც იშვიათად იკლებდა ამ სიამოვნებას. გარდა ამისა, ტუსალები ქალაქში თუ რასმე დავსაქმებდით (წაცნობებთან წერილის წალება, პასუხის მოტანა, რისამე ყიდვა), ყოველთვის გასამრჯველოდ მანეთი ჰქონდა დადებული ჩვენგან და რასაც ჩვენი კორესპონდენტი დაალევინებდა ან ფულად მისცემდა, ის კიდევ სხვა იყო.

საავადმყოფოში შემოსვლის მესამე დღეს ექიმმაც გვინახულა. შემამონმა. აღმოაჩინა: malaria, scabies, საერთო სისუსტე ცუდის კვებისაგან, anemia, ფეხები დაწყლულებული ბორკილებისა და ფხანისაგან... ყველა ეს სამყოფზე მეტი იყო, რომ ერთ სამ კვირას მაინც არ გამოვეშვეთ საავადმყოფოდან და, ყოველ შემთხვევაში, კირენსკის მაზრაში არ გავეგზავნეთ, როგორც ყველა მაზრებზე გაუსაძლისში და იმის მაგიერ ირკუტსკზე უფრო მახლობელ მაზრაში „დავესახლებინეთ“.

ცეცხლი გვენთო ოთახში გაუქრობელი. სითბო 16° სულ მუდამ იდგა. საჭმელად გვეძლევოდა თეთრი პური, ხშირათ ბორშჩი და უფრო ხშირა „კაშა“. თუ ჩვენი ულუფა არ გვეყოფოდა, სხვა ავადმყოფებისაგან ორ-სამ კაპიკად კერძს სულ მუდამ ვშოულობდით. ზოგჯერ ძალაუნებურათ ვყიდულობდით კერძებს, რათგან გახურებული მოყვარულები იყვნენ ქალალდის თამაშობისა, რომლის დროს ზოგი არტისტი აგებდა

პარტნერთან თავის კერძ თეთრ პურს, „კაშას“ ერთის დღი-სას, ორის დღისას და მეტისასაც. იყო შემთხვევა, რომ წაეგოსთ მთელის ათის დღისა და მერე სამადლოთ მონარჩენებს ვაძლევდით და იმით გამოდიოდენ იოლათ.

ავადმყოფები მდაბიო ხალხი იყო, ქუჩიდან მოკრეფილი, ზოგი უპასპორტობისა, ზოგი ნერილი ქურდ-ბაცაცობისა და მის მსგავს დანაშაულისათვის, ზოგიც პირდაპირ უბინაო ყოფილა და განგებ შეჰეჩებია ხელისუფლების წარმომადგენელს, რომ აქეთ წამოეყვანათ. ერთის სიტყვით, თავმოყრილი იყო ისეთი ხალხი, რომელსაც აქაურულათ უიგან-ს ეძახიან და რომელთათვის არ არსებობს *ni foi, ni loi!*, არ უტირისთ ცოლ-შვილი, თავს იქით საზრუნავი არა აქვსთ, არა ჰყავსთ არცა ტომი, არცა თვისი, ვისაც საცა დაუღამდება, იქავ გაუთენ-დება, მათი ლეიბი – დედამიწაა, ხოლო საბანი – ცაა. ასეთს ტიპებს ზამთარში უჭირსთ განსაკუთრებით და ცდილობენ ზამთრის პირას ისეთი დანაშაული ჩაიდინონ, რომ თავი და-აჭერინონ, გარეთ ზამთრის სუსს თავი აარიდონ, გადახუ-რულში მოექცნენ და გაზაფხულდება თუ არა, ისინიც გარეთ სიხარულით მიეგებნენ ბუნების განთავისუფლებას ზამთრის ბორკილებისაგან, მისს გამოღვიძებას...

საავადმყოფოში სალაპარაკოდ დრო ბევრი, საჭიროზე მეტი გვაქვს... თანაც აქ ყველაფერი ხელს გვიზუობს ერთმანერთს გული გადავუშალოთ, ჩვენი წარსული ისეთივე, როგორც ყოფილა, უფერ-უმარილოდ ერთმანერთს გავაცნოთ, არა დავუფაროთ რა. არავის გვეშინის, რიდი არავისი გვაქვს. ადამიანმა, ჩვენმავე მსგავსმა ადამიანმა გვიყო მაქსიმუმი იმისა, რაც შეეძლო ექმნა, დაუზოგველად. ეს საიდუმლოს ზიარყოფა ერთ-გვარი მოთხოვნილებაა ჩვენის ბუნებისა: დარდს ვიქარვებთ, სალმობითა ვიმსუბუქებთ, დრო მიგვაქვს... მერე ისიც აქაურ ზამთრის გრძელი, წერეთლის მწვადივით დაუსრულებელი ღამეები!.. მერე რა არ ესმის ადამიანის ყურს, თუ თანამოსაუბრე წააქეზე კიდეცა იმით, რომ აჩვენე – ყურს უგდებ, მისი ნათქვა-მი თქვენს გულსა ხვდება!.. კაცის-კვლა სულ უბრალო რის-

1. არც რწმენა, არც სინდისა (გამომცემლის შენიშვნა).

თვისმე, გახრნა მცირენლოვანთა, სოდომელთა და გომორელთა გზით გავლა, კერძო საკუთრების უპატივცემულოდ მოპყრობა, ერთის სიტყვით, მოსეს ათისავე მცნების უბოდიშოდ დარღვევა ისე, რომ დამრღვევმა თუნდ ერთის წუთითაც არ იგრძნოს მხილება სინიდისისა, რომელიც თუ გააჩნია, ისიც ჩანასახი იქნება ამ სოციალურ უთანასწორობის, პურუუზიულ დამყაყებულ ცხოვრების, თვითმყრობელობის დესპოტის. მსხვერპლებს, თანამედროვე ეგრედნოდებულ ცხოვრების უკანონოშვილებს, კაცობრიობის ორგანიზმის ამ მეტხორცებს რომ უსმენდით, მათს მარტივს თავგადასავალს, მათის მარტივისა და ენერგიულის სიტყვებით შეფერადებულს ყურებში რომ ვუშვებდით, გულსა გზარავდათ, ადამიანის კეთილშობილ გრძნობათა აშფოთება უმწვერვალესობამდე აღწევდა... მაგრამ, წარმოიდგინეთ, ნელ-ნელა ამასაც შევაჩვიეთ ყური...

ახლა მათი ლაპარაკი იკითხეთ! მოლაპარაკეს მიერ მისი მსმენელის დედის შემკობა წმინდა რუსულ შესამკობ სიტყვებითა მათში ერთგვარი მასალაა მეტყველებისა. ამათს პირში საგინებელ სიტყვებს პირვანდელი და პირდაპირი მნიშვნელობა მსმენელის გრძნობის შეურაცყოფისა სრულებით დაკარგული აქვს. ერთი ნამდვილი ვირტუოზი გვერია ამ საქმისა. გამარჯვების სიტყვასაც-კი უეჭველათ დედის გინება უნდა დაატანოს, თითოეულ მისა სიტყვას თან ახლავს უკაცრაული სიტყვა. აქაურ მდაბიოსათვის უკაცრაული სიტყვა არ არსებობს, მისთვის ზედმეტი ბარგია. ამ მხრივ აქაურების მეტყველების პირველყოფილ მდგომარეობაში არიან, როცა ყველა სიტყვა, რითაც კი გამოიხატვოდა აზრი პირველყოფილ მეტყველისა, კარგი იყო, მოსაწონი. მხოლოთ სულ გვიან ათი ათას წლებს შემდეგ დაიწყო ადამიანმა დიფერენციაცია, დახარისხება სიტყვისა, მათვის ამა თუ იმ მნიშვნელობის მიცემისა, სანამ არ მიაღწია პარიზის სალონების დახვეწილ, დაწმინდავებულს, ნარნარ უბნობას. პირველში გვაოცებდა, რომ მსმენელი, ვისაც მიმართავდენ ასეთის სიტყვებით, არც-კი თაკილობდა, ბუნებრივად მიაჩნდა! წარმოიდგინეთ, ამასაც (დიალ, ამასაც!) შევაჩვიეთ ყური, მხოლოთ ყური... თან მავიწყდების, რომ ოდესლაც მინახავს ევროპის ქალაქებიცა, ცხოვრებულ-

ვარ მოწინავე ხალხთა შორის, დაკვირებივარ ამ ხალხთა ავსა და კარგს... განმეძარცვა ყოველი სამოსელი ცივილიზაციისა, ლამის არის, შევითვისო თვისებები იმ წრისა, სადაც მეცა ვტრიალებ, ვითარცა სრულუფლებიანი წევრი მისი, რომელიც ვალდებულია დაემორჩილოს კანონებს მისას, კანონებს, რომელთაც პირველყოფილ მდგომარეობამდე დაპყავსთ ადამიანი... წინაც მედო სარბიელი, ახალ, უარეს პირობებში უნდა მოქცეულყოყავ, ახალი სურათები უნდა მენახნა, უმეტესად მუქები... მაშინ? მაშინ რაღას ვიტყოდი ჩემს თავზე, შემრჩებოდა ღა ნასახი ადამიანობისა? ვეჭვდი...

როგორცა ვთქვით, ექიმი კვირაში ერთხელ გამოჩნდებოდა, ზოგჯერ ფერშალსა ჰქითხხავდა ავადმყოფის ამბავსა და თუ ფერშალი ეტყოდა, მშვიდობააო, ამით დაკმაყოფილდებოდა და შიგ არც კი შემოვიდოდა. ასე რომ ფერშლისა, ანუ უკეთა ვსთქვათ, მომვლელ სიგიზმუნდის, იმავე ფერშლის თანაშემწის სინამარა ვრჩებოდით. თუ მძიმეთ იყო ავად ვინმე და სერიოზი მოვლა-ყურისგდება სჭირდებოდა, ასეთს ავადმყოფს მორჩინის ყოველი იმედი უნდა გადაეწყვიტნა. და თუ, ამასთან ავადმყოფობა ისეთის ხასიათისა იყო, რომ მომვლელს მისთვის ღამით ადგომა და შეწუხება მოუხდებოდა, ასეთის ავადმყოფის ამბავი რადიკალურათა სწყდებოდა: პან სიგიზმუნდი ავადმყოფზე ფერშალს ეტყოდა: ეму უსიკოიტელი და სისამშვიდებელი წამალი უნდაო. ეს „უსიკოიტელი“ ნიშნავდა მისთვის ღიდ დოზას, რომელიც ფერშალს ავადმყოფისათვის კანქვეშ უნდა შეეშხაპიებინა. დიახ, მორფის, აქაურ საავადმყოფოს ენაზე სმენისათვის ეს ტკბილი სახელი „დასამშვიდებელი“ რომ ერქვა, შეუშხაპუნებდა თუ არა ფერშალი, ავადმყოფის სალმობანი ხელათ თავდებოდენ და გადადიოდა იქ, „სადა იგი არა არს ჭირი, მწუხარება, არა ურვა, არცა სულთქმა, არა-მედ სიხარული და ცხოვრება იგი დაუსრულებელი“...

პან სიგიზმუნდი იმისთვისაც ჰერუნავდა, რომ მისთვის ჩაბარებული ავადმყოფები საეკლესიო წესების შეუსრულებლად არ წასულიყვნენ სულეთში. ამიტომ მღვდელიც მოჰყავდა საავადმყოფში, რომ სააქაოდან განსაშორებლად განმზადებულ-თათვის აღსარება ეთქმევინებინა და საიდუმლო ზიარება მიე-

ლებინებინა. როცა დაინახავდა, რომ უსიკითხები რამდენისა-მე ადამიანისათვის უნდა გაეკეთებინებინა, მაშინ რათა მოძლ-ვარი რამდენიმეჯერ მისვლით არ შეეწყებინა, სთხოვდა, ყვე-ლასათვის ერთად ეთქმევინებინა აღსარება და ეზიარებინა კი-დეც. სულიერ მამას ჭკუაში უჯდებოდა პრაკტიკულ და ცხრა ჩლაში¹ გამოვლილი პან სიგიზმუნდის რჩევა და თითო მისვლაზე ნარდათ სამ-ოთხ კაცს ერთად აზიარებდა. ამის შემდეგ ფერშა-ლი დაასრულებდა საქმეს და ისიც რამდენიმეჯერ რომ არ მისუ-ლიყო, ერთბაშად „ამშვიდებდა“ მლვდლის ნაზიარებ ხალხს...

ერთი დამბლადაცემული უპატრონო მოხუცი მოიყვანეს. მოძრაობა სრულებით არ შეეძლო. ენაც წართმეული ჰქონდა. მხოლოთ ღმულდა პირუტყვივით. ერთ გვერდიდან მეორე გვერ-დზე პან სიგიზმუნდის დახმარებით უნდა გადაპრუნებულიყო ჯირკვივით. საღამოს რა გვერდზედაც დააწვენდა, მეორე დი-ლასაც იმავე გვერდზე დაუხვდებოდა. საჭმელს პან სიგიზმუნ-დი თავის ხელით აჭმევდა. ნახევარზე მეტად წყალნარევ რძეში ჩაუყრიდა პურს და ასე ჩაბუუბუუბულს პურს კოვზითა სტე-ნიდა პირში (სწორეთ, სტენიდა!). ასე შვრებოდა ორ დღეს. მესა-მე დღეს დაალევინებდა საფალარათოს, რომ ზეთს ორის დღის ნაჭამი ერთბაშათ გამოეტანა გარეთ და ამ გვარათ სიგიზმუნდს ხშირათ არ დასჭირებოდა სარეცელისა და ავადმყოფის საც-ვლის წმენდა. ამასობაში ავადმყოფს მთლად გაევსო თმა-წვე-რი მკენარებითა; რაკი თვითონ წინააღმდეგობას ვერ უწევდა, პარაზიტები ცოცხლივა სჭამდენ ადამიანსა.

ექიმი სადღაც წასულიყო და ერთ დღეს იმის მაგიერ ექიმი ქალი მოვიდა და ავადმყოფებს ჩამოუარა. პან სიგიზმუნდმა გამაბრთხილა: ამ ექიმმა ფრანგული იცისო. გადავზევიტე, ამ ყველასაგან მოძულებულ მხარესა და პირობებში გამომეყე-ნებინა ჩემი ფრანგულის ცოდნა, გამოვლაპარაკებოდი ამ ენა-ზე, შემეჩივლნა ჩემი მდგომარეობა და აგრეთვე ზოსიმე ხუ-ბუასი, რომელიც ალექსანდროვსკის ციხეში იყო გაგზავნილი

1. ცხრა ჩლაშია გამოვლილი – გამოცდილი, ბევრის მნახველი, გამოცვე-თილი (თეოდო სახოეთა, ქართული ხატოვანი სიტყვა-თქმანი, 1979, გვ. 828) (გამომ-ცემლის შენიშვნა).

და ჩემგან მოელოდდა შველას. ექიმი სახტად დარჩა და უფრორე გაუკვირდა და თან გაუხარდა, ოდეს ისიც ვუთხარი, რომ პარიზის სამი არ ვიყავი. აღმოჩნდა, რომ ექიმობა პარიზში უსწავლია და საერთო ნაცნობებიც აღმოგვაჩნდა ამ ქალაქში... გულდასმით მომისმინა და დამპირდა – ორივესთვის შევაცვლევინებ მაზრებსა და კირენსკის მაზრის მაგიერ ვერხოლენ-სკის მაზრაში გავაგზავნინებ თქვენს თავსაო. მით უფრო, რომ დასუსტებულები ყოფილხართ და ისიც სამხრეთის ნაზ ბუნების შვილებიო!.. დაპირება სიტყვა-სიტყვით აასრულა. არ გაუვლია სამ დღეს, ისე ზოსიმე ხუბუა ალექსანდროვსკის საკატორლო ციხიდან ისევ ირკუტსკში დაბრუნეს და ჩემთან ერთად მოათვასეს საავადმყოფოში. დამავიწყდა ამ კეთილშობილის ადამიანის გვარიცა და სახელიცა. შეიძლება ცოცხალიც აღარ იყოს. თითქმის მეოთხედ საუკუნის ამბავი გახლავსთ. მარად მახსოვს მისი პატივისცემა და გულკეთილობა იმ გაჭირვების ჟამს, დიდის სასოებით და მაღლობით მოვიგონებ ამ მოყვასის სიყვარულით გამსჭვალულს პიროვნებას, რომელმაც მაშინ უეჭველს სიკვდილს გადაგვარჩინა ორ-ორი ადამიანი. ჩვენი ერთი ამხანაგთანი ელიზბარ ჩარტია, რომელიც კირენსკში გაიგზავნა, იქვე ჩარჩა სამუდამოდ. მეორე – კირილე კორშია ირკუტსკშივე გარდაიცვალა.

ექიმი-ქალი ჩვენის გასინჯვის შემდეგ დაადგა დამბლად ჩავარდნილს კაცსაც. რო დახედა პარაზიტებისაგან ცოცხლად შეჭმული ადამიანს, გული შეჭზარა და ვეღარ მოითმინა საყვედური არ ეთქვა მომვლელისათვის: თქვე დალოცვილო, ამ საცოდავს თმა-წვერს მაინც მოვაშორებდი მაგრატლითაო!.. მოატანინა მაგრატელი და საკუთარის ხელით გაუკრიჭა როგორც გრძლად გაზდილი თმა, ისე მოშვებული წვერი. დაარიგა მომვლელი – დაეპანა და ყური ეგდო, და ნავიდა. მომვლელი, რა თქმა უნდა, განაწყენებული დარჩებოდა ექიმის შენიშვნით და გულში გადასწყვეტდა ამ შენიშვნის მიზეზით ავადმყოფის შური სასტიკათ ეძია... არაფერს დაპრიდებოდა, თუნდაც ავადმყოფის სიცოცხლეც შეენირნა თავის შურისძიების გრძნობისათვის... მართლაც და, მეორე დღეს, ფერშალი რომ მოვიდა, პან სიგიზ-მუნდმა ამ ბედისაგან განწირულ ავადმყოფთან მიიყვანა და

„დასამშვიდებელი“ გააკეთებინა. ოცს წუთს უკან მომვლელი სხვა ავადმყოფების დახმარებით გარეთ მიათრევდა რკინის სა-ნოლსა და ზედ დასვენებულ უსულო გვამს ადამიანისას...

გამოტეხილი უნდა მოგახსენოთ, რომ ამ თავისებურმა „მკურნალობამ“ ძალიან დამაფიქრა და ვერ ვიტყვი, არ შევეში-ნებინე... ყოველსავე შემთხვევაში, სიპროტეოლისათვის, ჩემს გვერდით მყოფებთან, ზოსიმე ხუბუასთან და კირილე კორშიას-თან თათბირი გავმართე: თუ ღმერთი განწყრებოდა და ასეთი „მკურნალობა“ დასჭირდებოდა რომელსამე ჩვენთაგანს, უფრო უკეთესად მყოფნი, შესაძლებლობის ფარგლებში, არ დავთან-ხმებოდით საავადმყოფოს საექიმო პერსონალის მოქმედებას...

დანამდვილებით მითხრეს, ციხის ადმინისტრაციამ და თვით ექიმმა მშვენივრად იცოდენ, თუ რა რიგ ანარმოებდა საექიმო დაბალი პერსონალი „კურნებას სენთა და უძლურე-ბათა კაცთასა“, მაგრამ ასეთნაირად სულეთს გასტუმრე-ბულთ ადამიანებად არავინა სთვლიდა, ასეთი ამბავი ანომა-ლურად არავის მიაჩნდა, კანონისა არ ეკრძალებოდათ, თან იცოდენ, არავინ გამოეკიდებოდათ... მერე ჩემთვის იყო ახა-ლი ამბავი, თორემ მათვის ჩვეულებრივი ყოფილა, ბუნებ-რივი... თუ გნებავსთ, ერთგვარი სპორტიცა.

ერთხელ პან სიგიზმუნდს შინაურულათა ვკითხევი: რათ აძლევთ ამ „ყისიკონტენი“-სა ავადმყოფებს-მეთქი? და სრუ-ლებით დამშვიდებულათ მიპასუხა: ტყუილათ იტანჯებიან, სულერთია, ერთხელაც არი, უნდა მოჰკვდენ, და რომ ბოლო მოვულოთ მათს ტანჯვას, ჩვენც ასეთს საშუალებას მივმარ-თავთო... მივხვდი, რომ წმინდა კაცთმოყვარული გრძნობა ამოქმედებდათ... იმასაც მივხვდი, რომ კაცთმოყვარების მცნე-ბის განმარტება ბევრნაირადა ყოფილა შესაძლებელი...

გვიანრელე, როცა ამ საკვირველებათა მხარიდან ევროპა-ში ვილტვი, ფრანგულ გაზეთებში ერთს დროს დიდი განგაში ასტყდა სწორეთ იდენტურ საქმისა გამო. საფრანგეთის ქალაქ ლიონის ერთ საავადმყოფოში ავადმყოფების კურნების დროს ერთი ექიმი სწორედ ისეთსავე საშუალებას მიჰმართავდა, რო-გორსაც მისი ირკუტსკელი კოლეგები ხმარობდენ. მხოლოდ განსხვავება ის გახლდათ, რომ ფრანგ ესკულაპს მხოლოთ ექ-

ვსი თუ შვიდი გაუსტუმრებია ad patres, ისიც მაშინათვე გაუგი-
ათ, თანაც გამორკვეულა, რომ ასეთის საქმის ავტორი სრულ
ჭკუზე არა ყოფილა და ერთგვარის ფსიხოზის გავლენით მოქ-
მედებდა თურმე. ყოველსავე შემთხვევაში, ირკუტსკელებს ეს
ამბავი რომ სცოდნოდათ, უფრო თამამად მოიქცეოდენ (თუმ-
ცა დარწმუნებული გახლავართ, ეს სითამამე არ აკლდათ)...

ერთს დღეს, გარეთ, საავადმყოფოს ეზოში სეირნობის დროს
შემთხვევით შევიხედე საავადმყოფოს გვერდით მოთავსებულ
ფარდულში, სადაც საძურებლო იყო მოთავსებული და 10 მკვდა-
რი დავთვალე, ერთმანერთს მიწყობილი. პან სიგიზმუნდს ვკით-
ხევი, თუ რატომ არ ჰლირსებოდათ ამ მიცვალებულთ დასაფ-
ლავება, და იმანაც ასე განმიმარტა: სანამ მათი რიცხვი ოცამ-
დე არ ავა, აქედან არ დავძრავთო. თურმე ეკონომიის საქმე ყო-
ფილა, ზედმეტის ხარჯის გაწვეისა ერიდებოდათ თურმე. და ეს
მით უფრო ადვილი მისალწევი იყო, რომ ოცის რიცხვის შევსე-
ბას დიდი დრო არ დასჭირდებოდა და მეორეც აქაურის ყინვე-
ბის წყალობით მიცვალებულს არხეინად შეეძლო ელოდნა თუნდ
თვეობითაც – გახრწნისა არ უნდა ჰშინებოდა. ოცამდე რომ ავი-
დოდა, დურგალი კუბოს შეუკრავდა და ქრისტიანულის წესე-
ბის შესრულებით მინას მიაბარებდენ.

სულ რამდენიმე დღე დასჭირებოდა, რომ ფარდულის დრო-
ებითის მდგმურების რიცხვი ოცამდე ასულიყო. გავიხედოთ, ორ
მარხილისათვის დაუწყვიათ ათ-ათი სადა კუბო (რა თქმა უნ-
და, შეულებავი), იმნაირადვე სადა, რამდენადაც სადანი იყვნენ
თვით შიგმდებარენი, თოკები გადაუჭირებიათ და ეზოდან გა-
სატანად მოემზადნენ. ჭირისუფლად პან სიგიზმუნდი მიუძლო-
და და მეკუბოვებად (იგივე საფლავის მთხრელები) ორი ტუსა-
ლი მიჰყვებოდა. პან სიგიზმუნდი და მეკუბოვენი ჭირისუფლურ
და გარემოების სახამსო გუნებაზე ყოფნაზე შორს იყვნენ. პირ-
იქით: სახე უბრწყინავდათ, იღიმებოდენ: მოელოდათ ქალაქში
გავლა, მიცვალებულების შესანდობრად არაყის დალევის შემ-
თხვევა ექნებოდათ... ეს იყო მათის მხიარულების მიზეზი.

სასაფლაოზე წაუსვენებიათ, რა თქმა უნდა, უმღვდლოდ
და უმუსიკოდ. ციხიდან წაყვანილ ტუსაღებს-მესაფლავებს
რკინის კეტებით და წარაქვებით უმტვრევიათ ყინვისაგან ერთ

მეტრზე ქვად ქცეული მიწა, ამოუთხრიათ ოცის კუბოს ჩასატევი „საძმო“ საფლავი, იქ დახვედრილ მღვდელს მცირე (ალბათ) პანაშვიდი გადაუხდია ყველასათვის ერთობლივ და, რა თქმა უნდა, იმის ძიებას არ გამოსდგომია, ყველანი მართლმადიდებელნი იყვნენ, თუ სხვა სარმატულნოების ხალხიც ერია შიგა და შიგ, შენდობა უთქვამს, ხოლო მათი სარმატულნოებრივად გადარჩევა და მათთვის სათანადო სულეთში წასვლა მათ-მათს ღმერთებისათვის მიუნდვია. პანაშვიდის შემდეგ სართულ-სართულ ჩაულაგებიათ კუბოები, და ზემოდანაც გაყინული მიწა წაუყრიათ და წამოსულან ჯერ დუქანში შესანდობარის დასალევად. სალამოს 7 საათზედ-ლა დაბრუნდენ საავადმყოფოში, კარგა შეჭირული კუბულნი... იმის მოლოდინსა და ნატრაში, რომ მალე მეორე პარტია „გაეპატიოსნებინათ“ და მიებარებინათ ამ ყველაფრის მიმპარებელ მიწისათვის... კარგახანს ეყოთ ამ „გასვენების“ ტემა სალაპარაკოდ და ნერწყვის ყლაპვით მოგონება „შესანდობარისა“...

გავიდა „მირქმის“ ყინვები (Стретенские морозы). ზამთრის სიცივეს ღოჯი მოსტყყდა. მზეს სიცხოველე დაეტყო, ჰაერში სითბოს სუნი დადგა. საწვიმურებზე დაკიდებულმა ლოლოებმა წვეთა იწყეს... და ხმა ამოიღეს აქამდე განაბულმა ბეღურებმა... ამ გასაცოდავებულ ფრინველთა ხმიანობა შევადარე ჩვენში გაზაფხულზე თბილ ქვეყნებიდან ახლადმოიფრენილ მერცხლების გულისამატოკებელ ჭიკჭიკსა... თუმცა გაზაფხულამდე, ესე იგი, ყინულის გადნობამდე, მთელი ორი თვე იყო, მაგრამ ყველას გულს იმედი ესახებოდათ, რომ თუმცა გვიან, მაგრამ მაინც გავიდოდა ზამთარი, მისი სუსხი, ადგილს დაუთმობდა გაზაფხულს, მაინც ეღირსებოდენ მზის სითბოს...

აქაურებზე მეტად სულსწრაფად მოველოდით ბუნების ამ ნანინანატრ განახლებას, ოდეს გველირსებოდა განთავისუფლება ტყვეობისაგან, აქედან წასვლა მაზრაში საცხოვრებელ ადგილას დასაბინავებლად, მერე იქიდან ლტოლვა დასავლეთისაკენ, ისევ დაბრუნება ადამიანებისაკენ, ადამიანურ ცხოვრებისაკენ... მაგრამ ეს უკვე ოცნების სამეფოში გადასვლა იქნება და მოდით, ფრთა შევაკვეცოთ ფანტაზიას და ისევ და-ვუბრუნდეთ რეალობას, პროზას...

თითქმის ნირშეუცვლელად მიღის საავადმყოფოს ცხოვ-
რება... პან სიგიზმუნდი და მისი კომპანიონი ფერშალი ძალას
ატანენ მორფის, „უსპოვოიტელნები“ არ ეზოგებათ ავადმ-
ყოფთათვის, ამათაც სააქაო ამბავი მიაქვსთ წინაპრებთან...
ქალალდის თამაში, კერძების წაგება... უკაცრაული სიტყვა-
პასუხი პან სიგიზმუნდის სამწყსოსა... გაუთენებელი ღამეები...
დაუსრულებელი და მტანჯველი სიზმრები, სიზმარში ხედავ:
მოგდევენ, გიჭერენ, გამწყვდევენ, დასახვრეტად ემეტებით...
ხელიდან უსხლტებით... მერე ისევ თავიდან იწყება: იგივე მაჯ-
ლაჯუნა სიზმრები. გრძელდება... გრძელდება დღეს, ხვალ, მა-
ზეგ... სანამდე? ადამიანი – ვიმეორებ მეასეჯერ, – სანამ სუ-
ლი არ ამოხდება, ყველაფრის შემჩვევი, ყველაფრის მომთმე-
ნი, ყველაფრის გამძლე ცხოველი, ყველა ცხოველზე უცხოვე-
ლესი ყოფილა-მეთქი...

VII

ციმბირი და მისი წარსული. – სხვადასხვა სახე სასჯელი-
სა. სახალინი და ოსეპ ლალაშვილი. – გაციმბირებულები
ძველად. – ნ. ჩერნიშვესკი. – გ. ზდანოვიჩი და სხვა ქართვე-
ლები ციმბირში. – ადმინისტრაციულის წესით დასჯა. – სა-
ეტაპოდ გამოწყობა. – ყინულის უდაბნო. – კონვი. – ძვე-
ლებური ტანჯვა – ანინდელთან შედარებული.

ორ-სამ დღეში უკვე უნდა გაგვიყვანონ საავადმყოფოდან
და გაგვიყენონ მარხილებით ჩვენს დასასახლებლად ადგილი-
საკენ მიმავალ გზას. თითქმის ნახევრადთავისუფლებმა უნ-
და ვუცქიროთ ციმბირს პირისპირ, ახლო, თვალი თვალში გა-
ვუყაროთ იმ მხარეს, რომლის მარტო ერთი სახელის გაგონე-
ბა ტანში ურუანტელს უტარებდა ძველათ ყველას.

სანამ გზას დავადგებოდეთ, გაკვრით მოვიგონებთ ციმ-
ბირის წარსულს და იმას, თუ რას წარმოადგენს იგივე ციმბი-
რი დღეს.

როგორც მოგეხსენებათ, ციმბირი ამ სამას წელს წინათ
დაიპყრეს რუსთ ხელმწიფის თავზეხელაღებულმა ყაზახუ-
სებმა ერმაკის მეთაურობით. მხარე იყო ბუნებით მდიდარი,

სამოსახლო ადგილები აუარებელი, მაგრამ მცხოვრებთა ჭა-ჭანება არსად იყო, თვინიერ ველურებისა, რომლებიც აზიის შორეულ სანაპიროებზე სცხოვრობდნენ.

რაკი ციმბირში თავის ნებით არავინ მოდიოდა, მთავრობამ ძალადობას მიჰმართა და ყველა დამნაშავეთ და ურჩ ელემენტებს ციმბირში ჰეზავნიდა დასასახლებლად. ეს ამბავი იწყება მე-XVII საუკუნიდან. მე-XVIII და XIX საუკუნეებში სისტემად გადაიქცა ციმბირის „დასასახლებელ“ „მასალის“ გზავნა. ფეხით მიღოლენ გადასახლებულნი ცოლშვილიანათ, უნდა გაეარნათ 8-9 ათას კილომეტრის მანძილი, რამდენსამე წელიწადს ანდომებდენ ამ მგზავრობას, გზაში ბუზებივით იხოცებოდენ სიცივისა, შიმშილისა, დალლილობისა და ათასგვარ ნაკლებობისა-გან... მაგრამ ასში ოცს რომ ჩაეღნია და შესდგომოდა აქაურ ველურ ბუნებასთან და პირობებთან ბრძოლას, ისიც პლუსად ითვლებოდა აქაურობის დასახლების თვალსაზრისით. შემდეგ-ში ციმბირი თავის შესაფარებელ ადგილად გადაიქცა ყველა კაცისმკვლელისა, ქურდისა და ავაზაკისათვის, ვისაც სასჯელი-სა ეშინოდა და შინ არ ედგომოდა; მორბოდენ ციმბირისაკენ ყმები, ვინც ბატონებს გაანაწყინებდენ და სხვა გზა არ დარჩენოდათ, თუ არ აქეთკენ ლტოლვა, თუ უნდოდათ ბატონის რის-ხვისათვის (და მკაცრი რისხვისათვის!) თავი დაეღნიათ. მე-XIX საუკუნის დასაწყისში წელიწადში 7-8 ათასი კაცი იგზავნებოდა ციმბირში ევროპის რუსეთიდან. ხოლო იმავე საუკუნის და-სასარულს ეს რიცხვი წლიურათ 200,000-მდე ავიდა.

სისხლის სამართლის დამნაშავეთ, რომელთაც ციმბირში ჰეზავნიდენ სასჯელის მოსახდელად, მე-XIX საუკუნის და-საწყისიდან მიემატნენ პოლიტიკურნი ანუ პოლიტიკურ საქ-მეთა გამო დამნაშავენი. ციმბირის გადაკარქულ მხარეებში მათს გზავნასაც აზრადა ჰქონდა ციმბირის დასახლება. პო-ლონეთის 1831 და 1863 წ.წ. აჯანყების დროს რუსეთის მთავ-რობამ ათი-ათასობით გამოგზავნა მარტო პოლონელები და ჩამარსა ციმბირის ტაიგებში და ტუნდრებში. ციმბირისავე გზას გაუყენეს სამეგრელოში 1854 წ. ბატონების წინააღმდეგ აჯანყებულნი ყმანი, ციმბირშივე გაგზავნეს კახეთის აჯან-ყების მონაწილენი.

ციმბირში ჰეზავნიდენ იმისთვისაც, რომ მუშა-ხელი მი-ეწოდებინათ საკატორლო (იძულებითი) სამუშაოსათვისაც კა-რაზე და ირკუტსკის გუბერნიაში (კირენსკის მაზრაში – ბო-დაბიპოში) მდებარე ოქროს მადნებში. აქ იძულებით ამუშავებ-დენ როგორც პოლიტიკურებს, ისე სისხლის სამართლის და-ნაშაულისათვის კატორლამისჯილებს. ამ ორისავე კატეგო-რიის ტუსალებს თითქმის მუქთად ამუშავებდენ. მათი ბედ-იღ-ბალი გაუნათლებელ და გამხეცებულ მეთვალყურეების ხელ-ში იყო, რომელთაც ყოველივე ადამიანური გრძნობა და სიბ-რალული გულიდან ამოგლეჯილი ჰქონდათ და მათს ხელში ჩაცვინული ტუსალები განიცდიდენ ყოველგვარს დამცირე-ბასა როგორც ფიზიკურსა, ისე ზნეობრივსა. იმდროს ხშირათ მიჰმართავდენ ურჩ ტუსალების დასჯის ერთგვარ სახეს – გან-კეპვლას: დაანკვენდენ ადამიანს, ჩახდიდენ და საჯდომზე მა-ნამდე სცემდენ, სანამ ზედამხედველი საკმაოდ არა სცნობდა. ზოგი წკეპლას ქვეშ ჰკვდებოდა კიდეც; ხშირი იყო ასეთის ოპე-რაციის შემდეგ გაგიჟება, თავისიმოკვლა... ასეთის ამბებით სავსეა მაშინდელ დროის ციმბირულ სასჯელის მსხვერპლთა მატიანენი.

როდესაც დამნაშავენი სასამართლოს მიერ მისჯილ საკა-ტორლო სასჯელის ვადას მოიხდიდენ, უშვებდენ ციმბირში და-სასახლებლად. კატორლაში ყოფნით განაწამებს ადამიანს, უსალსროს, უიარაღოს უნდა აეშენებინა ციმბირის ტაიგაში სახლი და ეცხოვრნა ისევე, როგორც იმაზე წინ აქ მისული და დაბინავებული გლეხი სცხოვრობდა.

მე-XIX საუკუნეში, სამოცდაათიან წლებში, კოლონიზაცი-ის აზრით რუსეთის მთავრობამ დაიწყო გზავნა კატორლამის-ჯილებისა კუნძულ სახალინზე, სადაც ბუნების სიმკაცრის გა-მო ყოვლად შეუძლებელი იყო კოლონიზაციის მოწყობა ფარ-თო მასშტაბით. ხალხი იხოცებოდა, მაგრამ მთავრობას თავის ეკსპერიმენტებისათვის აბა რაში დაეზოგებოდა ხალხი! 1886 წ. აქ იყო გაგზავნილი, სხვათა შორის, როგორც სისხლის სა-მართლის დამნაშავე ტფილისის სასულიერო სემინარიის ნა-მოწაფარი იოსებ ლალიაშვილი, მკვლელი იმავე სემინარიის რეკტორის, დეკანოზ პავლე ჩუდეცკისა. ი. ლალიაშვილს იმ-

დენათ გაუსაძლისს პირობებში უხდებოდა სასჯელის მოხდა, რომ გადასწყვიტა, რადაც უნდა დასჯდომოდა, გაქცეულიყო სახალინიდან. მისულა ზღვის პირას, სადაც უნახავს სულ პანია ნავი, რომელშიაც თავგანწირულის მეტი არავინ ჩაჯდებოდა თურმე. ლალიშვილს გადაწყვეტილი ჰქონდა: ბედი ეცადნა, ჩამჯდარიყო ნავში და ზღვა თუ სადმე საადამიანო ქვეყანაში გაჰრიყავდა, ხომ რა კარგი, თუ არა და დახრჩობა ერჩივნა სახალინზე ტანჯვას. როგორც ვიცით, ბევრის წვალების შემდეგ, იაპონიაში გასულა, იქიდან ამერიკაში ამოუყვია თავი, სადაც 1913 წ. გადაცვლილა.

გაციმბირებულთ ძელათ თავზე თმას ნახევარ მხარეზე გადაუპარსავდენ. ტანთ ნაცრის ფერი მაზარები ემოსათ, ზურგზე სათამაშო ბანქოს კიკო ჰქონდათ ამოჭრილი ყვითელის ფერისა, ხოლო ფეხებზე ჩუსტები (კოთა) ეცვათ. ყოველს კატორლელს ფეხებზე რკინის ბორკილები ჰქონდა გაყრილები, კოჭებს ზემოდან დაჭედილები. შუა წელი ბორკილისა ზევით არის, აკეთებს სამკუთხედს, რომლის წვერი ლაჯვებშია აწეული და ქამარზე მობმულ თასმით დამაგრებული. ასე დაბორკილი ტუსალი 7-8 ერთმანერთზეა გადაბმული და ისე მიდიან. თუ რომელსამე მათგანმა ან წაიფორხილა, ან განზე გაინია, მაშინათვე წონა-სწორობა ირლვევა, რასაც დანარჩენი ტუსალები მაშინათვე იგრძნობენ, რათგან უეჭველათ უნდა ეტკინოსთ. უფრო ღონიერი უფრო სუსტს (ან სუსტებს) მიათრევს, სანამ თვითონაც არ დასუსტდება და, მიუხედავად ნერვებაშლილ და ალრენილ კონვის თოფის კონდახებით წაქეზებისა, არ დავარდება. ასეთი „მოგზაურობა“ გრძელდება წლობით, 10–15 ათას კილომეტრის მანძილზე, როგორც ზაფხულის სიცხეში, ისე ზამთრის სიცივეში, დარსა თუ ავდარში, წვიმასა თუ თოვლქვეშ. „არ შემიძლია“, „დამასვენეთ“, „ცოტა დავიცადოთ“ – ს თქმა არ შეიძლებოდა. გამხეცებულის სალდათების ხელში ჩაცვივნულთ თოფების კონდახებით მოაკრეფინებენ ხოლმე უკანასკნელ ღონეს. ბედნიერი (ანუ, უკეთ, უბედური) თუ გადაურჩებოდა ამ „ეტაპს“. გაციმბირებულისათვის სასჯელის უმთავრესი ნაწილი – ეს „მგზავრობა“ იყო. ვინც ამას გადაურჩებოდა, ზნეობრივათ მინასთან გასწორებული და ფიზიკურათ

დაუძლურებული, თითქმის ლეშად ქცეული შეუდგებოდა სასჯელის მოხდას.

რუსეთის დესპოტიამ ამ ციმბირში ყოფნით ჩამარხა თავისი საუკეთესო შვილი 60-იან წლებში მთელის ნახევარ საუკუნის განმავლობაში თავის იდეალუბზე აღმზრდელი რუსეთის ახალგაზდობისა, ბუმპერაზი აზროვნობისა, ზინეთი სიპრძნისა, რაინდი კეთილშობილებისა, მოციქული საზოგადოების გარდაქმნის იდეებისა – ნიკოლოზ ჩერნიშევსკი. სასამართლომ მიუსაჯა 7 წლის საკატორლო სამუშაო. ეს სასჯელი ნ. ჩერნიშევსკის ციხეში მოახდევინეს, მერე თავისუფლათ უნდა გაეშვათ იმავე ციმბირში, დაესახლებინათ ისეთს ალაგას, საცაადამიანს ეცხოვრებოდა. მავრამ ხელმწიფის სატრაპებმა ესეც ვერ გაიმეტეს მისთვის, რათგან მეტად საშიშო კაცად, სახელმწიფოს ძირის გამომთხრელადა სთვლიდენ. და ისედაც ჯანგატესილი მწერალი იმის მაგიერ, რომ ორკუთსკის გუბერნიის რომელსამე პატარა სოფელში დაესახლებინათ, გადასტყორცნეს ირკუტსკის იქით 750 კილომეტრის მანძილზე, ტყეებსა და ჭაობებს შორის და ცოცხლივ დამარხეს პანანუნა ქალაქ ვილუსკში. აქ ორ-ორი ჟანდარმი იმასთან ერთად ქოხში სცხოვრობდენ, რომ თვალყური ედევნებინათ მის ყოველ ნაბიჯისათვის და აქედან გაქცევის საშუალება მოესპოთ. და ამგვარად გაატარა ათეული წლები მთელს ქვეყნიერებას მოზყვეტილმა ნ. ჩერნიშევსკიმ, ფიზიკურად დამარხეს „Что делать“ -ის ავტორის კოლოსალური შემოქმედებითი ნიჭი, რომელსაც, ვინ იცის, კიდევ რა გონებრივის საზრდოს მიწოდება შეეძლო თავის ქვეყნისა და ხალხისათვის!... კიდევ ვინ მოსთვლის, რამდენი დიდი ნიჭი და-იმარხა ციმბირის ტუნდრებსა და ტაიგებში, რამდენმა კეთილშობილმა ადამიანმა მიიტანა ხალხის სამსახურის სამსხვერპლოზე მთელი თავისი გონებრივი ძალა, ფიზიკური არსებობა... რამდენმა მონამებრივის სიკვდილით გაათავა თავისი დღენი!.. მეტად და მეტად გრძელია მათი მარტიროლოგი...

გვიანრელე, 70-იან წლებში, ამავე ციმბირში გაატარეს თავის ახალგაზდობის საუკეთესო დღენი, ჯერ საკატორლო ციხეებში ყოფნის შემდეგ რუსეთის სარევოლუციო მოძრაობის კორიფეებმა და მშვენებამ (ცნობილ 50-ის პროცესიდან): გიორგი

ზდანოვიჩმა (გ. მაიაშვილმა), ალექსანდრე ციციშვილმა, ანთი-მოზ გამყრელიძემ, მიხეილ ჩიკოიძემ, ივანე ჯაბადარმა.

ამათ მიჰყვნენ: ალექსანდრე ნანეიშვილი, მიხეილ ყიფიანი, სტეფანე ჭრელაშვილი. კიდევ ცოტა გვიან – გიორგი ლას-ხიშვილი და კონსტ. მესხი. ეს უკანასკნელი გაგზავნილი იყო ჯერ აკმოლინსკის ოლქში, ქალაქ კოკჩეტავში და მერე პეტ-რე-პავლოვსკში 5-ის წლით, ხოლო გ. ლასხიშვილი სემიპალატინსკის ოლქში, ქალ. უსტკამენოვორსკში. ორნივე გაგზავნილ იყვნენ 1889 წ. უმართებულესის სენატის განსაკუთრებულ თათბირის დადგენილებით 5 წლით.

ეს ამბავი იყო მე-XIX საუკუნის მეორე ნახევარში. მას შემდეგ ციმბირში ბევრი რამ გამოიცვალა. ჯერ ეს ერთი და უმთავრესი – გაიყვანეს მთელს ციმბირზე – ურალიდან ვლადივოსტოკამდე – რკინის გზა, ასე რომ მოისპო ფეხით ტარება გაციმბირებულთა და საკატორლო ხალხისა. ახლა საშუალებაა – მთავარი გზა ურალიდან მოკიდებული რკინის გზით გაიაროს გაციმბირებულმა და უფრო ჩქარის ტემპითაც. მეტი სისწავე რაღა გნებავსთ: მანძილი ქუთაისიდან ირკუტსკამდე – 9000 კილომეტრისა, რასაც ძველად რამდენსამე წელი-ნადს (დიახ, წელიწადს!) ანდომებდენ, ახლა გავიარეთ 25 დღეში! წინსვლაა და მერე როგორი!...

მაგრამ რომანოვების აგენტებმა წინსვლა კიდევ სხვა საქმეშიაც გამოიჩინეს. ადმინისტრაციას წინათ უფლება ჰქონდა მხარში ამოსდგომოდა სახელმწიფო სასამართლოს და იქ, სადაც ეს სასამართლო უძლური იყო – დამნაშავე პასუხისმგებაში მიეცა, დანაშაულის დამამტკიცებელ აშკარა საბუთების უქონლობის გამო, სცენაზე გამოიდოდა ადმინისტრაციის თვითნებობა და ეს ადმინისტრაციაც გვერდს უვლიდა სასამართლოს პროცედურას და „თავის შეხედულებით“ თავიდან იშორებდა საზოგადოების „არასასურველ ელემენტებს“, რომელიც, თუნდაც კანონიერების ფარგლებში, მათ ურჩობას უწევდენ. საკმარისი იყო, პროვინციაში მცხოვრებ მამასახლისს თვალში არ მოსვლოდით, მამასახლისს ბოქაულთან დაებეზღებინეთ, ბოქაულს – მაზრის უფროსთან, მაზრის უფროსს – გუბერნატორთან, და ამასაც სრულებით ეადვილებოდა – იმავე ეტაპით, რა

ეტაპით ჩვეულებრივი ტუსაღები მიჰყავდათ ხოლმე, გაეგზავნეთ ციმბირის სულ უშორეს მხარეში, მაგალითად, ტურახანსკის მხარეში, იაკუტსკში... და მათს იქითაც... და, მე თქვენ მოგახსენებთ, ერთის წლით, სამის, ოთხის და ხუთის წლითაც ნუ გეშურებოდათ... ემატეთ სხვებსა და დაასახლეთ ციმბირის უდაბნოებით. ადმინისტრაციულის წესით მე-XIX საუკუნეში, საქართველოდან, მაგალითად, უფრო რუსეთის შიდა გუბერნიებში იგზავნებოდა ხალხი და არც ისე ბითუმად. ევროპის რუსეთიდან კი – ციმბირში. სამაგიეროთ, 1905-ის რევოლუციიდან მოკიდებული ადმინისტრაციის თარეშმა და თავგასულობამ პირდაპირ ეპიდემიური ხასიათი მიიღო, სისტემად გადაიქცა.

რეაქციის გაძლიერებისათანავე ასობით და ორასობით, მთელის სოფლების მოსახლეობას მოსწყვეტდა ყოველ კუთხიდან თავნასული ადმინისტრაცია, ბრალიანსა თუ უბრალოს, მოხუცსა თუ ახალგაზდას, ქალსა თუ კაცს განუკითხველად მოჯხვეტდა ციმბირის შორს გზას ყოველგვარ იწროებასთან პლუს ბუნების სიმძაფრესთან საბრძოლველად. და აი, ივსებონდა ციმბირის შორეული ადგილები ადმინისტრაციის მსხვერპლებითა, უმწეოებითა, უსახსროდ შთენილებითა, არსებობის საშუალებას მოკლებულებითა...

და აპა, ჩვენც ორ-სამ დღეში უნდა გამოვეშვით ამ სულ-თქმისა, ურვისა, ცრემლისა და დაუსრულებელ მწუხარების მხარეში. მართალია, წარსული ამ ქვეყნისა შავბნელი მოგონებებით იყო სავსე, აწმყო და მომავალი მისი იმას გვიმზადებდა, რაც ორივ ხელით უძლევია ნინამოადგილეთათვის, მაგრამ... მაინც გვიხაროდა თავისიუფალ, თუნდ პირქუშ ბუნებაზე გამოსვლა, გვიხაროდა, რომ ბოლოს გადავრჩებოდით ხიშტიან სალდათის ყურებას, სულთამხუთავივით თავს რომ გვადგა, ყოველს ჩვენს ნაბიჯს კონტროლს რომ უკეთებდა...

თებერვლის 20-ს (ეს რიცხვი კარგათ, სულ კარგათ მახსოვეს, დაუვინყარიც იქნება ჩემთვის) ნასადილევს გამოვგიძახეს საავადმყოფოში და მე და ზოსიმე ხუბუას, – უნდა გადავეყვანეთ სატუსაღოს იმ კამერაში, სადაც ტუსაღებს ამზადებენ საეტაპოდ. გამოვეთხოვეთ პან სიგიზმუნდს და მადლობა შევსწირეთ, რომ ჩვენზე არ დასჭირდა თავის „დამამშვიდებე-

ლის“ ძალის გამოჩენა. გამოვეთხოვეთ კირილე კორშიასაც, რომელიც საავადმყოფოში დარჩა და ჩვენს შემდეგ სულ რამდენიმე თვეს არ გაუვლია, გადაცვლილა კიდეც.

საეტაპო კამერაში ყველას დაგვირიგეს ტყაპუჭები და მოთელილი ნაბდის წალები, როგორც პოლიტიკურებს, ისე არაპოლიტიკურებს. ჩვენს ეტაპში სულ 20 კაცი იყო: 5 პოლიტიკური და დანარჩენები მცირე დანაშაულის ხალხი იყო. ესენი საცხოვრებელ სოფლებიდან გამოქცეულან, ირკუტსკში თავი დაუჭერინებით იმისთვის, რომ ზამთრის სიცივეში ერთხანს თავშესაფარი და საჭმელი ჰქონოდათ და მერე, ეტაპით წაყვანის დროს, ტყაპუჭები და ნაბდის წალები ჰრგებოდათ. ეს ნივთები ხელთ იგდეს თუ არა, გააჩაღეს ქალალდის თამაში და თითქმის ყველამ იმ ლამესვე წააგო, რაც დაურიგეს, ალბათ უიმათოთ სიარულისა არ ეშინოდათ. ამ ნივთებს გარდა ციხეში შემომიგ ზავნეს საზამთრო გვაპანაკი, საპანი და ერთი ხელი კოსტიუმი. ესენი მთელი გზა ზენარში გამოკრული მომქონდა, რათგან სანამ მათს ხელში ვიქენებოდი, ტუსალის ტანისამოსი უნდა მცმოდა.

მეორე დილას ადრიანა გაგვიყვანეს ეზოში, ხელებში ბორკილები გაგვიყარეს (პოლიტიკურებს), ათმა თოფიანმა ჯარისკაცმა შუაში ჩაგვიყენა და გაგვიყენა გზას. თან მოგვდევს მარხილი, რომელსაც მოაქვს ჩვენი ბარგი და გაჭირების დროს უნდა წამოიყვანოს მგზავრობისაგან დავარდნილი ტუსალი.

უკვე ნახევრად თავისუფლებად მიგვაჩნია თავი, რათგან რვა დღეში გაგრძელდება ჩვენი წახევრად თავისუფალი მგზავრობა და მერე გაგვიშვებენ იმ ვოლასტში, საცა მიწერილები ვართ. მზე მორცხვად, გაუბედავად გამოიყურება, მაგრამ მისი სახე მაინც დასანახავია ჩვენგან და სითბოს მსგავსს რასმე ვერძნობთ კიდეცა. დედამინაზე მტკაველის სილრმეზე მოსული თოვლი ქვასებრ გაყინულა და მინდორ-ველი, სადაც ჩვენი გზა მიდის, წარმოადგინს მთლიან ყინულის უდაბნოს. ათასში ერთხელ შემოხვდება მარხილები, ზოგი ტვირთისა, ზოგიც საჯდომი, მოჩუქურთმებულ ზურგიანები. ეტყობათ, მარხილი აქაურების ცხოვრებაში, გადასვლა-გადმოსვლის და ურთიერთობის საქმეში დიდს როლსა თამაშობს, რათგან წელიწადის უმე-

ტესი ხანი ზამთარია და გზები სამარხილეა. კიდეც ამიტომაა, რომ ასე ზრუნავენ მის გარეგნობისათვის; თვით შეძლებულება აქაურის გლეხისა მარხილის მდიდრულის ჩუქურთმიანობით და შიგ შებმულ კარგის ცხენებით განიზომება. მარხილში უბია დაბალი, გრძელფაფარა ციმბირული ცხენი. დღეში აქაურ ცხენს თამამად შეუძლია 100–140 კილომეტრის გავლა. აქაურ 35–50° სიცივეს თავისუფლათ უძლებს, მთელი ზამთარი გარეთ აბია, თავლა რა არის, არ იცის. წარმოიდგინეთ, ძროსაც-კი ბოსელში არ უყენით აქაურებს.

მწკრივში ორ-ორი მოვდივართ. სუფთა, თავისუფალი ჰაერი პირში რომ ჩაგვდის, ისე ვერდნობთ, თითქო საჭმელს რასმე ვჭამთო. თან მომავალის სრულის განთავისუფლების მოლოდინი მხნეობასა ვვმატებს, გულს სიხარულით გვივსებს. დღეში გასავლელი გვაქვს 25–35 კილომეტრი. პირველის დღის ეტაპი 35 კილომეტრიანია და ფეხითა გვაქვს გასავლელი. პირველში ყველანი ყოჩალად მივდივართ. პირადად მე ერთ დროს კარგ მოსიარულედ ვითვლებოდი, საათში 6 კილომეტრის გავლა თავისუფლად შემეძლო. ამიტომ ჩემის თავის იმედი მქონდა, სხვებს თუ არ გავუსწრებ, უკან მაინც არ ჩამოვრჩები-მეთქი. ის-კი დამავიწყდა, რომ ოთხ კედელ შუა ხანგრძლივის ჯდომით შეიძლებოდა სიარულს გადავჩვეოდი, დასუსტებულვიყავ კიდეც და მუხლებს ეღალატებინა. უკან ჩამორჩენა რომ დავაპირე, ხმალამოლებულმა კონვოის ჯარისკაცმა თავისებურათ შემომიკურთხა და პირველათ ამით წამაქეზა. განმეორება რომ მოვინდომე, ხმლით დამემუქრა... რომ ძალიან გამიჭირდა, კონვოის უფროსსა ვსთხოვე, ნება მოეცა ჩვენის ბარგის წარმომლებ მარხილზე დაჯდომისა. – „Ещё чаго захотел с... съи!...“ – შემომიტია და მანიშნა, სანამ თოფის კონდახი არ მოგხდომია, გირჩევნია ჭკუით იყვე და სხვებს ააყოლო ფეხებიო... სხვები კი, განსაკუთრებით კონვოის სოლდათები, სრულის სიჩქარით მიდიოდე... გადამავიწყდა ბუნების ჭვრეტა, მშვენიერ, პოეტურ სურათების ხატვა ჩემს გონებაში... უკანასკნელ ღონეს ვიკრეფდი ამ უკანასკნელ მომენტში ამდენს ტანჯვას ფუჭათ არ ჩაევლო. ამ ჯახირში ნახევარ საათით შეგვასვენეს და საუზმის ნება მოგვცეს იქვე, გზის პირას, ფიჭვებს ქვეშ.

მუცელი მოვატყუეთ, დაღლილ მუხლებს ცოტათი ქარი ამოვალებინეთ და კონვოის უფროსის (უნტეროფიცრის) შემოძახებაზე წამოვიშალენით და გავუდექით გზას. კონვოი იმიტომ გვიტატანებდა და ოთხანალებ იმიტომ მიგვარბენინებდა, რომ თვითონაც უკან, ირკუტსკში, მზიურ უნდა დაბრუნებულიყვნენ. გვიმტრიალებდენ, რუსულათ ჩვენის მიცვალებულების სულებს ლოცვა-კურთხევას უთვლიდენ... მომაგონდა ჩვენი წინამორბედნი, ვისაც ამავ გზით უვლიათ... მომაგონდა, თუ რა დღეში უნდა ყოფილიყვნენ, როცა ფეხით რაღაც 35 კილომეტრი კი არა ჰქონდათ გასავლელი, არამედ 4 და 5 ათასი კილომეტრი, ფეხებშებორკილებს, ერთმანერთზე გადაჯაჭულებს, წვიმასა, ავდარსა, თოვლში, უგზოობის გზით, რამდენისამე წლობით, როცა ამ გზაზე მოსახლეობა თითქმის არ იყო და, მაშასადამე, საჭმელ-სასმელის შოვნა ძალზედა სჭირდა და როცა სალდათებიც გაცილებით ჩამორჩებოდენ ახლანდელებს შეგნებითა და ადამიანის სიბრალულითა... და მაშინდა გავითვალისწინე წათლად, თუ რარიგ იტანჯებოდა ხალხი ძველათ ან რა მცირე იყო ჩვენი დღევანდელი ტანჯვა მათს ტანჯვასთან შედარებით!...

VIII

აღთქმის ქვეყანა – უსტ-ორდინსკი. – პირველი ღამე თავისუფლად. – სახელდახელო სასტუმრო. – ბრეშუო-ბრეშუოვსკაია. – მეორე დღე მოვზაურობისა. – გზა. – ჩვენი გამყოლი. – ციმბირის ველი. – ყინვა. უქარობა. – მოსახლეობა. – პოლიტიკურებსა და არაპოლიტიკურებს შორის უთანხმოების ჩამოვარდნა. – ჩხუბი. – არაპოლიტიკურთ მიერ ჩვენი სასიკვდილოდ გამეტება. – ბაიანდაი და ტუსალყყირგზის მიერ ჩვენი, როგორც ქართველების, გამოქომაგება. – რამდენსამე საეტაპო შენობაში მშვიდობით გადარჩენა. – კაჩუგა. – ვერხოლენსკამდე.

საათის ოთხზე, როგორც იყო, მივატანეთ აღთქმის ქვეყანას ჩვენს პირველს საეტაპო გასაჩერებელს – უსტ-უდინსკს. ეტაპის მისვლა – ერთგვარი მოვლენა იყო აქაურ ნირშეუცვლელ ცხოვრებისათვის. მთელი სოფელი ჩვენს საყურებლად გამო-

იშალლა. დაგვიხვდა ადგილობრივი წარმომადგენელი მთავრობისა. ჩვენს საგზაო საბუთებთან ერთად ჩვენი თავიც მას გადაძარა კონვოის უფრისმა, ხელბორკილები ვისაცა გვქონდა, აგვესნეს და უკანვე წაიღეს ირკუტსკში, რომ ცოტა ხანს შემდეგ ჩვენს მომდევნო ტუსაღებისათვის გამოსდგომდათ. ხოლო მამასახლისმა გამოგვიცხადა – არსად წახვიდეთ, აქვე გლეხების სახლებში გაჩერდით ამაღამ და ხვალ დილას გზას გაგიყენებოთ.

ჩვენს ყურებს არ ვუჯერებდით, რაც გვესმოდა!... ნუ თუ საპატიმროს ოთხ კედელ შუა არა ვართ და გარედან თოფიანი სალდათები აღარ ვვყარაულობენ-მეთქი?!.. პოლიტიკურებმა გადავწყვიტეთ ცალკე მოგვეძებნა ბინა ლამის გასათვი. მალეც ვიპოვნეთ. ჩვენს ბინას არცერთ ხარისხოვან სასტუმროს პრეტენზიები ჰქონდა არც გარევნულად, აღარც არსებითად, მაგრამ ჩვენთვის კი იმას კი ვერ შეედრებოდა ვერცერთი სატაჭო ქალაქის პირველ კლასის საუკეთესო სასტუმროს ნომერი! ჴო, ჩემმა მზემ! ჩვენი მასპინძელი გლეხი იყო აქაური, ანუ, როგორც აქ ეძახიან, ჩალდონი. მრგვალ ძელებისაგან შეკრული ერთთვალიანი სახლი ედგა. ძელსა და ძელს შუა დარჩენილი არეები ხავსით ამოეჩურთა და ზედაც ძროხის ფუნა წაეგლისა. ეს სახლი დღისით საცხოვრებელი სასტუმრო იყონ და ღამით საწოლ ოთახად იქცეოდა როგორც ჩვენისთანა სტუმრებისა, ისე მასპინძლის ჯალაბისათვის. შუაში იდგა ერთი გაჩირკნილი მაგიდა და ზედაც სამოვარი – აუცილებელი სამკაული და კუთვნილება აქაურის სახლისა – და რამდენიმე მერსი. ოთახის აღმოსავლეთ მხარეს ხატები ჰკიდია წინ გაუქრობელ ბაზმაკიანი. და შემსვლელი, სანამ შინაურებს მიესალმებოდეს, ქუდმოხდილი სამჯერ პირველს გადაისახავს ხატის წინაშე, სამჯერვე თავს დაუკრავს ხატს, და მხოლოთ მერე მიესალმება და მოიკითხავს მასპინძელს... მე ჩემს სიცოცხლეში პირველათ ვიყავ რუსის გლეხის ქოხში და ამიტომ ჩემთან ერთათ ჩემმა ამხანაგებმა, როგორც ხამებმა, პირველათ, ცოტა არ იყოს, წავიბორძიკეთ ამ სავალდებულო და აქაურებისათვის ელემენტარულ წესის ასრულებაში, სამაგივროთ შემდეგში სირცხვილი არსად გვიჭამია.

მასპინძელი სულზე თითო შაურს გვახდევინებდა ლამის გა-
სათევსა. ხელათ დაგვიდგა სამოვარი, ხოლო დანარჩენისათ-
ვის, რაც ჩაის უნდოდა, ჩვენ ვიზრუნეთ: ვიშოვნეთ პური, ძეხ-
ვი, შაქარი, გავაჩინეთ არაყიც. სანამ ინახად დავსხდებოდით,
ყოვლადის ერთგულებით დავიბანეთ საპნით ხელპირი. აუნე-
რელი იყო სიამოვნება, რომელიც ვიგრძენით, როცა საპნით გან-
ვიბანენით და განვიწმინდენით ორგანიზმისათვის იმ ზედმე-
ტის ნივთიერებისაგან, რომელსაც ასეთის ციხის პანსიონერი
უეჭველათ მიიკრიბს ხოლმე სხეულზე, რომელსაც მდაბიურათ
ჭუჭყს უხმობენ. თან ჩაისა ვსვამთ და თან ერთმანერთს ვულო-
ცავთ ციმბირის თავისუფალ მოქალაქედ გახდომას. ამასობა-
ში, დალლილთ ძილი მოგვეკიდა და ჩვენი სასადილო ხელად იქ-
ცა იმპროვიზებულ საწოლ ოთახად. მასპინძელს, რა თქმა უნ-
და, ბოდიშიც კი არ მოუხდია, რომ სტუმრებს ცარიელი საწო-
ლები მაიც არ შემოგვთავაზა. მაგრამ შემდეგშიაც, საცა კი
მომიხდა ყოფნა, სპეციალური საწოლი დასაძინებლად არსად
შემხვედრია. აღარც ჩვენებური საბან-ლები მინახავს სადმე.
აქაურები პირდაპირ იატაკზედ გაიშლიან ხოლმე ტყავებს და
ზევიდანაც ტყავებსვე გადაიხურავნ საპნების მაგიერ და მორ-
ჩა... ჩვენც ჩვენი ტყაპუჭები ძირს გავიშალევით, ბალიშების მა-
გიერ ჩვენი საგზაო ჩანთები ამოვიდევით თავთით, ზევიდანაც
ფარაჯები წავისურეთ და საკმაოთ გახურებულ ოთახში თავის
მიდება და ძილი ერთი იყო. ოღონდაც რომ მართალი უთქვამსთ:
ძილმა სასთუმალი არ იცის და შიმშილმა სანუკვარიო.

ჩვენი პირველი გასაჩერებელი სოფელი, როგორც მერე გა-
ვიგევი, ისტორიული სოფელი გამოდგა. როგორც მოგეხსენე-
ბათ, ეგრეთნოდებული „ბებია“ რუსეთის რევოლუციისა –
ბრძკო-ბრძკოვსკაია, რომელიც რამდენჯერმე გამოიქცა
ციმბირიდან, ერთხელ სწორეთ უსტ-ორდინსკიდან გამოქცე-
ულა. ირკუტსკიდან ჩვენსებ აქ რომ ჩამოუყვანიათ, სალდა-
თების მეთვალყურეობისაგან განთავისუფლებულა თუ არა,
უსარგებლინა და თავისთვის უშველნია. რა თქმა უნდა, მე-
გობრებს წინდაწინვე ყველაფერი გამოწყობილი დაუხვედრე-
ბიათ ამ დაუღალავ, ძველის ტიპის განმსახიერებელ რევოლუ-
ციონერ ქალისათვის.

ჰო და, ეს აქედან ლტოლვის განზრახვა ჩვენც ამ სოფელ-ში ჩაგვესახა, როგორც-კი მოგვხვდა სიო თავისუფლად ყოფ-ნისა, სალერლელი აგვეშალა და დღითი-დღე იზრდებოდა აზ-რი, ამუშავდა აზრი, ჰეროეფით ცნობებს, ვაკვირდებოდით გეოგრაფიულ რუკას, ვეცნობოდით გზებს... მაგრამ წინ ვუს-წრობთ ჩვენის თავგადასავლის თხრობას.

თებერვლის 22-ია. გათენდა დილა და ჩვენც ფეხზედა ვდგე-ვართ. ათ-თუთხმეტ მოსახლისაგან შემდგარ სოფლის შუა-გულში დგას სამი მარხილი, ჩვენს წასაყვანად განმზადებუ-ლი. იქვე დგას ხელისუფლების წარმომადგენელი – გზირი, ქურქში გახვეული და მხარზე ჩანთა გადაკიდებული. ალარც თოფი ჰკიდია, ალარც სხვა რამ ნიშანი ხელისუფლებისა თვინი-ერ ერთის ჯონისა. ღმერთო, რა კონტრასტია გუშინდელ საში-შარ, თოფებიან სალდათებსა და ამ უიარალო, მშვიდობიან კაცს შორის!.. ჩანთაში ულაგია ჩვენი სავზაო მოწმობები. თვლით ჩაიპარა 19 კაცი (ჩვენც მათს შორის) და გვიპრძანა ჩასხდომა მარხილებში, რომლებიც ალბათ ბეგრისები უნდა ყოფილიყვ-ნენ, გლეხების მიერ უფასოდ მოტანილნი. თითოეულს ორ-ორი ცხენი ება. პოლიტიკურები ცალკე მარხილში ჩავსხედით. და-ნარჩენებიც და მათთან ერთად გზირიცა სხვა ორ მარხილში მოთავსდენ და გავსწიოთ.

მისრიალებს მარხილები. სიცივე იყბინება, ყინვა ასე 30° თუ იქნება. ერთი ბენო ნიავი არსაიდანა ჰქირის. მარხილის ძირ-ში თივა გვიყრია და შიგა გვაქვს ნაბდისწალებიანი ფეხები წა-ყოფილები. ტანზე ტყაცუჭები, თავზე – ირკუტსკში დარიგე-ბული ციმბირული ქუდები, რომლებიც გვიფარავენ თავის ყვე-ლა წაწილს, ოდნავ ცხვირი გამოგვიყვია და თვალები გვიჩანს. პოლიტიკურები ასე თუ ისე გამოწყობილები ვართ სიცივეს-თან საბრძოლველად. მაგრამ თქვენ ისა ბრძანეთ, რა დღეში არიან ჩვეულებრივი ტყვეები, რომელთაც ირკუტსკიდან გა-მოსვლის წინაღამეს ახლათდარიგებული ტანისამოსი ზოგიქა-ლალდში წააგეს და ზოგიც ნახევარ ფასში გაჰყიდეს მეორე დღეს არყის შესაძენად!.. ზოგს ნასახი ემოსა ტანისამოსისა, მაგრამ ბედს მაინც არ ემდუროდენ. ბუნებაც როგორლაც მოწყალე თვალით ეპყრობოდა ამ ყველასაგან მოძულებულ

ადამიანთა. ეტყობოდათ, ხამები არ იყვნენ აქაურობისა, აქაურის ჰავისა, მასპინძლებივით მოდიოდენ.

ჩვენი მარხილები მისრიალებს ტრიალ მინდვრებს შორის. არსად ხე, აღარსად მცენარე რამ. მივდივართ უდაბნოში, სადაც ქვიშის მაგივრად გაყინული თოვლია. ეს არის აუზი აღმოსავლეთ ციმბირის ერთ უდიდეს მდინარის – ლენისა, რომელიც ტბა ბაიკალიდან 30 კილომეტრის მოშორებით ბაიკალის მთების ჩრდ.-დასავლეთ ქედიდან გამოდის და ერთხანს თითქმის პარალელად მოდის ბაიკალის ტბილან გამომავალ მდინარე ანგარასთან; მერე ლენა ჩრდ.-აღმოსავლეთ მიმართულებას ლებულობს, გაივლის მთელს ირკუტსკის გუბერნიას, კირენსკის ქვემოთ ერთის კილომეტრის სიგანე ეძლევა, გადადის იაკუტსკის მხარეში, იაკუტსკთან შვიდის კილომეტრის სიგანე მდინარედ იქცევა, დაუმიზნებს ჩრდილოეთს, უზარმაზარი მიაგორებს თავისს ტალღებს, სანამ არ შეერთვის ჩრდილოეთის ყინულეთის ოკეანეს, სადაც კეთდება ცნობილი უზარმაზარი დელტა ლენისა. იაკუტსკის მხარე ამოწყდებოდა, ლენა რომ არა ჰქონდეს. ხმელეთის გზა არ არის. ერთად-ერთი გზა და მიმოსვლის საშუალება – მდ. ლენაა. იაკუტსკის მხარეს ლენის საშუალებით აწვდიან უმთავრესად პურსა და სხვა საქონელს. თვით ველი, სადაც ლენა გაივლის მეტად ნოყიერია. ითესება ჭვავი და უხვადაც მოდის.

სოფლები თითქმის ყველა ლენის და მასში შემდინარე მდინარეების ნაპირებზეა გაშენებული. მდინარეზეა ზაფხულობით მათი მატერიალური კეთილდღეობა დამოკიდებული, იმით იბრუნებენ სულს. ნავებით თუ სამდინარეო ხომალდებით ათას კილომეტრის მანძილზე ნაირ-ნაირი ტვირთი, რაც ერთგან არ არის, ამ მდინარის საშუალებით მეორე, შუაგულ ალაგას გადააქცით. გარდა ამისა იგივე მდინარე ჰკვებავს ყველას ზამთარ-ზაფხულ იშვიათად გემრიელის თევზითა. ერთის სიტყვით, მდინარე იმავე კეთილისმყოფელის როლს თამაშობს, როგორსაც თამაშობდა იგი კაცობრიობის სიყრმიდანვე, როცა ადამიანთა კერები, საზოგადოებრივი ჯგუფები მდინარის გარშემო ჩნდებოდა, შენდებოდა სოფელი, რომელიც ათასის წლებს შემდეგ იქცეოდა დღევანდელ ქალაქად. ლენა

წარმოადგენს ამ სურათის ტიპიურ მდინარეს. აი, მდინარის გაყოლებაზე მიდის მოსკოვის ან დიდის ციმბირის ტრაკტი, რომლითაც ჩვენ მივყევართ.

დღეს გასავლელი გვაქვს სულ 25 კილომეტრი. დღე პატარა, სულ პატარა, სულ ბევრი – 7-8 საათს გრძელდებოდეს. შუა გზაზე ვჩერდებით, ვისვენებით ცოტახნით და მერე ისევ განვაგრძობთ სიარულს, სანამ არ შევალთ ერთს პატარა სოფელში, სადაც შეგვრეკავენ ერთს იატაკდამპალ, კედლებგამომპალ ხის შენობაში, რომელსაც აქაურულათ ტუსალების დასამწყვდევს სახლს ეძახიან. ცეცხლი ანთია, ჩვენც გაჭირვებით ჩაისთვის წყალს მოვიდულებთ და პირს ვატყუებთ. ჩვენი თანამგზავრი ტუსალები შურიანის თვალით უყურებენ ჩვენს „პურუუბას“: დაშაქრულ ჩაის დალევას და პურის შეტანებას. თვალში ეკლად ესობათ, რომ ჩვენ სოფელში შესვლისთანვე მათხებრ კარად-კარ დავრბივართ და ხელგაშვერილი არა ვთხოულობთ გლეხებს მიწავამლასა, თუ პურსა; ვერ შეჰრიგებიან იმ აზრსა, რომ შესაძლებელი იყოს – ტუსალი ტუსალთან ქალალდს არა თამაშობდეს და უფულოს ფულიანის ჯიბის დაცარიელება არ შეეძლოს. ჩვენს ჯიბეში კი ფული ეგულებათ, რამდენი – არ იციან, მაგრამ იმათზე მეტი რო გვაქვს, ამაში დარწმუნებული არიან. და დარწმუნებული არიან იმაშიაც, რომ ამ ფულის მოხმარების შნო იმათ უფრო აქვსთ, ვიდრე ჩვენ. მაშასადამე, არა ჰესამს ეს ფული ჩვენს ჯიბეში იყოს და უფრო უპრიანია – მათს ჯიბეში გადავიდეს. ამასთან თვალი უჭირავსთ ჩვენს ზენარში გამოკრულ ტანისამოსზე, რომელიც ირკუტსკში შემოგვიტანეს მეგობრებმა. რო ჩაიგდებდენ ხელში, მოგეცათ სიცოცხლე, ხელათ უყონ რეალიზაცია, ხელათ გააჩინონ პილატეს ცრემლი და იქნება იმდენი ზრდილობა იხმარონ, რომ ჩვენი სადღეგრძელოც დაპლიონ!.. მათი აშკარა მტრული განწყობილება ჩვენდამი ყოველ საათობით იზრდება. მზადდება შეთქმულობა, უნდა გაიმართოს ბრძოლა, რომელშიაც გამარჯვებული უნდა გამოვიდეს ის მხარე, რომელიც რიცხვმრავალი და მკლავლონიერი იქნება. ჩვენს მოწინააღმდეგეთ იჭვიც კი არა აქვსთ, რომ ამ ბრძოლაში გამარჯვებული გამოვლენ, რათგან ხუთად-ხუთმა კაცმა რიცხვით

სამჯერ მეტს მტერს უნდა გავცეთ პასუხი. ჩვენი ქომაგი არა-
ვინ გამოჩნდება ამ გადაკარგულ მხარეში, სადაც ტუსალს ტუ-
სალის მოკვლისათვის პასუხს თითქმის არავინ აგებინებს...

მომავალის, აუცილებელ ქარტეხილის მოლოდინში ახალ
საეტაპო შენობაში პოლიტიკურნი ერთად ვიჭუჭყებით, ყო-
ველ წამს მზადა ვართ პასუხის გასაცემად. ჩვენს ბარგს, ერ-
თის წუთითაც თვალს არ ვაშორებთ, რომ, ძალით იქნება, თუ
ქურდულათ, ხელიდან არ გამოგვაცალონ, ახალი პატრონები
არ გაუჩნდენ. ძილის დროს ერთ-ერთი ჩვენთაგანი უეჭველათ
ფხიზლობს, ვფხიზლობთ მორიგეობით.

თუ აქამდე გვიხაროდა თავისუფლათ ამისუნთქვა, ახლა, ამ
უიგანების გადამკიდეთ, ლამის არის, ჩაგვშეხამდეს ყველაფერი.
ვერ ვისვენებთ ველარც დღე და ველარც ლამე. განსაკუთრებით
გვიჭირს ღამით, როცა ერთ ჭერ ქვეშ მოვიყრით თავს, კარს გა-
რედან დაგვიკეტავენ, დარაჯი არავინ გვიყენია და ახლო-მახ-
ლო სულიერი არავინაა, რომ გაჭირების ჟამს შველა და დახმა-
რება ვსთხოვოთ. ძალიან დაფიქრებულნი ვართ და ვითვალის-
ნინებთ, რომ უეჭველს საპროცეს წინაშე ვდგევართ... ამდენს
გზას და ხიშტიან და უპასუხისმეგბლო სოლდათებს თავი და-
ვალწიეთ, ამდენი მთა და ბარი გადმოვლახეთ, ზღვას გადავურ-
ჩით და ახლა ცვარმა უნდა დაგვახრჩოს სადღაც შორს, მივარ-
დნილს ადგილას, საიდანაც ჩვენის ამბის წამლებიც კი არავინ
იქნება და არც არავინ თავს შეიწუხებს ამისთვის...

ამასობაში, მგზავრობის მესამე დღეს, მივატანეთ ერთს სო-
ფელს. მარხილებიდან ჩამოვხტით. ჩვენი თანამგზავრნი ყვე-
ლანი სასალოსოდ მოედვნენ სოფელსა: მოათრევენ ზოგი კარ-
თოფილსა, ზოგი პურსა, ზოგი ღორის ქონსა. ხის დამპალ სა-
ტუსალოში ხუთი ტუსალი დაგვიხვდა. ასე რომ მოსულებია-
ნათ ჩვენს წინააღმდეგ 20 კაცი იქნება. ჩვენს ძვირფას თანამ-
გზავრთაც თვალები უბრნყინავსთ, წინდანინვე ხარობენ გა-
მარჯვებას... ჩაი დავლიეთ... იმათაც სათლებში კარტოფილი
მოხარშეს და პირი მოატყუეს. შემდეგ გამართეს ქალალდის
თამაში და შეეცადნენ ჩვენც ჩავეთრიეთ თამაშობაში. მიგვი-
პატიჟეს კიდეცა, რატომ არა გვკადრულობთო, ასეთი უკად-
რისობა გაგონილაო?!!.. ჩვენ მშვენივრათ ვიცით, რა ფასი აქვს

მათს დაპატიჟებას, ამიტომ მივიჭუჭკენით ერთს კუთხეში და ვემზადებით დასახვედრად, ვემზადებით ვიფარხმალოთ ყველაფერი, რაც ხელში მოგზვდება.

ერთი საცოდავი ბურიატი შემოეგდოთ ჩვენთან, რაღაც უბრალო რამ დაეშავებინა. ჩვენ რომ ვერ გამოგვიწვიეს და ვერასფერს ჩამოგვრჩნენ, ამ საცოდავის, უსიტყვო ადამიანის დაბრიყვება მოინდომეს: გამოიჩინეს მთელი სიმხეცე, რის გამოჩენაც კი შეეძლო აქაურ ტუსალს. ჯერ სიტყვით დაამცირეს, მერე ისე გაკადნიერდენ, რომ ცემაც კი დაუწყეს და ბავშვივით ატირეს. აღგვაშფოთა ამ სიმხეცის ყურებამ. ზოსიმე ხუბუა ჩვენში ყველაზე ღონიერი იყო და თან მისი სახე, სახე ტიპიურ სამხრეთის კაცისა, შავი, კეხიან ცხვირიანი, შავი, გადმოკარკლული თვალები – აქაურებისათვის მართლა რომ შესაზარი საყურებელი იყო! ბურიატის მტანჯველთა ყურებაზე გაალმასებული მომიბრუნდა და მეუბნება: ოღონდ შენ ნება მომეცი ამ მხეცებს დავერიო, და ულვაში შემირცხვეს, თუ სოროები არ მოვაძებნინო ამ წუნკებსაო.

– თუ შენის ღონის იმედი გაქვს, – ვეუბნები მე, – ბატონი სარ, ჩემის მხრივ საწინააღმდეგო არაფერი მაქვს, ერთი ჭკუა ასწავლო. მხოლოთ იცოდე, ჩემი და დანარჩენი ჩვენის სამის ამხანაგის იმედი არ უნდა გქონდეს. ერთი-ლა შემიძლია: თუ გაჭირდა საქმე, გამშველებლად ჩავდგები თქვენს შუა, ისე რომ შენი თავი არ დავაჩავრინო-მეთქი.

– შენი ჭირი შემეყაროს, – მეუბნება ზოსიმე, – ახლა მე ვიცი და იმათაო.

ამის თქმა იყო და აყალმაყალის ამტეხს და უიგანების მეთაურს, რომელიც უმწეო ბურიატის აწვალებდა, დასჭყივლა: ნუ აწვალებ ამ კაცსაო!..

უიგანი აბა სწორეთ ამას ელოდდა და პირდაპირ შეაგინა. აბა გინება ასე არ უნდაო და ერთი რომ გაუშალა, ძირს დანარცხა თავგასული უიგანი. ეს უკანასკნელი რომ წამოდგა, დაუწყო ზოსიმეს ბლალრძუნი, იმედი ჰქონდა – ამხანაგები მომეშველებიანო. მაგრამ სხვებმა რომ დაინახეს შავი კაცის ან „ჩერკესის“ (აქ ქართველებს ასე გვეძახიან) სიფიცხე და შემართება, თითქო ალალმა დაპეროლა წინილებსაო, იქით-აქეთ

მიიყუშნენ. ამასობაში მეც ჩავერიე გამშველებლად. ზოსიმემ ისარგებლა შექმნილ მდგომარეობით და რაც სიგრძე ჰქონდა თავგასულს უიგანს, იმისი განი მისცა.

გათავდა ბრძოლა უიგანების დამარცხებით. ჩვენნი მოწინააღმდეგენი ამიერითგან ჩვენს მიმართ დიდის რიდით და კრძალვით განიმსჭვალნენ. ჩხუბის მოთავე, ცხვირპირგასის-ხლიანებული, კბილებს აკრაჭუნებდა და მკერდზე მჯიდს ირტყამდა – დამაცათ, თუ გზაში ცოცხლები გაგიშვათო!..

მთელი ღამე თვალები არ მოგვიხუჭავს. გვეშინოდა, ძილში სიგლახე რამ არ ექნათ.

გათენდა მეორე დილა. ჩავსხედით ახალ მარხილებში. გამოგვყა ახალი გზირი და გავსწიეთ სოფ. ბაიანდაისაკენ (მეოთხე ეტაპი ირკუტსკიდან). ამ სოფელში ციხეც დიდია და თან შიგ დამხვდური ტუსალების რიცხვიც 15 კაცამდე აღწევდა. ეს გარემოება საგონებელში გვაგდებდა. ორი ამხანაგიც მისვლის-თანავე მოგვშორდა. ვრჩებით სამნი: მე, ზ. ხუბუა და უკრაინელი ნოვოსადსკი. გადავსწყვიტეთ განვმზადებულიყავით სააქიო ცხოვრების დასატოვებლად.

მარხილები ბაიანდაის ციხის კარებს მიადგა თუ არა, ჩვენ სამნი ერთხანს გავჩერდით, შევეცადენით, იქნებ მოგვეხერხებინა – ციხეში არ შევსულვიყავით ლამის გასათევად და სადმე კერძო ბინისათვის შეგვეფარებინა თავი. სხვები-კი მაშინათვე ეძგერნენ ციხის კარებსა. ჩვენს მისვლამდე ყველანი ენახათ, ეთქვათ ჩვენი ფულიანობა, ეთქვათ, რომ ღირსნი ვიყავით გაძარცვისა და მოკვლისაც, როგორც მათი შეურაცყოფის მიმყენებელნი.

რაკი ვერას გავხდით, წავედით კუდამოძუებულნი, მორიდებით, თავმდაბლად, როგორც სასიკვდილოდ განწირულნი. ბარემუკანა გვრჩებოდა ფეხები, მაგრამ საშველი არ იყო. ბარგი ტახტზე დავაწყევით. გრძელი ოთახია. შუაში ბოლთასა სცემს ერთი კარგის ბუღას მსგავსი ყირგიზი, მხარბეჭიანი, ჩამკვრიული. გვათვალიერებს მრისხანედ და თვალმოუშორებლივ. ეტყობა, ამ ციხის მდგმურების ტონის მიმცემი ესაა, ამას ეკითხვის აქაურობის ავი და კარგი, მას მორჩილობებს შიგ შეყრილი უიგანები ყველაფერში, სიტყვაშეუბრუნებლივ. აბა,

რათქმაუნდა, ჩვენს კომპანიონებს ამისთვის მიუნდვიათ ჩვენ-გან პასუხის მოთხოვნა მის უაპელაციო სამსჯავროს წინაშე. ვგრძნობთ ჩვენის განკითხვის უამის მოახლოებას, დარწმუნებული ვართ, სულს რომ გადაუდგეს და გაგვიმეტოს, ტუ-სალს-ყირგიზს თითო ლუკმად არ ვეყოფით სამნივე. ჩვენი თანამგზავრები მხიარულათ მიდი-მოდიან, ჩაის იმზადებენ და უხარისთ, რომ ყირგიზი ამოიყრის იმათს მაგიერ ჩვენს ჯავრს. ვგრძნობთ სრულს ჩვენს უმწეობას, ვხედავთ, რომ სავსებით მათს ხელში ვართ, მშველელი და გაჭირვებისაგან მხსნელი გარედან არავინ გვეყოლება.

ამ დროს ზოსიმე ხუბუა წამოდგება, ყირგიზს სალამს მის-ცემს, გვერდთ ამოუდგება და თათრულათ გამოელაპარაკება (ფოთში მენავეობაში ტრაპეზუნისაკენ ხშირ სიარულის დროს ნასწავლი ოსმალური აქ გამოადგა და ჩვენც გვიხსნა). ყირგიზმა შავი კაცი რომ დაინახა და ისიც მისთვის გასაგებ ენაზე მოლაპარაკე, სახიდან ღრუბელი გადაიყარა...

გაიმართება ასეთი დიალოგი:

ზოსიმე ხუბუას თათრულ მისალმებაზე ყირგიზი ეკითხება:

– თქვენ ქართველები ხომ არა ხართ?

– სწორეთ, ქართველები გახლავართ.

– ხომ არ იცნობდით, მაქსიმე შეროზიას? ჩემთან საკატორლო ციხეში იჯდა, მერე ერთად „ვმუშაობდით“¹, ჩემი დიდი მეგობარი იყო, სულს მერჩივნა..

– როგორ არ ვიცნობდი, ჩემი მეზობელი იყო. მაგრამ კარგანია, გააციმბირეს და არ მინახავს. კარგი კაცი იყო... ნეტავი კი სადმე შევხვდებოდე... – ნატრობს ზოსიმე.

– მაშ თქვენ ქართველები ხართ და მაქსიმეს იცნობდით?

– ჰო, თქვენმა მზემ, ვიცნობდი, იმის ჭირი შემეყაროს!.. – უმოწმებს ზოსიმე.

– ამ უიგანებთან რა საქმე გქონდათ?

ხუბუამ დაწვრილებით უამბო.

ყირგიზი სავსებით ენდო ხუბუას ნათქვამს და რომ დაინა-

1. „მუშაობა“ ტუსალთა ენაზე ავაზაკობას, ყაჩალობასა ნიშნავს.

ხა, პირველი მაჩივრები სრულებითაც არა ყოფილან მართლებიო, განაგრძო:

— თქვე ოჯახებორებო, კინაღამ თქვენი ცოდო დავიდე... ამ შეჩვენებულებმა ისე დამიხატეს თქვენი ვინაობა, რომ სამნივე ამაღამ უნდა მომეკალით.....მაგრამ რაკი ჩემი მაქსიმეს ქვეყნის ხალხი ყოფილხართ, ღმერთი როგორ გამიწყრება და ხელს როგორ გახლებთ!.. ის კი არა, ფულით დაგეხმარებოდით კიდეცა, მაგრამ მაპატიეთ, მე თვითონ ქესატადა ვარ. სხვაფრივ ნურაფრის გეშინიათ, ციხეებში ყველგან შევუთვლი, ხელი არავინ გახლოსთ. იმათ კი დედას ვუტირებ...

ამის თქმა იყო, და დაუძახა ჩვენის თანამგზავრების ბელადს. შავი დღე დააყენა თავის განზრახვისათვის და უბრძანა, კვლავ აღარ გაებედნა ჩვენთვის ცუდი რამე, ახლა კი წყალი მოედულებინა ჩაისთვის და პატივი ეცა ჩვენთვის.

ჩვენ კიდენ ცათაფრენა შეგვიყენა ამ მხსნელისა და მფარველის მოულოდნელმა მოვლენამ. ვლოცავდით მაქსიმე შერზიასაც, რომ ასეთი კარგი სოვენა დაუტოვებია ამ ღვთისა და კაცისაგან მოძულებულ მხარეში და მისგან გადებული ხიდი ჩვენ უხიფათოდ სავლელად გამოგვადგა. გავშალეთ სუფრა, გავაჩინეთ არაყი, შუაში ჩავისვით ჩვენი კეთილისმყოფელი ყირგიზი და ქუდი ჭერსა ვკარით. აბა რას მოვიფიქრებდით, ქართველობა ამ გადაკარგულ მხარეში გამოგვადგებოდა! იმას ხომ სულ ვერ მოვიფიქრებდით, რომ ეგევე ქართველობა კი-დევ გვიხსნიდა სიკვდილისაგან და ისიც ამ მოკლე ხანში...

ნინაღამით უძინართ, რაკი გული საგულესა გვქონდა, გულის ძილით მიგვეძინა ხმელა ტახტზე, სანამ მეორე დილას უთენია არ გამოვილვიძებდით და არ გავუდგებოდით მანზურკის გზას.

მივდივართ იმავე ბეგრის მარხილებით, მოგვდევს იგივე გზირი. მოგვყვებიან იგივე აღრენილი, გულჩათხრობილი, მტრადგადაკიდებული უიგანები, რომლებიც დაფიცებულნი არიან, ჩვენი კუბო ნახონ... საღამო ჟამს მივატანეთ მანზურკას, სადაც უბრალო საეტაპო შენობა-ლაა ხისა. აქ ჩამომხტარნი მამასახლისთან ვახერხებთ მოლაპარაკებას, ვეუბნებით

ჩვენს თავგადასავალს და ვთხოვთ, კერძო ბინაზე გაჩერების ნება მოგვცეს. ამის ნება გვეძლევა. ერთ გლეხთან ვჩერდებით და კაცის სულზე ლამის გათევებაში ორ-ორ შაურს ვიხდით. რა თქმა უნდა, ჩვეულებრივ, იატაკზე ვისვენებთ.

მეორე დღეს იმნაირადვე განვაგრძობთ გზას. გასაჩერე-ბელი პუნკტი – კაჩუგაა. ნახევრად ქალაქი, ნახევრად სოფე-ლია. ტუსალებისათვის სპეციალური ციხე არსებობს, სადაც დამხვდური ტუსალებიც იქნება და შესაძლებელია ჩვენმა თა-ნამგზავრებმა გულისნადების შესრულება შესძლონ. მაგრამ სოფელში შესვლისთანავე მოგვეგებნენ იქ დასახლებული პო-ლიტიკურები, გამოგვყითხავნ ამბავს და რომ გაიგებნ ჩვენს თავგადასავალს, მაშინათვე დატრიალდებიან, მამასახლისს ნებას გამოართმევენ ჩვენის ნაყვანისა დამის გასათევად და თვითონვე თავმდებად გვიდგებიან, რომ არსად გავიცევით.

მოგვასვენეს, მოგვიალერსეს, ცნობები მოგვცეს ჩვენის მომავალის ცხოვრებისა. აქედან შემდეგ გასაჩერებელი პუნკ-ტი იქნებოდა ვერხოლენსკი – სამაზრო ქალაქი ვერხოლენს-კის მაზრისა, სადაც სამაზრო მასშტაბის ციხეა და შიგ 30 კაც-ზე მეტი ზის. გაგვაფრთხილეს კაჩუგელმა მასპინძლებმა – დი-დი მეცადინეობა გჭირიათ, როგორმე არ შეჰვეთ ციხეში ამ ჟიგანებს, თორემ საშიშია, რამე დაგმართონ.

IX

ვერხოლენსკში ჩასვლა. — მოსალოდნელი ხიფათი. — ჩვენს ამბავში მამასახლის შემეტოვის ჩარევა. — გიორგი ზდა-ნოვიჩის და მისის ამხანაგების ხსოვნამ გადაგვარჩინა განსაც-თელს. ანუ „კაი კაცის პურმარილი ზღვაზე ხიდად გაიდების“. — მიხ. ჩიკონიძის მასპინძელთან პან ჟოსიასთან. — გამასპინ-ძლება. — გამოსტუმრება.

მეორე დღეს კაჩუგიდან მოვდივართ დალონებულნი, თავ-ჩაქინდრულნი. აღარ გვიღიმის მომავალი. მართალია, სასწა-ულების ხანა გადასულია, მაგრამ მაინც იმედი გვაქვს რაიმე სასწაულისა, რომელმაც უნდა გვიხსნას უეჭველის განსაცე-ლისაგან, მოსისხლე მტრებად გადაკიდებულ ჟიგანებისაგან.

ფეხები უკანა გვრჩება, ვნატრობთ – დიდსხანს, სულ დიდსხანს, დაუსრულებლივ გაგრძელდეს, ან სულაც არ გათავდეს ეს გზა, ვერხოლენსკის ციხის კარებს რომ უნდა მიგვაყენოს... უიგანების ბელადი თითს გვიქწევს და გვანიშნებს – ზოგი ვერხოლენსკის ციხეში გამოიჩინეთ თქვენი ვაჟკაცობაო!...

ბარემ არ გვინდოდა, ბარემ გვიმძიმდა, მაგრამ მაინც მივედით სამაზრო ქალაქ ვერხოლენსკში, სადაც ციხეში, ჩვეულებისამებრ, ერთი ლამე უნდა გავათიოთ, თუ ვერმოვახერხეთ სადმე გლეხის ბინაზე გაჩერება. მტკიცეთ გადაეწყვიტევით: შევიდეთ სოფლის კანცელიარიაში, მამასახლისი ვნახოთ, შევჩივლოთ ჩვენი ამბავი, განვუცხადოთ, რასაც გვიპირებენ მტრადგადაკიდებული უიგანები და ვთხოვოთ, უეჭველათ კერძო ბინაზე გაჩერების ნება მოგვცეს; ციხეში კი ცოცხალის თავით არ შევიდეთ და რადაც უნდა დაგვიჯდეს, ჩვენი გავიყვანოთ. მარხილების გაჩერება იყო თუ არა, უიგანები შეცვივნენ ციხეში, სახელდახელოდ მოასწრეს ჩვენის ამბის მბობა, და ციხის ფანჯრებიდან შიგ მყოფებმა უკვე სიცილით დაგვიწყეს ხელის ქნევა და ძახილი: „მობრძანდით, მობრძანდით, ჩვენი გვრიტებო, ვეცდებით გაგიმასპინძლდეთო“.

ჩვენ უკვე სამნი-ღა ვართ: მე, ზოსიმე ხუბუა და უკრაინელი ნოვოსადსკი, რომელსაც ცოლი მოსდევს ცალკე მარხილით. მივედით კანცელიარიასთან, ავედით აივანზე და დავუწყეთ ლოდინი მამასახლისს, რომელიც კანცელიარიაში მოთხოვნებს უსმენდა. ათიოდ წუთს შემდეგ გამოვიდა ასე შუახნის კაცი მეტად კეთილშობილურის სახისა. მაღალი შუბლი, სადეკანოზო წვერი, ჭკვიანური თვალები, მშვიდი და ლამაზი გამომეტყველება სახისა აშკარათ მოწმობდა, რომ აქაურებისაგან, ნახევარმხეცებისაგან, გონებრივად პირუტყვულ საფეხურზე მდგარ ადამიანებისაგან აშკარათ განირჩევოდა. რომ მოგვიახლოვდა, ცოტა არ იყოს, აღელვებული, მაინც თავშეკავებული ვეკითხები:

- მამასახლისი თქვენა ბრძანდებით?
- მე გახლავართ. რა გნებავდათ?
- ჩვენ სამნი პოლიტიკურები გახლავართ. გზაში ჩვენთან ერთად მომავალი არაპოლიტიკური ტუსაღები გადაგვეკიდ-

ნენ. ჯერ ჩვენი გაძარცვა უნდოდათ, მერე ჩხუბი აგვიტეხეს და გზაში, სხვადასხვა საეტაპო სახლებში, სხვა ტუსაღების დახმარებით, ჩვენი დახოცვა გადასწყვიტეს. მაგრამ აქამდე ვერა მოგვიხერხეს-რა. ახლა აქაურ ციხეში თუ ჩვენ იძულებული ვიქენით იმათთან ერთად შევიდეთ, რა საჭიროა, იქიდან ცოცხლებს ალარ გამოგვიშვებენ. ამიტომ უმორჩილესადა გთხოვთ, ნება მოგვცეთ ღამე კერძო ბინაზე სადმე გავა-თიოთ. ძალიანა გთხოვთ, არ გაგვიცუდოთ...

– მარტო ჩემზე რომ იყოს დამოკიდებული, მე დიდის სი-ამოვნებით აგისრულებდით, რასაცა მთხოვთ. მაგრამ მე აქ უფროსი მყავს – ბოქაული. იმას უნდა შევატყობინო და იმედი მაქვს, თანახმა გაგიხდებათ...

ესა სთქვა თუ არა, მამასახლისმა იხმო გზირი და ბოქაულ-თან დააპარა ჩვენი თხოვნა და თან თავისი შუამდგომლობაც დაურთო.

სანამ გზირი პასუხს მოიტანდა, მე განზე გამიყვანა და ჩვენს შორის ასეთი ლაპარაკი გაიმართება:

– გეთაყვა, არ შეიძლება გვითხრათ, სადაური ბრძანდებით?

– მე და ეს კაცი (ხუბუაზე მივუთითე) ქართველები გახ-ლავართ; მესამე ჩვენი ამხანაგი კი – უკრაინელია.

სიტყვა „ქართველი“-ს გაგონებაზე თვალებში სიამოვნე-ბამ გადაურბინა.

– რა გუბერნიიდან?

– ქუთაისის გუბერნიიდან.

„ქუთაისის“ ხსენებაზე აშკარა სიხარული დაეტყო სახეზე...

– ზდანოვიჩს ხომ არ იცნობთ? იქაურია...

– გიორგი ფელიქსის ძეს? ვიცნობ და მეტი არა?!..

იმას ვინ არ იცნობს ჩვენში!.. პირადად ჩემი დიდათ პა-ტივცემული და საყვარელი კაცია.

გადამეხვევა და ხელზე მაგრად მომიჭერს.

– ნუ თუ თქვენ იქიდანა ხართ, სადაურიც გიორგი ფე-ლიქსის ძეა?

– ჰო, თქვენმა მზემ, იქაური გახლავართ.

აკანკალებულის ხმით და თვალებზე ცრემლებმომდგარი:

– მაშ იცნობთ გიორგი ფელიქსის ძეს? თქვენი ჭირიმეთ,

მითხარით, ცოცხალია, როგორ არის, რასა იქს, როგორ მოეწყო?.. – ზედი-ზედ მომახალა კითხვები.

– სულ კარგათ არის. ერთს დიდს სავაჭრო საზოგადოებას (ჭიათურის შავიქვის საზოგადოებას) სათავეში უდგას, ქართულს მწერლობაში მხურვალე მონაწილეობას ღებულობს, საუკეთესო და დიდმოაზროვნე მწერლად ითვლება. ჩვენს საზოგადო საქმეებში ყველგან თავისი წვლილი შეაქვს. 1905 წლის რევოლუციის დროსაც ერთს ჩვენს პოლიტიკურს (ფედერალისტების) პარტიას ხელმძღვანელობდა. ძველებური რევოლუციონერობა, ძველებური რევოლუციონური ტრადიციები შერჩენილი აქვს წმინდათ, შეურყვნელად. ყველას უყვარს, ყველასი სათაყვანოა, მტერიც კი უარს ვერა ჰყოფს მისს კეთილშობილებას, ზნეობრივს სისპეტაკეს, პრინციპების სიწმინდეს...

გახარებული და თვალებზე ცრემლებმომდგარი:

– უჲ, რა მადლობელი ვარ თქვენი!.. თქვენი ჭირიმეთ, ჩემის ძვირფასის, ჩემის ტკბილად მოსაგონარის გიორგის ამბავი რომ მიამბეთ... არ იყითხავთ, საიდან ვიცნობ გიორგი ფელიქ-სის ძე?.. კარის საკატორლო ციხეში სასჯელის მოხდის შემდეგ ორკუტსკის გუბერნიაში გადმოასახლეს და აქ, ვერხოლენ-სკში, სცხოვრობდა. მასთანვე იყვნენ ანთიმოზ გამყრელიძე და მიხ. ჩიკოიძე. თვითონ გ. ფ. ჩვენს სახლში სცხოვრობდა. მე მაშინ (80-იან წლებში) 15 წლის ბიჭი ვიყავ. მასწავლა წერა-კითხვა, ჩამინერგა კეთილშობილური, ადამიანური აზრები, თვალები ამიხილა, სულ ახალს გზაზე დამაყენა, ერთის სიტყვით, კაცად გამომიყვანა. მივლიდა, მპატრონობდა, ძმასებრ ვუყვარდი. თუ რამ ადამიანობისა მცხია, სულ ჩემი ძვირფასი, ჩემი დაუვიწყარი გიორგი ფელიქსის ძის წყალობაა, სუყველა-ფერს იმას უნდა ვუმადლოდე... სახლში მისი სურათი სალო-ცავ ხატადა გვაქვს ყველას. რა ტკბილათ, რა უზომო სიყვა-რულით მოვიგონებთ ხოლმე... ჩემი გიორგი, მისი ჭირიმე!.. მი-ხარიან, რომ მისი ჩემზე განეული შრომა ტყუილათ არ დაიკარ-ქა, ამაგი რომ დაუფასდა და ადამიანად მიმაჩნია ჩემი თავი. რა ჩვენი სახლობა, მთელი სოფელი აღმერთებდა, ყველას უყ-ვარდა, ყველა პატივსა სცემდა. აქ სასჯელის ვადა რომ გაუ-თავდა და აქედან რომ მიდიოდა, მთელი ვერხოლენსკი მისტი-

როდა. 1905 წლის რევოლუციონურ მოძრაობაში მეც ვლებულობდი მონაწილეობას... დაჭერილიც ვიყავ... რა გაეხარდება გიორგი ფელიქსის ძეს, ეს რომ გაიგოს... მძიმე სასჯელს გადავრჩი, ციხეს დამაჯერეს და ახლა, როგორცა ხედავთ, მამა-სახლისადაც ვარ... ღმერთო ჩემო, გიორგი ფელიქსის ძის ქვეყნის ხალხსა ვხედავდე, ჩემი დახმარება სჭიროდესთ და მე არ დავეხმარო?!.. მაშინ ხომ თვალებზე მიწა უნდა დამეყაროს!.. ნურაფრისა გეშინიათ, თქვენი ჭირიმეთ, ყველაფერს გამოგინყობთ; ჩემთან არასფერს გაგიჭირებთ...“

„ვერხოლენსკში შემოსვლამდე სასწაულს რომ ვნატრობდით და ამ სასწაულის საშუალებით გადარჩენის იმედი რომ გვქონდა, აი, მოხდა კიდეც ეს სასწაული, აგვიხდა ნატრი!.. განა ნატრის ახდომა ამაზე უკეთესად წარმოსადგენი და შესაძლებელი იქნებოდა!.. ვიფიქრებდი-ლა, ან სიზმრად დამესიზმრებოდა, რომ გ. ზდანოვიჩის (მაიაშვილის) დათესილი თესლი კეთილი ამ მივარდნილ მხარეში სიკვდილს გადამარჩენდა!.. აპა სწორეთ. აქ მომაგონდა ქართული ანდაზა: „კაი კაცის პურმარილი ზღვაზედ ხიდად გაიდებისო“. და სწორეთ მაშინ დავაფასე სავსებით ძალა ამ ბრძნულის ანდაზისა.

ამასობაში ბოქაულთან გაგზავნილი გზირიც დაბრუნდა და ამბავი მოუტანა მამასახლისს – დააბინავე პოლიტიკურები, საცა გინდონდესო.

მამასახლისმა გზირს ჩვენთანვე ვინმე პან ჟოზიას მოყვანა უთხრა. ათს წუთს უკან მოვიდა ერთი მაღალი, სანდომიანი სახის, თეთრნვერა, გრძელულვაშებიანი, ოდნავ წელში მოხრილი მოხუცი, რომელიც აქაურ გლეხებს ჩაცმულობით თუ-ლა მიამსგავსებდა კაცი. „აი, სტუმრებს გაძლევ, – უთხრა მამასახლისმა შემეტოვმა, – იცოდე, ძვირფასი (ეს სიტყვა ხაზგასმით წარმოსთქვა) სტუმრებია და ერთი შენებურათ მოუარე“.

მამასახლისმა დაგვაარხეინა, – სანდო კაცთანა გგზავნით და გამოგვემშვიდობა. პან ჟოსიამაც თავისს სახლში წამოგვიყვანა. მისი სახლი ერთვალიანი ქოხია ხისა. ერთს კუთხეში ხატია და ქვეშ მაგიდაზე პოლონური ლოცვანი და ჯვარცმის ქანდაკება ასვენია პატარა მრგვალ მაგიდაზე. მეორე კუთხეში მოზრდილი გალია დგას და შიგ ერთი მამალი და ოთხი დე-

დალი ზის. ფანჯრის რაფაზე სუფთათ დაფერილი ორი სამოვარი¹ დგას. შუაშიც ერთი მაგიდაა და რამდენიმე ტაბურეტი შემომწერივებია გარშემო. ეს არის და ეს აქაურის ოთახის მორთულობა. აღარც ტახტია სადმე და აღარც ცალკე საწოლი. იატაკი ღამით საწოლიცაა და ტახტიცაა.

შემოგვიერთდა ჩვენის თანამგზავრის ნოვოსადსკის ცოლიცა, რომელიც შორიდან ადევნებს თვალყურს ჩვენსა და თავის ქმრის ამბავს და შიშითა ჰკანკალებს – ვაი თუ რამე მოუვიდეს ჩემს ქმარსა. ახლა ჩვენთან ერთად იმასაც გული საგულესა აქვს, რომ გადავრჩით და პირველი ღამეა, რომ შესაძლებლობა აქვს, თავის ქმარს პირისპირ უყუროს და ღამეც აქვე დარჩეს. აქაურ სადა ცხოვრებას და სადა ჩვეულებას ჩვენც ვემორჩილებით: ღამით მასპინძელმა და მისმა ოჯახობამ ერთი მხარე უნდა დაიჭირონ ქოხისა, ხოლო მეორე მხარე – ჩვენია. ჩვენს შორის რიდედ – ღამის სიბრძლეა.

დიასახლისმა ხელათ სამოვარი დადგა. ჩვენ ჩვენი საცოდავი ხელპირი საპნით დავიბანეთ (რა სიამოვნება განვიცადეთ!..) და შემოვუსხედით მაგიდას.

– უკაცრავად კი ნუ ვიქენები და სადაურები ბრძანდებით? თითქო რუსებს არა ჰგევხართ... – მეკითხება პან უოსია.

– ქართველები გახლავართ... ხომ იცით, რუსეთის სამხრეთით პატარა ქვეყანაა, იქაურები...

– ქართველები... ვიცი, ვიცი. ერთი ქართველი ჩემთანაც იდგა ამ 25 წლის წინად, ჩიკოძე იყო გვარად. გ. ზდანოვიჩისა და ანთიმოზ გამყრელიძის¹ დროს იყო აქ. იქნებ, იცნობდით ან იცით, რა მოუვიდა?

– ჩიკოძეს ცნობით არ ვიცნობდი, ისე გამიგია მისი ქება, მეტად კარგი კაცი იყოვო, რევოლუციონერი. ახლა ცოცხალი არ არის.

ამის გაგონება საშინლათ ენყინა:

1. აქაურ გლეხებს ორ-ორი სამოვარი აქვსთ: ერთი რომ იცლება, მეორეში წყალს ასხამენ და ნახშირსა ჰყორიან.

2. მიხეილ ჩიკოძე და ანთიმოზ გამყრელიძე ორივე გ. ზდანოვიჩთან ერთად, 50-ის პროცესში ერივნენ და აქეთ იყვნენ გამოგზავნილნი.

— ღმერთმა სასუფეველი დაუმკვიდროს... მეტად კარგი კაცი იყო. რა ნასწარლი, რა კეთილშობილი, რა ადამიანის გულშემატკიცარი!.. რაც ხანი ის ჩვენთან იყო, დრო ისე გავიდა, რომ არც-კი გამიგია. რა საჭიროა, ისეთი კაცი მეტი არ დაიბადება. თუმცა რაც ქართველები აქ იყვნენ გადმოსახლებულნი საცხოვრებლად, ყველანი ერთიმეორეზე უკეთესები იყვნენ, ალბათ მათს სამშობლოშიაც ხალხი საერთოთ კარგია, რომ ასეთი შვილები აქეთვენ გამოუგზავნია. თქვენი ჭირიმეთ, თქვენი, მაში თქვენ ჩიკოიძის ქვეყნისანი ხართ? მოხარული ვარ, მეტად მოხარული, რომ ბედმა კიდევ შემახვედრა ჩიკოიძის ქვეყნის ხალხს, რომ მომგონებოდა წარსული ტკბილი, სანეტარო დრო, იმასთან ერთად რომ მიტარებია...

— ახლა, პან ქოსია, ის მიბრძანეთ, თქვენ თვითონ საიდან და როგორ მოხვდით აქ? პოლონელი უნდა იყვეთ, ხომ?

— ჰო, პოლონელი გახლავართ... პოლონელი... ჩემი სამშობლო... 20 წლის ყმანვილი ვიყავ, როცა სხვებთან ერთად 1863 წელს რუსეთის თვითმპყრობელობის წინააღმდევ აჯანყებისათვის დამიჭირეს. ხომ გახსოვთ, მაშინ ჩემი თანამემამულენი ათასობით გადმოსახლეს ციმბირში... პოლონეთს სრულებით გასრესას, დედამინის პირიდან აღგვას უპირებდა რუსეთის ორთავა არწივი. თქვენ გზა ბრძანეთ, რა წვალება განვიცადეთ გზაში, რამდენმა ჩვენთაგანმა ველარ გაუძლო, გზაშივე ჩაიხოცენ, და უცხო მხარეში ძალლებივით დაიმარხნენ თუ დაუმარხავად გარეულ ნადირების საჯიჯვენი გახდენ, რამდენი უსულდმერთო მოყრობისა და ტანჯვისაგან ჭკუაზე შესცდა... ვინც აქ მოვალნიეთ, პირველ ხანში ძალიან გაგვიჭირდა. გვითხრეს, დასახლდითო და იმას კი არავინ ჰკითხულობდა, დასახლებას რაცა სჭიროდა, გვქონდა თუ არა და ან საიდან და როგორ უნდა გვეშოვნა... ჩვენი საკუთარი არაფერი გვებადა ღვთის განაჩენი. აქაურობა ჯერ ახლა რა არის და მაშინ, ამ 40 წლის წინათ, რაღა იქნებოდა!... გარეულ ნადირთან გაშმაგებული ბრძოლა გვიხდებოდა. თვით ადამიანები აქ რომ დაგვხვდენ, ნადირებს ბევრათ ვერა სჯობდენ. მე რომ მკითხოს კაცმა, ნადირზე უფრო საშიშარნი და უფრო ნაკლებ მისანდობი იყვნენ. ტყე იყო აქაურობა, მთლიანი ტყე... გაუვალი ტაიგა... ახლა გაიკაფა, უმეტესობა დაიწვა. ვისაც არ ეზა-

რეპოდა, ცეცხლს უკიდებდა და მერე იმისს ჩაქრობას არავინა ფიქრობდა, საჭიროდაც არ მიაჩნდათ... აღარსად გზა, აღარსად მიმოსვლა. ქვეყნიერობას მოწყვეტილი ვიყავით. ყველასაგან დავიწყებულთ ჩვენთ დაგვავიწყდა ყველანი. ათასგვარი ავადმყოფობა დაგვერია უსმელ-უჭმელთ, ტანთჩაუცმელთ. და სინ-სილა გააწყო ჩვენი. ჩვენთვის არც წამალი იყო სადმე და აღარც ექიმი. მეც ქოხი გავიჩინე, აქაური ქალი ვითხოვე, მა რა მექნა, პოლონელი საიდან მომეყვანა! მომიკვდა, მერე ეს ჩემი მართა ვითხოვე. მადლობა ღმერთს, ერთმანეთთან შეხმატებილებულადა ვცხოვრობთ. მე ვნადირობ და იმითა ვშოულობ ორიოდ გროშს, ჩემი მართა კიდევ მეოჯახე ქალია, გამრჯე, სარისატიანი, ხელფურჩი. ორნივე, როგორც გვიყურებთ, მოხუცნი ვართ, მაგრამ მგონი, რომ ერთმანერთს შევაძერდებით, ერთმანერთს არ ვულალატებთ სამარის კარამდე. ჩემი სამშობლოს, ჩემის დედა-ენის მოსაგონად ეს პოლონური ლოცვანი მაქვს, ეს ხატი და მაცხოვრის ჯვარცმის ქანდაკება. ფიქრად მომსვლია (და განა ერთხელ!) სამშობლოს ნახვა... მაგრამ შორს იყო, ხარჯი დიდი უნდოდა და, ესეც რომ არ ყოფილიყო, ვის უნდა მივსდგომოდი კარს?!.. ჩემიანები შორეულებიც-კი, ყველანი, ცხადია, დახო-ცილები მეყოლება-მეთქი. თუ სიცოცხლეში არ მენერა სამშობ-ლოშიცხოვრება, მინდოდა სიკვდილის შემდეგ მაინც ჩემს ძლებს სამშობლოს მიწა დაჰყორდა... მაგრამ, ალბათ, უფალს არ ენება, ვენაცვალე მისს მადლა... აქაც ხომ არის მიწა, აქაც ხომ არ გა-მიშვებენ დაუმარხავს... ბოლოსა და ბოლოს, მიწა იქაური იქნება თუ აქაური, მგონი, სულ ერთი უნდა იყოს... თუმცა, სულო ცოდ-ვილო, იქაური კი მერჩივნა...“

გული მოგვიყლა 65 წლის მოხუცის ჩივილმა. უზომო იყო ტრაგიზმი მისის სულიერის ყოფისა, განუსაზღვრელი იყო პა-ტიუნი მისნი. სანუგეშებლად და ტკივილის დასაამებლად ის-ლა ვუთხარით, რომ მისმა სამშობლომ, მართალია, აქამდე თა-ვი ვერ გაინთავისუფლა რუსეთის ორთავიან არწივის კლან-ჭებისაგან, მაგრამ ცდილობს ამას და კოპერნიკისა და სენკე-ვიჩის სამშობლოს იმედი აქვს კიდეცა ენიოს ამდენის ხნის გუ-ლის წადილსა. სწავლა-მეცნიერებით სხვა ხალხთა შორის უკა-ნასკნელი ალაგი არ უჭირავსთ პოლონელთ; პოლონეთის შვი-

ლები, მეცნიერების უდელში შექმულნი, დიდების გვირგვინით უმკობენ თავს თავისს ქვეყანას-მეთქი.

ამას რომ ვეუპნებოდით, მოხუცს ცრემლები წამოსცვივ-და თვალთაგან, რომელიც მაღლე ქვითინად გადაექცა.

ადვილი საყურებელი სცენა კი არ გახლდათ... გული ჩაგვ-ნევიტა სამარის კარამდე მისულმა კაცმა, რომელიც რუსეთის დესპოტიას თავის ქვეყნის გულიდან მოეწყვიტნა და საუკუნოდ ცხრა მთას აქეთ გადაეტყორცნა ულმობელ ბუნებასთან, ცხოვრების საშინელ პირობებთან, ველურების საფერ წეს-წყობილებასთან საბრძოლველად; მოაზროვნე ადამიანისათვის წაერთმია ნიჭი აზროვნობისა და ველურ ბუნებასთან ბრძოლაში თვით გაველურებულა, თითქმის პირუტყვად, მჩმუნავად ქცეულა, ადამიანის ნასახი-ლა შერჩენია; მის გულიდან უხეშათ ამოეგლიჯა მისი სატრფიილო, ნალოლიევი საგანი, მისი ოცნება, მისი თავისიუფლებისა და დამოუკიდებულებისათვის ბრძოლის წყურვილი; მოემორებინათ დედ-მამისა, და-ძმებისა, მთელ თავის ქვეყნისათვის განა ერთისა ან ორის წლით, საუკუნოთ... ენა ადვილად იტყვის... თქვენ მისი შესრულება ბრძანეთ!...

ვივახშმეთ. ძმურათ გავიშალეთ იატაკზე, რაც რამ გვებადა გასაშლელი და უშიშრათ და უდარდელათ მოვასვენეთ ჩვენი განანამები სხეული დილამდე...

თებერვლის 26-ია. ჩვენს ადგომამდე დიასახლისს სამოვარი დაედგა. ქმარმა უთხრა: მართა ქალო, ამათზე ძვირფასი სტუმრები მე აქ არავინ მომივა და მოდი, რიგიანათ ვცეთ პატივი, რითაც შეგვიძლიან და ერთი შენებური ერბო-კვერცხი შეუწიო. დიასახლისმაც ზემოთაღნერილ გალიაში მსხდარ დედლების¹ მიერ დადებულ კვერცხებისაგან ხელათ ერბო-კვერცხი შეგვიწვა და შემოგვთავაზა. ჩვენ გვეთაკილებოდა კიდეც ასეთის წვალებით გამოზრდილი ქათმების კვერცხი გვეჭამნა, ასე გვეგონა – პირში რომ ჩავიდოთ, ყელში მაინც არ ჩაგვივიდოდა. ჩვენის აზრით, უმეტესად პატივისცემის გამოხატვა მათის მხრით შეუძლებელი იყო. გამოთხოვებისას პან ჟოსიას მა-

1. აქაურები ქათმებს თავიანთ საცხოვრებელ ოთახში ინახავენ, რათგან გაუთბობელ საქათმეში 40°-იან სიცივეში ქათმები, რა თქმა უნდა, ვერ გაძლებენ.

ნეთი ვაძლიერ ღამის გასათევი. თავი მოიკლა და არასგზით უნდოდა აღება, სანამ ძალის-ძალათი არ მივაჩერეთ.

წამოვედით კანცელიარიასაკენ, სადაც მამასახლისი შემეტოვი გველოდებოდა. უკვე ეშოვნა სანდო გლეხი, რომელსაც საუკეთესო ცხენები შეება მარხილში ჩვენს წასაყვანად. მამასახლისმა გლეხს ჩვენი თავი ჩააპარა და თან დაუსახელა ის გლეხი, ვისთანაც უნდა გაჩერებულვიყავით გზაში ღამის გასათევად, რადგან ჩვენის მგზავრობის უკანასკნელ პუნქტამდე 60 კილომეტრზე მეტი გვილდა.

სანამ გამოვეთხოვებოდით მამასახლისს, ასეთი დარიგება მოგვცა: როცა დაბრუნდებით, უჭველათ მე გამომიარეთ. აქედან სანდო გლეხს გაფაყოლებთ და სამშვიდობოში უვნებლად ჩაგიყვანსთო. ერთბაშათ ვერ მივხვდი, რა „დაბრუნებაზე“ მელაპარაკებოდა, და ამანაც ამიხსნა: „საცა მიჰყევხართ, აბა იქ ხომ არ დარჩებით და როცა გამოიქცევით, იმ დროის შესახებ გელაპარაკებითო“. თან დაატანა: „თუ ვინიცობაა, სხვა გზით წახვედით და მე ვეღარა გნახეთ, როცა გიორგი ფელიქსის ძე ნახოთ, დიდი, სულ დიდი მოკითხვა, სიყვარული და ნახვის ნატვრა გადაეცით მის ნამოწაფარ მიხეილ შემეტოვისაგან. რაც შეეხება თქვენს თანამგზავრებს, აქ რომ გრჩებათ, ციხიდან ოთხ-ხუთ დღეს არ გამოვუშვებ, მანამ თქვენ უკვე დაბინავებული იქნებით თქვენს-თქვენს სოფელში და ამათი შიშიარ გექნებათო“. ეს გვითხრა, გადაგვეხვია და გზა დაგვილოცა... თან ჩვენს წამყვანს გლეხს უთხრა, ჩვენთვის გზაში გაყინული რძე ეყიდვინებინა...

სწორეთ რომ სიზმარში გვეგონა ჩვენი თავი... გულდანყვეტილები დავშორდით ჩვენს ახალ მეგობრებს, რომელნიც ჩვენ სულმნათ წინაპარ-რევოლუციონერთ დაუტოვებიათ აქ გაზრდილები, რომ შემდეგში მათის კვალით მომავალთ გამოსდგომოდენ, გაჭირების დროს ეშველნათ, განსაცილისაგან ეხსნათ...

გათქვირული ცხენები ისეთის სისწრაფით მიასრიალებენ მარხილებს, რომ სულიც კი გვიგუბდება. ფიჭვის ხეები გზას იქით-აქეთ შემოსარვია, ზამთრის სუსხისაგან დალონებულნი. გაყინული თოვლი ზედ შეხმობია და წინვიანი ტოტები დაუხუნზლავს. ახლა ოლონდაც რომ გვიხარის ყურება ბუნებისა, რომელსაც უკვე შევაჩერეთ თვალი; ვერხოლენსკამდე აზ-

რი მხოლოთ ერთს საგანს ჰქონდა შებოჭვილი, ახლა-კი ერთ საგნიდან მეორეზე გადარბის... ჩვენს თავს უკვე თავისუფ-ლებადა ვგრძნობთ. ორს დღეში ჩავალთ ჩვენს ვოლოსტში და მერე იცხოვრე შენს გემოზე...

ჩვენმა წამყვანმა გლეხმა ერთ სახლთან მარხილი გააჩერა, დაუძახა დიასახლისს და გამოატანინა გაყინული რძე სათილის ფორმისა, რომელსაც ხელის მოსაკიდებლად შუაში ჯოხი ერ-ჭო. ამ კვერეულისაგან გამოვიდოდა სულ უკანასკნელი 10–15 ტოლჩა რძე და გადაგვახდევინეს სულ რაღაც ხუთი თუ ექვსი შაური. ჩავიგდეთ მარხილის ძირში და იქა ჰელიკონის საღამოს გასაჩერებელ სახლამდე. რომ გავჩერდებოდით, ცულით ან ჩა-ქუჩით მოესტეხდით რძეს, ცეცხლზე გავათბობდით რაიმე ჭურ-ჭლით და ახალ მოწველილის მსგავს რძეს გეახლებოდით.. ამ-ნაირი რძე ათას კილომეტრის მანძილზე შეგიძლია გადაიტა-ნო, რა თქმა უნდა, აქაურს ზამთარში, ასე რომ რძეს, ერთი ბე-წოც არის, არ აკლდება თავისი პირვანდელი თვისება. მზადე-ბაც ასეთის გაყინულის რძისა სულ ადვილი გახლავსთ: რომ მოს-წველენ ძროხას, საწველელიანად გარეთ დასტოვებენ, თან შუა გულში ჯოხს ჩაურჭობენ. რამდენსამე წუთში რძე გაყინულია, შიგ ჩადებული ჯოხიც შეყინულია ხელის მოსაკიდებლად და კვერეულის ამოსალებად. მერე ჭურჭლის განსათავისუფლებ-ლად და იქიდან გაყინულ რძის ამოსალებად, ცეცხლზე შემოს-დგამენ ჭურჭელს, ძირი და კედლები რომ მოუთბება, ჯოხით ამოსწევენ და რძეც თან ამოჰყება კვერეულივით იმ ჭურჭლის სახისა, რომელშიაც თვით რძე იყო მოწველილი. ამგვარად, მკვრივ სხეულად ქცეული სითხე სულ ადვილი და უშიშარი გა-დასატან-გადმოსატანია. მეტადრე მგზავრობისათვის (და ისიც ჩვენისთანა ცხოვრებისათვის) მისწრებაა.

ვერხოლენსკიდან წამოსულები სულ ერთ სოფელში გავ-ჩერდით. მეორე დღის საღამო ხანს უკვე ვუახლოვდებოდით ტუტურის ვოლოსტს, საცა უნდა გავჩერდეთ მე და ნოვოსად-სკი, ზოსიმე ხუბუა კი სოფ. ზნამენკაში (ჩვენგან ოცის კილო-მეტრის მანძილზე) უნდა დარჩენილიყო. ისიც ტუტურისა და ზნამენსკის გასაყარზე მოგვშორდა, და ერთმანერთს პირობა მივეცით – როცა დავპინავდებოდით, ერთმანერთი გვენახა.

X

სოფ ტუტურაში ჩასვლა. — ოთხივ კუთხივ გაშვება. — ჩემის მარჯვენის სინაბარა. — სოფელში დაბინავება. — ულ-მობელი გადამწყვეტი ომი პარაზიტებს! — როგორ გვიყურებენ აქაური ჩალდონები პოლიტიკურებს. — მტრედებზე ნაღირობა და ფიასკო. — აქედან აპარგება.

თებერვლის 28-ს, საღამოს 5 საათზე, უკვე ტუტურის ვოლოსტის კანცელიარიაში ვართ. გზის გამომყოლისაგან ჩაიბარეს ჩვენი დოკუმენტები, თან დართული ფოტოგრაფიული სურათები შეადარეს ჩვენს სახეს, დარწმუნდენ, რომ ჩვენის მხრივ სიყალბე არაფერი ჩაგვიდენია და ამ მხრივ მაინც „პატიოსნები“ ვიყავით... როცა დავთრებში ყველაფერი ჩაინერეს, გვითხრეს: თავისუფლები ხართ, ტუტურის ვოლოსტში რომელი სოფელი მოგეწონებათ, იქ დაბინავდით.

ერთხანს გაოცებულნი შევყურებდით სოფლის მწერალს... არ მოველოდით, რომ ასეთის ამბით, ამდენის ნაირ-ნაირის მცველების თანხლებით ასეთის სიბრთხილით ნამოყვანილთ ასე იოლათ შეგველევოდენ... გავკააღნიერდი და ვკითხევი — საულიუფეს ხომ არაფერს მომცემთ-მეთქი. — „Еще чего не доставалио!“ — ცოტა არ იყოს, მკვახეთ მიპასუხა მწერალმა და მაგრძნობინა, რომ ჩემის თავისათვის მევე უნდა მეპატრონებინა.... რითი და როგორ, — ესეც ჩემი და მხოლოთ ჩემი საქმე იყო. ისიც უცხო მხარეში, საღაც ძე-ხორციელი ნაცნობი არ გავაჩინია...

იმ ღამეს მე და ნოვოსადსკიმ ტუტურაში გავითენეთ ღამე და მეორე დღეს იქავე, ორის კილომეტრის მანძილზე მდებარე ერთს პატარა, 6-7 მეტრულიან, სოფლის ერთ-ერთ გლეხის სახლში გადავედით, საღაც ღამეში შაურს გვახდევინებენ ღამის გასათევს. ციმბირული ოთახი ყველა ერთის ტიპისაა: ცარიელი მრგვალი და შიგნიდან გათლილი ძელების კედელი, გარედან ხავსით გაჩურთული, შუაში — მაგიდა და რამდენიმე ტაბურეტი, ტახტად და საწოლად — იატაკი. მორჩა! მეტი არც თქვენ უნდა მოითხოვოთ და რომ მოითხოვოთ, სულერთია, არ მოგეცემათ. ასეთს მორთულობას კარგა ხანია შევაჩინეთ თვალი (და გვერდებიც), დავივიწყე, რომ იყო დრო, როცა სა-

წოლიან და ლოგინიან ოთახშიაცა წოლილვარ, მაგრამ... ეს იყო და აღარ არის. ახლა რასაც ვშოულობთ, იმაზე მეტის მოთხოვნა არ შეიძლება. და აკი არც მე ვთხოულობ და ვსჯერდები ბედს, რომელსაც ვერ დავემდურები და არც ისე გავუწირივარ, როგორცა ვფიქრობდი-მეთქი.

ამ სოფლის ნატეხში ან, უკეთ, მომავალ სოფლის ჩანასახ-ში, საცა დროებით, უკეთესის მოძებნამდე, დავბინავდი, ყო-ველთ უნინარეს შევუდექი გენერალურათ გამემდულრა ჩემის სხეულის საფარველი და სამკიდრო-სასიცოცხლო ომი გამო-მეცხადებინა ათასგვარ მოდგმისა და ათასგვარ ჩამომავლო-ბის ხალხის მიერ მოშენებულ და თავის უბით შვილივით ნატა-რებ პარაზიტებისათვის, რომელთაც ეგრე ეჯავრება ხოლმე ერთ ალაგას ფეხმოკიდებული ცხოვრება და სანუფქვოდ უყ-ვარსთ ბინების ცვლა და ახალს პატრონებს ეტანებიან. ჯერ ტუტურელ პარიკმახერს ჩემ თმა-წვერ-ულვაშისათვის უფ-რო საფერი სახე მივაცემინე; მერე ვიზიტი გავუკეთე აქაურს აპანოს, საცა ხამათ სულ ადვილათ შეიძლება გაიგუდოს კი-დეც ადამიანი, შიგ ისეთი ბუღლი ტრიალებს ცხელის ჰაერისა. ერთის სიტყვით, ჩემი თავი დავარწმუნე, რომ ოდესმე ვიცო-დი, რომ სისუფავე უსუფთაობასა სჯობდა.

დადიხარ სოფელში. გარშამო ხალხი ძალის ტყავებისა-გან შეკერილ ქურქებით გაჩულული დადის. უნდა მოგახსე-ნოთ, რომ აქ ერთი ჯიშის, მეტად ბრნყინვალე და გრძელ ბეწ-ვიანი ძალებია, რომელთა ტყავის ქურქები სხვა ცხოველე-ბის ტყავების ქურქებს ბევრით არ ჩამოუვარდება და ზოგჯერ სჯობნის კიდეცა. ბედაური ქურქი ძალების ტყავისა – 20–25 მანეთადა თუ ღირს! დადიხართ. გარშემო ხედავთ გაყინულ თოვლიან მინდვრებს. თუმცა მარტის 2-ია, მაგრამ ბუნებას ჯერ არც-კი გაუჩუჩუნებია საგაზაფხულო გამოსაღვიძებ-ლად. მერე ძალიანა ვართ დაშორებული ირკუტსკს – მთელის 350 კილომეტრით, ე. ი. იმ მანძილით, რა მანძილით ბათომი ჰშორავს ტფილის. გლეხები, არ შეიძლება კაცმა სთქვას, პო-ლიტიკურებს კეთილგანწყობილათ გვიყურებდენ. ყოველთ უწინარეს, ისინი ხედავენ, რომ აქ ჩვენისთანა ხალხი გამოგ-ზავნილია, ვინ იცის, რა სიშორიდან, ჰავიქრობენ იმასაც, რომ,

ყოველსავე შემთხვევაში, კაი კაცობისათვის არ ვიქწებით მათს ღვთისა და კაცისაგან მოძულებულ სოფელში გადმოტყორ-ცნილი; ბრძანი კი არ არიან, ვერ დაინახონ, რომ ჩვენ რანტი-ეები არა ვართ, რომ ჩვენ კოჭებშივე გვეტყობა, რომ ფიზიკურ მუშაობისათვის არ უნდა ვიყვეთ გაჩენილები, მაშასადამე, მა-თის აზრით, როცა საჭმელი შემოველევა, იმ გზას უნდა და-ვადგეთ, რა გზას დასდგომია ქვეყნიერების გაჩენიდან კაცი უქონელი, ცხოვრების სუფრითგან გარიყული, ე. ი. კერძო სა-კუთრების მითვისებას, მოსაქმე კაცის მონაგარის წართმე-ვას... აქაურმა მკვიდრმა გამოცდილებით იცის, რომ ციმბირი უაღრესად ასეთების ქვეყანაა, ასეთი ეკსპერიმენტები მისთვის ახალი ამბავი არ გახლავსთ. აქაური სანტიმენტალიზმის ხალ-ხი არ არიან, მუხლებჩაუკრეფლათ ებრძვიან ბუნებას, რო-გორც ზამთარ, ისე ზაფხულს. სამხრეთის მცხოვრებს მინიმუ-მი ენერგია რომ სჭირია – ბუნებას წაართვას მაქსიმუმი, აქა-ურს, შორეულ ციმბირელს, მაქსიმუმი გონებრივისა და ფიზი-კურის ენერგიის დახარჯვა სჭირდების, რათა იმავე ბუნებას ხელიდან გამოჰვლივოს მინიმუმი.

ამნაირ ფსიქოლოგიურის განწყობილებით აიხსნება ის ფაქ-ტი, რომ აქაური მცხოვრები, ისედაც მოქურუმებული, გაუცი-ნარი აქაურის ბუნების ზეგავლენით, უმეტესად კოპებშეკრული, რისხვიანი და გოროზის სახით გიხვდებათ, ერთი ალერგიანი ღი-მილი თუ სიტყვა არ ემეტებათ საზოგადოთ არავისთვის და მით უფრო ჩვენისთანებისათვის. ამით თუ აიხსნება მათი ჩვენდამი ასეთი მტრული განწყობილება მაშინაც-კი, როცა თითქო არა-ფერი საბუთი მიგვიცია ამისთვისო! თუ სიტყვა წამოსცდებათ თქვენდამი, ეს იქნება, უეჭველათ აქაურის მდაბიოს ყოველდღი-ურად სახმარი სიტყვა, სიტყვა – შენის მიცვალებულების ძვლე-ბის საფლავიდან ამოყრისა და ძალლების სახრავად გადაყრისა. იგინებიან დიდნი, იგინებიან პატარანი, იგინებიან მამაკაცნი და მამაკაცთა მსგავსად იგინებიან დედაკაცნიც. დედაკაცის პირი-დან მაინც ასეთი ლექსები ჩემს დღეში არ გამეგონა, და პირვე-ლათ რომ შემომიკურთხა ჩემმა სამოცდაათის წლის დიასახლის-მა, სულ უბრალო რაზედმე, საცა სხვა უმაგისო უგინებლადაც ადვილათ გავიდოდა ფონს, შემეშინდა, ყური ხომ არ მატყუებს-

მეთქი, მაგრამ... (აი, რა ვუთხრა ადამიანსა, რის შეჩვევა შესძლებია!..), როგორც ბევრს რას მე სხვას, ამასაც შევეჩვიე და სრულებით ბუნებრივადა, ნორმალურადა ვთვლიდი...

ეს მხოლოდ მეორე თუ მესამე დღეა აქ ყოფნისა, აქაურ „თავისუფალ“ ცხოვრებისა. აი, ვითარის შთაბეჭდილებებით დავიტვირთევი! ვფიქრობ, მერე რაღა ვქნა, როგორ გავატარო დღენი ჩემის აქციონისა, რა საქმე გავიჩინო, რომ ეს „თავისუფლება“ „თავისუფალ ციხედ“ არ გადამექცეს, ციხეში ყოფნაზე უფრო არ მემწაროს-მეთქი.

გამეგონა, ციმბირში კარგს მონადირეს შეუძლია თავიც ირჩინოს და ფულიც მოიგოსო. აპა, ისე როგორგავკადნიერდებოდი, ფულის მოგებისათვის მეოცნებნა და, ღმერთო, შეგცოდე, და ვიფიქრე – იქნებ თავის რჩენა მაინც მოვახერხო ნადირობით-მეთქი. ნადირიც საჩემქბილო უნდა ყოფილიყო, ბევრი უკან დევნა და დავიდარაბა არ დამჭირებოდა. ასლი საჩემო აღმოჩნდა აქაური მტრედები, რომლებიც შინაურებია, მაგრამ მათის მომრავლებისათვის აქაურები სრულებით არა ზრუნავენ. მიუხედავათ უპატრონობისა ეს ფრინველი უზომოდაა გამრავლებული. როცა მიჰვრენენ და ბანარალებით გუნდი გუნდს მისდევს, პირდაპირ მიაბნელებენ აქაურობას! ზამთარში საშიშონი არ არიან, მაგრამ ზაფხულში ღვთის რისხვას ნარმოადგენენ გლეხების ჭირნახულისათვის! რომ იხუვლებენ და დაპურებულ ყანებს დააცხრებიან, თითქო კალიამ გადაუარაო, ისე გახდიან თვალის დახამხამებაში იქაურობას! აქაურ გლეხისათვის მტრედი – წმიდა ფრინველია და მისი მოკვლა ცოდვად მიაჩინა. სამაგიეროთ, თუ ვინმე გარეშე, არა-ციმბირელი, აი, თუნდაც ჩვენისთანა ვინმე, მისული, სულს იცხონებს და დაპხოცავს, არ უშლიან, ის-კი არა – მადლობასაც ეტყვიან და ხელსაც შეუწყობენ. ამით ნათამამებულმა გადავწყვიტევი – უსაქმურად ყოფნას საქმე გამეჩინა და დავრეოდი თითქმის უმწეო (განსაკუთრებით ზამთრის სიცივეში) მტრედებს. ერთ პოლიტიკურისაგან ერთი საცოდავი (ჩემისთანა მონადირის შესაფერი) ფილითა ვიშოვნე და ისედაც სიცივისაგან ნახევრად დახოცილებს თითქმის კუდთან მივადებდი თოფის ტუჩს და ისე ვესროდი. მტრედი არც-კი ინძრეოდა „მონადირის“ მოახლოებაზე, ასე

რომ, რაც უნდა უშნოდ ამომელო ნიშანში, ათ საფანტისაგან ერთი მაინც სადმე მოხვდებოდა. დღეში ბევრის დახოცვას თოვფისნამლის უშოვნელობა მიშლიდა ხელს. დახოცილი მტრედები გავტყვენით და ბუმბულისაგან პატიოსანი ბალიშები გავიკეთეთ ყველამ. მაგრამ უფრო გვაინტერესებდა ჩვენის ნანადირევის ხორცი. ჯერ შევსწოთ, მაგრამ კბილები ვერ დავაკარეთ, ღვედივით მაგარი იყო. ვერც მოხარშვით დავარბილეთ მისი ხორცი – პირში აბედივით გვედოდა და შეუძლებელი შეიქმნა, რამე გემო ჩაგვეტანებინა. სანამ არ გავიგეთ, რომ საჭმელად მხოლოდ ხუნდები ვარგოდა მტრედისა, მანამ კიდევ გულს არ ვიტეხდით და საშუალებას ვეძებდით მოკლულ მტრედების აბედის მსგავს ხორცის დასარბილებლად...

ასეთის ფიასკოთი გათავდა ჩემი დებიუტი როგორც მონადირისა. მე და მეთოფეობა! და რათგან ამ ეგრედნოდებულ სოფელში სხვა ხელობას ვერაფერს გავიჩენდი საარსებოდ, უფრო მიზანშეწონილად დავინახევი გავსცლოდი აქაურობას. ამასობაში გავიგე, რომ მახლობელ (7 კილომეტრის მანძილზე) სოფელ ჟიგალოვოში ქართველი პოლიტიკურები არიან, ფოსტა-ტელეგრაფიცაა, დუქანიცა და ცივილიზაციის სხვა ნიშნებიცაო... თვით სოფელიც დიდიაო. გადაწყვეტილ იქმნა ამ ახალ სოფელში გადავბარგებულვიყავ (მე თქვენ მოგახსენებთ და ბარგს არ დავემძიმებინე!).

XI

ჟიგალოვოში დაბინავება. – ცხოვრების დაწყება. – იაფობა. – ჟიგალოვო, როგორც ყელი მოსკოვის ტრაკტისა. – ლენადა მისი მნიშვნელობა აქაურებისათვის. – მოსახლეთა შეძლებულობა. – მათი საქმიანობა. – ტყე. – ნავთმშენებლობა. – სხვადასხვა ხელობა. – წერა-კითხვის საქმე. – მცხოვრებთა სოციალური შედგენილობა. – აქაური ტიპები: ვიკტორი ივანიჩი, ახმეტკა.

და აპა, მარტის 4-ს მივადექი სოფ. ჟიგალოვოს, სადაც ორი ქართველი დამხვდა, ორივე პოლიტიკურები, ვერხოლენსკის მაზრაში საცხოვრებლად გამოგზავნილები: ვასო თურმანიძე

და ვასო გეგეშიძე. გეგეშიძე აქ ცოლიანად იყო მისული და ცალკე იდგა, ხოლო თურმანიძე ერთ გლეხთან ღამეს ათევდა, ღამეში შაურად. პირველ ღამეს ერთად დავრჩით თუ არა, გადავწყვიტეთ, სადმე თთვიურად გავრიგებოდით ოთახს, რომ იაფად გამოსულვიყავით და თან, ცოტათი არის, ადამიანის ცხოვრებას დამსავასებოდა ჩვენი ცხოვრება... ბინის მხრივ მაინც. ავიჩინეთ კიდეც ერთის გლეხის სახლი, რომელსაც ქუჩის პირად მიკეთებული ჰქონდა ერთი ოთახი (მერე დუქნად უნდა გადაეკეთებინა ეს ოთახი). თვალში მოგვივიდა როგორც ოთახი, ისე თვით მისი პატრონი გლეხიცა, რომელიც შეგნებულსა ჰგავდა და, როგორც მერე გამოირკვა, ჩვენისთანების ნახვის სამი სრულიადაც არა ყოფილა, მაშასადამე, არც ვეცხოვებოდით. ჩვენც ეს გვინდოდა. ოთახი თთვეში მანეთად ვიქირავეთ: იაფი და მოხერხებული, საკუთარი მარტო ჩვენ ორისა.

შევუდექით ცხოვრებას!..

ოთახში რკინის ღუმელი გვიდგია და შიგ გაუქრობელი ცეცხლი გვინთია, დღე და ღამე. ვესტალობა ბუნებრივად დაეკისრა ჩემს თანამდგმურს, რომელიც, როგორც ყოფილი მემანქანე საქართველოს რკინის გზაზე, ხამი არ იყო ამ საქმისა. მე თქვენ მოგახსენებთ, შემა გვაკლდა! ეზო სავსე გვქონდა ჩვენის სახლის პატრონის მიერ მოზიდულ ხეებითა; ჩვენი საქმე იყო – დახერხვა, დაპობა და შინ შემოტანა. დილას ავდგებოდით თუ არა, დიასახლისი აქაფქაფებულს სამოვარს ოთახში შემოგვიტანდა. აქაურ დუქანში ნაყიდი ომსკის მშვენიერი კარაქი, გირვანქა ორ აბაზად, გამოულეველი იყო. პურს გასასყიდად თითქმის ყველა ოჯახი აცხობს. ღუმელიდან გამოყრილ პურს, ხონჩაზე დაწყობილს, გარეთ გამოალაგებს რამდენისამე წუთით. პური გაიყინება და თუნდ ერთ წელს უკან მიირთვით, ისეთივე იქნება, როგორც ფურნედან ახლად გამოღებული, მხოლოთ მირთმევის წინ უნდა გაათბოთ, და ისიც სულ დაიბრუნებს ახალ გამომცხვარ პურის ყველა თვისებას. პური ჭვავისაა, მეტად წუნია კაციც კი არ იკადრებს მისი გემო ითაკილოს. გირვანქას 3 კაპიკად გვაძლევენ. ახლა ხორცისა ბრძანეთ! ხორცს აქ იმარაგებენ შემოდგომითვე, ე. ი. მარიამობის-თოვის გასულიდან. ვისაც-კი საკლავი ჰყავს, ამ დროს დაჲ-

კლავს. ამ დროს აქ თოვლი უკვე მოსულია და გაყინულიცაა. გატყავებულ ხორცს გარედ დასტოვებენ რამდენისამე ხნით. ქვასებრ რომ გახდება, შინ შემოიტანენ, ჩააგდებენ სარდაფში და შიგა დევს, სანამ არ დასჭირდებათ. დაჭირების დროს ცულით ჩამოაცლიან ნაჭერს, მერე ცეცხლზე გაათბობენ და ისიც დაიპრუნებს ახალის დაკლულის საქონლის ხორცის თვისებებს: წითელია, სისხლი სდის, თითქო, ეს-ეს არის, დაუკლავს ვის-მეო. ზოგს ნადირის ხორციცა აქვს ასევე შემოდგომიდან შენახული. გირვანქა ხორცი – და მერე რა ხორცი! – როგორც ხვადაგისა, ისე ნადირისა შაურად იყიდება. ზოგია ებევრება კიდეც ეს ფასი! კართოფილი კილო კაპიკადაა, კომბოსტო კილო $\frac{1}{2}$ კაპიკად. თევზიც შემოდგომაზეა, მდინარის გაყინვამ-დე, დაჭერილი, ხორცის მსგავსად გაყინული და სარდაფში ჩაყრილი. ქვასებრია გადაქცეული. მოხარშვის წინ რომ გაათ-ბობთ და გამოსწელავთ, თითქო ახლა ამოუყვანია წყლიდან კაცსაო, ისე სდის სისხლი. დაჭერილია აქაური თევზი მდინა-რე ლენაში, რომელიც ამ სოფელს გვერდით ჩაუვლის. ისეთი გემრიელია აქაური თევზი, რომ კაცს დაავინყებს, თუ ოდესმე გემრიელი თევზი უჭამია, პირშივე დნება. არც გირვანქა თევ-ზში გვართმევენ შაურზე მეტს.

დილით ხორცს, კომბოსტოს, კართოფილს და სხვა მასა-ლას წვინისათვის ჩააბარებთ დიასახლისს და მერე იმან იცის და იმისმა ქალობამ. ფურნეში ცეცხლს ყოველდღე ანთებენ. ამ გა-ხურებულ ღუმელში თქვენი კერძიც შეიღვის და იხარშვის ოჯახის კერძთან ერთად და ამის გასამრჯელოდ იხდით... შა-ურს. სადილობისას თქვენი კერძი ქვაბიანათ წინ დაგედგმისთ, ასე რომ ზრუნვა არსობის პურისათვის სადად არის გადაწყვე-ტილი ორისავ მხარის საამოდ. Menus მაშინდა იცვლება, როცა ხორცის მაგიერ თევზი გინდათ დაინახოთ სუფრაზე.

სადილობამდე და ნასადილევს დროუნდება გარემოს თვა-ლიერებას და არსთა და საგანთა გაცნობას.

ჩვენის ოთახის მორთულობა: ერთი უპრეტენზიო მაგიდა, ორი ტაბურეტი და ერთიც არყის ქორფა ტოტების ცოცხი. სა-ლამოს ჩაის მოჰყვება ძილი პირდაპირ იატაკზე გამლილ თი-ვით გატენილ დოშაკებზე. ღუმელი გვინთია და ისე ვიძინებთ.

ღუმელის ჩაქრობასთან ერთათ სიცივე ისადგურებს ოთახში, რაიცა სულ მალე გვაღვიძებს, რათგან სულ უკანასკნელი 25° სიცივე დგება. ციმბირის ფიჭვის და არყის შეშა არ გვეზოგების, მაღლობა ღმერთს, ჩვენისთანებს ბევრს, სულ ბევრს, ვინ იცის, რამდენს მოდგმას ეყოფა. ამიტომ გამოგვეღვიძება თუ არა, ცეცხლს გავიჩალებთ, ერთი თალია ძველს თუ ახალს ვილაპარაკებთ და მერე ისევ განვაგრძობთ ძილს. ასე განმეორდება ბარემ სამ ჯერ, სანამ გათენდებოდეს.

ასეთია დროის განაწილება და მისი მოხმარება დღე-ლამეში.

ახლა რეტროსპექტული თვალი გადავავლოთ სოფელს, სა-დაც კანონით უნდა ვიცხოვოთ, თუ სასჯელის მოხდას პირ-ნათლათ ვიკისრებთ არა ერთი და ორი წელინადი, არამედ მთელი 12 წელინადი, რომ მოგვენიჭოს წოდება აქაურის გლეხისა, უფლება გვექნეს აქაურის პასპორტისა და შეგვეძლოს მიმოს-ვლა რუსეთის იმპერიის თვალუნვდენელ და განულეველ სივ-რცეზე კიდითი-კიდე, ოთხივეუთხივ.

ჟიგალოვო მოზრდილი სოფელი გახლავსთ, ასე 40 კომ-ლიანი. მდებარეობს მდ. ლენას ნაპირას, ისეთ ნაპირას, რომ გაზაფხულის ყინულის დნობის დროს, როცა სოფელს ზემორე ყინული დაგროვდება და, მაშასადამე, წყალი დაგუბდება, გად-მოვარდნილი წყალი სოფელს რამდენსამე ალაგას დაუვლის და დიდს ზარალსაც მიაყენებს; ზოგჯერ წყალი არც იმას და-ერიდება მთელი რიგი სახლებისა (ყველა ხისებია) მოჰკვდივოს, იაკუტსკისაკენ გააქანოს და ყინულიან ოკეანეს შეუერთოს.

ეს სოფელი ზაფხულობით ტერმინუსია მოსკოვის ტრაკ-ტიისა. აქამდე ურმებით მიაქვსთ საქონელი, აქედან კი, ნავი-გაციის გახსნის შემდეგ, ნავებით და ორთქლმავალ გემებით ლენას ტალღები მიაგორვებენ ქვევით მთელის ოთხის ათასის კილომეტრის მანძილზე (მთლად ლენა 4600 კილომეტრის სიგ-რძეა)! ასე რომ მთელის ალებ-მიცემობის დედა-ძარღვი და და-საწყისი ლენაზე - ჟიგალოვოა. დიდია მისი მნიშვნელობა, რო-გორც საპორტო ქალაქისა, და ირკუტსკის გუბერნიისა და ყი-ნულიან ოკეანეს შემაერთებელი.

ლენაზე ნავიგაციის განახლებას სულისულზე ელოდები-ან ტუსაღებიცა, რომლებიც ირკუტსკიდან ალექსანდროვსკის

საკატორლო ციხეში არიან გამოგზავნილნი გამოსაზამთრებ-ლად. ყინული გადნება თუ არა, და ორთქლმავალ გემის პირ-ველი საყვირის ხმა შეაფრთხობს ლენას ნაპირებს, დაიძვრის ეტაპი ეტაპზე კირენსკის მაზრისა, იაკუტსკისა და, უფრო ზე-ვით – ვერხოიანსკისაკენ... აქედანვე მიემართებოდენ ძველად კატორლები და ისე მოხალისებიცა ბოდაიბოში ანუ ეგრედ-ნოდებულ ლენას ოქროს მადნებისაკენ, სადაც ჩემს ჟიგალო-ვოდანაც წამოსვლის შემდეგ, 1911 წელს, მოხდა მადნის ადმი-ნისტრაციის წინააღმდეგ აჯანყებულ მუშების უწყალო უღე-ტა. და, ბოლოს, აქედან, ჟიგალოვოდან, ჰგ ზავნიან მთელს კი-რენსკის მაზრაში და იაკუტსკის ოლქში აქაური პურით ვაჭ-რები ათი-ათას ფუთობით ფქვილს, შიდა ციმბირიდან ირკუტ-სკამდე რკინისგზით და ირკუტსკიდან მოსკოვის ტრაკტით მო-ზიდულს. გაიყინება ენკენისთვეში ლენა, შესწყდება ნავიგა-ცია და შეჩერდება უმთავრესი ნერვი აღმოსავლეთ ციმბირი-სა – ჟიგალოვო. ბუნების დადგომასთან ერთად დადგება აღებ-მიცემობა, მისვლა-მოსვლა და თვით ცხოვრებაც-კი. და ასე იქნება შემდეგის წლის გაზაფხულამდე.

აქაური მოსახლეები სულ ძველი ნაკატორლალები ან ციმ-ბირში სასამართლოს წესით გადმოსახლებულნი და მერე აქ დარჩენილნი არიან. მათს შორის უმეტესობა რუსობაა, არის ორიოდ ებრაელი, ერთი პოლონელი, ერთი ბორჩალოელი თა-თარი და ერთიც... ქართველი. უმეტესობას მათგანს უნახავს ბოდაიბო, უმუშავნია ოქროს მადნებში, ფულიც შეუძენია.

მოსახლე ისეთი არ იქნება, არა ჰყავდეს: ორ-სამი მეწველი ძროხა, ერთი-ორი ურემსა თუ მარხილში შესაბმელი ცხენი, თუ ორი უღელი არა, ერთი უღელი მაინც ხარი. საქონელი ზამთარ-ზაფხულ გარეთაა. კიდეც ამიტომაა, რომ სიცივისაგან თავის დასაფარავად აქაური ოთხფეხი ბუნებას გრძელის ბეწვით შე-უმოსია. უმთავრესი მუშა საქონელი აქაურის გლეხისა – ცხენია. მარხილსშებმულ ცხენით ჩამოაქვსთ ირკუტსკიდან ტვირთი, ცხენითვე აბრუნებენ ლენათი (ნავებით) ამოტანილ საქონელს.

საკუთარი და სამყოფი სახნავ-სათესი ყველასა აქვს. მოჰ-ყავსთ: ჭვავი, კართოფილი, კომბოსტო. ამათი ფასების შესა-ხებ უკვე ვიღაპარაკეთ. პირდაპირ დაუჯერებელია ასეთი სი-

იაფე უმთავრეს სურსათ-სანოვაგისა. მიწა ნოყიერია, გლეხკა-ცის შრომას უხვად აჯილდოვებს. ყოველ ოჯახს წლითი-წლო-ბამდე გამოულეველი აქვს მიწის ნაყოფი. ამას დაუმატეთ ისი-ცა, რომ იშვიათია გლეხი, შინ წველა არა ჰქონდეს. ზაფხულს – საძოვარი და ზამთარს – თივა ხვადაგს გამოულეველი აქვს.

ახლა ტყე ბრძანეთ თქვენა!.. სავსეა ყოველგვარის ნადირი-თა. არის აქ ნადირი, რომელსაც ბეწვისათვის ხოცავენ, და ეს ბეწ-ვი აღებ-მიცემობის ერთ თვალსაჩინო საგანს შეადგენს; არის ნა-დირი (ირემი, შველი, დათვი), რომლის ხორცს აქაურის ჭამა-კვე-ბაში საპატიო აღავი უჭირავს. კარგს მონადირეს სხვა საქმე არა-ფერი სჭირია, თავისი თოვი სავსებითა ჰყოფნის. ახლა მდინა-რენი!.. გარდა იმისა, რომ წარმოადგენენ საუკეთესო მისვლა-მოსვლისა და საქონლის ტრანსპორტის საშუალებას, სავსეა სა-უკეთესო, ტკბილ (და მერე რა ტკბილ!) თევზითა, რომელიც შე-მოდგომაზე დაჭერილი და გაყინული, მთელი ზამთარი ჰყოფნის მეთევზეს როგორც ოჯახში სახმარებლად, ისე გასასყიდად.

ტყე... რა და რა საშენი ტყენი გნებავსთ, აქ არ იყოს!.. უმ-თავრესი აქაური ტაიგა (ულრანი ტყე), მდიდარია ეგრედნო-დებულ ციმბირის კედრითა, რომელიც საუკეთესო საშენი მა-სალაა, მშვენიერ ჯავარიანი და წინვანებში ყველაზე მაგარი და გამძლე. თანაც მისი ნაყოფი ციმბირებისათვის იგივეა, რაც ჩვენში – თხილი. არყის ხეებისა და ფიჭვებისა ხომ მთლი-ანი, გაბმული ტყეებია. მაგრამ ყოველივე ეს ალაგობრივ სა-ჭიროებისათვის-და იხმარება. აქაურობას არ გასცდება, რათ-გან რკინისგზა შორსაა, ხოლო ურმებით მისი გატანა ბაზარ-ზე მნარმოებელს ხელს არ მისცემს, რათგან სხვა უფრო ხელ-საყრელ პირობებში მიწოდებულს ხე-ტყეს კონკურენციას ვერ გაუწევს... აი, ამიტომაა, რომ აქაური ტაიგა კიდევ დიდხანს იქნება ასე გარეულ ნადირის სინაბარა, სანამ აახმიანებდეს აქაურობას სახერხავი მანქანები მასალის დასამზადებლად და ცხრა-მთას იქით გასატანად.

მანამდე კი აქაური ჩალდონი ანუ ციმბირის მკვიდრი მო-სახლე ისევ პირველყოფილის წესითა სჭრის აქაურ ხეებს, გა-მოაქვს სოფლამდე თავის ცხენითა და მარხილითა, სთლის ხეს პირველყოფილის ცულითა და ხელეჩოთი და სულ ბევრი – იშე-

ნებს ჯარგვლებს, ჰერიავს ბრტყელ-ბსკერა ნავს და იკეთებს მარხილებსა და ორთვალა ურმებს. ეს არის და ეს. ამით განისაზღვრება მთელი მისი ეკსპლუატაცია ასეთის ბუნებრივის სიმდიდოებისა, რომელზედაც მთელს მსოფლიოს ხარბი და გაუმაძლარი თვალები უჭირავს და ჰნატრობს მის დაპატრონებას, ხელში ჩადგებას, რომ სულ ზეთი გამოადინოს აქაურობას.

სამანქანო წარმოების შესახებ აქლაპარაკიც-კი მეტია როგორც საერთოთ მრეწველობასა, ისე სასოფლო მეურნეობაში. ადამიანის ხელის მაგიერ მომუშავე მექანიკურს ძრავს მხოლოთ აქაურს ლენაზე მავალ ორთქლმავალ გემებზედა ხედავს ჩალდონი. ყველაფერი, რაც-კი აქაურ სადა ცხოვრების დასაკმაყოფილებლადა სჭირია ჩალდონს, კეთდება ხელით, შინამრეწველურათ, სადად. ამ მხრით აქაური ცნობილნი არიან ბრტყელ-ბსკერიან ნავების შენებით. ნავის კეთება ყველამ უნდა იცოდეს, ვინც ლენას პირად ცხოვრობს, ამიტომ რომ თუ ზამთარში მარხილი იყო მისი სატრანსპორტო საშუალება, ზაფხულში (მაქსიმუმი ხუთის თოვის – მაის-თიბათვე – მკათათვე-მარიამონისთოვე-ენკენისთვე – განმავლობაში) – ნავია, ქვეითკენ სხვა-დასხვა ტვირთს რომ მიეზიდება, და რომელიც ქვეით მდინარის ტალღების ბიძგებით მიდის, ხოლო პირალმა თოკებით მიათრევენ.

მთელს სოფელში (და მთელს იმ არემარეში) ერთად-ერთი სამჭედლოა, სადაც უმთავრესად მარხილებისა და ურმებისათვის საჭირო მასალა იჭედება. მაგრამ ისიც, ჩვენს იქყოფნის დროს, სანახევროზე არ მუშაობდა, რათგან მთავარი ოსტატი ტიმოშეკა არყის სასყიდლად (სახელმწიფო არყის დუქნიდან) საკმარისს ფულს იგდებდა თუ არა (ჯიბეში ჩადებასაც არ აცლიდა), პილატეს ცრემლით უნდა გამოპრუფულიყო, ზოგჯერაც ისე შეჰყვებოდა სმას, რომ ზედმეტად მიიჩნევდა სამოსსაც, რომელსაც არყით კერძოთ და ჩუმათ მოვაჭრენი რამდენსამე ჭიქა არაყში ართმევდენ და ჩვენი ოსტატი ტიმოშეკა ხშირათ შუა ქუჩაში, 35° სიცივეში, პერანგის ამარა გვინახავს. პირველში ქრისტეანული მოყვასმოყვარეობა აღვერებრებოდა და ჩვენის მოკრძალებულ გარდერობიდან ვუნილადებდით ზოგი რასა და ზოგი რას. მაგრამ ჩვენი ნაბოძვარიც

იმავე მედუქნის ხელში გადადიოდა, ხოლო ტიმოშვა ქუჩაშივე ციმბირულ სიმღერას გასაძახოდა ბარიტონით და თან თითქმის ნახევრადშიშველ ფეხებს აყოლებდა. ჩვენ ვიყავით უკანასკნელ-ნი, ვინც ტიმოშვა გავიკითხეთ და რათგან არ ძალგვედვა მე-ტი სულგრძელება გამოგვეჩინა, ისიც ბუნების სინაბარა რჩე-ბოდა. მაგრამ, ეტყობოდა ბუნებასაც ეპრალვოდა, რომ ზოგ-ჯერ თითქმის დედიშობილას აქაური ყინვა წარბებსაც ვერ ახ-რევინებდა. ბუნებასაც სცოდნია თავის ფრთეთა ქვეშ აყვანი-ლის პატრონობა, თავის გაჩენილის დარჩენაც.

მთელს სოფელში ტანისამოსის შემკერავს ვერა ნახავთ. ყო-ველს ოჯახში როგორც კაცი, ისე ქალი თვითონვე იკერავენ თა-ვიანთს გემოზე თავიანთს სადა, უპრეტენზიო ტანისამოსა. მო-დების თავი არავისა აქვს. თუმცა ჩვენს იქყოფნაში ერთი პო-ლიტიკური გადმოსახლებული ქალი გამოჩნდა, მგონი ეპრა-ელისა, რომელსაცა რუსეთში ყოფნის დროს, დაჭერამდე, მხო-ლოდ უყურებია, სხვა რომ ჰკერავდა, ერთი-ორჯელ თავისთვი-საც შეუკერნია რაღაცა, აქ იფიქრა, იფიქრა და რაკი სხვა საქმე ვერაფერი გაიჩინა, ოთახის კარებზე მიაწერა: ქალების კაბებ-სა ვკერავო. როგორც მოსულსა და წერა-კითხვის მცოდნეს, მო-დაზე მკერავის ქალის სახელი გაუვარდა და მოაწვა არამცთუ აქაური, არამედ უიგალოვოს შემოგარეთა ბანოვანნიც და ერ-თბაშათ, ერთი-მეორის მიხედვით, იმდენი მუშტარი გაუჩნდა, რომ უკვე ჯერი დააწესა. მართალია, ზოგის კაბის წელი კაბის პატრონის წელზე დაბალი გამოუდიოდა, ილლიაში ხისტაკი აკ-ლდა, ზოგისა მხართან აჩაჩული იყო, გვერდზე ბლარტებს არ უდებდა, მაგრამ შანტოკლერის მიმსგავსებას მაინც ახერხებ-და. და გარდა ამისა, ეს პირველი და აუცილებელი შეცომები იყო და კერვის პროცესში თანდათან ეტყობოდა პროგრესი და შეცომათა გასწორება. სამაგიეროთ მოჰქონდათ „მოსკოვის მოდისტკასთან“ ერბო, კარაქი, ნაზუქები და ცოტა ფულიცა. თათარიახნად მოვლენილ მკერავსაც მეტი არაფერი უნდოდა. მერომ იქაურობას თავს ვანებებდი, იქვე დავტოვე და არ ეტყო-ბოდა, ყოველსავე შემთხვევაში, მოკლე ხანში მაინც, გულში სდებოდა იქაურობის თავისდანებება, სანამ სამგზავროდ საკ-მაო თანხას არ მოუყრიდა თავს.

თქვენ ახლა ფეხსაცმელების მკერავი იყითხეთ! აქ ზამ-თარში ყველანი ნაბინი წალებს ატარებენ, რომლებიც ფეხებს მუხლებამდე ჰყარავს და თბილადაც ინახავს. მარტო ასეთის წალებით შეიძლება კაცმა დაიცვას თავი აქაურ ყინვებისაგან. ტყავის საპირებიან და ლანჩჩებიან წალების, რომელიც ზაფხულში თუ სჭირდება ადამიანს, შემკერავი სანთლით სა-ძებარია. მთელი აქაური მენაღეობა ხელთ ჩაიგდეს პოლიტი-კურმა ებრაელებმა, ვინც პოლონეთიდან იყვნენ გამოგზავ-ნილნი. სამშობლოში ზოგი მენაღე ყოფილა, ზოგი – მენაღის შაგირდი, ზოგს კიდენ პირდაპირ მემკვიდრეობითა ჰქონია მიდრეკილება მენაღეობისადმი და სცნობია სეკრეტი ამ ხე-ლობისა. ოთხი თუ ხუთი კაცი ამ ხელობას მისდევდა და უყ-ვედრელ ლუკმას შოულობდა.

მაგრამ ყველაზე კომიკური იყო ერთის პოლიტიკურის მი-ერ საპარიკმახეროს გამართვა. თვითონ თავისუფლებაში თა-ვის თავი თუ გაუპარსავს და ისიც რის ვაი-ვაგლახით. აქ მო-სულმა რომ დაინახა, გაპარსვის მსურველი ბევრია, ხოლო წვე-რის მომშორებელი სულ არ არისო, თავის ბინაზე კარის თავზე ვაინაჩრობით დახატა ემბლემა პარსვა-კრეჭისა: სამართებე-ლი და მაგრატელი! მაგრამ ორივე ისე იყო გამოყვანილი, რომ სამართებელი ცულის პირსა ჰყავდა, ხოლო მაგრატელი – ფი-ნალს. გვერდითაც ცარცით დაეხატნა ბოლქვა-ბოლქვით კვამ-ლივით ამავალი ღრუბელი – მნახველი უნდა მიხვედრილიყო, რომ საპარიკმახეროში საპონსაცა ხმარობდენ და ნახატი წარ-მოადგენდა აქაფებულ საპონს. ქვეშაც წარწერა ჰქონდა: „Мос-ковский Парижкахер. Стрижка и бритые“ (პარიკმახერი ვარ მოს-კოველი და ვისაც უნდა, ვპარსავ და ვკრეჭავო). გაპარსვაში სამ შაურს ართმევდა, ხოლო გაკრეჭაში – აბაზს. ხალხი ფასს არ უშინდებოდა და „პარიკმახტერსაც“ მუშტარი არ აკლდა. მართალია, „საპარიკმახეროდან“ გამოსულთ ზოგს ცალი ყბა ჰქონდა ჩამოთლილი, ზოგს ლოყა, ზოგსაც ორივე ერთათ, მაგ-რამ, მოგეხსენებათ, აქაურს ყინვას უაღრესად დეზინფექცი-ის თვისება აქვს, ასე რომ არცერთი ჭრილობა საშიშრად არა-ვის მიაჩნდა, ამას ნორმალურადაც სთვლიდენ და წმინდარუ-სულ თქმას „где пьется, там и льется“ -ს მეორე სტრიქონიც მი-

უმატეს: „где бреется, там и режется“ (ე. ი. საცა ისმების (ლვინო თუ არაყი), იქ იღვრების კიდეც, საცა იპარსვის, იქ იჭრების კიდეც). ფულის შოვნის მხრივ, რაც მე იქ ვიყავ, „პარიკმახ-ტერს“ კარგად მიუდიოდა საქმე, მისი შრომა კარგათ ჯილ-დოვდებოდა. ისიც იქ დავტოვე და არ ვიცი, სანამდე განაგრ-ძო ვარჯიშობა ჟიგალოველთა სახეებზე თავის სამართებლით. თუ აქეთ წამოვიდოდა, ყოველსავე შემთხვევაში იმიტომ კი არა, რომ ჟიგალოვოს ჩალდონებს რამე იჭვი შეეტანათ მის ოს-ტატობაში ან მოწმობა მოეთხოვნათ.

როგორც ყველა სხვა ხელობას, სწავლა-განათლებასაც შემთხვევითი, ანუ, უკეთ, არავითარი ხასიათი ჰქონდა. ჟიგა-ლოვო მდინარე ლენას მნიშვნელოვან პორტად ითვლებოდა. ზაფხულობით მილეთის ხალხი მიდი-მოდიოდა, წელიწადში ნა-სევარ მილიონ ფუთი ტვირთი იგზავნებოდა აქედან იაკუტსკი-საკენ, სამაგივროდ იქიდანაც მოდიოდა ძირფასი ბენვეულო-ბა და თევზი; სოფელში იყო ფოსტა-ტელეგრაფი, ნავთმშენებ-ლობა იყო გაჩაღებული, შეიძლება ითქვას, სიცოცხლე დუღ-და და გადმოდიოდა (ციმბირის მასშტაბით) და არ-კი არსე-ბობდა სკოლა, თუნდ მარტო წერა-კითხვის სასწავლებელი! იმოდენა ბავშვობა ნახირივით დაუდიოდათ. სიცილადაც არა ჰყოფნიდათ ამ საგანზე ლაპარაკი. პოლიტიკურ გამოგზავნი-ლებს თავისუფლათ შეეძლოთ ამ საქმეში გარეულიყვნენ და მათი განმანათლებლების როლი ეკისრათ, მაგრამ ადმინის-ტრაცია, რა თქმა უნდა, სულ სხვა თვალით უყურებს პოლიტი-კურებს, მათი სიკეთეც სიავედ მიაჩნიათ, მათს მიერ გადასად-გამავად განზრახულ ან უკვე გადადგმულ ნაბიჯს კრიტიკის ქარცეცხლში ატარებს, მათის მხრით ყოველს ნაბიჯზე ღალა-ტი და ორგულობა ელანდება, ერთის სიტყვით, რომ იტყვიან, ღვთისწყალობა ღვთისრისხვად ესმოდა. განსაკუთრებით სა-პედაგოგო სფეროში და ისიც კოლეკტივურ ხასიათის სწავ-ლებაში. ჯერ კერძო გაკვეთილის მიცემის ნებას არ იძლეოდენ, თორემ ბავშვების მთელის კრებულის ხელმძღვანელობის ნე-ბას აპა როგორ-ლა მისცემდენ პოლიტიკურებს!.. დარწმუნე-ბულნი იყვნენ, რომ წერა-კითხვის სწავლებასთან ერთად პო-ლიტიკურნი ბავშვებს ჩააგონებდენ ხელმწიფის ტახტის სა-

ძირკვლის გამოთხრის საჭიროებასა და ხერხს... კიდეც ამიტომ იყო, რომ უმეტესობა პოლიტიკურ დამნაშავეთა უსაქმოდ იჯდა, არ იცოდნენ, თავიანთი ცოდნა რაში გამოეყენებინათ. და აქ ამასობაში აქაური მოზარდი თაობაც ისევე უსწავლელი და იმავ სიბნელეში რჩებოდა, რა სიბნელეშიაც იმყოფებოდა მისი მამა-პაპა.

ყველა ქვეყნის და ყველა დროის დესპოტიამ ოღონდაც რომ იცის, რომ წიგნი, ბეჭდვითი სიტყვა – საუკეთესო იარაღია, უებარი საშუალებაა ხალხის გასანათლებლად. ეს ის იარაღია, რომლის მეშვეობით ამა თუ იმ ქვეყნის განაპირები ერთმანერთს უახლოვდებიან, ერთმანერთთან კავშირს აბამენ, ერთმანერთს უზიარებენ თავიანთს გაჭირვებას, ცდილობენ ერთმანერთს ძმური ხელი გაუწვდინონ მათის გამთიშველის საერთო მტრის ნინაალმდევ, მის დასამხობად. ჰო, და, თქვენს ლხენას, მეფის მთავრობა ნუ თუ ეცდებოდა სხივი განათლებისაშე შუქებინა ისეთ მიყრუებულ ადგილებში, საცა ჩვენ ამჟამად ვიმყოფებით, თავის ყელის გამოსაჭრელ დანას თავის-სავე ხელით გაღესავდა?! აბა, რა ბრძანებაა!..

მართალია, სკოლა არა ჰქონდა უიგალოველებს, სამაგიეროთ მშვენიერი, კოხტა ეკლესია აეშენებინათ უიგალოვოს მეზობლად ტუტურას მცხოვრებთ. სულიერი მოძღვარი, რომელსაც სავოლოსტო სოფელ ტუტურაში ჰქონდა რეზიდენცია, ბედნიერ დღეებში მარხილით დაუვლიდა თავისს სამწყსოს ორმოცდაათ კილომეტრის პერიფერიაში და, როგორც მისნი თანაძმანი დანარჩენის რუსეთისა, რამდენადაც მათს ჩასუქებულ გარეგნობაზე ეტყობოდათ, ბედს არ უნდა ჰმდურებოდა. აქაურ ისედაც მდიდარ მხარეში, ეკლესიის მსახურის ოჯახში სავსება იყო ყველაფრისა, რაც კი სააქაო სიცოცხლისათვის სჭირია ხორციელ არსებასა.

აქაურის სოფლის მკვიდრთა ელემენტები – გლეხობაა მხოლოთ და მხოლოთ. სხვაფურივ არც-კი შეიძლება იყოს. რაკი ერთი ციმბირისაკენ იბრუნე (ან გაბრუნებინეს) პირი, ცხადია, უკვე გლეხთა წოდებას მიეკუთვნე, სულერთია, რა წოდებისაც უნდა ყოფილიყავ ადრე. ამიტომ რომ კანონი, რომელიც გსჯის და აქეთკენ გამოსაგზავნად გიმეტებს, იმავე დროს ჩამოგაც-

ლის ჩამომავლობით, პირადათ ან სამსახურით თუ რამე ღირ-სება-უპირატესობა მოგიპოვებია.

ესენი არიან ყველანი საკატორლო სასჯელ-მოხდილები, მერე აქ ჩარჩენილები როგორც აქაურნი გლეხნი და სხვა გლე-სებს გვერდით ამომდგარნი. სხვაფრივ არც შეიძლება! ათს წე-ლინადს რომ კატორლაში გაატარებ და მერე ციმბირში სავალ-დებულო თავისუფალ ცხოვრების ვადას (12 წელიწადი) რო გა-ათავებ, დროს თავისი გააქვს: გავინყდება სამშობლო, რომელ-საც მოგზუვიტეს, გავიწყდება იქ დატოვებული ხალხიც. ამ ხნის განმავლობაში აქ გამოგზავნილს ეხოცება დედ-მამა, იქით-აქეთ ეფანტებიან და-ძმები, და ის ძაფი, რომლითაც მათთან გადაბ-მული იყო მჭიდრო კავშირითა, დროის განმავლობაში თანდა-თან სუსტდება და ბოლოს სწყდება კიდეცა. შემდეგში აქ, ციმ-ბირში, ოჯახს მოეკიდები, კერას გაიჩინ, ამათებურათ ფიქრს დაიწყებ, ამათთან საერთო ინტერესები გაგიჩნდება და... მორ-ჩა... ათასში ერთხელ თუ წამოგიდგება და ისიც ბუნდად, თით-ქო სიზმარშიო, გარდასრულნი ხმანი სამშობლოისა, გარდას-რულნი სურათინი სამშობლოს ველმინდვრებისა, იქ გატარე-ბულ ყრმობისა, ახალგაზრდობისა, მეზობლებთან გატარე-ბულ დროისა, მათთან ლხენისა, მათთან ტირილისა, საერთო ჭირ-ვარამის თუ სიტყბოების განცდისა... დიახ, ბუნდათ... წამ-ერთს გაგიელვებს გონების თვალწინ... ეს გაელვებაც თან-დათან იშვიათი, მკრთალი ხდება, სანამ სრულებით არ გაქრე-ბა... ან მოჰკვდები ხორციელად, ან მოჰკვდები, როგორც წევ-რი შენთა წინაპართა ჩამომავლებისა...

აი, ასეთ ხალხში ვეძიებდი (და სრულებით ბუნებრივადაც) შევხვედროდი, წავწყდომოდი სადმე ჩვენის მხარიდან გად-მოტყორცნილთ, გამეგო, თუ კი ვიპოვნიდი ასეთებს, როგორ იმოქმედა მათზე ცხოვრების საერთო კანონმა, რამდენათ შე-იძლეს წინააღმდეგობის განევა, რამდენათ მაგარი თუ სუსტი აღმოჩნდენ ამ წინააღმდეგობის განევაში, ან რა რეზულტატი მოჰკვდა ამ კანონის ურჩობას, მის ნების გადასვლას... ან სასა-მართლომ და კანონმა, თავის მხრივ, რამდენათ მიაღწია და-დებითს რეზულტატს: რამდენათ გამოასწორა „უკულმართი“ წევრი საზოგადოებისა ათ და ოც წლობით სასჯელის შემდეგ,

რამდენათ დააყენა საწალმართოზე, თუ... სულ სხვა ნაყოფი
მოიმკო, თუ იქ, საცა იფქლი უნდა ამოსვლოდა, ამოუვიდა
ლვარძლი, კურისთავი, ნარეკალი...

და, წარმოიდგინეთ, ვპოვევი...

პირველი.

ტიპიურია...

რაჭველია... სოფელიც კი ახსოვს, სადაურიცაა: ამბრო-
ლაური. გვარი – კობახიძე; სახელი – ვახტანგი (წინათა რქმე-
ვია). ამჟამად 55 წლისაა. ამ ოცდაათს წელს წინად ყაჩალობი-
სათვის კატორძა მიუსჯიათ 10-ის წლით. სასჯელი მოუხდია
ოქროს მაღნებში, ბოდაიბოში, მუშაობით. კატორძას შემდეგ
ციმბირში უნდა დარჩენილიყო საცხოვრებლად. იმასაც ჟიგა-
ლოვო აურჩევია დასარჩენად. გაულია პატარა საწვრილმანი
დუქანი, სადაც უმთავრესად ჰყიდდა არაყს და, რა თქმა უნ-
და, ჩუმათ, რათვან არყის ყიდვა მთავრობის მონოპოლიას შე-
ადგენდა და ყველგან საამისო სპეციალი დუქნები იყო გახ-
სნილი. მაგრამ ამ დუქნებში დღისით დანიშნულ საათებში და
ბოთლობით იყიდებოდა არაყი, ხოლო კვირა-უქმეობით დუქა-
ნისრულებით იკეტებოდა. მაშასადამე, როცა სახელმწიფო დუ-
ქანი დაკეტილი იქნებოდა, მსმელს (აქვინ არ სვამს, თქვენს ლხე-
ნას!) თავი უნდა დაეგირავებინა და არაყი, რადაც უნდა დას-
ჯდომოდა, ეშოვნა. აი ასეთ შემთხვევისათვის გაჭირვების ტალ-
კვესად მოევლინებოდა ხოლმე ყველა წყურვილისაგან ყელგა-
დაგდებულს ჩვენი რაჭველი ვახტანგი, ან, როგორც თვით გა-
დაუკეთებია თავისი სახელი რუსის ენისათვის ადვილად გამო-
თქმისათვის (თვითონ ვახტანგმა ასე აგვიხსნა), ვიკტორ ივა-
ნიჩი, ან კიდევ ივანიჩი. ჰოდა, ივანიჩთან არაყი მუდამ ორწილ
ფასში იყო, მაგრამ მუშტარი მაინც არ აკლდა, რათვან არაყი
ვახტანგთან იშოვებოდა დღესა ყოველსა და უამსა ყოველსა. მუშტარი შეჰყვებოდა სმას, დაუცარიელდებოდა ჯიბე – ვიკ-
ტორ ივანიჩი არც მაშინ დაგილონდებოდათ: ფულის მაგივ-
რად ღებულობდა მისგან გირაოდ ქუდს, ქურქს და ტუალეტის
სხვა ნაწილებს; ბევრჯელ ყოფილა, რომ მუშტარი შინ წასულა
და იქიდან ბალიში ან სხვა რამ ავეჯი მოუტანია და დაუგირა-
ვებია, ოღონდ ვიკტორ ივანიჩს სული არ წაეწყმინდა და სმის

საღერლელაშლილი მუშტარი შუა გზაზე არ გაეჩერებინა. ბოლოს საქმე ისე მოეწყობოდა, რომ გირაო პატრონის ხელში ველარა ბრუნდებოდა და ვიკ. ივანიჩი რაკი ასეთის გზით დაგროვილ ნივთებს სახლში ვეღარ იტევდა, ლიკვიდაციას უშვრებოდა და ფულად აქცევდა ხოლმე. ამგვარად იძნდა ვიკტორ ივანიჩი არსებობის საშუალებას.

ოჯახი? ერთხელ შეერთო ვ. ივანიჩს აქაურის ჩელდონის ქალი. მოჰკვდომოდა. მეორე გვირგვინოსანი არ გამოსდგომოდა. გადაეწყვიტნა საეკლესიო წესით თანამეცხედრე შინ არ შემოეყვანა, რათგან ამ წესს ბევრი დავიდარაბა სდევდა თან: გაყრა, საჩივარი, ალიმენტის მიცემა... აბა, ვის ჰქონდა ამაების თავი!.. თვითონ ვ. ივანიჩს შემოელო რაღაც სამოქალაქო ჯვარისწერის მაგვარი: თუ თვალში მოუვიდოდა ვინმე ჩალდონი, უპატრონო და უთვისტომო, მხევლად აიყვანდა. და აბა ვინ არ დაუდგებოდა ვიკტორ ივანიჩს: დუქნის პატრონს, რომელსაც არაყი გამოულეველი ჰქონდა! მხევალი კიდევ არც ისე ხამი იქნებოდა, ვიკტორ ივანიჩის მოგონება დასჭირებოდა, თუ, მხევლობას გარდა, რა როლი უნდა დაჰკისრებოდა ოჯახში. ისიც პირნათლათ ასრულებდა ორმაგ როლს თანამეცხედრისა და მხევლისას. იცოდა, რომ ამისთვის ექნებოდა თვეში 3 მანეთი ფულად და გამოულეველი არაყი!... ზოგი ქალი დაჰხსარბდებოდა ვიკტორ ივანიჩის ქონებას, ერთბაშათ მოინდომედა გამდიდრებას. ერთ მშვენიერ დილას, ვიკტორ ივანიჩი რომ გამოიღვიძებდა, მის ძახილზე მარფუშას პასუხი არ მოდიოდა. ნიფხავ-პერანგა ვიკტორ ივანიჩი, დაინახავდა, რომ მარფუშას მოჰქებებოდა ერთგულება, ვიკტორ ივანიჩის საყვარელი ნივთები ხელისათვის გაეყოლებინა და საგზაოდ ერთი ბოთლი არაყიც მიეყოლებინა... განცხადება ურიადნიკ-თან!... მესამე თუ მეოთხე სოფელში აღმოჩნდება მარფუშა, მაგრამ უნივთებოდ და უარყისბოთლოდ; მარფუშას გაჩერება სოფლის სატუსალოში ორის კვირით და მერე გამოშვება.

1. აქ დიდ სოფლებში ხელისუფლების წარმომადგენლებად სამსახურგა-თავებული უნტეროფიცრები არიან, რომელთაც ურიადნიკს (წეს-რიგის დამ-მყარებელს) ეძახიან. იმათვე აქვსთ დაკისრებული პოლიტიკურ გადმოსახლებულთ თვალყური ადევნონ ხოლმე.

ჩვენს იქ ყოფნაში (ორის თთვის განმავლობაში) ვიკტორ ივანიჩს სამი ჰყავდა ასეთი მსახური გამოცვლილი... მის გულისწყრომას საზღვარი არა ჰქონდა: გაფუჭდა ქვეყანა, სახლში ვერავინ შემოგიშვია, ვერავის მინდობისარ, – უეჭველათ უნდა გაგქურდოს, შრომით და გარჯით ნაშოვნი ორიოდ გროში ხელიდან უნდა გამოგაცალოს... „პატიოსანი“ შრომა ეზარებათ, სულ უნდათ ხელის გაუნძრევლათ იშოვნონ ყველაფერიო, დაივინყეს ღმერთი და ხატიო!.. ყველა იმას იძახის: „კულაკი“ ხარ, სისხლის მზოველიო! ზოგი მეცა მყითხონ დალოცვილებმა, რაშიშის ქვეშ ვშოულობ ფულსა, რამდენჯერ მოუსწვრიათ საიდუმლოთ არყის გაყიდვაზე, რამდენჯერ ყვითელ თუმნიანების საშუალებით მიხსნია თავი, ამიცდენია ციხე, მთლად ქონების წაგება!.. და ახლა ვიღაც წუპაკმა ჩალდონის გომბიომ ჩემის ოფლით მონაგარი უნდა წამართვას და შემარცხვინოს!.. მაშ ბიჭი არა ყოფილა ვიკტორ ივანიჩი, თუ ეს შეარჩინა!.. – დაატანდა გაალმასებული ჩვენი კომპატრიოტი.

ერთხელ სადილად მიგვიწვია ვიკტორ ივანიჩმა მე და ჩემი ამხანაგი ვ. თურმანიძე. წუნი არ დაედებოდა, ისე გაგვიმას-პინძლდა. სუფრაზე ყველაფერი გააჩინა, რაც ამ სოფლად იშოვებოდა, ჩვენებურ ღვინის გარდა. ირკუტსკის ზევით ყურძნის წვენი საზიარებლადაც არ იშოვება. კარგათ შეჭიჭიკდა მასპინძელი აქაურ ღვინით (არყით), გული აუჩირვილდა და მოიგონა თავისი რაჭა, სადაც პირველად აეხილა თვალები. მოაგონდა სიყრმე, ტოლები, მეზობლები, იქაური მინდორ-ველი, ტყე, რიონის წაპირები... მოაგონდა მშობლები; თავისი თავ-გადასავალი, ყაჩალად გავარდნა, დაჭერა, გასამართლება, მერე კატორლა, იქაური ცხოვრება, შემდეგ აქ დასახლება... კი-ნემატოგრაფის სისწრავით გაირბინა ყოველმავე მის თვალ-წინ... მერე ხელი გამოვიდე, ვაჭრობა დავიწყე, ფული ვიშოვნე და გადავსწყვიტე სამშობლოში წავსულვიყავ, იქაც ვაჭრობა დამეწყო და მოსვენებით მეცხოვრნაო. მაგრამ კარგათ ვერც-კი მომესწრო ჩემიანების ნახვა, ისე რაც რამ ჩამყვა აქედან, ჩემიანებმავე მომპარეს. მეც გული მომივიდა, შემეზიზლა ჩემი ხალხი, საცა „პატიოსან“ კაცს არ შეუძლია ორი გროში ჯი-ბეში ედოს. დავსწყევლე იქაურობა და მაშინათვე დავბრუნდი

უკანვეო. აქ, მადლობა ღმერთს, ვაჭრობაში ხელი მომემართა, უნარი გამოვიჩინე, ხალხიც ადვილი მოსატყუებელია, ოლონდ არაყი გქონდესო...

მეორე ტიპი:

სახლის პატრონმა სტეპანიჩმა გვითხრა: აქ მეორეცაა თქვენებურიო. ახმეტკას ეძახიანო. გადავწყვიტეთ გვენახნა.

ახმეტკა ბორჩალოელი თათარია. ამასაც ვიკტორ ივანიჩის მსგავსი სტაუი აქვს. უგემნია გემო კატორლისა, მერე ციმბირში ცხოვრებისა. აქ ჩარჩენილა, ქონება შეუძენია, ბაკი, ერთგვარი ღამისგასათევი რომ გაუკეთებია, ამვლელ-ჩამომვლელი ახმეტკას ბაკს ვერ ასცდება და ისე არ გაივლის, მასპინძელს ფული არ დაუტოვოს ზოგი ღამის გასათევი, ზოგი საჭმლისა და ზოგიც თავლაში ცხენის დასაბმელი. ახმეტკას კომერცია ვიკტორ ივანიჩზე უფრო ფართედა აქვს დაყენებული, მეტი უნარი და შენ გამოუჩენია ამ სფეროში. იმასაც შეურთავს აქაურ ჩალდონის ქალი. ერთმანერთს შესტკბობიან, შესთვისებიან, ორნივენი გამრჯენი გამომდგარან.

დიდის სიხარულით დაგვიხვდა. ჯერ ისევ საქართველოში სცნობია ქართველები, მათს შორის ბევრი მეგობარიცა ჰყოლია. მეტად ტკბილათ იგონებდა ყველას. ცოლს მოატანინა ნაირ-ნაირი მურაბები, ჩაი, საუზმე. თქვენზე ძვირფას სტუმარს აქ ვისა ვნახავო!..

ჩვენმა ნახვამ ახმეტკას თვალწინ დაუყენა სურათები თავის ყრმობისა, თავისი მხარე, თვისნი სწორნი... რო იგონებდა ნარსულს, ნაოჭებისაგან დაღარულს ლოყებზე ცრემლები ჩამოუგორდა და გაპარსულ ნიკაპას ქვეშ გამოენასკვნა... მხოლოთ ერთხელ მომაკვრევინა თვალი იქაურობისათვის და მერე თუნდ არ მაცოცხლაო... მაგრამ მორჩა ჩემთვის საუკუნოთ ყველაფერი, იქაურობას ვერა ვნახავ... იქ რომ ვიყვე კიდეცა, სულერთია, ვერ ვიცხოვრებ, რათგან თითქმის ორმოცი წელიწადი მეტია, აქეთკენა ვარ, აქაურ ცხოვრებას მივეჩვიე, ჩვენებურს ყველაფერს გადავეჩვიე, ყველაფერი გადამავიწყდა... სჯული მაინც არ დამვიწყნია, მაპმადს ვიგონებ გული-გულში, თუმცა იშვიათად, გული მწყდება, როცა წარმომიდგება, რომ მიწას ჩემის დედ-მამის სჯულის წესზე არ მიმა-

ბარებენ, არც ჩემის სამშობლოს მიწა გამეთხრება და ზევიდან ეს მიწა არ დამეყრება... რა დავაშავე ისეთი, რომ ასეთი სას-ჯელი გამიხდა საზიდო!.. ერთი სოფლის უსნავლელი კაცი ვიყავ. განა მესმოდა-კი, რა ჩავიდინეო! კაცი შემომაკვდა. ასე მითხრეს – კანონის წინააღმდეგ ნახვედიო – და მე-კი ვიცოდი, რომ კანონის წინააღმდეგ მივდიოდი! – იმის მაგიერ, რომ ჭკუა ესწავლებინათ, კარგ გზაზე დავეყენებინეთ, გავესწორებინეთ, ამნიეს და ცხრა-მთას აქეთ გადმომტყორცნეს საშინელ ბუნებაში, უფრო საშინელ ხალხში, გაუსაძლის პირობებში. გამოს-წორების მაგიერ, სულ უარესი შევიქენი, გული გამიქვავდა, ადამიანი შემძულდა, ყველა მხეცად და მტრად მიმაჩნდა, გავ-ბოროტდი, გულიდან მოყვასის შებრალების გრძნობა აღმო-მეფევრა... და მაინც... თქვენ რომ გიყურებთ, ჩემი მხარე მო-მაგონდა. იქ რომ ვიყვე, ასე მგონია, უფრო სხვა შევიქენები, უფრო დავუტკბები ყველას-მეთქ.

დასასრულ, ნამდვილის თათრულის თავაზიანობით გა-მოგვიცხადა, თუ რამ დაგვჭირდებოდა, მზადყოფნა ჩვენდა საამებლად და მსახურებად.

აი, მსუბუქი, ზეზეური სურათი ჩვენის ცხოვრების, ჩვენის სინამდვილის უკანონო შვილებისა, ისიც ზოგიერთისა, ხელში შემთხვევით მოხვედრილებისა; სოციალურ უსამართლობის, ცხოვრების უკულმართ პირობების მიერ უარესათ გაუკულმარ-თებულ, ეკონომიურ უთანასწორობის მიერ დაჩაგრულ, სწო-რის გზიდან აცთენილ შვილებისა, რომელნიც, მათის ენერგი-ის, ბუნებრივის მიხვედრილობა-ნიჭის წყალობით, ადვილათ შე-საძლივებელია, – საზოგადოების გამოსაღვევი წევრები გამო-სულიყვნენ, თავისითვისაც ერგოთ და სხვისითვისაც.

ამათთან ერთად სხვაც ბევრნი ვნახეთ ამათსებ ცხრა ჩლა-ში გამოვლილები, რომელთა თავზე ერთი წისქვილის ქვა-ლა არ დატრიალებულა, რომელთაც ამ უსწორო ბრძოლაში, ცხოვ-რებასთან ამ წელშიგამწყვეტ ჭიდილში დაეკარქნათ ბუნებრი-ვი ხატება ადამიანისა, მეტყველისა და დამსგავსებიან პი-რუტყვსა, მჩმუნავსა, რომელთაც თავიანთი თავი ადამიანთა კრებულის წევრად კი არ მიაჩნდათ, არამედ ადამიანთ, ყვე-ლას ერთად, თავის მოსისხლე მტრებადა სთვლიდენ და ფონს

გასასვლელად, ლელოს გასატანად უნდა ცდილიყვნენ, ძირს დაენარცხებინათ სხვები, ფეხებით ზედ შემდგარიყვნენ, გაექელნათ, გაესრისათ, მოესპოთ...

...ამათაც შევეჩვიენით... იმდენათ, რომ თითქო არც-კი გვეხამუშებოდა მათი ყურებაო...

XII

წრე. — ცხოვრების პირობები. — უმწეობა. — პოლიტიკურთა ცხოვრება. — აქედან ოტების აზრის ჩასახვა. — მოსალოდნელი სასჯელი ურჩობისათვის. — ზოსიმე ხუბუა. — მოხეტიალე ფოტოგრაფი. — ვასო თურმანიძის გაუფრთხილებლობამ კინაღამ კერაზე ცეცხლი ჩავიქრო.

აი ის ატმოსფერა, ის წრე, ის გარემო, ის ცხოვრების პირობები, რომელთშიაც უნდა გვეცხოვრნა როგორც შევიძლებდით, სანამ გავუძლებდით, სანამ მოვბეზრდებოდა და ახალის, უკეთესის ძებნას არ შევუდგებოდით. ჩვენცა „ვცხოვრობდით“. ფიზიკურის არსებობის მოწყობის შესახებ იმ თავის დასაწყისშივე ვსთქვით ორიოდ სიტყვა. აქ ვიტყვით ორიოდ სიტყვასვე, თუ რა რიგი იყო ჩვენი მორალური მხარე, რამდენათ ვიმყოფებოდით გასაძლისს პირობებში, რამდენათ შევიძლებდით კანონის წინაშე „პირნათლათ“ გამოსულვიყავით და ჩვენი სასჯელი ბოლომდე მოვვეხადნა.

ერთად-ერთი წრე, ვისთანაც ბუნებრივათ შესაძლებელი უნდა ყოფილიყო ურთიერთობა — უნდა ყოფილიყო წრე პოლიტიკური. ვამბობ — უნდა ყოფილიყო-მეთქი. ნამდვილათ კი არ გახლდათ. არსებობისათვის ბრძოლას ყველანი ისე გაეტაცებინა, რომ სხვა ყველა საზრუნავი, სხვა ყველა ფიქრი და ურვა უკან დაეყენებინათ. უმეტესობა პოლონეთის ებრაელობა იყო და, როგორც ზემორე ვსთქვით, ხელოსნები იყვნენ და ნაღების კერვა იცოდენ. დღესა და ღამეს ასწორებდენ — პურის ფული ეშოვნათ. კიდევ კარგი, რომ შრომა უფასდებოდათ. ასე რომ ყველა თავის სახლში იყო გამომწყვდეული, ყველა თავისს საზრუნავს დასტრიალებდა. ერთი ქართველი სოციალ-დემოკრატი და თავისი ფანატიზმი და სეკტანტობა საქართველოდან

აქაც ჩამოჰყოლოდა, და მე და ვას. თურმანიძეს, როგორც ფე-
დერალისტებს, მასთან საერთო ენა ვერ მოგვეძებნა.

მე და თურმანიძე დავდიოდით ძალაუნებურათ თითქმის
განმარტოებულნი. რაკი ხელობა არაფერი ვიცოდი, სრულე-
ბით უმწეო გამოვდექი აქაურ ცხოვრების პირობებთან ბრძო-
ლაში. ვასო თურმანიძე, მართალია, ლოკომოტივის მემანქა-
ნედ ყოფილა, მაგრამ აქ რკინისგზა 400 კილომეტრით გვშო-
რავდა. ჟიგალოვოს ცოტა მოშორებით გემთსაშენებელი და
შესაკეთებელი ვერფი იყო. ჩავედით, სამუშაო რამ ვთხოვთ.
საჩემო არასფერი გამოჩნდა, ხოლო თურმანიძე იძულებული
იყო დასთანხმებულიყო ეკისრნა გემის რკინის ნაწილების შე-
ღებვა, რაც თავის სიცოცხლეში არ გაუკეთებია და ამაში დღეში
ექვს აპაზს აძლევდენ. ისიც ორ დღეს უკან აღარ იყო.

ჩემს სიცოცხლეში პირველათ ვიყავ ასეთ უმწეო, უსასოო
მდგომარეობაში. პრაკტიკულ ცხოვრებისათვის სრულებით
მოუმზადებელი გამოვჩნდი. პარიკმახერობა რა არის, ის მა-
ინცა მცოდნოდა, უყვედრებელ ლუკმა-პურის შოვნას შევიძ-
ლებდი, ერთად-ერთი – მასნავლებლობა შემეძლო და პედა-
გოგობის კარებსაც მიხშობდა ჩემი წოდება გაციმბირებული-
სა. მაშინ-და დავრწმუნდი, რომ რაც უნდა სწავლა მივსცეთ
ყმანვილს, რამე, ცხოვრებაში გამოსადევი, ხელობა უეჭველათ
უნდა იცოდეს, თორემ ცხოვრებაში ყოველთვის დაჩაგრულად
იგრძნობ კაცი თავს-მეთქი.

ამ უდაბნოში ქვეყნიერებასთან გვაკავშირებდა გაზეთე-
ბი, რომელიც მეოცე დღეზე მოჰკონდა ტფილისიდან გამოგ-
ზავნილი ფოსტას კვირაში ერთხელ. ფოსტის მოსვლის დღე
უუბედნიერეს დღედ ითვლებოდა ხოლმე ჩვენთვის. მომავალ
ფოსტის მისაგებებლად სოფლიდან მთელის ათისა და მეტის
კილომეტრის მანძილზე გავიდოდით ფეხით. უკან დაბრუნე-
ბისას ფოსტა უკვე გარჩეული დაგვხდებოდა.

პოლიტიკურთა შორის დიდი გასავალი ჰქონდა ციმბირის
ცხოვრების ორს უმთავრეს სენს: ქალალდის თამაშს და არყის
სმას. ძალიან მტკიცე ხასიათისა უნდა იყოს ადამიანი, რომ არ
ჩაეთრევინოს თუ ორსავეს ერთად არა, ერთ-ერთს მაინც. აქა-
ურ უმიზნო და უშინაარსო ცხოვრებას ადამიანი ამ გასართო-

ბებით ატკბილებდა და გასაძლისადა ხდიდა. საბედნიეროთ, მე და ვასო თურმანიძე ერთსაც გავურბოდით და მეორესაც. ციმბირში ბევრი გაუოხრებია პილატეს ცრემლს ისეთი, ვინც პირველათ მაინცა და მაინც არა სწყალობდა ამ სასმელს.

უკვე ერთმა თვემ (მარტმა) გაიარა, რაც ასე „თავისუფლად“ ვცხოვრობდით. ჩვენს ასეთს ყოფნას სხვა უკეთესი სახელი ვერ გამოვუნახეთ, თუ არ „თავისუფალი ციხე“. ერთი და იგივე ქუჩა, ერთი და იგივე სახეები... საღამოს 8 საათზე დაძინება, გაუთავებელი ღამები, დილის 7 საათზე ადგომა... რაც დღე გადიოდა, უფრო და უფრო გაუსაძლის ხდებოდა გარემო. ახლა ფიქრის მთავარი და განუწყვეტელი საგანი გახდენ სამშობლოში დატოვებულები ოჯახი, მეგობრები... როგორ უნდა შევრიგებოდი იმ აზრს, რომ საუკეთესო დრო ჩემის სიცოცხლისა (თუ მთლათ სიცოცხლე არა) აქ უნდა ჩამემარხნა (და მერე რა უშნოთ!). ჩემი ძალლონე, ჩემი ენერგია არასფერს უნდა გამოსდგომოდა. მარტო ამის ფიქრი შემაურულებდა ხოლმე.

აქ დაბინავების პირველ დღეებიდანვე კოჭებშივე ეტყობოდა აქაურობას, რომ ჩვენ იმას ვერ შევითვისებდით, ბოლომ-დე ვერ გავუძლებდით და ვერ... ვუერთგულებდით. ჯერ მკრთალათ ჩაგვესახა გონებაში აზრი აქაურობისათვის თავის დანებებისა, აქედან ლტოლვისა... ეს აზრი დღითი-დღე იზრდებოდა და ბოლოს მყაფიოდ ჩამოისახა მტკიცე გადაწყვეტილებად, ჩვენს იდე-ფიქსად: ოტებულ ვიქმნეთ აქედან, რა-დაც უნდა დაგვიჯდეს ასეთი გამბედაობა!..

აქ ვოლოსტში რომ გვიშვებენ, თან მოვალეობად დაგვეკისრება ჩვენს ვოლოსტში 6 თთვეს ფეხმოუცვლელად უნდა ვიყვნეთ. ექვს თოვის შემდეგ მოგვეცემა პილეთი და ნება მოგვენიჭება მთელს მაზრაში ვიცხოვროთ, საცა გვინდა; ერთს წელს შემდეგ უფლება გვეძლევა გუბერნიის სხვადასხვა ადგილებში საცა მოგვეწონების, იქ ვიცხოვროთ; ხუთს წელს შემდეგ უფლება მოგვენიჭება მთელს ციმბირში, ურალიდან ვლა-დივოსტოკამდე; ხოლო 8 წელს შემდეგ მოგვცემენ გლეხის ბილეთს და უფლება გვაქვს მთელს რუსეთის იმპერიაში და სამშობლოშიაც ვიცხოვროთ. ამასთან კანონმდებელს წინდაწინვე გაუთვალისწინებია, რომ გაციმბირებული ყოველთვის

მორჩილი არ გამოდგებოდა კანონისა, გამოერეოდა ზოგი ურჩი, რომელიც ვადაზე ადრე განიზრახავდა თავის მაზრის, გინა გუბერნიის ან სულაც ციმბირის დატოვებას და აპა, ასეთის ურჩისა და გაუგონარის მოსაჭყვიანებლად წინდანინვე გამოუმუშავებია სასჯელი. სახელდობრ: თუ გამოქცეული ჩვენს გუბერნიაში დაგვიფირეს, მოგველის ერთი თთვე ციხე: სამის თთვის ციხით გაგვიმასპინძლდებიან, თუ გავკადნიერდით და ციმბირის სხვადასხვა გუბერნიაში განვიზრახეთ ცხოვრება და დაგვიფირეს... მაგრამ უკეთუ გავტედევით ციმბირს სრულებით დავანებოთ თავი და გადავედით ევროპის რუსეთში და თანაც მოგვისწრეს სადმე, ოთხი წლის კატორლას ათას ქისა მარჩილასთვის ვერ გადავურჩებით...

დიახ, ყოველივე ეს კარგათ ვიცით, ვიცოდით ჯერ ისევ ირკუტსკის ციხეში ყოფნის დროს. და ახლა, საცა-კი გაქცევის აზრი წამოგვიდგება (და როდის არ წამოგვიდგება?!), მაშინათვე თვალწინ აგვეტუზება ეს მომავალის სასჯელის საშიშროება. მაგრამ ეს „თავისუფალი სატუსალი“, სადაც გამყოფებენ კაცს, რომელსაც მუშაობა შეგეძლოს, საქმის გაკეთების უნარიცადა ხალისიცა გქონდეს, და ხელფეხს კი გიკრავდენ და დამბლადაცემულივით-კი გამყოფებდენ, ნამდვილ სატუსალოზე უარესი შეიქმნა. და მოსალოდნელი სასჯელი ჩალად გვიჩანს.

გადაწყვეტილია...

უნდა ვიოტოთ... სამშობლოში მეგობრებსა და პატივისმცემელთ ვუზიარებთ ჩვენს განზრახვას და ვთხოვთ შეგვაძლებინონ აქედან გასვლა (ან განსვენებულთ თ. უორდანიამა და იაკობ გოგებაშვილმა დაუყოვნებლივ ხუთ-ხუთი თუმანი მომაწოდეს ტელეგრამით).

ამასობაში გავიდა მარტი. გადავდექით აპრილში. ლენაზე ყინულმა დნობა იწყო და ყინულის დაძვრის გრანდიოზულმა სურათებმა მიიპყრო ჩვენი ყურადღება და დიდსხანს გვეყო გასართობად. მოსცურავს მძიმედ 10 და 20 მეტრის სიფართე და $1\frac{1}{2}$ მეტრის სისქის ლოდები ყინულისა, ასეთს ლოდს ბაზარალებით მოჰყვება სხვა მისი მსგავსი ლოდები. კილომეტრის მანძილზე ასე მიდის, დაუბრკოლებლივ. უცბად ლოდები ერთი-მეორეს დაეჯახება, ნამოყირავდება, მოწინავე ლოდები

ერთ ალაგას ჩაიხერგება, გაკეთდება ჯებირი, ჯებირი გაიზ-რდება, ალიმართება მაღლა მთად, რომელსაც ახალი და ახა-ლი ლოდები ემატება და აგუბებენ წყალს, კილომეტრის სიგა-ნეზე მიმდინარე ლენას და იქაურობას წარღვნას უქადის... ერ-თი ასეთი საგუბარი სწორეთ ჩვენს სოფელს ზემორე გაკეთ-და. შეიქმნა ყვირილი სოფელში – არიქათ, წყალი მოდისო. სოფ-ლის ქვემო ნაწილი, დამბრთხალი, მზადებას შეუდგა ასაყრე-ლად. ამასობაში ტან წყალს გამოეყო კარგა მოზრდილი ტოტი ოთხის მეტრის სიგანისა და ერთის $\frac{1}{2}$ მეტრის სილრმისა. შუა სოფელში ხელათ ნავი გაჩნდა დედაკაცებისა და ბავშვების გა-დასაყვანად სოფლის უფრო მომაღლო ნაწილისაკენ. ჩვენის კატას ასაკიდებელ ავლადიდების მოკიდება, წალებისა და შარ-ვლის გახდა და ისე ქვეითათ გასვლა.

ამნაირად ნერვებდაძაგრულები, წარღვნის მოლოდინში, ვიყავით ერთის საათის განმავლობაში. ამ დროს გაისმა ზარ-ბაზნის გრუხუნის მსგავსი ხმა: გამსქდარა ყინულის ჯებირი და წყალს მდინარის კალაპოტით ეპოვნა სადინელი. გადარჩა სოფელი.

მაგრამ ყოველთვის ასე მშვიდობიანათ როდი ათავებს ხოლმე ლენა თავისს ამ საგაზაფხულო ცელქობას. სწორეთ შარშან, უფრო ქვეშელე მდებარე ხუთი მოსახლის სახლ-კარი, სარჩო-საბადებელი და საქონელი იაკუტსკისაკენ გაუქანებია. კიდევ ბედი, რომ ეს ამბავი დღისითა ყოფილა და თვითონ ხალხს თავი გადაურჩენია. საერთოთ ყინვის დაძვრის დროს, ყინულისაგან წყალის შეგუბება ლენაზე ხშირი მოვლენაა და მის მიერ სახნავ-სათეს ადგილების მიტაცება და მიყენებული ზარალი დიდია ხოლმე.

მთელი ათი დღე გრძელდებოდა ეს სურათი ლენაზე და მხოლოთ აპრილის გასულისათვის დავინახეთ ლენა უზარმა-ზარი, ყინულისაგან გასუფთავებული და ბაყბაყ-მდევივით ზლაზნით მიმავალი. ლენის ნაპირებზე მცხოვრები ამ წუთს მოელიან ისევე, როგორც ისრაელნი ძველად მოელოდნენ ალ-თქმის ქვეყანას. ლენის დაწმედა ყინულისაგან და მაზე ნავი-გაციის განახლება – გამოვიდებაა შვიდის თთვის განმავლო-ბაში დაძინებულ ბუნებისა, განახლება და ისევ ამოძრავებაა

შეწყვეტილ, დროებით გაჩერებულ ცხოვრებისა, გახსნაა შეკრულის გზისა და მიმოსვლისა. ყველანი ამას შეჰქარიან, პავ-შვებივით შეჰქოფინებენ, იციან, რომ ეს შედეგია მზის გამობ-რუნებისა მათკენ, მზისა – სიცოცხლის მომნიჭებელისა და სუსხიან ზამთრის დამთურვნელისა...

ზოამენებიდან გვეწვია ზოსიმე ხუბუა და ერთიც ზოამენკაში-ვე დაბინავებული გურული (ჩოხატაურელი) შავგულიძე. გამოგ-ვიცხადეს – სამშობლოში უნდა დავპრუნდეთო. საგზაო კი არც ერთსა აქვს. გურულს გარდა იმისა, რომ საგზაო ფული არა აქვს და ყოველს ნაბიჯზე, უფულობისგამო შესაძლებელია ხიფათი რამ შეემთხვეს, თავისი ტყაპუჭი ქუდად შეუკერნია, გადამცდა-რა ყოველგვარ ზომიერებას და სულ უკანასკნელი ნახევარ ად-ლიანი ბოხოსი ანუ, უკეთ, თოხლი თავზე წამოუპირქვავებია. თა-ვად შავი ბიჭი იყო, კეხიან ცხვირიანი. კონტრასტი მისის სახისა აქაურების სახესთან მეტის-მეტად აშკარა იყო. ყველა მაშინათ-ვე იტყოდა, რომ „ჩერქეზი“ (ქართველი) უნდა იყოსო და აღარც სიკეთის მოქმედიო! ხოლო თუ ადმინისტრაციის წარმომადგე-ნელს გადაეყრებოდა, ეს აპრიორულათ დასკვნიდა, რომ ეს კა-ცი წმინდა წყლისა არ იყო და რომ მისთვის თავისუფლათ სი-არულის აკრძალვა არავითარ დანაშაულობაში ჩამოერთმევო-და. ვიცოდი, ეს ქუდი საბედისწეროდ გაუხდებოდა მგზავრობის დროს და ვურჩიე – ისე გადაეკეთებინა, ისე დაეპატარავებინა, რომ აქაურების თავის სარქველთან დიდი განსხვავება არა ჰქო-ნოდა... ალბათ გულმა მიგრძნო... მაგრამ ამაზე შემდეგ...

ზოსიმე ხუბუას გაქცევის გადაწყვეტილება საბოლოო იყო. ჩემი მონაწილეობა მის დახმარების საქმეში იმით უნდა გამო-ხატულიყო, რომ მეშვენა იმდენი ფული, რომ შესაძლებოდა ირ-კუტსკში ჩასვლა და იქ-კი წაცნობების (ქართველების) იმედი ჰქონდა – გზის გაგრძელების საშუალებას მომცემენო. გავა-ყიდვინეთ ბალიში (მთელი მისი ლოგინი), გავაყიდვინეთ ტყა-პუჭი. ორი მანეთი მოუგროვდა, ხუთი მანეთიც მე დავუმატე-ვი. დავუხატე სქემატიური რუკა, თუ როგორ უნდა ევლო, და-ვარიგე, გზაში რას და ვის უნდა გაფრთხილებოდა. 300 კილო-მეტრი ჰქონდა ურმით სავლელი (თოვლი უკვე აღებული იყო და მარხილით სიარული არ შეიძლებოდა), სანამ მიაღწევდა

ციმბირის რეინისგზის სადგურს ტირეტს, საიდანაც უკან უნდა დაბრუნებულიყო ირკუტსკში ჩასასვლელად.

ფული მოგვივიდა და ფოსტიდან დაუბრკოლებლივ ჩავიპარეთ. აპრილის უკანასკნელი დღეებია. ვემზადებით... ხშირ-ხშირათ ვუყურებთ სამხრეთ-დასავლეთს, სადაც გვეგულვის ჩვენი ქვეყანა და ყოველივე, რაც მას ავსებს... საცაა, უნდა დავადგეთ გზას, რომელსაც, სულ უკანასკნელი, 10.000 კილო-მეტრი სიგრძე აქვს და ორი კვირა მეტი დრო მოუნდება... გული ჰარემისა, საგულედან გამოვარდნასა ჰლამის...

ვცდილობთ, გავითვალისწინოთ ყოველი მოსალოდნელი მარცხი, ხიფათი. ვცდილობთ, არ ჩავიდინოთ ისეთი რამ, რომ ხელი შეგვიცაროს და ბოლოს უამს სანაცურად არ გაგვიხდეს. ეშმაკად, ჩვენს სოფელში საიდგანდაც ერთი მოხეტიალე ფოტოგრაფი ვინმე გვეწვია. გამოჩინებულ ადგილას გამოჰკიდა ჩარჩო, შიგ ჩასხა თავისი ნახელავი სურათები და ამით აქაურ ჩალდონებს სურათის გადაღების საღერღელი აუშალა. ჩემი ამ-ხანაგი ვასილ თურმანიძეც აჰყოლია სხვათა ფეხის ხმას და ფული (1 მანეთი) მთხოვა ფოტოგრაფის გასამრჯელოდ. სურათის გადაღება და ჩვენის არსებობის კვალის დატოვება აქ, ისიც მაშინ, როცა აქაურობას სამუდამოთ ვშორდებოდით, უზომო გაუფრთხილებლობად მეჩვენა და ფულის მიცემაზე კატეგორიული უარი ვუთხარი. ვასოს მაინც იმედი ჰქონია ჩემის გულკეთილობისა და მოლბობისა და სურათი მაინც გადაუღებინებია. და ეს მისი სიკერპე კინალამ საბედისწეროდ არ გადაგვექცა. გამოქცევისას ჩვენს სახლის პატრონს დავუბარეთ, რომ ორი-სამი დღით მეგობრების სანახავად და მათთან დროის გასატარებლად მივდიოდით სოფ. ზნამენკაში (ჩვენგან 20 კილომეტრია). ჩვენრომ ნამოვედით, ფოტოგრაფს, რაკი სხვა საქმე ბევრი არა ჰქონოდა, თურმანიდის სურათი ხელათ გაუკეთებია. რაკი თურმანიდე სურათების ნამოსალებად და ფულის ჩასაბარებლად არ ეახლა, თვითონ ფოტოგრაფს მოეძებნა ჩვენი ბინა და დაუცდია ჩვენს მიერ დადებულ ვადის გასვლამდე. რაკი დაუტყვია, რომ უიგალოვოში დაბრუნების სურვილი არა გვქონდა, ურიადნიკისათვის განუცხადებია ჩვენი უიგალოვოდან გასვლის ამბავი. ურიადნიკ ზნამენკაში ბოქაულისათვის შეუტყობინებია რაპორტით, ზნა-

მენების ბოქაულს ვერხოლენს კის სამაზრო ბოქაულისათვის უცნობებია, ამას კიდენ – ირკუტსკის ციხის სამმართველოსათვის – ესა და ეს ხალხი გაქცეული უნდა იყოს. ციხის სამმართველოს მთელის რუსეთისათვის შეუტყობინებია: ესა და ეს კაცები გამოიქცნენ თავიანთ საცხოვრებელ ადგილიდან და საცა მოასწროთ, დაუჭირავი არ გაუშვათ.

ამგვარათ, ჯერ „მგზავრობა“ კარგათ არც-კი დაგვეწყო და უკვე მარცხი (და მერე როგორი!)..) უნდა დაგვტყდომოდა თავს და მერე რისთვის? – რაღაც უბრალო ფოტოგრაფიულ სურათისათვის, რომელიც ციმბირში ყოფნის სახსოვრად თურმანიძეს თავის დანიშნულისათვის უნდა გამოეგზავნა... თუ გვიხსნა, გვიხსნა ისევ რუსულ ბიუროკრატულმა საქმის გაჭიანურებამ, ერთ კანცელიარიიდან სხვა კანცელიარიებში ჩვენს შესახებ ქალალდის გადაგზავნამ. ამ გაჭიანურების წყალობით, სანამ ჩვენს შესახებ განკარგულებას რასმე გასცემდენ, ჩვენ უკვე სამშვიდობოს ვიყავით; ყოველსავე შემთხვევაში, გამოსული ვიყავით იმ რეალიდან, სადაც უშუალოთ მოგველოდა საბრთხე და შედარებით ადგილათ ჩავუვარდებოდით ადმინისტრაციას ხელში...

ნაწილი მეორე

აქით

|

გამოსვლა უიგალოვოდან. – გზაში შემოერთება თანამგზავრებისა. – ცხოველმყოფელი გავლენა აქაურ ჰაერისა ჭლექიანებზე. – ირკუტსკის გუბერნია – მთლიანი სანატორიუმი. – აქაური გზა. – ტაიგა. – უდიერი მოპყრობა აქაურებისა ტყისადმი. – გზაში აქაური albergo. – მდინარე ანგარა. – ქალაქი ბალაგანსკი. – ბურიატები.

მოვდივართ...

ხელში გვიჭირავს ქალალდში გამოხვეული თითო კონა. შიგ არის: თითო ხელი საცვალი, პირსახოცი და საპონი. ეს არის მთელი ჩვენი ბარგი. ვიღამაც, როდესლაც და სადღაცა სთქვა

— ბარგის თვისებით და რაოდენობით შეიძლება აზრი შევადგინოთ ბარგის პატრონზედაო. მკითხველსაც შეუძლია ამ ბარგის მიხედვით ჩვენზე მაინცა და მაინც დიდის აზრისა არ იყვეს, მხოლოთ ნუ დაივიწყებს, რომ ცივილიზაციის უტყუარი მაჩვენებელი — საპონი გვაქვს, და აუცილებელ კუთვნილების საგნად მიგვაჩინია. ზედმეტირაცა გვქონდა, ლიკვიდაციაქმნილია. ჟიგალოვოს ზურგი ვაქციეთ, სამუდამო „მშვიდობით“ — ი ვუთხარით გული-გულში, პირი ვიბრუნეთ სამხრეთისაკენ. გავივსეთ გული იმდით, რომ ვსაძლევთ ყოველსავე დაბრკოლებას, გადავლახავთ თვალუწვდენელ სივრცეს, ვაკეს და მთებს და... ვერევით სანადელს, ავისრულებთ ნატრს...

გაბეჭდულის ნაბიჯით შევუდექით გზას.

სოფლიდან გამოსვლა იყო თუ არა, შევრგევით თავი ფიჭვნარში. ტყის ხშირში თოვლი აქა-იქ კიდევ დარჩენილია კოშტკოშ-ტად. ფოთლოვანს ხეებს (არყი) კოკორი ეპერებათ. აპრილის 30-ია, გაზაფხულის მოახლოებულის სუნი ტრიალებს ჰაერში. მზეც მხიარულათ შემოგვცინის, 30°-ზე იქნება ამოზიდული, სითბო გვაგრძნობინა, გვამხნევებს, გზას გვილოცავს. ვითომ მივდივართ (ასე გვაქვს შინ დაბარებული ჟიგალოველ სახლის-პატრონისათვის) მახლობელ სოფელში, რამდენისამე დღით, სტუმრადო. ადგილობრივ მკვიდრთა ჭაჭანება არ არის. გავიხედოთ, დავეწინით ორს პოლიტიკურს, ჟიგალოვოდან ნამოსულებს... გამარჯობა-გაგიმარჯოს! აღარც-კი ვეკითხებით საითმიმავლობას. ან რა საჭიროა კითხვა! განაუკითხველად არა სჩანს, საით უნდა ედოსთ გზა!... მივდივართ ოთხნი... გავიარეთ კიდევ ორიოდ კილომეტრი... ორიც სხვა შემოგვიერთდა თანამგზავრებად. გამარჯობა ვუთხარით. გავულიმეთ, გაგვილიმეს... თითქო პირი შევვეკრას, რომ ამ დღეს გამოსულვიყავით ყველანი...

მივდივართ... გავედით მდინარე ზნამენკაზე ნავით. სალამოხანისათვის მივადექით სოფელს, საცა ნაცნობები გვეგულვის, საცა ღამე უნდა გავათიოთ და გვიშოვნონ ნამყვანი სანდო გლეხი და ურემი. სწორეთ ამ სოფელში იყო გამოგზავნილი ერთი სტუდენტი (ფელდმანი), რომელიც ირკუტსკამდეჩემთან ერთად მოდიოდა ეტაპში და, ფილტვების ჭლექის უკანასკნელ სტადიაში მყოფი, სისხლს იღებდა, გვეშინოდა, ხელ-

ში არ შემოგვედომოდა. ირკუტსკის მიახლოვებისას ისე დასუსტდა, რომ თვითონ ადგომა აღარ შეეძლო. სამს თთვეს უკან რომ ვნახე გასუქებული, გაკეთებული, ცნობა გამიჭირდა. რომ ვკითხე, აღარ მოდიხარ-მეთქი, ასე მიპასუხა: „რა მეჩქარება! ხარმა ხარს ურქინა და საბალახოზე გადააგდოვო, სწორეთ ასე მიყო ხელმწიფის მთავრობამ. ასეთს სიკეთეს კაცი ვერ მიზამდა. გამომგზავნეს მომაკვდავი და აქ კი მკვდრეთით აღვსდექიო. და ეს სიკეთე მიყო მხოლოთ და მხოლოთ აქაურმა ჰაერმა. კიდევ მინდა დავრჩე რამდენსამე თთვეს, სანამ სულ, საბოლოოთ გამოვრჩებოდე და გაქცევას მაშინაც მოვასწრებ. ათასობით ფულირომ დამეხარჯნა, ისე ვერ მიშველიდა, როგორც მიშველა ამ ორიოდ თვის განმავლობაში ამ საცოდავ სოფელში ყოფნამაო“.

მისს ნათქვამს სავსებით ჰმონმობდა მისი ღაულაუა ლოყები, ენერგიული გამომეტყველება სახისა, თამამი მიხვრა-მოხვრა სრულიად ჯანსაღის კაცისა. ასეთის სასწაულის მოხდენა შეუძლია ადამიანზე აქაურ ციის, უწვიმო და უქარო ჰაერს, მეტადრე ზამთარში. მიუხედავად საშუალოდ 35° სიცივისა, ერთი სურდო რა არის, არ გამომიცდია ჰირადად მე მთელის ორის თვის განმავლობაში, რაც იქ თავისუფლად ვცხოვრობდი. საუკეთესო მადა, მარგებელი საჭმელი და საუკეთესო უქარო ჰაერი – აი სამი ჰირობა ადამიანის გამოჯანსაღებისათვის და განსაკუთრებით ჭლექიანის მოსარჩენად. ჩემს სიცოცხლეში ისე კარგათ, ისე მხნედ, ისე ხალისიანად არა ყოფილვარ, როგორც იქ ვიყავ; იმდენის ენერგიის მოზღვავება, იმდენი გადახალისება, რაც იქ განვიცადე, არასდროს მიგრძვნია. ჰირდაპირ სასწაულთმომებედი თვისება ჰქონდა იქაურობას ადამიანის აგებულობაზე. ჩემის აზრით, ასეთის მაკურნებელის თვისებით არის შემკული არამარტო ვერხოლენსკის მაზრა, არამედ მთელი ირკუტსკის გუბერნია... შვეიცარიაში ერთი დავოზია, სადაც სანატორიუმში ზამთრობით შეიძლება ჭლექიანების კურნება, რათგან აქეარი არ იცის. ირკუტსკის გუბერნიაში-კი არამცთუ ერთგან სადმე არის დავოზის მსგავსი ადგილი, არამედ თამამათ, გადაუჭარბებლათ შეიძლება ითქვას, რომ მთელი გუბერნია ირკუტსკისა ერთიანი დავოზია, ერთიანი სანატორიუმია ჭლექიანებისათვის. მხოლოთ საჭიროა ჰატრონი ვინმე გამოჩ-

ნდებოდეს და იფიქრებდეს ავადმყოფებისათვის სანატორიუმის მსგავსი რამ გამართოს, ელემენტარულის წესით არის მაინც მოაწყოს. მაგრამ რას ვამბობ! განა მარტო სასანატორიო მხრით არის ირკუტსკის გუბერნია გამოუყენებელი, უყურადღებოდ დატოვებული! ვინ იცის, რა სიმდიდრეს წარმოადგენს მისი ხელუხლებელი ტყე, ვინ იცის, რა სიმდიდრეა დაცული მის წიაღში, რომ ადამიანს ჯერ ხელი არც-კი უხლია, მის ეკსპლუატაციას არა ცდილა, თავის კეთილდღეობისათვის არ გამოუყენებია! ეს ბუნებრივი სიმდიდრე ელის მცოდნე ხელს, ენერგიულს გარჯას, რომ ყოველმხრივ შესწავლილ იქმნეს, და იქაურობა უმრეტელ ნაყოფიერების წყაროდ იქცეს, მთელს მხარეს აწინდელ შეჩვენებისა და წყევლა-კრულვის ხასიათი ჩამოეცალოს და დაედვას სახე სააქაო სამოთხისა.

ღამე მოგვასვენეს. ჩვენი გამყოლი საიმედო გლეხი იმავ სა-ლამოს მოიკითხეს და პირობა ჩამოართვეს მუორე დღეს დილა-ადრიანა ურემ-ცხენიანად კარზე მოგვდგომოდა. ახლა ჩვენი გზა მიდიოდა ბალაგანსკის მაზრაზე, გავივლიდით ზედ სამაზრო ქალაქ ბალაგანსკზე (სადაც შემდეგ, 1911 წელს, სახელმწიფო სათათბიროს ნაწევრალი ირაკლი წერეთელი იყო გამოგზავნილი სასჯელის მოსახდელად) და იქიდან პირდაპირის ხაზით დავუმიზნებდით ციმბირის რკინის გზის სადგურს ტირეტს, საიდანაც უკან უნდა დაბრუნებულვიყავით, ირკუტსკში, საფუძვლიანად ყოველმხრივ (საგზაო ფული, პასპორტი და სხ.) გამოსაწყობად და ისე გზის გასაგრძობად.

ამგვარად, განზე გვრჩებოდა ვერხოლენსკი და ველარც ჩვენს კეთილისმყოფელს მამასახლისს მიხეილ შემეტოვს ვნახავდით, რომელმაც თავისითან გამოვლა გვთხოვა და დაგვ-პირდა მამასახლისობის დავიწყებას და ყოველგვარით დახმარებას, რომ ჩვენს გაქცევას თან ხლებოდა ყოველგვარი ხელისშემწყობი პირობები.

მაისის პირველია, ე. ი. ის დღე, როცა ციმბირელმა გლეხმა, ძველის-ძველის ჩვეულების თანახმად, გუთანი უეჭველად უნდა გაიტანოს მინდვრად, ფორმის გულისთვის, სულერთია – ჯერ კიდევ თოვლი დევს თუ არა. ეს არის მამა-პაპათაგან გადმოცემული ჩვეულება და ნიშანი გაზაფხულის შემოსვლი-

სა, ქოხიდან გარედ გამოსვლისა და საგაზაფხულო სამუშაოთა დაწყებისა. ორიოდ, სამიოდ ბელტი გადმოაპრუნოს და მერე თუ ამინდი ხელს არ უწყობს, გუთანი ისევ შინ შემოაქვს გლეხს. ჩვენს წამყვანს გლეხს ეს ხვნა-თესვასთან დაკავშირებული ჩვეულება სისხამ დილაზე შეუსრულებია და დილის 7 საათზე კარზე მოგვადგა. მასპინძლებმა გზა დაგვიღოლცეს, მე და ვ. თურმანიძე ჩავსხედით ურემში (სამარხილე გზა, უკვე ერთი კვირა მეტი იყო, გაფუჭდა), გამყოლმაც შოლტი გადაუტყულაშუნა ციმბირულ ცხენებსა და გამოვსწიოთ, ცოტა არ იყოს, ატალახიანებულ და ზოგ კიდეც შემშრალებულ გზით.

ყამირზე გადის გზა. გზა ჰქვიან ჩვენს გზას იმიტომ, რომ ზედ ურმებს უვლია და დალარულია ურმის თვლებით, თორემ ისე არსადა სჩანს ადამიანის ხელი მიჰკარებოდეს აქაურობას და ცდილოყოს ადვილ სავლელად გაეხადნოს. ქვა დაემტვრიოს და მოეყარნოს, იქით-აქეთ თხრილები ამოელოს წყლის სადინებლად. ადვილათ წარმოსადგენი იყო, ნაწვიმარზე რა ადვილი სავლელიც იქნებოდა ურმებისათვის, როგორ უნდა გაეადვილებინა მისვლა-მოსვლა. მივდივართ ასე მთელი დღე. ძებორციელი არ შემოგვხვედრია. თავდება გზის იქით-აქეთ დადებული ყანები, ათ-თუთხმეტ კომლიან სოფლებს ახლო მდებარე. მერე იწყება ტყე, ტყე გაუვალი, ულრანი, უქმელი, სადაც ადამიანს ცულიც კი არ შეუტანია. ასე მიდის ათის, ოცის კილომეტრის მანძილზე. ტყე შესდგება უმთავრესად ციმბირის ცადატყორცნილ კედრებისაგან, მერე მოსდევს ფიჭვი, ნაძვი, არყი... თვალი ვერა ძლება ყურებით, თავბრუ გესხმისთ. გაოცებს ბუნების სიძლიერე, მისი გაჩენილების ცქერა! მოდის ჩამობნელებული, ჩამოხურული, დაუსრულებელი, თვალუნვდენელი, მთელი ზღვა... ერთბაშათ გამოდიხართ დღის სინათლეზე, მზე გამოჩნდება... ტყის ალაგასა ხედავთ... ნაცრისფერ, გარუჯულ ხეების ტანს, ცადამდე აწვდილს, გადამწვარია ათას და მეტ ოთხკუთხ კილომეტრის სივრცე ამ საუცხოვო, დაუფასებელ სიმდიდრისა, ამ ბუნებისმშვენება ტყისა. გადამწვარია ადამიანის სირეგვნითა და ზოგჯერ სიბოროტითა და ბარბაროსობითა. ვსთქვათ, გზად მიდის აქაური, დაუღამდება ტყეში... გარშემო ძე-ხორციელი არ არის, რომ ღა-

მე გაათევინოს. ისიც ლამეს ათევს ცას ქვეშ... ოღონდაც, რომ სასიამოვნოც არის. ანთებს ცეცხლს... წასვლისას არც-კი აქ-რობს, მოკიდებულ მუგუზლებს იქავე სტოვებს, ფისით გაჟენ-თილ წინვიან ხეებს თვალის დახამხამებაზე მოედება ცეცხლი, ელვის სისწრაფით გადადის ხეებზე და ვრცელდება, ცეცხლ ქვეშ მოექცევა ასობით და ათასობით ოთხკუთხი ჰეკტარი; ცეცხლი ძლიერდება და თანდათან მეტი სივრცე მოჰყვება მისს მსხვერპლად, მით უფრო, რომ არავინა ჰეკტარობს შეაჩეროს ცეცხლის გამანადგურებელი ძალა, მანამდე იწვის, სანამ იგივე ბუნება არ შეაჩერებს, ე. ი. სანამ წვიმა არ მოვა ან სანამ ცეცხლი არ მიადგება ისეთს ალაგას, საცა ტყე თავდება და იწყება მდინარე ან მინდორი. ამგვარად, იმ ტყისაგან, რომელიც ბუნებას ათასის წლობით შეუქმნია, რამდენსამე დღეში რჩება მარტომდენ გარუჯული ტანი გოლიოთებისა, ისპობა სამუდამოთ და ასე უშნოთ, ასე ბარბაროსულათ ამდენის ხნით დაგროვილი სიმდიდრე ბუნებისა... დამნაშავეს ასეთის სახელმწიფოს განადგურებისა, აუნაზღაურებელ ზარალისას არავინ ეძებს და არცარავინ თავს იცხელებს მის პოვნისა და პასუხისებინებისათვის. ის-კი არა, ასეთის უბედურობის ასაცდენ და წინასწარ სახმარებელ ზომებისთვისაც არავინა ჰზრუნავს.

გული სიბრალულით გერურებათ, ამ პირველყოფილ ტყეების ანუ აქაურ ტაიგის ბარბაროსულ გაჩანაგების დაუსრულებელ სურათს რომ უყურებთ! ასე გონიათ, სულდგმულები ყოფილან, ჯავრირამ სჭირებიათ მათი და გაბოროტებულთა გამოუწვავსთ და გამოუწრეუკავსთ ცეცხლში უსულლმერთოდაო...

მაგრამ მერე ისევ იცვლება სურათი, ისევ ხასხასა მუქი-მწვანე ფერი გადაჰკრავს არე-მარეს, კენწეროებით ცას ებჯინებიან კედრები (*Pinus Cembra*), ფიჭვები, ნაძვები, *Larix decidua dahurica* (ლისტვენიცა)¹, მდევივით მიიზლაზნება ტაიგა, სავსე ათასგვარ მტაცებლებით, ნადირით, რომელთაც თავი-

1. ეს ხე ნაძვის გვარისაა, წინვიანი, მხოლოთ ნაძვივით მარადმწვანე არ არის, ზამთრისათვის წინვი სცვივა. 30 მეტრის სიმაღლე იზრდება. საუკეთე-სო საშენი მასალა გამოდის მის მერქანისაგან, გაცილებით უკეთესი, ვიდრე ფიჭვისა და ნაძვისაგან, რათგან მისი მერქანი ისე არა ღება, როგორც ფიჭვისა და ნაძვისა. საუკეთესო ფიჭვის აქეს. ამ ფიჭვის კევადა ხმარობენ.

ანთის ბეწვიანის ტყავებისათვის ათასობით ჰერცავს ადამიანი და ალებ-მიცემობისა და არსებობის საგნადა ხდის. ამ ჩამოსურულ ტყეში, საიდანაც ცის ერთს პატარა ნაჭერსა-ლა ხედავ, ამ იდუმალებით სავსე ტყეში, სადაც მისნი ბუმბერაზნი მკვიდრი თავისებურად, შიშისმომგვრელად გადაუგდებენ ხოლმე ერთი-მეორეს სიტყვას, ეს ჩურჩული, ეს ხეთა ენა დაუსრულებელის დუდუნით გადაცემა ნიავისაგან შერხეულ კენწეროებიდან კენწეროებზე, გადადის, ვინ იცის, რამდენისამე ათეულ კილომეტრის მანძილზე და იკარქვის შორს, შორს, უნაპირო და უსაზღვრო ტაიგის ზღვაში.

არსად სოფელი, არსად ადამიანი. როცა გვონია, რომ ტყის ხშირში უნდა ჩაიხრჩო, ამ დროს გამოჩნდება მცირერამ ბუსნო, სადაც ადამიანის ხელს მგზავრის თავშესაფარებელი და ცხენების დასაბინავებელი ხის შენობა – albergo რამ გაუმართავს; თითქო უდაბნოში ოაზისი რამ არისო! მთელი დღე ურესორებო ურმისაგან ნაჯღლრევნი ფეხზე ძლივას ვიდექით. კიდევ ბედიჩვენი, გზა ქვამოუყრელი იყო, ყამირი მიწისა და შედარებით რბილი, თორემ ძვალი და რბილი გავვიერთდებოდა. გრძელ, გაზანგულ მაგიდაზე (რა თქმა უნდა, სუფრა გადაუფარებელზე) ხელათ გაჩნდა მოჩუხჩუხე სამოვარი, კვერცხი, პური... ვიხმიეთ. ჩვენმა გამომყოლმაც ცხენები დააბინავა და მერე ვიზრუნეთ ძილად მისვლისათვისაც. ჩვენი საწოლი რთული არ იყო: ერთ კედელს გასწრივ ტახტებია მიკეთებული, საბნად და ლეიბად ჩვენითვე გვაბანაკები გვქონდა, სასთუმლადაც ჩვენი ხელბარგი ამოვიდევით და განვემზადენით დასაძინებლად. ცოტა არ იყოს, გვეშინოდა ამ უღრან ტყეში, საცა 20 კილომეტრის მახლობლად არავინ იყო, არავის მოვეკალით ან, უკეთეს შემთხვევაში, არავის გავეძარცვეთ... ალაბბედზე დავიძინეთ, თუმცა ფხი ზელის ძილით. ამ ადგილას, – გვანუგეშა გამომყოლმა, – მართალია, ყოფილა შემთხვევა მგზავრის გაძარცვისა, მაგრამ უფრო ხშირა გაუძარცველად გადარჩენილან გამვლელ-გამომვლელით... იმედი ვიქონიოთ, ჩვენ არავინ შეგვეხოსო... მართლაც, გაუმართლდა იმედი. უვნებლები შევეგებენით მეორე დილას, მაშინათვე გადავუხადეთ albergo-ს პატრონს – ქალს ღამის გასათევი სამის კაცისა ექვსი შაური, კვერცხებისა და დანარჩენისა თოთხმეტი შაური, სულ რაღაც მანეთი, და განვაგრძეთ გზა.

ადრიანათ გავედით მდინარე ანგარაზე, ერთ-ერთ აქაურ დიდ მდინარეზე, რომელსაც ჯერ ოლემკინო-ვიტიმის მთებში აქვს სათავე, შეედინება ბაიკალის ტბას, იქიდან გამოდის და გამოსულის ადგილას, ირკუტსკისთან, ანკარაა (ნეტავ, ქართულ სიტყვას ანკარა-ს – წმინდას, გამსჭვირვალეს ხომ საერთო არაფერი აქვს ციმბირის ამ მდინარის სახელთან?), როგორც ბროლი. ექვსის-შვიდის მეტრის სიღრმეზე ფსკერზე ბრჭყვიალა საგანი ყველაფერი მკაფიოთა სჩანს. ისეთივეა, როგორც მდინარე რონია იმ ადგილას, საცა ის ჟენევის ტბიდან გამოდის, ჟან-ჟაკ რუსოს კუნძულთან.

ანგარას სიგრძე 2000 კილომეტრი აქვს, განი 500-იდან 2600 მეტრამდე. ბაიკალის ტბიდან გამოსული ჯერ ჩრდილოეთით მიდის მდ. ლენას თანტოლად, მერე დასავლეთით გადაუხვევს და შეერთვის დიდ მდინარე ენისეისა. ამ მდინარეზე გამართულია მენავეობა. ჩვენის გამოვლის დროს ყინულისაგან განთავისუფლებულიყო და უკვე ორთქლმავალი გემებიცა სჩანდა სხვადასხვა მდიდარ ვაჭრებისა. ეს მდინარე მეტად სწრაფია და მანამდე არ იყინება, სანამ ყინვა 30° -მდე არ ჩამოვა. ამიტომ გაზაფხულზე სხვა მდინარეებზე ადრევაც ეს თავისუფლდება ყინვისაგან. ყველა სხვა მდინარეზე ადრე აქვე იწყება მენავეობა.

გავედით ანგარაზე და შევედით ბალაგანსკში, ამავე სახელის მაზრის დედა-ქალაქში. ასე 40 კომლამდე მოსახლე იქნება. განსხვავება გუბერნიის სხვა სამაზრო ქალაქებთან არაფერი აქვს, გარეგნულათ მაინც. მოსახლეობის უმეტესობას შეადგენ ბურიატები (ან, როგორც აქ რუსები დამახინჯებულათ ეძახიან, – ბრატსკები) როგორც აქ, ისე მთელს მაზრაში. ბურიატები მუღალთა ჩამომავლობისანი არიან, რაც მათს ჩაჭყლეტილ ცხვირზე, ოთხკუთხ სახეზე და წინგამოშვერილ ღანვის ძვლებზე აშკარათ ეტყობათ. სარწმუნოებრივად ლამას და შამას აღმსარებელნი არიან. მეტად მშვიდობისმოყვარე და მესაქონლეობის მიმდევარი ხალხია.

ირკუტსკის გუბერნიის ძირითად და ძველისძველ მოსახლეებად ბურიატები ითვლებიან. ირკუტსკის გუბერნია რუსებმა პირველათ 1628 წელს აღმოაჩინეს. დაეუფლნენ ჯერ ანგარისა და ზემო-ლენის ნაწილის აუზებში მდებარე ადგილებს და 1641

წელს დაარსეს ვერხოლენსკი (დღევანდელი სამაზრო ქალაქი ვერხოლენსკის მაზრისა). აქაურობის მკვიდრი მცხოვრები იყვნენ, როგორცა ვთქვით, ბურიატები; მოსული რუსები და ეცილნენ მათს საძოვრებსა და დაუწყეს ჩხუბი. ამ ჩხუბის დროს ნაწილი ბურიატებისა სამხრეთისაკენ ივლოდ და ნაწილი აქ დარჩა. 1655 წელს რუსებმა საპოლაოდ დაიმორჩილეს ყველანი.

დღეს მთელს ირკუტსკის გუბერნიაში ნახევარმილიონ მცხოვრებთა შორის მეცუთედზე მეტს (120.000 სული) ბურიატები შეადგენენ. მოსახლეობათა სიხშირით პირველი ალავი ირკუტსკის გუბერნიაში უჭირავს ბალაგანსკის მაზრას (საცაუფირო ბურიატები სჭარბობენ) – ერთ კვადრატულ კილომეტრზე 3.3 კომლია, კირენსკის მაზრაში – 0.11 მოსახლე, ხოლო საერთოთ ირკუტსკის გუბერნიაში კვადრ. კილომეტრზე – 0,62 მოსახლეა.

როგორცა ვთქვით, ბურიატები მესაქონლეობას მისდევენ. საუკეთესო ციმბირული ცხენი: დაბალის ტანისა, წვივმაგარი, ხედნისა, სიცივისა და სიმშილის გამძლე ცხოველი – ბურიატებისაა. ამ ცხენებმა დიდი სამსახური გაუწია რუსეთის კავალერიას წარსულ მსოფლიო ომის დროს. მესაქონლეობის გავრცელებას დიდათ ხელს უწყობს ლენა-ანგარის ზემო ნაწილის აუზებში მდებარე მდიდარი საძოვრები და აგრეთვე ალპური საძოვრები ბაიკალის ქედისა.

როგორც მგზავრმა, უნდა აღვნიშნო, რომ აქ შეხვედრილ ბურიატებ შორის მეტად ხშირი იყო ჩიყვი და ჩიყვთან ერთად – მისი თანამგზავრი კრეტინიზმი.

||

ჩვენის წამყვანის დაეჭვიანება. – ურია ვაჭარი. – ვის უფრო მეტად გვეშინოდა? – შავგულიძე და მისი თავის სარქველი. – ციმბირის რკ. გზის სადგური ტირეტი. – ურიადნიკი, იგივე ტირეტელი ხელისუფალი. – მის მიერ წესიერების დამყარება. – აქაურიადნიკისა და ვ. თურმანიძის ერთმანეთთან გამოპაასება. – ინციდენტი ტირეტში.

ბალაგანსკში ჩვენმა გამყოლმა გლეხმა ერთს აქაურს გლეხს მიგვაყენა კარზე. წინასოფლიდან გამომყოლი ბალაგანსკიდან

უკან უნდა დაბრუნებულიყო და ახლა აქაურებს უნდა განეგ-რძობინებინათ ჩვენთვის გზა ტირეტამდე. აქაურებს ვინც ჩვე-ნი თავი ჩააბარა, ჩვენი თავი ალბათ კარგის მხრით გააცნო, ალბათ ისიც უთხრა, რომ წაყვანის ქირას ნალდათ ვიხდიდით და მიუცემლობას არ ვიკადრებდით, მით უფრო რომ მოვდიო-დით, როგორც ვაჭრები, რომელთაც ვითომც ირკუტსკში ჩას-ვლა გვნადდა „საქონლის სასყიდლად და უკან წამოსალებად ჩვენის კომერციის გასაფართოებლად“. მიუხედავათ გამომ-ყოლის საუკეთესო რეკომენდაციისა, მასპინძელს ეჭვი შეჰ-პარვია. მას უკან ახევინებდა განსაკუთრებით ჩვენი აშკარა ეროვნული ჩამომავლობა. ცხადათ გვეტყობოდა ორსავე, რომ ჩერქეზები (ე. ი. ქართველები) ვიყავით. ვინ არ იცის, რომ ჩერ-ქეზი ციმბირში კაიკაცობისათვის არ გაჩნდებოდა, მაშასადა-მე, აქაურების აზრით, ჩვენც, როგორც ასეთებს, კაიკაცობამ-დე ბევრი გვიკლდა. გარდა ამისა, ჩვენი მოკრძალებული ჩაც-მულობაც (და განსაკუთრებით თურმანიძის ყაბალახი) არ ამ-ტკიცებდა, რომ ჩვენ ვაჭართა (და მით უფრო შეძლებულთა) კლასს ვკუთნებოდეთ. თათბირი შეექმნათ იმაზე, თუ რამდე-ნად სარისკო იქნებოდა ჩვენი წაყვანა... ჩერქეზებს, თავზე ხე-ლალებულ ხალხს ყველაფერი გამოვივიდოდა ხელიდან: შეგ-ვეძლო, სულს გადავსდგომოდით და ჩვენი ბალაგანს კიდან გა-მომყოლი ტყეში სადმე მოგვეკლა და მისს ცხენებს დავპატ-რონებოდით!.. ჩერქეზები ხომ ასეთის საქმის ხამები არა ყო-ფილან!.. ავაზაკების სახელი სრულებით საფუძვლიანად ჰქონ-დათ დამსახურებული... ამ მხრივ პირველობა მთელს ციმბირ-ში ჩვენ გვეკუთვნოდა... ჩვენს აქამდე მომყვანს დიდი შრომა გაუწევია, სანამ მასპინძელს დააჯერებდა, ურემში ცხენებს შეაბმევინებდა და გზას დავადგებოდით.

ცოტა არ იყოს, დაგვაფიქრიანა ამ პირველმა ინციდენ-ტმა. მაგრამ მაინც როგორც კარგი მეგობრები, ისე გამო-ვეთხოვეთ ჩვენს გამომყოლს და ბალაგანს კელ გამომყოლს ჩა-ვაბარეთ ხელში ჩვენი ბედი და უბედობა. მივდივართ რიხით, როგორც შეჰვერის მშვიდობისმოყვარე და კეთილის განზრახ-ვებით სავსე კომერსანტებს, რომელთაც მიზნად აქვსთ – ირ-კუტსკიდან წამოლებულ საქონლით დააკმაყოფილონ მოთ-

ხოვნილებანი ციმბირის მივარდნილ კუთხეებისა. ხანაც ჩემი ვასო თურმანიძე ამ დარღიან გულზე იმერულ სიმღერებს შემოსახებს, რომ გამომყოლს განუფანტოს ყოველი ეჭვი.

ათიოდ კილომეტრი გვექნება გავლილი, ისე დავეწიეთ ერთს ურემს, რომელშიაც ერთი კარგი ქურქიანი ებრაელი ვაჭარი იჯდა. ერთმანერთს მივესალმეთ, როგორც მგზავრთა წესია. ჩვენს დანახვაზე თავზარი დასცემია – ებრაელს, რომელიც მართლა სავაჭროდ მიდენილა ირკუტსკში, ფულიც მიჰქონებოდა და, მაშასადამე, პაზრი დაპბადებოდა, რომ ჩვენისათანა თანამგზავრებისაგან მოსალოდნელი იყო – ხეირი არ დაპყრობდა. ჯერ ჩვენი გამყოლისათვის უკითხავს ჩვენი ვინაობა. მაგრამ იმისგან რომ ვერა გაეგორა, ჩვენ ხან საიდან მოგვიარა და ხან საიდან. მაგრამ თქმით მაინც არ ვუთხარით, თუ სახელმობ რა ადგილიდან ვიყავით. ის-ლა გაიგო, რომ სამხრეთის ხალხი ვიყავით და მეტი არაფერი. ამან უფრო აღუძრა ცნობისმოყვარეობა და უმეტესად შიში, რომ მისი რის წვალებით ნაშოვნი ქონება (და შეიძლება სიცოცხლეც) მსხვერპლი შეიქმნებოდა ჩვენი და ამ უდაბურ ადგილას მისი მშველელი არავინ გამოჩნდებოდა. ზოგი ახლა ჩვენს გულშიაც ჩამოეხდნა იმ დალოცვილს! იმას ეშინიან, ხელიდან ქონება არ გამომაცალონო და ჩვენ კიდენ გვეშინის – ჩვენს თავისუფლებას არ გამოვესალმოთ და ჩვენი ოცნება საპნის ბუშტივით არ გაჰქრეს... ვიცით კია, ვინ არის, რა წყლის კაცია?! ყოველ ნაბიჯზე გამცემი, ჯაშუში, მოლალატე გველანდების – ვცდილობთ, ზედმეტი არავისთან წამოგვცდეს, თუ შეიძლება, აღარც-კი გამოველაპარაკოთ ვისმე... ჩვენის ამნაირის სულიერ მდგომარეობით და არა სხვა რითომე აიხსნებოდა ჩვენი ჯიუტური დუმილი ჩვენს პატივცემულ თანამგზავრთან. მთელი გზა ჩვენს მეურმეს ვეუბნებით – ებრაელის ურემთან ახლოს არ გაგვატაროს: ან წინ წავიდეს ან უკან მისდიოს. ასე ნერვებდაბაგრულ მდგომარეობაში ჩავატარეთ მთელი მგზავრობა ტირეტამდე როგორც ერთმა, ისე მეორე მხარემ. ვასო თურმანიძეს თავისი იმერული სიმღერებიც-კი არ მოჰვინებია სიმწარისაგან. ასეთი მტრული განწყობილება დარჩა ჩვენს შორის სულ ბოლო წამამდე, სანამ გზა სრულიათ არ განვვლიეთ და

არ დავრწმუნდით, რომ ტყუილათ, სრულებით უსაფუძვლო-და გვქონია ერთი-მეორეს შიში და კრძალვა.

შებინდებისას მივატანეთ ციბირის რკინის-გზის სადგურს ტირეჭს. ჯერ სადგურის ახლო მდებარე ბაკეში ან მგზავრთა გა-საჩერებელ ბინაზე უნდა ჩამომხტარვიყავით. ის იყო, ეზოში უნდა შესულვიყავით, ისე გვერდით ჩაგვიარა იმ პოლიტიკურმა გურულმა შავგულიძემ, რომელიც ამ ორის კვირის წინათ ზნა-მენკიდან გვეწვია ჟიგალოვოში და რომელსაც ვურჩიე ერთ მეტრიან ტყავის ქუდისათვის სიმაღლე სანახევროდ მაინც და-ეკლო, რომ გამვლელ-გამომვლელს მისთვის ყურადღება არ მი-ექცია. ალბათ დაპირის ტყავის გადაგდება და ისე ხელუხლებლად მოუნდომნია საქართველოში მისი ჩატანა, რომ ციმ-ბირელების შემდეგ ქართველებიც გაეკვირვებინა – შემომხე-დეთ, ბიჭს რა ქუდი მხურავსო! და სწორეთ ამ ქუდით იყო მისი თავი შემკული. თავად დაბალსა და შავგვრემანს, შავ წვერ-ულ-ვაშიანს, შავი, მისის ტანის სიგრძე ბოხოხი აქაურისათვის სა-ზარელ, კარიკატურის სახეს აძლევდა. თავი ვეღარ შევიმაგრე და ბრძანების კილოთი ვუთხარი: ახლოს არ გაგვკარებოდა და რაც უნდოდა, ის დაეხურნა თავზე, ოლონდ ეს ბოხოხი არა.

ჩაი დავლიეთ, ცოტა რამ ვიხმიეთ, გამომყოლს სამიოდ ჭი-ქა არაყი დავალევინეთ და ისიც გულწრფელათ გამოგვიტყდა: ან თვითონ რა შიშს ქვეშა ყოფილა მთელი გზა, ან ებრაელი როგორა კანკალებდა თურმე ჩვენის შიშითა. ჩვენ ვანუგეშეთ და დავარწმუნეთ, რომ ჩვენისთანა „ვაჭარ ხალხს“ ესპროპ-რიაციისათვის სადა გვცალია-მეთქი. დავარწმუნეთ, რომ დი-დი პატივისმცემელი ვიყავით კერძო საკუთრებისა. ჩვენი ნათ-ქვამი უკვე კუთხეში მაგიდასთან მიმჯდარ ებრაელს გადასცა გამომყოლმა და ებრაელსაც უკვე საბუთი არა ჰქონდა არ დამ-შვიდებულიყო.

ირკუტსკში წამყვანი მატარებელი ღამის პირველ საათზე მოდიოდა. მანამდე მთელი სამი-ოთხი საათი გვექონდა ჩვენს განკარგულებაში. მთვარიანი ღამე იყო. გავიარეთ ჯერ სო-ფელში და მთვარის სინათლეზე შევათვალიერეთ გზები, რომ გაჭირვების დროს გვცოდნდა, საით გაქცეულვიყავით, შემ-დეგ დავათვალიერეთ რკინის გზის არც თუ სულ პატარა სად-

გური, ერთი კუთხე და გასაძრომ-გამოსაძრომი არ დაგვრჩენია უნახავი, ვინიცობაა დამალვა დაგვჭირებოდა, აქაურობის ხამ კაცივით არ მოქცეულვიყავით. რამდენჯერმე წასვლა-წამოსვლის შემდეგ, შუალამის 12 საათზე საბოლოოთ გავჩერდით სადგურზე მატარებლის მოლოდინში.

ვზივართ მოსაცდელ ზალაში. თითო-ოროლა სხვებიც არიან, გასამგზავრებლად განმზადებულნი. ამასობაში შემოდის ჩვენი შავგულიძეც. ჩემი ნათქვამი აუსრულებია: თავისი მეტრიანი ბოხოხი მოუხდია და იმის მაგივრად, აბა, გამოიცანით, რა დაუხურნია?.. – საზაფხულო ჩალის ქუდი... იმ დროს, როცა აქეთკენ ჯერ კიდევა ცივა და საზამთრო თბილი ქუდები არავის მოუშორებია თავიდან. აბა, თუ ყურადღების მიქცევაა, სწორეთ ამ ჩალის ქუდით უფრო მიიქცევდა ყურადღებას! ისევ ბოხოხი ვარჩიე დაეხურნა და ჩუმათ, კბილების კრაჭუნით, გავუზიარე ეს ჩემი მოსაზრება, რაც დაუყოვნებლივ აასრულა და სხვებთან ერთად ისიც ჩამოჯდა მერხზე.

ვასილ თურმანიძე გასამართლებამდე მემანქანედიყოა /კავკასიის რ.კ. გზის სახალხო მატარებელზე/. 1905 წლის რევოლუციის დროს, როცა საერთო გაფიცვები იყო ჩვენში, გაფიცულთა შორის თურმანიძეცა რეულა და ისიც ღებულობდა მხურვალე მონაწილეობას მოძრაობაში. გაფიცვის გამოცხადებას მისთვის სვირის სადგურზე მოუსწროა. ამ დროს, სვირის სადგურზედვე მდგარა, თუ საითგანლაც მოდენილა ერთი ასეული ყაზახრუსებისა გზაზე „წესიერების დასამყარებლად“. თურმანიძეს ორთქლმავალისათვის თავი დაუწებებია. ყაზახრუსებს უბრძანებიათ ორთქლმავალზე ასვლა და წაყვანა. თურმანიძე უარზე დამდგარა. მაშინ მისთვის ხმალი დაურტყამთ კისერში; ხმალი ისე იღლლიანათ მოხვედრია, რომ, მართალია, ყანყრატო კი გასჭრია, მაგრამ სიკვდილით არ მომკვდარა. ამით გადარჩენია გამხეცებულ ყაზახრუსებს, რომელიც იმდროს არავის ინდობდნენ. მერე ჭრილობისაგან მისის გვარის კაცებს, ცნობილ ხალხურ დასტაქერებს (ხაშურში) – თურმანიძეებს მოურჩენიათ. ჭრილობა კი მორჩენია, მხოლოთ ხმა დანჯღრეული შერჩენია და სულ ჩახლეჩილის ხმით ლაპარაკობდა. კისერზე, გარედან, ნასრევი ეტყობოდა შვიდიოდ სანტიმეტრის სიგრ-

ძე. მის გარეგნობის გარდა, ეს ხრინწიანი ხმა ხდიდა მის პატ-რონს საეჭვოდ. ვითათბირეთ და სიბრტხილისათვის, ვამჯო-ბინეთ ყელი შეეხვია ცხვისახოცით და თუ ვინმე ჰკითხავდა ყელის შეხვევის მიზეზს, ყელის ჭლექი მოემიზეზებინა, რომ მოსაუბრეს ხელათ დაჰკარგვოდა არამცუ მასთან ბაასის განგრძობის, არამედ მასთან ახლოს დგომის ხალისიც.

ჩვენის მხრით, ამ თავდარიგს შემდეგ იმას-ლა ვნატრობთ, სადგურზე რამ აყალ-მაყალი არ მოხდეს, ვინმემ არ იჩხუბოს ან არ იქურდოს, რომ საჭირო არ იქნეს საქმეში ჩარევა აქაურ ადმინისტრაციის წარმომადგენელის – ურიადნიკისა¹. ორნი (ვ. თურმანიძე და შავგულიძე) ზალაში სხედან, მე კი ზალიდან სულ გარეთ, სადგურის ბაქანზე გამოვედი და ვზერავ მიდა-მოს. ამდროს გაისმა ჩხავილი დედაკაცისა, ღრიალი მამაკა-ცისა, ლანძღვა, გინება, უწმანური სიტყვები, ცემა, ტყეპა... თურმე ი ჩვენი ცოდვით სავსეს ვიღასაც ერთ დედაკაცისათ-ვის ცაცხვის ხის ქერქის ქალამნები მოუპარავს, სულ არის შა-ურის ლირებულობისა; ახლა ქურდსა და ნაქურდალს ეძებენ და ეს აურზაურიც ამის გამო შემდგარა. გაუღლვიძებიათ ური-ადნიკი და მიიყვანეს დაზარალებულისათვის დანაკარქის და-საბრუნებლად, დამნაშავის ჭკუის სასწავლებლად და საერ-თოთ სადგურზე წეს-რიგის დასამყარებლად.

მოდის ლეკურ-რევოლუცირიანი ურიადნიკი, მოაჩხარუნებს ლეკურის ქარქაშს და წალების დეზებს, ჰაერში მოათამაშებს მათრახს – მისის ხელისუფლების ემბლემას – და სამსართული-ან გინების სიტყვებით მოპმართავს ყველას ერთობით, ბრალი-ანსა და უბრალოს. დაზარალებულ დედაკაცს გარშემო შეჯ-გუფულ ხალხთან მოვიდა თუ არა, ყველას აგემა თავისი მათ-რახი ზოგს სამჯერ, ზოგს ორჯელ, თითოჯერ-კი უსათუოდ. მოუხვედრელი არავინ გაუშვია, რომ გულს არავის დაჰკლე-ბოდა. არც მისი მათრახის დარტყმის ობიექტები აცხადებენ

1. ურიადნიკი რუსულად მოწეს-რიგესა პნიშნავს. ყაზახრუსების სამსა-ხურში ურიადნიკი უნტერ-ოფიცრისათვის უქვიათ. ამ თანამდებობის კაცები არიან დღეს ციმბირის ყველა სიფელში წესიერების დასამყარებლად დანიშ-ნულნი. ამ თანამდებობისათვის საჭიროა სამხედრო სამსახურში უნტერ-ოფიცრის ხარისხის ნაქონბა.

პროტესტს, ეტყობოდათ, ყოველივე ეს სრულიად ნორმალურად მიაჩნდათ: ურიადნიკი მისი ურიადნიკია, რომ ხალხს მათრახის სიმწვავე არ დაავინცისო, უფროსების რიდი და პატივი ჰქონდესო!.. არც მოწუწუნე (დაზარალებული) ქალი იქმნა დავიწყებული, ერთი თუ ორი იმასაცა ხვდა – მა რა ეგონა! მისის გულისათვის ამ შუალამისას ლოგინიდან ნამოაყენეს კაცი!.. არ დავიწყნია, მისთვისაც შეეკურთხებინა და ეკითხნა – რა დაგმართვნია, შე პირლია, შე ასეთ-ისეთოვო? – „ქალამნები მომპარეს, ბატონო, შენი ჭირიმე, – შესჩივლა დედაკაცმა, – ქალამნები, არ ვიცი, რა ჩავიცვა ი სამიწე ფეხებზე მე შავიდღლის გაჩენილმა!.. ღმერთი კი არ დააცლის, ვინც მე ის მომპარა და ჩემის ცოდვით აივსო. ისემც ღმერთი გადლეგრძელებს, იქნებ მიპოვნოთ როგორმე, თქვენი მუხლების ჭირიმე“...

ურიადნიკმა საჭიროდ დაინახა მათრახი განემეორებინა ყველასათვის. ორ წუთში ქურდიც გამოჩნდა და ნაქურდალიც. ალარც გამოძიება, ალარც მაძებარი პოლიცია და ალარც რამე სხვა... სულ უბრალოთ, ხელათ გათავდა ყველაფერი. ნაქურდალი დედაკაცს ჩააბარა და შეუტია: პირი რომ დაგილია, შენ დ-ც მ..., ყური ვერ უგდე შენს ქალამნებსო! რა ბევრი ბარგი შენ განუხებდა!“ დედაკაცის ქალამნების დაპატრონების მსურველი ურიადნიკის ბრძანებით ვირის აბანოში გაგზავნეს, – იქ უფრო თბილად იქნები და მეორეჯერ არ მოჰპარავ საცოდავ დედაკაცს ქალამნებსაო.

„საქმეს“ რომ მორჩა, ურიადნიკმა გამარჯვებულისა და ომგადახდილ კაცის სახით გრძელი, ამ „მუშაობის“ დროს ძირს დაშვებული, ულვაშები დაიგრიხა, ლეკური გაისწორა და ახლა გასწია სადგურის მოსაცდელ დარბაზის საინსპექციოდ. შევიდა თუ არა, ყველანი ფეხზე ნამოუდგნენ და მხედრულათ გამოეჭიმნენ, ზოგს რა ჰკითხა და ზოგს რა. ყოველს შეკითხვას თან სდევდა დედის-გინება, როგორც აუცილებელი ატრიბუტი აქაურის ხელისუფლების მქონე კაცის ლაპარაკისა. ბოლოს, მივიდა თურმანიძესთან და ეკითხება:

– ე ყელი რას შეგიხვევია, შე მ...ღლო?

– ყელის ჭლექი მაქვს, თქვენო მაღალკეთილშობილებავ, ახლა გავცივდი, უარესად შევიქენი, ლამის არის, სულ ნამერ-

თვას ხმა. ირკუტსკში გეახლებით საექიმოდო. – და თან ძალა-
თი ხველა აიტეხა.

სხვებთან გულადი ურიადნიკი გველისნაკენივით მოშორ-
და თურმანიძეს.

მივიდა შავგულიძესთან. შეაგინა და ბოხოხი მათრახის
ტარით გადაუგდო.

– ვერ უყურებთ ამ ვირისთავს, რა დაუხურნია!... შენ
სადღა მიბრძანდები, შე მ... მ... ძ... დღლო!...

– ირკუტსკში, თქვენო მაღალეეთილშობილებავ, ავად გახ-
ლავართ...

– აი ჭირი კი დაგერიათ ყველასა!.. თქვენი დედა...

სხვებს, სანამ იქიდან გავიდოდა, თითო მათრახი უჭირა,
მათს მიცვალებულებს საფლავებში გვერდები აცვლევინა, გა-
ვიდა სადგურიდან და სულაც მოშორდა იქაურობას.

ამ სცენას ფანჯრიდან ვუყურებ. ურიადნიკი გავიდა თუ
არა, შევედი და ამხანაგებს მოვულოცევი გამოცდის ასე სა-
უცხოვოდ ჩატარება.

ამასობაში მეორე სადგურიდან მატარებლის გამოსვლის
ზარი ჩამოჰკრეს. მივდივარ სალაროსთან და ვყიდულობ ორს
სამგზავრო ბილეთს ირკუტსკამდე – ჩემთვის და თურმანიძი-
სათვის. მგონია, რომ შავგულიძეს ფული აქვს და ბილეთს თა-
ვისთვის თვითონვე იყიდის-მეთქი.

სული მიგვდის, მალე მოვიდეს მატარებელი და ჩავპარ-
გდეთ, რომ კიდევ რამე ხათაბალა არ გამოგვიტყვრეს. რო-
გორც იქმნა, ისიც მოვიდა და ჩავსხედით. ამ დროს შემოდის
ვაგონში გურული და ბილეთის სასყიდ ფულსა მთხოვს: სამი
მანეთი იყო, თუ რაღაცა. დაუყონებლივ ვაძლევ და გულში
ვლანძლავ, რომ კაცი ასეთს სახითათო გზას უფულოდ დასდ-
გომია. მე რომ არ შევხვედროდი და მისთვის მისაცემი ფულიც
რომ არ აღმომჩენოდა, უნდა წამოსულიყო უბილეთოდ, გზაში
კონდუკტორებს უნდა დაეჭირნათ როგორც უბილეთო, ოქმი
შეეყენებინათ და, შესაძლებელია, დაეჭირნათ კიდეცა. ისიც
სულ ადვილათ შესაძლებელია გამოაშკარავებულიყო მისი ვი-
ნაობა და ფუჭად, სულ ფუჭად ჩაეარნა ამდენს წვალებასა და
გზის გამოვლასა...

მატარებელი წასასვლელად ემზადებოდა, ისე ვხედავ, რომ საბილეთო კასის მოლარე გაცხარებით დარბის ვაგონების გაყოლებაზე და ფანჯრებში მგზავრებს აცქერდება. დამინახა თუ არა, შესძახა – გიპოვნეო. გული გამისკდა – ცოდვისამ ხომ არ მიწია-მეთქი. ვინ იცის, რა არ ვიფიქრე!.. მეუბნება: მანეთი გადმოგაყოლეთ და დამიბრუნეთო. ხელათ მივეცი; ისიც გახსარებული გატრიალდა. იმას უხაროდა რომ იპოვნა, რასაც ეძებდა, მე კიდევ მიხაროდა, რომ ასე ადვილათ გადავრჩი.

ჩვენისავე ვაგონით მოდიოდა ჩვენთან ერთად წინადღით ნამგზავრი ვაჭარი-ეპრაელი. ლაპარაკსა თუ ქცევაში უფრო მეტი სითამამე ეტყყობოდა და თანდათან რწმუნდებოდა, რომ ჩვენ თუ ვაჭრებისა არაფერი გვეცხო, ყოველსავე შემთხვევა-ში, სხვათა მონაგარის მითვისების მოყვარულებად არ ჩავითვლებოდით და კერძოდ მისს ქონებას ჩვენგან ჯვარი ეწერა და შიში არაფრისა მოელოდდა.

III

ირკუტსკში ჩასვლა. – ნესტორ კალანდარიშვილი. – გიორგი ანდრონიკაშვილი. – ჩემი თანამგზავრები: ვასო თურმანიძე და ზოსიმე ხუბუა. – ზოსიმე ხუბუას გამოსტუმრება. – კაცმა და ინატროს – თურმანიძის დისთანა. – ჩემი გამოწყობა. – თავისუფალ ცხოვრებას შეჩვევა. – ირკუტსკის რკ. გზის სადგურზე მე-II კლასით მგზავრობის გადაწყვეტა.

ტირეტიდან ვიარეთ მთელი ლამე, ცოტათი თვალის მოტყუებაც მოვასწარით და 200 კილომეტრის მანძილი მეორე დილის მე-8 საათზე განვლეთ. რკინის სადგურიდან გამოვედით დიდს ქალაქში – ირკუტსკში.

თითქო უხსოვარ დროიდან არ გვენახოს დიდი ქალაქი – ისე გვეხსამა აქაურობა. ქუჩები, ორ-სამ სართულიანი სახლები, ეტლები, შიგ მსხდომი ადამიანები, ევროპულად დართული ქალები თუ კაცები, მაღაზიები... სალდათები თავისთვის მიმავლები, შენი ჯავრი არც-კი აქვსთ... პოლიციელები, შენ რომ არც-კი გიყურებენ. ჩვენს თვალებს აღარც-კი ვუჯერებთ... მთვრალებივით მოვდივართ... ამ ორის თთვის წინათ, ირკუტ-

სკის განმანაწილებელ ციხეში ყოფნის დროს ვიფიქრებდი კია, რომ როდესმე ქალაქში თავისუფლად შემეძლებოდა, უკონვო-იოდ სიარული?!.. ჰაი, ჰაი, რომ არა! ის კი არა, ახლა ისე გავ-კადნიერდი, ისე საღერღელი ამეშალა, რომ ვთიქრობ – ირკუტ-სკზე უფრო დიდი ქალაქების ნახვაც მეღირსება-მეთქი... და ამასა ვთიქრობ ტუტურის ვოლოსტის მცხოვრები! ჰაი გიდი, სოფელო, როგორ ბურთივით გვათამაშებ!...

ირკუტსკში მივადექით 1905 წლის რევოლუციის დროს ჩე-მის პარტიულის თანამოსაგრის და მეგობრის ნესტორ კალან-დარიშვილის ბინას. მაგრამ სანამ მის მასპინძლობაზე და მას-თან ჩემს სტუმრობაზე ვიტყოდე რასმე, ჩემს სასიამოვნო მო-ვალეობადა ვსთვლი, მყითხველს მოკლედ მაინც გავაცნო ეს მგზნებარე რევოლუციონერი და თავდადებული მებრძოლი მონობისა და გაჭირებისაგან მშრომელ ხალხის ხსნისა და მის კეთილდღეობისათვის.

6. კალანდარიშვილი გავიცანი 1905 წელს ბათომში, სადაც მუშაობდა ქართველ სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის კომიტეტი, რომელსაც, შეიძლება ითქვას, ამ ქალაქში საძირ-კველი 6. კალანდარიშვილმა ჩააყრევინა. 6. კ. იყო აკტივური გამავრცელებელი პარტიულ ლიტერატურისა. შესახედავად წამოსადეგი, კარგი, რიხიანი მოლაპარაკე, გულადი, უშიშა-რი, ლამაზი ვაჟკაცი მსმენელზე საუცხოვო შთაბეჭდილებასა სტოვებდა. დიდი როლი ითამაშა 6. კალანდარიშვილმა საზ-ღვარგარეთიდან ფედერალისტების პარტიის მიერ მიღებულ თოფ-იარაღის გაგრიდან წამოღებაში და საერთოდ პარტიულ მოწინააღმდეგე სოც.-დემოკრატებთან ბრძოლაში.

1906 წ., რეაქციის დაწყებისას, როცა ნიკოლოზის მთავ-რობა დაუჭირავს არავის უშვებდა და ვინც ჯერ კიდევ არ იყო დაჭერილი, თავსა შველიდა და ცდილობდა პარტიული მუშა-ობა ფარულად განეგრძო, 6. კალანდარიშვილმა გადასწყვი-ტა სრულებით განშორებოდა სამშობლოს და თავის ნებით გა-დასულიყო შორეულ ირკუტსკში, სადაც სახლიკაცი ჰყავდა დასახლებული, და იქ განეგრძო რუს რევოლუციონერებთან ერთად სარევოლუციო მუშაობა. ირკუტსკში მუშაობა ისე გა-უტკბა, რომ თავის ნებით დარჩა ციმბირში.

1917 წ. 6. კალანდარიშვილმა საბჭოთა ხელისუფლებისათვის მებრძოლთა პირველ რიგებში ამოჰყო თავი. შეადგინა პარტიზანთა რაზმი, რომლითაც თავზარსა სცემდა კოლჩაკ-სემიონოვის და იაპონელ ინტერვენტთა ჯარებს. მტრებთან თავგამოდებულ ბრძოლისათვის 6. კ-ს მიეცა მებრძოლ წითელ დროშის ორდენი. 1921 წელს 6. კ. გაწვეულ იქმნა მოსკოვში და იქ მიეცა საგანგებო დავალება თეთრგვარდიელებთან და იაპონელ ინტერვენტებთან საბრძოლველად. 1922 წლის მარტის 6-ს ირკუტსკის ახლოს ბრძოლა გამართა 6. კალანდარიშვილის პარტიზანულმა რაზმმა საბჭოთა მთავრობის წინააღმდეგ აჯანყებულებთან. ეს ბრძოლა უკანასკნელი და საბედისწერო შეიქმნა რევოლუციისათვის ამ დაუღალავ მებრძოლისათვის: მტრის ტყვიით მოკლულ იქმნა სახელოვანი გმირი-პარტიზანი.

შესაფერი სამხედრო პატივი სცეს 6. კალანდარიშვილს, როგორც სახელოვანს მებრძოლს საბჭოთა ხელისუფლებისა, ლენინ-სტალინის საქმისათვის ქალ. ირკუტსკში, იქ, სადაც აღმართულია ძეგლი დიდებისა. მის დასაფლავებაზე ციმბირის სხვადასხვა ქალაქებიდან აუკარებელი ხალხი მოზღვავდა, რომ უკანასკნელი ვალი მოეხადნა იმის წინაშე, ვინც თავისი მშვენიერი სიცოცხლე მშრომელ ხალხის კეთილდღეობას ანაცვალა...

ქ. ირკუტსკთან დაკავშირებულია სახელი მეორე ქართველ რევოლუციონერისა, რომელიც 6. კალანდარიშვილზე წინადჩავიდა იქ და რომელმაც ამ ქალაქში 1905 რევოლუციის მებაირალტარის სახელი დასტოვა. ეს იყო საგზაო ინჟენერი გიორგი ანდრონიკაშვილი, ცნობილი სპეციალისტი და ამშენებელი ირკუტსკთან ერთ საუცხოვო ხიდისა, რომელსაც დღესაც ანდრონიკაშვილის ხიდი ჰქვიან. გ. ა-შვილი რევოლუციამდე რამდენისამე წლით ადრე იყო გადმოყვანილი ტფილისიდან ირკუტსკში, გუბერნატორის შემდეგ ქალაქში მეორე პირად ითვლებოდა, საზოგადოებაში დიდი გავლენა ჰქონდა.

1905 წლის რევოლუცია დაიწყო თუ არა, გ. ანდრონიკაშვილმა მიანება თავი თავისს კარიერას და, რომ იტყვიან, სულით და ხორცით შეერიაო, სწორეთ სულითა და ხორცით შეერია რევოლუციის საქმეში. შეადგინა 50 კაცისაგან შემდგარი რაზმი ქართველთა, ყველა ჩოხა-ახალუხით გამოაწყო, ცხენე-

ბი უშოვნია, უშოვნია საუკეთესო თოფ-იარალი და მთელის ირკუტსკის სარევოლუციო მოძრაობის ტონის მიმცემი შეიქმნა.

1906 წელს, რეაქცია დადგა თუ არა, გ. ანდრონიკაშვილი დაიჭირეს. მოახერხა თავმდებით თავი გაეთავისუფლებინა და საზღვარგარეთ ლტოლვილიყო. იყო ლონდონში რუს ეს-ერების წრის მდივნად. მერე (1910 წ.) სერბიაში იშოვა სამსახური. 1919 წ. სამშობლოში დაბრუნდა. ერთხანს ფოთის პორტი ებარა. გადაიცვალა 1928 წელს გაგრაში, სადაც აფხაზეთის მთავრობის მიერ იყო მონვეული ქალალდის ქარხნის მოსაწყობად.

იმას მოგახსენებდით, რომ მივადექით-მეთქი ბინას 6. კალანდარიშვილისას, რომელიც აქ 1906 წელს იყო გადმოსული. მაშასადამე, აქ უკვე სამი წელიწადი ეცხოვრა, აქაურობას და აქაურებს (ქართველებს) კერძოთ და აღმოსავლეთ ციმბირის ქართველობას საერთოთ უკვე კარგათ იცნობდა, ყველასთან კავშირი და ურთიერთობა ჰქონდა, განაგრძობდა სარევოლუციო მუშაობას და დიდი გავლენაცა ჰქონდა. ასეთის მასპინძლისაგან, როგორიც უნდა ყოფილიყო ჩემთვის ჩემი ძევლი მეგობარი ნესტორ კალანდარიშვილი, რა თქმა უნდა, მოველოდი გულითადს დახვედრას და ყოველგვარ ხელისშეწყობას აქედან გაქცევისათვის დაწყებულ საქმის გასაგრძელებლად. იმე-დიც საკუთრებით გამიმართლდა.

პირველი კაცი, ვინც ნესტორ კალანდარიშვილის ბინაზე დამხვდა, იყო – ზოსიმე ხუბუა, რომელიც ჩვენზე ორის კვირით ადრე წამოვიდა უიგალოვოდან. მე-კი უკვე სამშობლოში მეგულებოდა! როგორც ზემორეცა ვსთქვი, უიგალოვოდან გამოსვლისათანავე გასჭირებია და ეკონომიკისათვის ჯერ ერთხანს ფეხით უვლია. გზაში გადაჰყრია რუსის მღვდელ-დიაკვანს, რომელნიც სოფელ-სოფელ და კარ-დაკარ დადიოდნენ თურმე ალდგომის მისალოცად. მათი საქმე ამ შემთხვევაში უმთავრესად „ქრისტე აღსდგა“-ს გალობა იყო. ზოსიმეს კარგი ბოხი ხმა ჰქონდა, „ქრისტე-აღსდგას“ გალობაცა სცოდნია და მღვდლისათვის ეთხოვნა – ნება მიეცა მათთან ევლო და გალობაში მოჰქმარებოდა. მღვდელს ზოსიმესთვის უთქვამს – „ჩერკესი“ ურჯულო როგორ ვატარო ჩემთანაო. რომ დარწმუნებულა, რომ ქრისტეს სჯულის აღმსარებელი იყო და ისიც

მართლმადიდებელი და მისი ხმაც მოსწონებია, ნება მიეცა, თავის ურემში ჩაუსვამს და ისე უტარებია კარგა მანძილი. მორწმუნე გლეხების მოცემული პასკები და კვერცხები ზოსიმე-საც ხვდებოდა თურმე, და რაც ხანი მათთან ერთად მონაწილეობას ღებულობდა, დღესასწაულის მოლოცვაში, ამგვარათ სასმელ-სასჭმელი და ბინა საზრუნავი არა ჰქონია. ზოგს ექ-სპრომტად გადიაკვნებულ ხუბუასათვის ფულიც-კი მიუცია, და ასე და ამ გვარად ზოსიმეც ჩასულა ტირეტამდე, და იქიდან ირკუტსკამდე. მეგობრების იმედი რომ ჰქონდა ირკუტ-სკში საგზაო ფულის შოვნისათვის, ეს იმედი გასცრუებია და დაუწყია ლოდინი ჩემი ჩამოსვლისათვის. ბარემ ნანობდა, რომ აჩქარდა, არ დამიჯერა და უჩემოთ წამოვიდა.

ჩემი მთავარი საზრუნავი იყო: ა) მეშოვნა საგზაო ფული ზოსიმე ხუბუასათვის და გამესტუმრებინა აქედან; ბ) მეშოვნა ფული და გამესტუმრებინა ვასო თურმანიძე და გ) ბოლოს იმდენს ცდილვიყავ, მეც მათს კვალს გავყოლოდი.

ირკუტსკი მდიდარი ქალაქია. ქართველობაც ბლომათაა. სასჯელი რომ მოუხდიათ, ირკუტსკში, როგორც აღმოსავლეთ ციმბირის პირველ სავაჭრო ქალაქში, დაბინავებულან და ვაჭრობისათვის მოუკიდნიათ ხელი. თითო-ოროლას დიდი ნიჭი და უნარი გამოუჩენიათ ვაჭრობაში და დიდი ქონებაც შეუძენიათ. უმრავლესობა – წვრილფეხა ვაჭრებია და, სამწუხაროთ, აქაურის ლუდხანების და საეჭვორეპუტაციის დუქნების პატრონები.

მაგრამ ამ შემთხვევაში ჩვენ რომ გამოგვადგებოდა, ისე-თები, სამწუხაროთ, თითზე ჩამოითვლებოდა. ყოველსავე შემთხვევაში, ზ. ხუბუას 35 მანეთი ვუშოვნე, სწორეთ იმდენი, რომ ბილეთს უყიდდა ნოვოროსიისკამდე, და იქიდან-კი, როგორც მეზღვაურს, იმედი ჰქონდა ხომალდს რასმე გაჰყოლოდა ფოთამდე. გამოვისტუმრე, ნოვოროსიისკში მშვიდობით ჩასულა, იქიდან რაღაც გემს გამოჰყოლია როგორც მატროსი, ჩასულა ფოთში, იქ დიდხანს არ გაჩერებულა და გადასულა ფოთსა და ლაზოსტანის ნაპირებს შუა სანდალზე. ფოთშიაც ხშირათ ახერხებდა თურმე შემოსვლას ცოლშვილის სანახავად. ასე თავი შეუნახნია 1917 წლის რევოლუციამდე, როცა შესძლებია სა-აშკარაოზე გამოსვლა, და თავისს ხელობას – მესანდლეობას

და მეთევზეობას გამოჩინებულად დაპპრუნებია. გადაიცვალა ფოთში 1927 წელს.

ვ. თურმანიძის საქმე გაჭირდა. მართალია, ფული შევაგროვე ირკუტსკელ ქართველთა შორის, მაგრამ იმდენი არა, რომ ორსავეს გვყოფნოდა. გასამართლების წინ, ვ. თურმანიძე რაკი მოელოდდა ღირსების აყრას და ქონების უფლების ჩამორთმევას, რაც რამა ჰქონია უძრავი, სულ თავის დის სახელობაზე დაუმტკიცებია ნოტაურისის წესით. ეს დააზესტაფონში სცხოვრობდა და ფულის გასესხებას და სარგებლის აღებას ეწეოდა თურმე. ჯერ უიგალოვოში რომ ვიყავით, რამდენი წერილი მისწერა, რამდენი პასუხებადახდილი დეპეშა გაუგზავნა დას და სთხოვდა საგზაო ფულის გამოგზავნას, მაგრამ ამან საჭიროდ არ ჩასთვალა – პასუხებადახდილ დეპეშაზე მაინც ელირსებინა პასუხი. ახლა ირკუტსკიდან მოინდომა ტელეგრამის საშუალებით მისი გულის მოლბობა. მივსწრეთ გადახდილპასუხიანი დეპეშა... სრული დუმილი... ცხადია, დაა, მაგრამ მაინც ქალი და ისიც ფულის მოყვარული და პრაკტიკული ადამიანი, ასე ჰქიქრობდა: რაკი ჩემი ძმა გააციმბირეს, აქეთ ვერ დაპრუნდება თავისუფლათ და თუ ნამალევით დაპრუნდა, კანონით ვერასფერს წაიღებს ჩემგანო, და მაშასადამე, უანგარიშობა იქნება ჩემის მხრით – ჩემის წებით რამე გავუგზავნოვთ... და არც უგზავნიდა, ის კი არა – წერილი რა არის, წერილიც კი არ ემეტებოდა.

გადავწყვიტეთ, გვეკმარებინა, რაც დის გულში და-ძმურის სიყვარულის გასაღვიძებლად მასთან ეპისტოლები თუ დეპეშები ვგზავნეთ და ამაში ფული ვხარჯეთ, საბოლოოთ ხელი აგველო იმის პრობლემატურ იმედით ყოფნაზე და უფრო პრაკტიკულს გზას დავსდგომოდით. ეს გზა ასეთი უნდა ყოფილიყო: ვ. თურმანიძეს ირკუტსკში დავსტოვებდი, მე წამოვიდოდი, გამოვივლიდი ბაქოში, იქ ვნახავდი ვასოს ნამეგობრალებს, ვინც, თანახმად ვასოს თქმისა, ყელთამდე სავსენი იყვნენ მის პატივისცემითა, და ვსთხოვდი – მისთვის ასეთს კრიტიკულს მომენტში, როცა დანა ყელზე ჰქონდა მოპჯენილი, ხუთის თუმნის გამოგზავნა არ დაეზარებინა.

მაშასადამე, მრჩებოდა ჩემი თავი გამოსაწყობი და გამო-

სასტუმრებელი. ფული იმდენი ვიშოვნე აქაურს ქართველობაში, რომ ბაქომდე ასე იქნებოდა, თუ ისე ჩამომიყვანდა. ტანი-სამოსითაც ისეთით შევიმოსე, რომ „რიგიან“ საზოგადოებაში გარევისა არ შემრცხვებოდა. დარჩა პასპორტის საქმე. ამის შოვნა თვითონ 6. კალანდარიშვილმა პირადათ იკისრა. პოლიტიკურთათვის პასპორტების შოვნის საქმე 6. კალანდარიშვილს საუცხოვოდა ჰქონდა დაყენებული. იმ კანცელიარიაში, საცა პასპორტების ბლანკები ებარა მოხელეს, შინაურ კაცად იყო. ყოველ პასპორტში 6 პატარა არყიან ბოთლის ფასის (3 მ.) მეტი არ უნდა მიეცა.

წამოსვლის წინა-დღით ჩემი პასპორტი გორის მაზრის მცხოვრების აზნაურ ა. ნატროშვილის სახელზე, მაზრის უფროსის თავადის 6. ერისთავის ხელმონერილი და ვითომ ტფილისში ყოფნის დროს პოლიცმეისტერის კანცელიარიაში წარდგენის ბეჭედდასმული 6. კალანდარიშვილმა ხელში მომცა.

უკვე ერთი კვირა დავყავი ირკუტსკში, შევეჩვიე თავის უფლად ქუჩებში სიარულს, თავისუფლად მოსიარულე ხალხის ნახვას, მათთან ლაპარაკს; თანდათან წარმეხოცა ტყვეობაში წამყოფ ადამიანის ქცევა, თავის დაჭერა. თითქო შიშიც კი გამიქრაო.

მრჩებოდა მხოლოთ წამოსვლა...

IV

ირკუტსკის რკინისგზის სადგურზე. — მე-II კლასით მოგზაურობა. — სამხედროთა წრეში. — გამომცნაურება. — ფრანგული გამომადგა. — თანამგზავრებთან დაახლოვება. — ციმბირის დასახლების კოლონების ბედი. — ჩელიაბინსკში. — ბოქაული. — ჩელიაბინსკიდან გამოსვლა.

მაისის 7, დილით, ირკუტსკის რკინისგზის სადგურზედავარ. თავის ურმით მომიყვანა ნესტორ კალანდარიშვილის ნათესავმა პლატონ კალანდარიშვილმა. გადაწყვეტილი მაქვს, უშიშროებისათვის, წამოვიდე მე-II კლასის ვაგონით, ამ კლასით ციმბირის რკინისგზა მაინც გამევლო, ე. ი. გზის ის ნაწილი, რომელიც უფრო საშიშო იყო ჩემის ჯურის „მოგზაური-

სათვის“. ციმბირიდან გამოქცეულთ მე-III კლასის ვაგონში უფრო მეტი შანსი აქვსთ ადმინისტრაციას ჩაუვარდენ ხოლმე ხელში, ვიდრე მე-II და მით უფრო | კლასის ვაგონში, რომელიც ბითაც უფრო „სუბთა“, „უფრო „პატიოსანი“ ხალხი დადის, რომელიც გამოქცევას ან არსებულ წესწყობილების ორგულობას არ ინებებს. აბა რა საკადრისია!... გარდა ამისა, წვრილი ქურდობა გნებავსთ, თუ ჩეუბი, აყალ-მაყალი, ჟანდარმებისა და ურიადნიკების ჩარევა საქმეში, პასპორტების მოთხოვნა – ყოველივე ეს მე-III კლასის თანამგზვრებია ხოლმე. ამიტომ, თუკი რამ საშუალებაა, რა თქმა უნდა, ამ მხრივ სჯობია ადამიანმა მე-II კლასით იმოგზაუროს, მით უფრო, რომ მგზავრობა მთელ ათ დღეს გასტანს და აბა, რა თქმა უნდა, მოსვენებაც რბილ და სუბთა ვაგონში უფრო მოსახერხებელია, ვიდრე ჭუჭყიან ვაგონში და საეჭვო სისუბთავის მგზავრთა შორის.

რათგან ჯიბეში საკმაო ფული არ აღმომაჩნდა, მე-II კლასის ბილეთი ვაყიდვინე სიზრანამდე (სამარას ქვემორე), საითგანაც ერთი გზა მოსკოვისაკენ მიდის და მეორე – ბაქოსაკენ. სახიფათო ნაწილი გზისა სიზრანში გათავდებოდა და იმას იქით უშიშრათ შემეძლო მესამე კლასის ვაგონით მევლო. გამოვეთხოვე ჩემს მოსიყვარულე მასპინძელს და იმანაც გზა დამილოცა.

დაიძრა მატარებელი დიდის ციმბირის გზისა. 10.000 კილომეტრამდე მაქვს გასავლელი, 8 დღე და ღამე მაინც ვაგონში უნდა ვიყვე ტანთგაუხდელად. საგზალი ფული ძალიან გამოანგარიშებულია: მეყოფა სიზრანიდან ბაქომდე რკინისგზის მე-III კლასის ბილეთი ვიყიდო და ჭამა-სმისათვის გადამრჩება სამი მანეთი, თუ ისიც არა.

კუპეში ადგილი დავიჭირე. ციმბირულ მარხილების შემდეგ, ცოტაა არ იყოს, მეხამა. დავუწყე მუშტრის თვალით ყურება თანამგზავრებს. ერთი ვაჭარი უნდა ყოფილიყო: ბარგზე, ჩაცმულობაზე ეტყობოდა, რომ შეძლებული იყო, ჯიბეში 3 მანეთზე მეტი უნდა სდებოდა და ყოველსავე შემთხვევაში, არ ეშინოდა მოგზაურობისა და აღარც ყალბის პასპორტის პატრონი უნდა ყოფილიყო. მეორე თანამგზავრი სამხედრო იყო, ნიკოლოზის ქრისტესმოყვარე მხედრობის პოლკოვნიკი, ხოლო მეოთხე – ქალი იყო, ასე შუახნისა, მსუქანი, როგორც ეტყობოდა, ცოლი სამ-

ხედრო პირისა. ცოლსაც და ქმარსაც თანამგზავრებთან მეტად თავაზიანათ და მორიდებით ეჭირათ თავი. განსაკუთრებით ქმარს არ ეტყობოდა მაშინდელ რუსის მხედრის ქედმაღლობა, ზიზღით ყურება სხვებისა, არასამხედროთა. თითქმის ნახევარი დღე ვიარეთ და არც-კი უკითხავთ – საითმიმავლობა, ვინაობა და სხ. ასეთის ცნობების გამოკითხვა მგზავრებისაგან სრულიად ბუნებრივია და ისიც ასეთ შორის გზის გავლის დროს, როცა მგზავრები დროის წასაღებად ლაპარაკის ათასნაირ მასალას ეძებენ ხოლმე. ჩვენის ბაასის საგანია: გზის სიშორე, ციმბირის ბუნების სიმდიდრე და თავისებურობა, გზის იქით-აქეთ მდებარე ადგილების თხელი მოსახლეობა... მერე ქალმარალაც წიგნის კითხვა დაიწყო... რომელილაც სადგურზე ცოლ-ქმარი ვაგონიდან გარეთ გავიდა და წიგნი-კი კუპეში დარჩათ. უნებურათ თვალი მოვყარ წიგნის გარეკანს... ფრანგული წიგნიალ-მოჩნდა, პიერ ლოტის რომანი. ფრანგულათვე ეწერა წიგნის პატრონის გვარი: „Pechkoff“. ამ გვარის წაკითხვაზე მომავონდა ერთის წლის წინანდელი ამბავი, ჩემს ციმბირში გაგზავნას-თან დაკავშირებული.

სანამ ციმბირში ეტაპის წესით გამამგზავრებდენ, ვცდილობდი წება დაერთოთ და ჩემის ხარჯით გავდგომოდი გზას, ოჯახობაც წამეყვანა და ირკუტსკში რომ ჩავიდოდი, მომეხერხებინა და იქ დავეტოვებინეთ, რადგან ირკუტსკში, როგორც დიდს ქალაქში, ადვილათ მოვახერხებდი რამე საქმის შოვნას და არსებობას. ამდროს შემხვდა ჩემი კარგი წაცნობი და პატივცემული ტელემაკ გურიელი და რომ გაიგო, ირკუტსკში მგზავნიდენ, წერილი დამიწერა ერთ თავის კარგ წაცნობ ქალთან, რომელიც წინათ მასთან მდგარა ბავშვების გუვერნანტად და ფრანგულის მასწავლებლად. მერე ირკუტსკში წასულიყო, იქ გიმნაზიაში ფრანგულ ენის მასწავლებლობა ეშოვნა და ერთ სამსედროზე, გვარად პეშკოვზე, გათხოვილიყო. აი ამ ქალთან მიმიწერა წერილი და ჩემი თავი ჩაბარა. რა თქმა უნდა, ჩემის ხარჯით ციმბირში გაშვება ქუთაისის გუბერნატორმა შესაძლებლად და საჭიროდ არ დაინახა. ტელემაკ გურიელის წერილი გამოუყენებლად დარჩა და თვით წერილის ადრესატი ქ-ნი პეშკოვისა სრულიად გადამავიწყდა. არ მომგო-

ნებია მაშინაც, როცა უიგალოვოდან გამოქცეული რამდენიმე დღე ირკუტს სკში გავატარე.

ერთის წლის წინანდელი ამბავი თვალინი წარმომიდგა... მომაგონდა ქალის გვარიცა. სხვადასხვა გარემოება ერთმანერთს რომ გადავაბი, თითქმის დავრჩმუნდი, რომ ჩემი თანამგზავრები – ქალი იყო ტელემაკ გურიელის ნაგუვერნანტალი, ხოლო სამხედრო – მისი მეუღლე. ფრანგების მშვენიერენის ცოდნა ერთხელ უკვე მშვენივრათ გამოვიყენე, როგორც მყითხველსაც ეხსომება, ირკუტსკის ციხის საავადმყოფოში, სადაც პარიზში ნასწავლმა და ან აქ ექიმად მყოფმა ქალმა გადამარჩინა კირენსკის მაზრაში გაგზავნას; ახლაც გადავწყვიტე – მეორეჯელაც მშვენივრადვე უნდა გამოვიყენო იგივე მშვენიერი ენა ციმპირის რკინისგზის ვაგონში, როცა სამშობლოსაკენ მაქვს პირი შექცეული-მეთქი.

ცოლქმარი ვაგონში შემობრუნდა თუ არა, დიდის მორიდებითა ვთხოვე – როცა კითხვას მორჩიეთ ამ წიგნისას, თუ შეიძლებოდეს, მათხოვეთ-მეთქი.

– განა ფრანგული იცით? – მეკითხება ქალი.

– დიახ, ქალბატონო!

– ძალიან სასიამოვნოა, – მეუბნება თანამგზავრი და ორნივე უკვე ფრანგულზე გადავდივართ.

მეკითხება სადაურობას. – ვაკმაყოფილებ მის ცნობისმოყვარეობას. გაეხარდება ჩემის სამშობლოს სახელის გაგონება და მეკითხება, თუ ვიცნობ ტელემაკ გურიელს.

– არამცთუ ვიცნობ, დიდი პატივისმცემელი გახლავართ ტელემაკისა, მთლად მისის ოჯახისა; მისი დისწული – ნიკო თავდგირიძე ჩემი მევობარია.

გულწრფელი სიხარული გადაეფინა სახეზე. თვითონ მი-ამბო: მათთან უცხოვრია რამდენსამე წელიწადს; ყველანი სასიამოვნოდ მოსაგონარნი იყვნენ. მითხრა თავისი გვარი. ახლა ირკუტსკში ვცხოვრობო.

კარზე მომადგა ბედი-მეთქი! ვაგონში შემხვდა ადამიანი, რომელიც შარშან გაჭირვების დროს უნდა მომშველებოდა. არც ახლა იქნებოდა მისი შეველა და თანაგრძნობა ჩემთვის ზედმეტი. მაგრამ ვფრთხილობ, და თუ მაინცა და მაინც თვი-

თონ არა მკითხა, მე თვითონ არ ვეუბნები ჩემს ვინაობას, საიდან მომავლობას... ცოლქმარიც, თითქოს ჰერძნობენ ჩემს მდგომარეობასაო, იმდენ დელიკატობას იჩენენ, რომ ამას არც ისინი მეკითხებიან. მოვდივართ როგორც საერთო კარგის ნაცნობის ახლად გაცნობილი ნაცნობები. ვლაპარაკობთ საფრანგეთზე. კუპე სალიტერატურო სალონად გადაიქცა. ჩამოვთვალეთ საფრანგეთის ლიტერატურის კორიფეები: ზოლა, ფლობერი, მოპასანი... დრო შეუმჩნევლად და მხიარულათ მიდის... სადილის დროს სუფრა იშლება: რა გინდა, სულო და გულო! დამიწვიეს. ვინაზები... სწყინთ ჩემი უარი, ქართველი კაცი მნახეს (ქართველობა ეს მესამეჯერ გამომადგა. მოიგონე, მკითხველო: ჯერ ბაიანდაის ციხე, მერე ვერხოლენსკის მამასახლისი), ტელემაკის მეგობარი, თავიანთს ქვეყანაში, თავიანთს კუპეში და სუფრაზე არ დავეწვიო! არ ეგების!.. მავიწყდების, ჩემი მდგომარეობა, მავიწყდების, რომ თავისუფალი არა ვარ, მავიწყდების, რომ კიდევ ათი დღეა საჭირო, სანამ ბათომს ჩავალნევდე და იქიდან ოსმალეთში გადავიდოდე... ჩემის ჯიბის სიმჩატე-სიმძიმეს ჩემთვის მნიშვნელობა არა აქვს.

იქვე გვერდითა კუპეშიაც ერთი სამხედრო ზის, ცოლიანი და ძუძუთა ბავშვიანი. ერთმანერთი გავიცანით; რომ გაიგო ჩემი ქართველობა, კინალამ გადამეხვია... სამხედრო ტოპოგრაფია, კაპიტნის ხარისხით. უსწავლია ტფილისის სამიწათმზომელო სასწავლებელში, მერე სატოპოგრაფიო ინსტიტუტი გაუთავებია. ტფილისში სასწავლებელში, საუკეთესო მეგობრები ქართველები ჰყოლია, ჩვენი საერთო ნაცნობები... სურსათი ამათაც უხვათ მოჰქონდათ, კახური ღვინოც კი აღმოაჩნდათ, ირკუტსკში ეშოვნათ. ინჯრის დროს ასარჩევად მქონდა – რომელ ოჯახთან დარჩენილვიყავ. ორნივე ერთმანერთს ჩემს თავს ეცილებოდენ. ვიგონებ უკვდავის შოთას ნათქვამს; სოფლისაგან განწირული კაცი ბოლოდ მაინც არ გაინირების-მეთქი, ვამბობ გულში...

ჩვენს შორის მეტად განუყრელი მეგობრული ურთიერთობა დამყარდა. დიდ სადგურებზე იმდენათ ვკადნიერდებოდი, რომ „პოლკოვნიკ“ პეშკოვთან სადგურების პერონებზე ხელი-ხელ გაყრილი დავდიოდი; უანდარმები სამხედრო სალამს რომ

აძლევდენ პეშკოვს, ნაწილი ამ სალამისა და პატივისა მეცა
მხვდებოდა. მხოლოთ ეს კი იყო, რომ ყურებით, რა თქმა უნდა,
პეშკოვს უყურებდენ, როგორც სამხედროს, მე-კი, ალბათ, ყოვ-
ლად სამედო ადამიანად მთვლიდენ. თუ პეშკოვის ცოლთან მო-
მიხდებოდა გავლა-გავლა, ყველას თვალები მისკენ იყო მიპყრო-
ბილი, როგორც მაღალის და ნამოსადეგ ქალისაკენ. ხანაც იძუ-
ლებული ვიყავ ტოპოგრაფის მეუღლეს მივშველებოდი და, ამ-
გვარად, გადიის როლი მეკისრნა (უნდა მოგახსენოთ, რომ პირ-
ნათლადაც ვუძლვებოდი ნაკისრ საქმეს): მისი ძუძუთა ბავშვი
დამეჭირნა და ჩვრების გამოცვლა მეშველნა. თვით შერლოკ
ჰოლმსსაც არ მოუვიდოდა აზრად, რომ ამ სამხედროთა თანამ-
გზავრი, მათთან ხან საფრანგეთის ლიტერატურაზე მობაასე,
ხანაც ძუძუთა ბავშვის გადია და მათთან მოსუფრალი... ტუ-
ტურის ვოლოსტის სოფ. უიგალოვოდან ვიყავ (უკითხავად, ნე-
ბადაურთველად ოტებული, ორგული რუსთ ხელმწიფის ტახ-
ტისა, ერთი ვინძე სათოკე, მეშფოთარი, რომელსაც ფარად, მე-
ოხად და მეხთამრიდად თვით რუსთხელმწიფის ბრწყინვალე
სამსახურის ერთგულნი კაცნი მყავდნენ... არა, ჩემმა მზემ!

მატარებელი საკმაო სისწრაფით მიდის. საათში 40 კილო-
მეტრს მაინც უნდა გადიოდეს. გზაში ზოგჯერ სადგურებთან
გვაჩერებს საბარგო მატარებლების გროვა. ამ მატარებლებით
მოედინებიან ირკუტსკიდან გადმოსახლებულთა კოლონები,
ახლა უკანდაბრუნებულები. ესენი არიან უმეტესად უკრაინი-
დან. მინის სივიწროების გამო აყრილან, რაც რამ ჰპადებიათ
მიუყიდ-მოუყიდნიათ, წამოუღიათ მხოლოთ უუსაჭიროესი და
ადვილათ წამოსაღები საოჯახო ნივთები და ცოლშვილიანათ
წამოსულან გადასახლების მომწყობ კომისიის იმედით: ირკუტ-
სკში ჩავალთ, მოგვეცემა სახნავ-სათესი მიწა, პირველათ დაგ-
ვეხმარებიან, შეგვაძლებინებენ ფეხის მოკიდებას, გზა-კვალს
გვიჩვენებენ, მფარველებად აღმოგვიჩნდებიანო... მოვედით,
მაგრამ ჩვენთვის არავინ მოიცალა, გვგზავნიდენ კანცელიარი-
იდან კანცელიარიაში, ჩვენს საქმეს მაინც არაფერი ეშველა.
ბოლოს, გადავწყვიტეთ ისევ უკან დავბრუნდეთ, ისევ იმას და-
ვუბრუნდეთ, რაც რამ დაგვრჩა შინაო. გზაში უსმელ-უჭმელთ,
შიშველ-ტიტველთ დაჰპრევიათ, განსაკუთრებით ბავშვებს,

ათასგვარი ავათმყოფობა. ბევრი დახოცილა და იქვე გზისპირას დაუმარხავსთ, ბევრსაც ასეთივე დღე მოელის. მერე ათი და ოცი კი არ არის ასეთს დღეში მყოფი, არამედ მთელი მატარებლები სავსე, ათასობით...

მაგრამ ეს ახალი ამბავი კი არ არის თურმე ამ გადასახლების და ციმბირში კოლონიზაციის მომწყობ კომისიების ისტორიაში. ამ კომისიებს ჩვეულებრივ გუბერნატორები თავმჯდომარეობენ და გადასახლებისათვის პეტერბურგიდან გამოგზავნილ თანხების ფლანგვას ამ გუბერნატორების მიერ საზღვარი არა აქვს. ფული ასი ათასობით იფლანგება და ციმბირის კოლონიზაციის საქმე კი კუს ნაბიჯით მიდის.

ციმბირის საკოლონიზაციო მუშაობას მთავრობამ სისტემატურად მე-XVIII საუკუნის 60-იან წლებიდან მოჰკიდა ხელი. მანამდე აქეთ ამავე მიზნით იგზავნებოდა, მთავრობის აზრით, მავნე და უკეთური ელემენტი: ურჩ ყმებს, საბატონო გლეხებს, სხვადასხვა კატეგორიის დამნაშავეთ. ამნაირად მთავრობა ერთსა და იმავე დროს ორს კურდღლელს იჭერდა: „ქვეყანას ათავისუფლებდა „მავნე“ ელემენტებისაგან და ამავე დროს უდაბურ ციმბირს მოსახლეობას ჰმატებდა.

მე-XVIII საუკუნეში დაწყებული საქმე მე-XX საუკუნეში-აც გრძელდება მაგრამ ნარმატება კი არ ეტყობა. ევროპის რუსეთში ამდენის ოჯახის აყრას მამა-პაპეულ ადგილიდან, კერის მოშლევინებას, ყველაფრის გაყიდვას და ბოლოს ბოგანოდ დარჩენას ეპიდემიური ხასიათი ეძლევა. მაგრამ დიდი საქმეა, აი, თუ წელიწადში 3 თუ 4 ათასი კომლი გლეხი მოიშალა 160 მილიონიან რუსეთში!.. გულუხვნი არიან ნიკოლოზის ქვეშევრდომნი, გულუხვნი არიან ხალხის განადგურებაშიაც, გლეხობის – სახელმწიფოს ეკონომიურის კეთილდღეობის და ნარმატების საძირკვლის, დასაყრდენის მოსპობაშიაც. ათადან-ბაბადანიდან ასე ყოფილა, არის და იქნება, სანამ ეს ეგრედწოდებული სახელმწიფო წესწყობილება არსებობს...

მივდივართ ვაუჩერებლივ... გაიარა მგზავრობის მეხუთე დღემ. ყველაფრი მშვიდობიანათ მიმდინარეობს. ჩვენი მეგობრობა და სიამტკბილობა უფრო და უფრო მტკიცდება. მეც

გადამავიწყდა შიში, ასე მგონია, ჩემდა სასიამოვნოდ ვმოგზა-
ურობ-მეთქი. ამასობაში ვუახლოვდებით ჩელიაპინსკს, ციმ-
ბირისა და ევროპის რუსეთის საზღვარს. მთელს გზაზე ეს არის
ყველაზე საშიში პუნკტი ისეთის კაცისათვის, ვისაც სინიდისი,
ცოტათიც არის, დამშვიდებული არა აქვს და რუსთხელმწიფის
აგენტებთან ანგარიში გაუსწორებელი დარჩენია. ამ სადგურ-
ზე მატარებელი დიდხანს ჩერდება, ლოკომოტივი წყალს იმა-
რაგებს, მატარებლის ბრიგადა იცვლება, იცვლება ლოკომო-
ტივის მემანქანეც.

უკვე კლასის ბუფეტში ვართ. მე, როგორც ჭეშმარიტი კა-
ვალერი, ჩემს დამას არა ვშორდები. თუ ოდესმე ქათინაურები
გამეგონა პარიზში, ყველა მოვიშველიე, მაგიდასთან გვერდით
ვუზივარ, თვალნარბში შევცქერი. სადილს გეახლებით ერთად.
ჩევენს დარბაზში ბოქაულმა შემოჰყოთავი. ხელთ მათრახი უჭი-
რავს, გვერდზე ლეკური ჰყიდია, უკან ქამარზეც – რევოლუცი-
უკანტურია. ბუფეტის შუა ალაგამდეც მოვიდა. მიმოავლოშორ-
სგამჭვრეტი თვალები მოსუფრალთა. ცხადია, ეძებს საკბილოს.
ალბათ მეც მეძებს, რათგან ჩემს შესახებ ქალალდი უკვე ექნება
მოსული ირკუტსკიდან. ჩვენის მაგიდისკენაც მოიხედა. ბრწყინ-
ვალე წოდების წარმომადგენელი რომ დაინახა დამასთან ერ-
თად, გამოეჭიმა და სამხედრო სალამი ჰკადრა, როგორც უფ-
როსს. ისე ღმერთი როგორ გაუწყებოდა და როგორ იფიქრებ-
და, რომ ბოლკოვნიკის გვერდით საეჭვო კაციც ვიქნებოდი?!.
ჩექმის ქუსლებზე შემოპრონიალდა და გავიდა.

ვეღი მატარებლის დაძვრას, მეტად ჭიანურდება დრო...
ყოველი წუთი საუკუნედ თუ არა, წელიწადად მაინც მეჩვენება.
ვაი თუ ისევ შემოტრიალდეს ბოქაული და... ერთი როდის იქნე-
ბა, გადავსცდე ამ ბენვის ხიდს-მეთქი, გულშია ვნატრობ.

გავიდა ბოქაული... მალე ისევ შემოპრუნდა... ეტყობა, ყნოს-
ვა არ ატყუებს, ნადირის კვალს სწორათ მიჰყვა, მაგრამ აქ მისს
საკბილოს, ბრჭყვიალა სამოსლიან ხალხს შორის ჩამჯდარს,
ვერა ხედავს, ნაკვალევი ეკარქვის...

დაიძრა მატარებელი... გადავრჩით. თავისუფლათ ამო-
ვისუნთქე. დაძაგრული ნერვები ნება-ნება მოეშვა. ვუახლოვ-
დებით ურალის მთებს. წინვიან ტყით შემოსილი ფერდები მთი-

სა და ქედებისა თვალებს ეალერსება. უკვე მაისის 11-ია. ლურჯი ცის კამარა, ცხრათვალა მზით ალმოდებული, თავს დასცექერის ხასხასა მწვანით შემოსილ მხარეს. მატარებლის წამი-ერ გაჩერების დროს ვაგონის ფანჯრებში გაზაფხულის დამათრობელ სითბოსთან ერთად შემოდის სირთა ხმიანობა, გულის დამამშვიდებელი, კაეშნთა უკუმყრელი. სამყარო და ბუნება ასე ალერსიანად იშვიათათ მჩვენებია. ჩემი სწორუპოვარი თანამგზავრები ხომ სიყვარულის, გულკეთილობის ულეველ წყაროდ გადაიქცნენ ჩემს თვალში!...

V

დაშორება ირკუტსკელ თანამგზავრებთან. — ბაქოსაკენ.
— ახალი თანამგზავრები. — ნიკოლოზის მიერ დევნილთა პატ-რონობა. — შვილობილები. — თავგადასავალი ისრაელის ასულისა. — ვოლგის სანაპიროები. — დაახლოვება კავკასიონისა. — ბაქოში. — ექიმ ივ. ელიაშვილთან. — ბაქოს სადგურზე.
— ტფილისისაკენ.

გამოვყავით თავი ურალის ტონელში... მატარებელი სი-არულს უმატებს... თუ მე მეჩვენება ასე. გამოვცდით უფას. ჩემის თანამგზავრების ჩემთან დამეგობრებამ აპოგეს მიაღწია. პოლკოვნიკი პეშკოვი მოსკოვს მიდის და იქ მეპატიუება. მოსკოვიდან საზღვარგარეთ წავიდეთო. მე, რა თქმა უნდა, მადლისა ესწირავ. კაპიტანი-ტოპოგრაფი ოდესაში მიდის და იქა მთხოვს წაყოლას... ერთი ჩემს გულშიაც ჩამოიხედეთ, დალოცვილებო, თუ რამდენათ მიღირს თქვენთან სიცილი და გა-რეგნული უდარდელობა!.. მომაგონდა ოცის წლის წინანდელი ამბავი. ოზურგეთიდან ეტლით მოვდიოდი წატანებისაკენ. გვერდთ მეჯდა ერთი წაცნობი მანდილოსანი. წინ სკამზე ეჯდა მოახლე, რომელსაც მუხლებზე ჰსვენებია საბანში გახვეული მისი ბავშვი. ქმართან მიდიოდა ბათომისაკენ. ჩემი წაცნობი ქართულ ლიტერატურას ეტრფიალებოდა. ბუნებრივად, ლაპარაკი ჩვენს ლიტერატურაზე, ჩვენს თანამედროვე მწერლებზე ჩამოვაგდეთ. ზოგი სახუმარო ტემაც ავიღეთ. ჩემს თანამგზავრს ძალაუნებურათ უნდა გაეცინა... ასე ნაძალადე-

ვის მხიარულებით ჩავედით ნატანებში. იქ-კი ერთმანერთს გავ-შორდით. მხოლოდ ორი წლის შემდეგ გავიგე, რომ ბავშვი, რო-მელიც მოახლეს ვითომ მიჰყავდა, მიცვალებული ყოფილა, და რათგან რკინისგზის კანონით მიცვალებულის უკუბოოდ წას-ვენება ვაგონში აღკრძალული იყო, გამნარებულ მშობელს ამ ხერხისათვის უნდა მიემართნა და ჩემთვისაც მხიარული სახე უნდა ეჩვენებინა მაშინ, როცა პირმშოს უსულო გვამი წინ ესვე-ნა და გულში კიდენ ჯოჯოხეთის ცეცხლი უნდა ნთებოდა.

ჩემს ცომბირში „მოგზაურობას“ შემდევ სრული 22 წელიწა-დია გასული. და პოლკოვნიკმა პეშკოვმა და კაპიტანმა-ტოპო-გრაფმა (თუ ცოცხლები არიან), დარწმუნებული გახლავართ, დღესაც არ იციან თავისი 1909 წლის მაისში ცომბირის რკინის-გზის ვაგონით ქართველი თანამგზავრის ვინაობა, არ იციან გვარი (ეს მათაც არ უკითხავსთ), იცოდენ მხოლოთ სახელი და მამის სახელი (თუ ისიც არ დაავინყდათ)...

გამოვცდით სამარას. ვუახლოვდებით სიზრანს. გამოვეთ-ხოვეთ სამნივე ერთმანერთს: პეშკოვი მოსკოვის მიმართულე-ბით წავიდა, ტოპოგრაფი-კაპიტანი – ოდესისათი, მე კიდენ სიზრანში დავრჩი, რომ ცარიცინზე ბაქოსაკენ წამოვეყვანე მა-ტარებელს ერთს საათს უკან. ერთგვარი ობლობა ვიგრძენ.

დავდივარ სადგურის შორი-ახლო, უდარდელის კაცის სა-ხით. ჩემი მწირი ბარგი, საპანში გახვეული, ხელში მიჭირავს. ბაქომდე სამის დღის სავალი გზა კიდევ მიდევს წინ. ბილეთის აღების შემდეგ ჯიბეში დამრჩება მანეთი და ათი შაური, არც მეტი, არც ნაკლები. ეს თანხა ისე გამოზოგვით უნდა ვხარჯო, რომ ბაქოშიაც ერთი სამი აბაზი მაინც ჩამყვეს... ეტლისათვის.

ჩამოაყენეს მატარებელი. მე-III კლასის ბილეთი ავიღე ბა-ქომდე, ალალ-ბედზე შევედი ერთ-ერთ ვაგონში და სულ კუთხეში ავირჩიე დასაჯდომი. გაიარა რამდენმამე წუთმა და კარებში თავი შემოჰყო ერთმა მაღალმა, გამხდარმა და ღარი-ბულათ ჩაცმულმა ქალმა. კეხიანი ცხვირი, ხორბლის ფერი, გრუზა თმა, მსხვილი ტუჩები – ყველა ნიშნები ისრაილის ჩა-მომავლობისა! ძუძუთა ბავშვი ცალის ხელით გულზე მიკრუ-ლი უჭირავს, მეორე ხელი რაღაც ბოხჩისათვის დაუვლია და ბოხჩას კიდენ ერთმანერთს ხელი-ხელ ჩაკიდებული სამისა და

5 წლის გამხდარი, ჭუჭყიანი, გასაცოდავებული ბავშვები დაბლაუჭებიან და ისე მისდევენ დედას. მთელი ისტორიული ტანჯვა, რაც ისრაელის ერს თავის არსებობის ხანში გამოუვლია, ამ საცოდავს არსებას, ანუ, უკეთ, არსების აჩრდილს ეხატებოდა განანამებ სახეზე. თვალებამოლამებული, ლოყებჩაცვინული, წელში მოხრილი, ციმპირიდანაც რომ არ ყოფილიყავით გამოქცეული და გული დარდით არა გქონდათ სავსე, მაინც უნებურათ აღიძრავდათ სიბრალულს და გამოგინვევდათ საშველად. ჩემი ინსტინკტური უესტი ის იყო, რომ დაუყოვნებლივ მივწვდი საშველად, ბარგი ჩამოვართვი, ბავშვებს ხელი მოვკიდე და ყველანი ჩემს მერჩე დავსხი. ქალმა, რომელიც, ეტყობოდა, ადამიანისაგან ჩვეული იყო მხოლოთ დევნას, შეურაცყოფას, დამცირებას, თითქო იუცხოვა იმავე ადამიანისაგან სიკეთეო. მიკნავებულის ხმით მადლობა გადამიხადა და თან სახეზე კითხვითი ნიშანი ეხატებოდა, – რათ მიშვებით სიკეთესაო?!. ჩემის მხრივ ასეთი საქციელი სრულებით ბუნებრივი იყო, მისგან არ ვითხოვდი არც მადლობას, აღარც ჩემის სამსახურის დაფასებას. მერე-კი დავინახე, რომ სწორეთ ასე და არა სხვაფრივ უნდა მოქცეულვიყავ, თუ მინდოდა, რომ სრულებით უშიშრათ განმეგრძო გზა...

ჩემმა თანამგზავრმა, სვენებ-სვენებით, მარტივათ მიამბო თავისი მარტივი, არასახარბიელო თავგადასავალი. მისი თანამეცხედრე მოსე ბაქოში ცხოვრობს ერთს ლარიბულ უბანში. მის სახელოსნოში დილიდან საღამომდე ხის ჩაქუჩის კაკუნი გაისმის და მზადდება ნაირ-ნაირი თუნუქის ჭურჭელი თათრებისა და ნავთის ნარმოებაში მომუშავე ხალხისათვის. უფაში ძმას დაუპატიუნია რამდენისამე თვევით, თუნდ ზამთრის პირამდე საცხოვრებლად, შვილებიანად. ამასაც გროში გროშზე დაუდვია, საგზაო ფული მოუგროვებია და ნამოსულა უფაში იმ იმედით, რომ რამდენიმე თვე თვითონაც მაძლარი იქნებოდა და შვილებიც მაძლრები ეყოლებოდა. ჩამოსვლის მესამე დღეს პოლიციას, რომელსაც მოსეს სჯულის ხალხისა არა სწამდა რა, თავისი აგენტი მიუგზავნია და გამოუცხადებინებია გუბერნატორის ბრძანება, რომლის ძალით სხვაგნითგან მისულ ეპრაელთ, ვისაც სათანადო ნებართვა არ ექნებოდა, არ

შეეძლოთ უფაში ცხოვრება, მაშასადამე, რახილსაც (ჩემის თანამგზავრის სახელია) 24 საათში თავისი ბარგი-ბარხანა უნდა შეეკრა და ისევ უნდა დაპრუნებულიყო, საითკენაც მოვიდა. აქ რომ დარჩენა შესძლებოდა, ჭამა-სმის მხრივ იოლათ გამოვიდოდა, ბავშვები მოიკეთებდენ, თან ბაქოს ზაფხულის სიცხე-ებს თავს გაარიდებდენ და უფის სიგრილეში თავისუფლად ამოისუნთქებდენ. ამდენმა ხარჯმა ფუჭად ჩაუარა და წვალება, კველასაგან დაცინვა, მასხარად აგდება, „жидовка“- (ურიას ქალოვო) ძახილი, დამცირება, ყოველგვარ წმინდა გრძნობათა უხეშათ შეღახვა კიდევ მეტი იყო...

დიდ სადგურებზე, მატარებლის გაჩერების დროს, მომქონდა ცხელი წყალი ჩაისთვის, ბავშვებისათვის ფუნთუშებსა ვყიდულობდი. ბავშვებიც უკვე ხან პაპა-ს მექანიან, ხან დядი-ს. ვაგონში ხალხი იცვლებოდა, რიგი მიდიოდა, რიგი მოდიოდა. ახლადშემოსულთ ერთი ოჯახობა ვეგონეთ, მით უფრო, რომ, როცა ვისხედით, ბავშვები იქით-აქეთ მუხლებს მესხდნენ, ხოლო როცა ვაგონიდან გამოვდიოდი, ლეკვებივით უკან მომდევდნენ. გზაში რამდენჯერმე ვაგონებში ჩამოგვიარეს ჟანდარმებმა. ჩვენს „ოჯახს“ რომ გადახედავდენ, ჯidenjata-ს სუნი მოედინებოდათ, პირს მოგვარიდებდენ, საჩქაროთ განშორდებოდენ იქაურობას და ერთი-ორჯერ მოგვაძეს კიდეც: ვსიდუ ეს პროკლატე ჯიდე ლევტ (საცა არა მგონია, ეს შეჩვენებული ურიები დაძვრებიანო). ჰაი, ჰაი, არა მწყენია, რომ მეც ამ „შეჩვენებულებს“ შორის შემრაცხეს და ისე მომწყდნენ, რომ შემოხედვის ღირსადაც არ გამხადეს...

სადღაც სადგურზე ვაგონში შემოვიდა ერთი გიტარიანი ქალი-მუსიკოსი და მოინდომა კუპლეტები მოესმენინებინა ჩვენთვის იმ იმედით, რომ მის მიერ მონიჭებულ სიამოვნებისათვის უყურადღებოდ არ დავტოვებდით. კუპლეტების შინაარსი ასე-თის ხასიათის იყო: საზღვარგარეთ ხალხი ისე იქცევა, როგორც უნდა იქცეოდეს და ჩვენში კი ღმერთი უწყრებათ, სულ წინააღმდეგსა შვრებიანო; საზღვარგარეთ ქურდობა და მექრთამეობა – აუგია, და ჩვენში კი ორივე კულტად გაუხდიათო და სხ. და სხ. ხელათ აუდიტორია გაიჩინა და იმის სმას სხვებმაც ააყოლეს სმა, ასე რომ მთელი ხორო გაჩნდა. ქალის ნამღერები სიტყვები

ულტრარევოლუციონურად მომეჩვენა და შიშმა ამიტანა, ვაი თუ ხელისუფლება გაერიოს, ყველა დაიჭიროს და მეც თან მიმა- ყოლოს-მეთქი. როგორც იქმნა, დაიღალა სახელდახელოთ მოვ- ლენილი არტისტი, გულუხვადაც დააჯილდოვეს მსმენელთ, ეტყობოდა, მისმა ნათქვამა ყველას გული მოფხანა, და მოგვ- შორდა. მეც თავისუფლათ ამოვისუნთქე.

მოდის მატარებელი. აუარებელი გზა გვრჩება უკან. მგზავ- რები კალეიდოსკოპივით იცვლებიან. თავს დავტრიალებ ჩემს შვილებად მირქმეულთ. აბა ვინ იფიქრებს, ამათი მამა და პატ- რონი არა ვარ, ვინ იფიქრებს, რომ მშვიდობისმოყვარე მოქა- ლაქე არა ვარ... ჩემს ბედზე მთელი მგზავრობა მატარებელში უინციდენტოდ მიდის, ჩხუბი გინა ქურდობარამე, რომელსაც რკინისგზის ჟანდარმების ჩარევა და მგზავრთათვის პასპორ- ტების მოთხოვნა გამოეწვიოს, არ მომხდარა.

მოდის მატარებელი ვოლგის ნაპირების მიდამოებზე, რუ- სეთის ამ უუნაყოფიერეს ადგილებით, რომელთათვის რუსე- თის ბელელი და მაცხოვრებელი უქვიათ. ვაგონიდან თვალს უხარებს კაცს თვალუნვდენელ სივრცეზე გადაჭიმული პურის ყანები, საუცხოვო საძოვრები და შიგ გათქვირული, ჯიშიანი ძროხები!.. დავეშვით ცარიცინიდან. ნაყოფიერი ველები ისევა გრძელდება. ვაგონში შემოდიან კარგათ ჩაცმული გლეხები. ეტყობათ გარეგნობაზე, რომ სავსებაა მათში ბუნების ყოველ- გვარ ნაყოფიერებისა, რომ ბუნება უხვად აჯილდოვებს მშრო- მელს, უფასდება ოფლი, გამოულეველი აქვსთ სასმელ-საჭმე- ლი, ეკონომიურათ წელში გამართულნი არიან.

ვეშვებით თანდათან სამხრეთისაკენ. გამოჩნდა კავკასი- ონის ქედიც. ვაგონში ოსური ხორხისმიერი ბგერები ისმის, ტყაპუჭების გამგუდავი სუნი მოგედინებათ, ბული ტრიალებს საშინელი, სულთქმა გიმძიმსთ, ხალხის ჭდევაა; იძულებული ვარ ვაგონის ბაქანზე გამოვიდე, რომ ცოტა თავისუფლად შე- ვისუნთქო გაზაფხულის ჰაერი. მაგრამ უკან შესვლა ვეღარ მოვახერხე და ამასობაში ჩემი თანამგზავრი რახილი და ჩემი „შვილობილები“ სამუდამოდ ჩამომშორდენ. ის-ლა მოვახერ- ხე, რომ ჩემი ბარგი რომელილაც სადგურზე ფანჯრიდან გად- მოეწოდებინათ.

ვუახლოვდებით კავკასიონს... მოსჩანს თითქმის მკაფიოდ იალბუზი... იმის იქით სამშობლო მეგულვის... ახლოს მივიწევი ნატვრის საგნისაკენ... როდი მჯერა... მაგრამ მაინც მივიწევი. გამოვიარე მინერალური წყლების სადგური, შემხვდა ჩემი ძველი მეგობარი სანდრო თოიძე. გაუკვირდა ჩემი ნახვა. – შვებულებით გამოგიშვესო? – თვითონვე ჩამაგონა, რა მეპასუხნა: – ჰო-მეთქი, შვებულება მომცეს, დროებით-მეთქი. – ირკუტსკიდან ნამოსულმა პირველად დავილაპარაკე ქართულად... ესეც მეუცხოვების.

შორიდან სალამი მივეცი კავკავს... ცოტა კიდევ – დარუბანდს... აზერბაიჯანს... კამეჩებსა ვხედავ ყანაში ვაგონის ფანჯრიდან... თვით თათრები შემოდიან თანამგზავრებად... მათი ფაფახები, სამშობლო მიწა-წყალის მომგონებელი...

და აჲა, ბაქოშიაც მივედით.

ბაქოში პირველი ვიზიტი გავუკეთე ჩემ-მიერ ირკუტსკში დატოვებულ ვასო თურმანიძის მეგობარს, ვუამბე ვასოს გაჭირება და ყოველივე შემონათვალი მისი. ფულის გაგზავნაზე უარი სთქვა და თან, ეტყობოდა, ნაციმბირალის კაცის ნახვამ ისე დააბრთხო, რომ სერიოზულათ შემეშინდა, – არაფერი შემამთხვიოს-მეთქი და საჩქაროზე გავეცალე. აქედან ბათომში ჩასულს ჩემთან ერთად ციმბირიდან გამოქცეული გურული შავგულიძე შემხვდა. თურმანიძის დას ზესტაფონში საგანგებოდ გავუგზავნე, მაგრამ ვერც საგანგებოთ გაგზავნილმა კაცმა შესძლო მისი სინიდისი ემხილებინა. ისევ ირკუტსკელებს მოუხერხებიათ საგზაო ფულის შოვნა ვასოსთვის. ჩამოსულა მშვიდობით სამშობლოში. ერთხანს, რა თქმა უნდა, იმალებოდა, განიცდიდა ყოველგვარი იწროებასა და წვალებას, მალვის ამ აუცილებელ თანამგზავრებს. გამხდარიყო ავად და ამ ავადმყოფობას გადაპყოლოდა კიდეც, ასე რომ 1917 წლის რევოლუციას ვერ მოსწრებია... მაშასადამე, ვერ ჩამოვუსნარი ადამიანს, რომელ-თანაც გავატარე ორი თთვე ციმბირულის ცხოვრებისა, რომელ-თანაც ერთადა ვზიდევი მწუხარებისა თუ იმედიანობის ყოფა...

ახლა შევუდექი ჩემის თავისათვის ზრუნვას...

გზაში რაც ისრაილის ასულს რახილს და ჩემს „შვილობილებს“ დავახარჯე, იმის შემდეგ დამრჩენოდა ჯიბეში – სამი

აპაზი ფულად და მუცელში – მაღა დაყმენდილის მგლისა. უფულობას კიდევ გავუძლებდი, მაგრამ უჭმელობამ ამდენს შიმშილში გამოწრთობილი კაცი დამაძაბუნა. შიშმა ისიც-კი და-მავინყა, რომ ბაქოში მყავდა ისეთი ნაცნობები, როგორებიც იყვ-ნენ: იაკობ მანსვეტაშვილი, ი. კვიტაშვილი, ი. დადიანი, ნ. დეკა-ნოზიშვილი... მომაგონდა მხოლოდ ექიმი ივანე ელიაშვილი. ვი-კითხე. თურმე ქალაქ გარედა ყოფილა. ორ აპაზად გავურიგ-დი ერთცხენიან ეტლის პატრონს და კარზე მივადექი ჩემს მე-გობარს, რომელსაც, დიდი ხანია, არ ვენახე და არც უკანას-კნელი ამბავი სცოდნოდა ჩემი. ჯერ-ჯერობით არც მე ვეუბ-ნები. მშვენიერს მასლაათში გემრიელს სადილს გეახელით (კარგა ხანი იყო, ასე არ მგემრიელებია საჭმელი!). ნასადილევს გავუმხილე ჩემი თავგადასავალი და ვთხოვე საშუალება მო-ეცა ტფილისამდე ჩასვლისა. თან თვალყურს ვადევნებ, თურა შთაბეჭდილება მოახდინა მაზედ ჩემმა აღსარებამ. ფული ხე-ლათ მომცა და ფულთან ერთათ რჩევაც მომცა, ჯაშუშებისა და მზვერავებისათვის თავის დასაღწევად, დაუყონებლივ გავ-ცლოდი იქაურობას... ბათომში რომ ჩახვალ, იქაც დაგხვდება გზის გასაგრძობი ფულიო. მადლობის მოხსენება. მეგობრუ-ლი გამოთხოვება და ეტლითვე სადგურისაკენ გამოშურება.

ბაქოს რკ.-გზის სადგური. საღაროსთან. ვართმევ მეორე კლასის ბილეთს ტფილისამდე. ვყიდულობ მაშინდელ რეაქცი-ონურ გაზეთს „Новое Время“-სა. ხელში მიჭირავს ისე, რომ ყვე-ლამ დაინახოს, რასა ვკითხულობ და რა კაციც უნდა ვიყო მისი წამკითხველი. ისე ვკადნიერდები, რომ უანდარმს უკამაყოფი-ლებასაც ვეუბნები მატარებლის ათისა თუ თუთხმეტის წუთით დაგვიანებისათვის და ამ დაგვიანების მიზეზსაც ვეკითხები. უანდარმი თავაზიანათ დაგვიანების მიზეზს მეუბნება და თან მანუგაშებს, – ცოტაც მოითმინეთ და ახლავე გავაო. სულ გავ-თამამდი და ერთი-ორჯელ კიდევ ავუარ-ჩავუარე უანდარმებს (ჩემი ფარი „Новое Время“ სულ დემონსტრატიულად მიჭირავს და ვითომ ვკითხულობ), კიდევ რაღაცა ვკითხე და მერე შევედი კუპეში, საცა ჩემს მეტი არავინ იჯდა. შემეძლო მთელი ღამე მეძინა. კონდუკტორს ერთი მანეთი წინდანინ ვაჩუქე და ვთხო-ვე გზაში სალიონის ხიზილალა და კარაქი, სულ თავანკარა,

ეყიდნა, რის ასრულებას „სიამოვნებით“ დამპირდა და მთხოვა, თუ კიდევ „მენებებოდა“ რამე, არ მოვრიდებოდი.

რამდენისამე დღე-ლამის მოუსვენებელს და უძინარს მკვდა-რივით დამეძინა ვაგონში. მეორე დღეს მადიანათ ვიხმიე სალი-ონის საუცხოვო ხიზილალა და გერმანელთა კარაქი. ასე რომ მხნედ მივდივარ სამშობლოსაკენ. ვლელავ... მესწრაფვის. მა-ტარებელი ალბათ ჩქარა მიდის, მაგრამ მე ისე მეჩვენება – ტა-ატით, კუს ნაბიჯით მიდის-მეტქი და მინდა უფრო მეტი სისწ-რაფე განავითაროს, მალე ჩამიყვანოს ტფილისში, მიჩვენოს ჩვენიანები, გადავეხვიო ყველას, ვეჩვენო ტყვეობისა, საუკუ-ნო დაღუპვისაგან ოტებული, საზღვარგარეთისაკენ, თავი-სუფლებისაკენ მიმსწრაფვი...

VI

ტფილისში შიოდედაბრიშვილთან. – თანამესაგრეთა ნახ-ვა. – რეაქციის შემდეგ. – აკაკი ხოშტარიასთან. – პლატონ მიქაბერიძის თავგადასავალი. – გიორგი ჩიჩუა. – ვაის გავე-ყარე, და ცოტას გაწყდა, ვუის შევეყარე. – მიქაბერიძესთან შეხვედრა მცხეთის სადგურზე. – სასწაულებრივი გადარჩე-ნა. – გორში. – სამტრედიიდან. – თანამგზავრი გენერალი. – ჩვენი სუბ-ტროპიკები.

მაისის 16-სა, დილის 8 საათზე, როგორც იქმნა, მატარე-ბელიც შემოვიდა ტფილისის სადგურზე... ჩემი თავი სიზმარ-ში მგონია... ჩემი ბარგი სადგურზე მივაბარე და ჩემს სიყრმის მეგობარს შიოდედაბრიშვილს, ნიკოლოზის ქუჩაზე, სწორეთ იმ დროს წავადექი თავზე, როცა ფედერალისტების პარტიის ორგანო „დროება“-ში, ის-ის იყო, წაეკითხნა ჩემი წერილი ციმ-ბირიდან, ამ ოცის დღის ნინათ მიწერილი იქაურ ქართველო-ბის ყოფა-ცხოვრების შესახებ. ერთმანერთს გადავეხვიენით, მაგრამ ის-კი თავისს თვალებს არ უჯერებდა: ეს არის, წავი-კითხე შენი წერილი, ფიქრით შენთან ვიყავ და ასე ერთბაშათ რამ გადმოგაფრინაო!..

პირველი ვიზიტი გავუკეთე ერეკლეს აბანოს, რომლის მსგავსს, სამყარო რომ მოიარო, კიდით-კიდე, ვერ იპოვით. მე-

ქისე თათარმა ყოველი წესი თავის ხელობისა შეასრულა, მომაშორა, რაც ზედმეტი ეკრა ჩემს ტანს ციმბირიდან წამოყოლილი, განვიპერტყეფ მტვერნი ფერსთა ჩემთაგან და სასიამოვნოთ შემსუბუქებული მივეღი სალაროსთან პატივცემისათვის სამაგიროს გადასახდელად. შინიდან რომ გამოვედი, ქუქუნაკის ჯიბეში ხუთმანეთიანი ოქროს ფული მედო. ახლა ვეძიე და ვეღარ ვპოვე. ზედ საუამეც არა მქონია, რომ კასაში გირაოდ დამეტოვებინა. უცაპთ წარმომიდგა აყალ-მაყალი, პოლიციის ჩარევა, ოქმის შეყენება, ვინაობის გამორკვევა, პასპორტის მოთხოვნა და ვინ იცის, კიდევ რა ვაი და ვაგლახი!.. ერთის სიტყვით, სიკვდილი გავათავე. არ მოვეშვი ძებნას. ი ჩემის ცოდვით სავსე ქუქუნაკის ჯიბე გარღვეულა და ფული ისეთ ალაგას მოქცეულა, სადაც არა ხამდა...

აქაც გადავრჩიო...

ვესწრაფე მენახნა თანამოსაგრენი, გამეგო, რა გუნებაზე იყვნენ, რასა ფიქრობდენ, გულში რა ედოთ. 1906 წლის რეაქციას საგრძნობლათ შეუთხელებია ჩვენი რიგები, ბევრისათვის გული გაუტეხნია, ხელოვნურათ მიტმასნებული ელემენტები პარტიას ჩამოსცალა და თავისი ნამდვილი პირისახე აშკარათ გამოუჩინია. ქარტეხილსა და რყევა-ყოყმანს გადარჩენილები მოქმედებას განაგრძობდენ, მხოლოთ მალულათ, აღებულის გეზით მიდიოდენ... საბოლაო მიზნისაკენ. პარტიის მისწრაფებათა გამომხატველი ორგანოები მხოლოთ თთვეობით (და ხანაც ნაკლებ დროით) არსებობდა. იცვლებოდა ორგანოების სახელები, ორგანოების სახელებთან ერთად იცვლებოდა გვარები რედაქტორებისა; ნარედაქტორალები მეტების პანსიონერებად იყვნენ, ან ადმინისტრატიულის წესით რუსეთის სხვადასხვა მახლობელ ქალაქებში გზავნიდნენ საცხოვრებლად. პარტიის მწირი სახსარისატუსალოებში მოქცეულ პარტიულ მომუშავეთა შენახვას უნდებოდა. იმედს ამყარებდენ სახელმწიფო საბჭოზე; ბოლოსა და ბოლოს საქმე იმით უნდა გათავდეს, რომ სახელმწიფო საბჭოს მოჰყვებარევოლუცია, საბოლოო გამარჯვება ხალხს დარჩება და საბჭო რუსეთის პარლამენტად უნდა გადაიქცეს, – ამას წინ არა უდგას რაო...

ვაპირებ, სულ უკანასკნელი, ერთ კვირას მაინც დავრჩე

ტფილისში; უნახავი არავინ დავტოვო, დაწვრილებითი ამბა-
ვი ჩავუტანო პარიზში გიორგი დეკანოზიშვილს, რომელსაც
სიცოცხლე შუაზე გაუყო ჩვენში რევოლუციის დამარცხებამ.
მაგრამ გულს მაინც არ იტეხს, იმედიანათ შესცეკრის მომა-
ვალს და გამამხევებელ წერილებს უგზავნის პარტიას, ურ-
ჩევს მუშაობა არ შესწყვიტონ, ფარხმალის დაჟყრა არ ეგებისო.
ის კი არ იცოდა საცოდავმა, რომ ერთის წლის უკან ულმობელი
სიკვდილი მის თავსაც გამოაკლებდა პარტიას და საზღვარ-
გარეთ, მის სიკვდილთან ერთათ ჩაჟქრებოდა, დროებით მა-
ინც, მისგან ატრიალებული საქმე საქართველოს განთავისუფ-
ლებისა ნიკოლოზის კლანჭებისაგა...

ერთს კვირას მაინც უნდა დავრჩე ტფილისში-მეთქი, უფრო
იმიტომ ვამბობ, რომ აქ გამუდმებით კარგა ხანია არ მიცხოვ-
რია, პოლიციის მხრივ მცნობი არავინა მყავს, ქალაქი დიდია,
დამალვა თავისუფლათ შემიძლია და ამიტომ აქ დარჩენისა
მაინცა და მაინც არ მეშინის.

ციმბირიდან ჩამოსვლის მეორე დღეს ჩემს კარგ მეგობარ-
თან აკაკი ხოშტარიასთანა ვარ ბინაზე სასტუმრო „ჩრდილო-
ეთის ნომრებში“ (საქართველოს მუზეუმის მხარმარცხნივ გა-
დასახედზე). სადილობის დროა და მისმა მეუღლემ მინადო-
რამ სადილად არ გამიშვა. მალე აკაკიც მომივიდა და ყველანი
სიხარულშემდგარნი სუფრას მივუსხედით. ზედდატანებაზე
შემოვიდა ჩვენი საერთო მეგობარი გიორგი ჩიჩუა. მშვენიერი
სადილი, მასპინძელი მხიარული და უმეტესად სტუმარი მხი-
არული... შუასადილობას დიასახლისმა ერთბაშად წამოიძახა:

— თედო, იცი, ვინ არის ტფილისში? შენი „მეგობარი“ ბო-
ქაული მიქაბერიძე!..

ამ გვარის გახსენებაზე თითქო გველმა მიკბინაო, ამიშა-
ლა წარსული დარდები, თვალწინ წარმომიდგინა ის კაცი, რო-
მელმაც მოღალატურად, სულმდაბლურათ სოხუმში დამიჭი-
რა და 1908 წლის ღვინობისთვის 17-იდან 1909 წლის მაისის
17-მდე გამომაცდევინა ყოველივე ის, რასაც მოსისხლე მტერ-
საც არ ვუნატრებდი.

სოხუმიდან ჩემის წამოყვანის შემდეგ ბოქაულ პლატონ მი-
ქაბერიძისათვის ვიღასაც სამტროდ ქვა ესროლნა. ამისთვის

დაუწინაურებიათ და ფოთში გადმოუყვანიათ. ფოთში უკვე მოსაკლავად გაუმეტებიათ და რევოლუციური უსროლნიათ, მაგრამ ამასაც მშვიდობით გადარჩენია. კიდევ დაუწინაურებიათ და გადმოუყვანიათ ტფილისში და მე-IX რაიონის (კუკიის) პოქაულად გაუმწესებიათ და როცა მე, ციმბირიდან გამოქცეულმა, ტფილისში შესასვენებლად გამოვიარე, თურმე ტფილისის პოლიცეიმეისტერის თანაშემწეობას უმიზნებდა.

ჩემს მდგომარეობაში მყოფისათვის მეტის-მეტი სარისკოიქნებოდა დარჩენა იმ ქალაქში, საცა ასეთი „ნაცნობი“ მეგულებოდა, როგორიც იყო პლატონ მიქაბერიძე, რომელიც სუნით გაიგებდა ჩემს აქ ყოფნას. ამიტომ ჩემი გეგმა უნდა შემეცვალნა, აქ დარჩენის დრო მინიმუმამდე დამეუვანა და დაუყოვნებლივ ნასვლის სამზადისს შევსდგომოდი. საღამოს 7 საათის მატარებლით გიორგი ჩიჩუაც მიდიოდა ბათომისაკენ, უკეთესს თანამგზავრს ვერც ვიშოვნიდი და გადავწყვიტევი გავყოლოდი.

საღამოს შეიდის ნახევარზე ტფილისის სადგურზედა ვართ. მაღალს, წარმოსადეგს, რიხიანს თავად გიორგი ჩიჩუას საქართველოს რკინისგზაზე, რომელზედაც სამსახურის გამო (სახელმწიფო საგლეხო ბანკის მოურავი იყო) უხდებოდა სიარული, ყველანი იცნობდენ, განსაკუთრებით დიდ სადგურების ბუფეტებში და ჟანდარმები. მაშინ საბილეთო სალარო | და || კლასებისა ამავე კლასების დარბაზში იყო. საღაროსკენ წინ მიდის გიორგი და უკან მე მივყვები, მისი ახოვანი ტანი მე სიმაღლე-სიგანეზე მფარავს და ზედაც არავინ მიყურებს. მის წარმოსადეგობასთან სხვისი სხეული ძალაუნებურათ იჩრდილებოდა. ამ შემთხვევაში მე, რა თქმა უნდა, ამ გარემობას ჩემთვის დამამცირებლად და ჩემის თავმოყვარეობის შემლახველად სრულიადაც არა ვთვლიდი. გიორგი მიუახლოვდა ჟანდარმს, გადასცა ორი თუმნიანი და ბრძანებითის კილოთი მიმართა ეყიდნა ორი მე-II კლასის ბილეთი, ერთი ბათომამდე ჩემთვის და მეორეც სამტრედიამდე მისთვის. ჟანდარმმა „Сейчас, Ваше Сиятельство“-ვო და ჯერს გარეშე ორი ბილეთი აიღო და ხურდასთან ერთად გიორგის მიართვა. მე ისევ ჩრდილში ვარ. გიორგიმ მანეთიანი გადასცა ჟანდარმს და იმანაც „Очень Вам благодарен, Ваше Сиятельство“-ვო...

ჩავისუფლათ ამო-
ვისუნთქევი, რომ გადავრჩი განსაცთელს და ამდენმა ჯახირ-
მა ფუჭად არ ჩამიარა. ახლა ვნატრობ, მალე მოშორდეს მატა-
რებელი ტფილისს, მალე წავიდეს აქედან, მალე ჩავიდეს ბა-
თომში, სადაც მომელის ჩემის ოჯახობის ნახვა.

ავედით მცხეთას. მატარებელი გაჩერდა თუ არა, გიორგი
ბუფეტისაკენ წავიდა განთქმულ მცხეთურ ბოხჩოვანების საჭ-
მელად და მეც გამინვია. მე დაგვიანებით გამოვდივარ ვაგონი-
დან, რომელიც სადგურის შუაგულის პირდაპირაა ჩამომდგა-
რი. სადგურის ბაქანი ცარიელია. ბაქანის აღმოსავლეთიდან,
სწორეთ ბუფეტის კარებისაკენ, ვხედავ ჩემსკენ მომავალ ვი-
ღაც დაბალის ტანის სამხედრო კაცს, რომელსაც მარჯვენა
მხრითგან ქალი მოჰყვებოდა და მისკენ პირშექცეული ელაპა-
რაკებოდა. ერთხანს შევდექი და ჩემს თავს ვეკითხები, თუ ვინ
უნდა იყოს სამხედრო-მეთქი. მცხეთაში ერთად-ერთი სამხედ-
რო და ჩემი მეგობარი მეგულებოდა იოსებ გედევანიშვილი, და-
ბალის ტანისა, და ისიც, როგორც დუშეთის ხაზინის საქმეში
მონაწილე (1906 წ.), სამხედრო წოდებაში უკვე აღარ ირიცხებო-
და. მაშასადამე, ვინც უნდა იყოს, ჩემი უცნობი იქნება-მეთქი
და წინ თამამათ გავწიე. ერთბაშათ, ამ, ჩემის ფიქრით, სამხედ-
რომ, თავის მარჯვინით მიმავალ დამისაგან პირშექცეულმა ისე
ახლოს ჩამიარა, რომ ჩვენს შორის ერთის მტკაველის მანძილი
არ იქნებოდა. შევხედე... და რასა ვხედავ?!. იქვე უნძრევლათ
გავშეშდი... ორივემ ჩამიარა, კარგათ დამშორდენ და მე-კი ვდგე-
ვარ ერთსა და იმავე ადგილას... როდის-როდის მოველ გონს და
გამოვტრიალდი ვაგონში. იცით, ვინც იყო? თვით პლატონ მი-
ქაბერიძე, რომელმაც სოხუმში 1908 წლის ღვინობისთვეში ისე
მუხანათურათ შემიპყრო და ციმბირის გზა მალესინა... და ახ-
ლაც იმანვე, ცოტას გაწყდა, შემანყვეტინა ციმბირიდან რის
წვალებით გამოვლილი გზა... თურმე ნუ ბრძანებთ, ის ქალი მი-
სი დანიშნული ყოფილა, უსარგებლნია იმ გარემოებით, რომ სუ-
ლისწმინდის მოფენის დღესასწაულის გამორიდე, კვირა და
ორშაბათი, უქმე იყო და თავისი დანიშნული მცხეთაში გამო-
უსეირნებია... მე-კი ერთბაშათ ასეთმა აზრმა გამიელვა: მიქა-
ბერიძემ ტფილისში ალბათ ყური მოჰკრა ჩემის ჩამოსვლის ამ-

ბავს, იქ ან განგებ არ დამიჭირა, ან ვერ მოასწრო დაჭერა და გამომდია, რომ მატარებელში ციმბირიდან გამოქცეულის კაცის დაჭერით თავისი პრესტიული უფრო ასწიოს უფროსების თვალში – ნახეთ ბიჭი! – და ხელათ გაიკრას წარჩინება, პოლიც-მეისტერის თანაშემწეობა, სახელი გაითქვას, როგორც სწორუ-პოვარმა აგენტმა პოლიციისამ...

გულისცემაატეხილმა ცალ ხელში ჩემი ბარგი დავიჭირე და დავუწყე მოუთმენლათ ლოდინი გიორგი ჩიჩუას დაბრუნებას. ისიც დაბრუნდა და გაკვირვებულმა ბუფეტში მოუსვლელობის მიზეზი მკითხა. პასუხის მაგივრათ ვსთხოვევი ფანჯარასთან გაჩერებულიყო და მატარებელი რომ დაიძვრებოდა, თვალუ-რი ედევნებინა ბაქანზე ქალთან მოსეირნე სამხედრო¹ კაცი მა-ტარებელს წამოჰყებოდა თუ არა. თუ ვინიცობაა მიქაბერიძე ვაგონში შემოვიდოდა, ცხადი იქნებოდა, რომ მე მომდევდა და, მაშასადამე, თავისითვის უნდა მეშველნა. მეც, შემოვიდოდა თუ არა, ვაგონის მეორე მხრიდან უნდა გადამხტარვიყავ და დარ-ჩენილვიყავ მცხეთაში, სადაც მეგობრები მყავდა და თავს და-ვიფარავდი, ან საქართველოს სამხედრო გზით დიღომში ჩამო-ვიდოდი მეგობართან, სანამ თავს ვუშველიდი.

მატარებელი დაიძრა. პ. მიქაბერიძე თავის დამიანად მცხე-თაში დარჩენილა და ცნობისმოყვარეობად გადაქცეულ გ. ჩი-ჩუას ვუამბე ყველაფერი. ვინც იღლოცა, აბა სწორეთ შენთვის ულოცნია – გამამხნევა გიორგიმ. ოღონდაც! ამდენ გზას გა-მომვლილს, ამდენ ხიფათს აცთენილს, ზღვას გადარჩენილს ცვარი უნდა მომრეოდა, იმას უნდა დავეხრჩვე?.. ოღონდათ რომ ბრალი იქნებოდა!.. მაშინ ხომ ვერ გადავუხდი პლატონს სამაგიეროს, მაშინ ხომ ვერ მოვუკლავდი გულს და ვერ ავუს-რულებდი იმ მუქარას, რომლითაც გულში დავემუქრე სოხუმ-ში ჩემის დაჭერის დროს!.. ორ თოვეს უკან პარიზში ჩასულს შემხვდა საქართველოდან ჩამოსული ჩემი მეგობარი და ჩემის საქმის გარჩევის დროს ჩემი დამცველი გიორგი გვაზავა. ვუ-ამბე პლატონ მიქაბერიძის ოინები და ვსთხოვე: ტფილისში რომ

1. პოლიციის უფროს მოხელეთა ფორმა ერთის შეხედვით სამხედროთა ფორმასა პგავდა, მხოლოთ სამხრულებით უნდა გაგერჩიათ ერთიმეორეში.

ჩახვიდე, პლატონ მიქაბერიძეს თუ არ იცნობ, გაიცანი და ასე მოახსენე ჩემ-მაგიერ: სულ ერთის მტკაველის მანძილზე იყო შენგან დანინაურება, დაჯილდოვება, თუ გინდა, ტფილისის პოლიციელისგრის თანაშემწეობა, და, ნურას უკაცრავად, ყველაფერი ხელიდან გამოგაცალე-მეთქი. გ. გვაზავას ჩემი დანაპარები მართლა გადაეცა მიქაბერიძისათვის და იცით, პასუხად რა ებრძანებინა: „რომ მენახნა (თ. სახოკია), ხელსაც არ ვახლებდი, გამეხარდებოდა კიდეცა, ჰო, ჩემმა მზემ!“ სწორეთ, მაგისმა მზემ, ხელს არ მახლებდა, იქნებ დამხმარებოდა კიდეცა!... მიქაბერიძე?!...

მივდივართ. გადავწყვიტე, ასეთი „კაზუსი“ მეტი არ შემხვდეს, თორემ კოკა ყოველთვის წყალს ვერა ზიდავს, ერთხელაც იქნება, წყალზე გატყდება-მეთქი. ვუახლოვდებით გორს. გიორგი მეუბნება, გორის ბუფეტში მაინც ვიხმიოთ რამეო. ვაგონიდან პირველათ გიორგი ჩამოვიდა და ცოტას ხანს უკან მეც მივყევი. ის იყო, ბუფეტის კარებს მივადექი, ისე უკან გამობრუნებული გიორგი შემომეფეთება და უკან მაბრუნებს ვაგონშივე. ჩვენს კუპეში ერთი ახალგაზდა კაცი დაგვხვდა, კავარდიანი. გიორგი ჩუმათ მეკითხება, თუ ვიცნობ ამ კაცს. უარყოფითს პასუხს ვაძლევ. თურმე ვინმე ლორთქიფანიძე ყოფილა, ქუთაისის მექებარ პოლიციის აგენტი, გიორგის ნაცნობი. ვიღაც ბოროტმოქმედს გამოსდევნებია ქუთაისიდან, გორამდე მისდევნებია, მაგრამ იქ მისი კვალი დაჲკარქვია და ახლა უკან ბრუნდებოდა ქუთაისში. არც მე ვიცნობდი და აღარც ის მიცნობდა. გიორგის კი შეპშინებოდა, ვაი თუ შენ გეძებსო. მე დავამშვიდე და ვუთხარი: მე მაღლა საწოლზე დავწვები და ვეცდები დავიძინო ან თავი მოვიმდინარო-მეთქი, შენ-კი გინდა ელაპარაკე-მეთქი.

გორიდან გამოსული მხოლოთ ხაშურში გამოვედი ვაგონიდან, რომ სოხუმში ტელეგრამით შემეტყობინებინა ოჯახობისათვის, ბათომში დამხვედროდა. მერე კუპეში მაღლა რომ ავედი და დავწექი, არ გამიჩურნია, თუმცა ძილი არ გამკარებია თვალებზე.

მთელი გზა, რიონის სადგურამდე, გიორგისა და მისს თანამგზავრს ლორთქიფანიძეს პირი არ დაუწყნარებიათ. ასე

რომ პოლიციის აგენტს იჭვიც კი არ შეჰქარვია, რომ მისს კუ-
პეში ციმბირიდან ოტებული კაციც მოდიოდა, რომლის დაჭე-
რა ქუთაისიდან გამოდევნებულ ავაზაკის დაჭერაზე ნაკლებ
ბიჭობაში არ ჩამოერთმევოდა. აბა, რა იცოდა?!.. ერთის სიტყ-
ვით, პოლიციის მსახურთათვის ამაღამ ჩემზე ნადირობაში ხე-
ირი არაფერი მიმიცია... მოგეხსენებათ, მაგათაც ყოველთვის
როდი სწყალობს ბედი!

რიონის სადგურზე ლორთქიფანიძე მოგვშორდა. მე და გი-
ორგიმ სამტრედიამდე კიდევ ერთად ვიმგზავრეთ. იქ-კი გა-
მომეთხოვა, გზა დამილოცა და მითხრა: ამაღამ ორს ხიფათს
ზედიზედ გადაგარჩინე და ახლა შენ იცი, თუ როგორ გახვალ
სამშვიდობოსათ. დავპირდი, არ შეგარცხვენ-მეთქი და დაპი-
რება შევუსრულე კიდეცა.

კუპე გამოვიცვალე. მოვექეცი ერთის რუსის მხედრობის
გენერალს პირდაპირ. ამ გზაში მაინც სამხედროებთან მოგვ-
ზაურობა დამეკვება!... გამოცთილებით წათამამებულმა თა-
ვისუფლათ გავუშილაპარაკი. ტემა – ეკონომიკა. მივდიოდით
რიონის მარცხენა ნაპირის ნაყოფიერ ჭალებზე, გურიის ვაკე
ნაწილზე, სადაც იწყება ჩვენის ქვეყნის ქვე-ტროპიკები. დი-
დის მომავლის მხარე, მელიორაცია, ფართო საეკონომიკო პერ-
სპექტივები, ეკონომიურათ ალორძინება მთელის ქვეყნისა,
წელში გასწორება მუშავისა, დაფასება ნაოფლარისა... რომ
პატრონი ჰყავდეს აქაურობას, მზრუნველი რომ გამოუჩნდე-
ბოდეს, ხალხის გონიერივი დონე რომ აინევოდეს, მისი შრომა
რაციონალურათ რომ იხარჯებოდეს, ჭალები რომ გაშრებო-
დეს, ხალხის ჯანსალობის ძირის გამომთხრელი – მალარია რომ
მოისპობოდეს... და მრავალი დაუსრულებელი „რომ“-ი „რომ“-ს
მოსდევს, ხოლო აქაურ მკვიდრთა მდგომარეობა ტაატით მი-
იწევს წინ. ორისავ თანამოსაუბრის აზრები ამ კითხვის გარშე-
მო ერთიმეორეს უდგება, საერთო ენა ლაპარაკობს. და ამ ლა-
პარაკში გავცდით ნატანებს და მივუახლოვდით იმ ადგილებს,
რომლის ფასი შეიგნეს კაპიტალისტებმა, არ დაიზარეს კაპი-
ტალის ჩადება აქაურს საარაკო ნაყოფიერების ნიადაგში, რომ
აღმოეცენებინათ ის მაღალი კულტურა, რომელიც ჩვენში
ჯერჯერობით მხოლოდ აქა ჰქარობს: ჩაი, მანდარინი, პირსა-

ცობის მუხა და სხ. ორნივე აღტაცებულები ვართ მიღამოების ყურებით, თვალი ვერა ძლება ბუნების სიმშვენიერით. სადგურზე მატარებლის გაჩერების დროს ვაგონის ფანჯრებში მდინარის ტალღისებრ შემოდის ტყიდან ათასობით ხმა ფრინველთა, გარემო დაფარულია ტროპიკულ მცენარეებით. მარჯვნივ ლურჯ, მშვიდ ზღვას თავს დასცექერის მზით გაჩირალდნებული მტრედის ფერა ცა. ყოველივე, საითკენაც მიიხედავთ, ფერიულია, საოცნებო... გაზაფხული, დიდებით მორჭმული, ტახტზედა ზის...

ეს ფერიული ადგილებიც გავიარეთ და ჩავედით ბათომში. ჩემი თანამგზავრი გენერალი გამომეთხოვა როგორც დიდის ხნის მეგობარს. არც იმას აუღია ეჭვი, რომ მთელის სამის საათის განმავლობაში პირის-პირ ეჯდა ნიკოლოზის დუშმანი. კარგიცა ჰქმნა, ჩემმა მზემ, რომ იჭვი არ აიღო, თორემ ვაი თუ, რაც ჩემმა ტკბილათ მოსაგონარმა მიქაბერიძემ ვერ მიყო მცხეთის სადგურზე, ამ გენერალს ექნა ბათომისაზე.

VII

ბათომში. — ჩემი მასპინძელი. — ჩემიანების ჩამოსვლა. — მასპინძელი და მკითხავი. — ილიკო გვარამაძე. — ვასო ბერეჟიანი. — ბეგების მიერ ჩემთვის საზღვარზე გადამყვანის შოვნა. — გონიას გზაზე. — გონიას ციხე. — ორილამე ჩემ გონიელ მასპინძელთან. — ზურგქარის ლოდინში. — მეზღვაურის სახით ნავში ჩაჯდომა და ზღვაში გასვლა ხოფისაკენ. — მენავე ლაზები და ჩემი დახასიათება. მათი გაოცება. — ხოფაში გასვლა.

დილის ცხრა საათზე შევედით ბათომში, საიდანაც სწორეთ ამ ექვსის თთვის წინათ გემით გამიყენეს რუსეთისა და მერე ციმბირის გზას. თუ მაშინ, შემოდგომაზე, ბათომურ წვიმების სეზონში, კოკისპირულათა სწვიმდა და ბუნებას ცხვირ-პირი ჩამოსტიროდა, სამაგივროთ ახლა მაისის ცხრათვალა მზე ათასფრად დაქათქათებდა მთელს ქალაქს, ზღვას, შიგ ტყესებრ ჩამდგარ ხომალდებს და ადამიანის თვალს ახარებდა, ადამიანს სასიცოცხლოთ, სამოქმედოდ ენერგიას უღვიძებდა, ხალისა ჰმატებდა, ყველაფერს აყვარებდა. ქუჩაში

რომ მიდიხარ, ადამიანები გადასხვაფერებულებად; გამოცვლილებად გეჩვენება... ჯიქურ, თამამათ მივემართები ქალაქის გამგობისაკენ, საცავხედავ პარტიულ მეგობრებს – პარმენ გამყრელიძეს და სხვებს, რომელთაც ამ ექვსის თთვის წინათ ფეხებში ბორკილებგაყრილი გემში ჩამაცილეს, საგზალი გადმომცეს, გზა დამილოცეს და მალე, სულ მალე უკან დაპრუნება მისურვეს. აი იმუშავა მათმა ლოცვამ, აუხდათ ნატრი, ისევ მათს შორისა ვარ... სათქმელი მოკლეთ ვუამბე, გამოსაკითხი გამოვეკითხე, და მისამართი გამოვართვი ჩემის მოკეთისა და მეგობრისა მიშა წულუკიძისა, რომელთანაც უნდა გამეტარებინა რამდენიმე დღე და ვისთანაც უნდა ჩამომხტარიყო ჩემი ოჯახობაცა.

დავბინავდი. მეორე დღეს ოჯახობაც და ჩემი პატარა ქალი სოხუმიდან ჩამომიყვანა ბიძაშვილმა. ერთი ღამე, როგორც იქმნა, გავატარე, მაგრამ შემდეგ ამ ბინაზე დარჩენა პირდაპირ შეუძლებელი შეიქმნა. დიასახლისს, ცოტათი ნერვიანს, შიშმა თავტანი დაუკარქა. ეხუმრებით: სახლში, მასთან, ერთ ჭერქვეშ, იმყოფებოდა ციმბირიდან გამოქცეული კაცი, რომელიც, ვინ იცის, რა საშიშროებას არ უმზადებდა მთელს ოჯახს!.. წამდაუწუმ მოელოდდა თურმე პოლიციის თავდასხმას; თუმცა პოლიციამ არაფერი იცოდა, მაგრამ ჩემის დიასახლისს ფრთაშესხმულმა ფანტაზიამ ამ პოლიციას დაასიზმრა ყველაფერი, ყველაფერი ჩაკენჭა სათითაოთ... ბოლოს მკითხავთანაც-კი მისულიყო, ეამბნა გულწრფელად – ასეთი და ასეთი სტუმარი მყავს და მირჩიე, ისემც ღმერთი გიდლეგრძელებს ქმარშვილსა და გაგახარებს ორსავ ცხოვრებაში: რა ვქნა, როგორ მოვიქცეო. მარჩიელს თავისი როლი მეტად შემსუბუქებია. მეტად მუქის ფერადებით დაუხატნია სურათი: „შენს სახლში შორიდან, სულ შორიდან გამოქცეული კაცი, ხელმწიფის მოღალატე კაცი იმალება... დიდი ცოდვა აწევს... დახვრეტა მოელის, პოლიცია ოთხანალებ მოსდევს... თვით პოლიცმეისტერი... რევოლვერამოღებული... შენის სახლის კარებამდე მოატანეს კვალი... საცაა შიგ შევლენ და... თუ დროზე სხვაგან სადმე არ დამალე შენი სტუმარი“...

დიასახლისი ქმარს შესჩენია: ოჯახს ნუ დავღუპავთო. იმა-

ნაც მე შემომჩივლა თავისი გაჭირვება. რა თქმა უნდა, მარჩი-ელის ნათქვამს პატივი ვეცი, დიასახლისის სულიერი დამშვი-დებაც რომ არ ყოფილიყო, ჩემი უშიშროებაც მოითხოვდა – იქაურობას გავცლოდი.

ნავედი ჩემს ძველს მეგობართან, ტამოჯნის მოხელესთან ილია გვარამაძესთან, რომლის დახმარებით და მხურვალე მო-ნაწილებით თითქმის თავისუფლად გამომქონდა ხმელეთზე პარიზიდან „პაკესა“ და „მესაჟერი მარიტიმ“-ის გემებით მო-ტანილი ჩვენის პარტიის ორგანოს „საქართველოს“ ნომრები და სხვა და სხვა არალეგალური გამოცემანი. სიხარულით და-მიხვდენ ცოლქმარნი. მაგრამ არ გაუვლია ნახევარ საათს, ენ-ვიათ ისეთი სტუმარი, რომელიც სახლში ჩემისთანა სტუმრის შეშვებისათვის კარგს დღეს არ დააყენებდა ჩემს მასპინძელს. სანამ ეს უცხო სტუმარი მათთან იყო, იძულებული ვიქენ სა-ჭირო ალაგას ჩამეკეტნა თავი მთელის ერთის საათის განმავ-ლობაში. თვით ბინა ჩემის მეგობრისა საბაჟოს შენობაში იყო მოთავსებული და ათასის ჯურის ხალხი შიგ ირეოდა. შეიძლე-ბოდა ხიფათში ჩამეგდო როგორც ჩემი საყვარელი სტუმართ-მოყვარე მასპინძელი, ასე ჩემი თავიცა. ვარჩიე, როგორც კი არასასიამოვნო ტყვეობისაგან თავს ვიხსნიდი, მოვშორებო-დი იქაურობას.

კარზე მივადექი ჩემს პარტიულს მეგობარსა და თანამო-საგრეს ვასილ ბერეჟიანს, 1905 რევოლუციის დროს – სტუდენტ-მედიკს და ახლა-კი – უკვე ექიმს. ნორიოში დაბინავებულიყო ახლად კურსდამთავრებული და პრაკტიკას ეწეოდა. სიხარუ-ლით დამიხვდა, შუაზე გამიყო თავისი ღარიბული სუფრა და მოკრძალებული ბინაცა, სადაც მიუხედავათ მარჩიელის კატე-გორიულის მტკიცებისა, არც პოლიცია მომდგომია და აღარც პოლიცეიმეისტერი...

ამასობაში მეგობრებმა ბეგები გარიეს ჩემს საქმეში. ერთ-მა მათგანმა (მგონი, ლორთქიფანიძე იყო) მხურვალე მონაწი-ლეობა მიიღო და ჩამაბარა ერთს გონიოელ ლაზის, ცნობილ კონტრაბანდისტს და ოსმალეთში გადამყვანს ისეთის ხალხი-სას, ვისაც ნიკოლოზის მთავრობასთან ლოიალური განწყო-ბილება არა ჰქონდა და მის სახელმწიფო საზღვრებში არ ეცხოვ-

რებოდა უშიშარის ცხოვრებით. ამ ლაზს საზღვარი უნდა გადაელაზვებინა და ოსმალეთის სოფელ ხოფაში უნდა გავეყვანე, მერე იქიდან-კი მე თვითონ უნდა მეშველნა ჩემის თავისთვის. გასამრჯელოდ ნავში ჩაჯდომისას სამი თუმანი უნდა მიმეცა. ვიყიდე ოსმალური ფესი და ამით ერთგვარი ოსმალური იერი მიეცა ჩემს გარეგნობას. დავიქირავე ფაეტონი ჭოროხამდე, შიგ ჩავისვი ჩემი წამყვანი და ერთს მშვენიერს მაისის დილას დავადექი გონიოს გზას.

მდინარე ჭოროხთან რომ მიგვიყვანა, რათგან უხიდობის გამო გაღმა გასვლა არ შეეძლო, უკან დაპრუნდა. ნავმა ორნივე მეორე მხარეს გაგვიყვანა და ქვეითათ განვაგრძეთ დანარჩენი გზა. რაღაც ოთხი თუ ხუთი კილომეტრი დაგვრჩენოდა გასავლელი. არხეინათ, უშიშრათა ვართ, თითქო სასეირნოდ, დროს გასატარებლად სადმე მიყდივართო.

გავუარეთ ძველს, სახელგანთქმულს გონიოს ციხეს, მე-XVI საუკუნეში ამენებულს და ან ნახევრად დანგრეულს. ძველათ აქ ქალაქიცა ყოფილა ამავე სახელწოდებისა და დღეს სოფელი-ლაა. ჩემის მასპინძლის სახლი იქავე ახლოს იყო. შემიძლვა და ერთს ოთახში მომასვენა. ნახევარ საათში გაჩნდა სუფრაზე მჭადი, ერბო-კვერცხი, მანონი, რძე, ყველი და ანკარა წყალი. ნამგზავრზე აღმრული მადა ისედაც გემრიელ საჭმელს გემრიელათ შეექცა. მასპინძელი ნამდაუწუმ გარეთ გამოდის და ჰავის ცვალებადობას უყურებს, აცა, როდის დადგება ზურგქარიო. უამისოთ გასვლა არ ეგებოდა. მეორე დღეს მასპინძელმა დილა-ადრიანა ამაყენა, მასაუზმა და ჩამიყვანა ზღვის პირას, სადაც მომდგარი იყო ერთი ერთანძიანი ნავი და გვერდითაც ორნი მენავენი ედგნენ. მასპინძელმა ამათთან დამაყენა, თვითონ კი გასწია ჩვენგან ასიოდ მეტრზე მდგარ ყაზარმისაკენ, სადაც იდგნენ კორდონის¹ ჯარისაკაცები. კორდონი ერქვა პოსტს ანუ ყაზარმას, სადაც ეყენათ ჯარისკაცები, რომლებიც სდარაჯობდენ ზღვის ნაპირების გაყოლებაზე

1. კორდონი ფრანგული სიტყვა გახლავს, პნიშნავს თოკს, საბელს. მართლაც, კორდონის ჯარისკაცები თოკივით არიან გაბმულნი საზღვრის გაყოლებაზე.

იქით-აქეთ პოსტებამდე მდებარე მანძილის ნახევარს, თვალ-ყური უნდა ედევნებინათ – არც ზღვიდან ხმელეთზე გადმო-ეტანათ კონტრაბანდა ანუ დაუბაჟავი საქონელი, ან უპასპორ-ტოდ არ გადასულ-გადმოსულიყო ხალხი. ის-კი სულ სხვა საქ-მეა, თუ რამდენათ პირნათლათ ასრულებდენ ეს სასაზღვრო სადარაჯოების ანუ კორდონის ჯარის კაცები მათთვის დაკის-რებულ მოვალეობას იმ სახელმწიფოში, სადაც ნიკოლოზის ქვეშევრდომმა ყველაფერი ქრთამით უნდა გააკეთოს და უამი-სოდ ერთს ნაბიჯსაც ვერ გადასდგამს.

აქაურ მენავეთრუსეთის საზღვრის დასატოვებლად ზღვა-ში გასასვლელად მცირე მანძილისათვის, მაგალითად, ხოფამ-დე, პასპორტი არა სჭირიათ. ნავის პატრონი პოსტში განაცხა-დებს: აი, ჩემს ნავსა ვგზავნი ზღვაში. ვსთევათ, სათევზაოდ, შიგ ამდენი და ამდენი მეზღვაური მისხედს და ამდენი სულის გაშვების ნებართვის ბარათი მომეცითო. პოსტის უფროსიც აძლევს ასეთს ბარათს. არავინა ჰეთხულობს – აქედან გამს-ვლელ ნავშირა უდევსთ მენავეთ ან ვინ გადაჰყავსთ საზღვარ-ზე. რა თქმა უნდა, წინდანინვე მოლაპარაკებულია ნავის პატ-რონი პოსტის უფროსთან – ყველაფერზე თვალები დაიბრმა-ვოს და მებალის ყურები მოისხას; რა თქმა უნდა, ნავის პატ-რონი არ ივიწყებს პოსტის უფროსის პატივისცემას და აქე-თობას, როცა კონტრაბანდას (ძვირფას სასმელებს, ქსოვილებს და სხ.) შემოიტანს, ერთ ბოთლ საზღვარგარეთულ კონიაკს პოსტის უფროსს უთავაზებს.

აი, ასე ხდებოდა ძველათ შავისზღვის სანაპიროების ყურის გდება. აი, ასეთს პოსტში იყო, ჩემი მასპინძელი რომ შევიდა... რა თქმა უნდა, ჩემთვის დღემდე საიდუმლოდ დარჩა მათი ერთმა-ნერთან ლაპარაკი, ვიცი მხოლოთ ის, რომ ამ პოსტის შენობი-დან ერთი რუსის სალდათი არ მინახავს გარეთ გამოსული, ან რა სახისა იყო. ვხედავდი მხოლოთ ყაზარმას, შიგ შესულსა და უკან გამოსულს ჩემს მასპინძელს, სულ რაღაც ათის წუთის განმავ-ლობაში. მოიტანა ბარათი, საცა ეწერა, რომ მავანის ნავი ზღვა-ში გადის სათევზაოდ და შიგა ზის სამი (ჩემიანათ) მეზღვაურიო. მასპინძელმა მითხრა: ერთ ბოთლ კონიაკს დავპირდი საჩუქრად პოსტის უფროსსა და იმის ფულიც უნდა გვიბოძოთო. დაუყოვ-

ნებლივ მივეცი გარიგებული სამი თუმანი და კონიაკის სასყი-დელი სამი მანეთიც. ამგვარად საზღვრის გადასვლა (ბათო-მიდან ფაეტონიად) სულ დამიჯდა სამთუმანნახევარი! მას-პინძელმა გზა დამილოცა, გამოვეთხოვე და მე და ორი მეზღვა-ური ლაზი ზღვაში შეცურებულ ნავში ჩავსხედით.

სანაც ნავში ჩავჯდებოდი, თვალი მოვკარ ავგაროზს, რო-მელიც ნავის თავში იყო ჩამოკიდებული, სწორეთ ისეთ ავგა-როზს, როგორსაც ჩემს პატარაობაში ჩემი ძიძა რომ გვკიდებ-და ხოლმე მე და ჩემს ძიძაშვილებს ყოველ მავნე თვალების პატ-რონისაგან დასაფარავად. უნებურად ვკითხე მენავეს: ეგ რი-ლასთვის გიკიდიათ-მეთქი? – იმანაც ამიხსნა: ეს, ბატონო, ავის თვალისა და მავნესაგან იფარავს ნავს და შიგ მჯდომთაო, იგი-ვე ჰუკარავს ნავს ზღვის ღელვისა და ყოველგვარ დაზარალები-საგანო. თქვენც ნუ გეშინიათ შიგ ჩავჯდომისაო.

მეზღვაურებმა და მათთან ერთად მეც, როგორც მეზღვა-ურად მონათლულმა, ხოპები მოვუსვით (ახალგაზრდობაში სოხუმში ხოპების ხმარების ცოდნა აქ გამომადგა). გვექნებო-და გავლილი ასე ორასი მეტრის მანძილი, როცა ერთმა მეზ-ღვაურთაგანმა, რომელსაც ჩემი თავი ჩააბარა მასპინძელმა, რომელმაც იცოდა, რომ გასაპარებელი კაცი ვიყავ და რომელ-საც ჩემისთანები არა ერთი და ორი გაუპარებია აქედან, მხი-არულმა ქართულათ თანაგრძნობით მითხრა: აწი ნურაფრის გეშინიათ, ბატონო, სათათრეთში გადავედითო...

კინალამ გადავეხვიე ამ სიტყვების მოქმედს... ასე მეგო-ნა, ახლა დავიბადე-მეთქი, თავისუფლება ამ ლაზმა მომანი-ჭა-მეთქი. მაშ, ფეხი გადავსდგი ჰეპლულ ჰემიდის ნასამეფარ-ში-მეთქი? იმ ნასამეფარში, რომელიც 1908 წლიდან რესპუბ-ლიკად არის გამოცხადებული და ამ რესპუბლიკას უკვე ერთის წლის ისტორია აქვს... ნარმოვიდგენდით-კი როდისმე, რომ ოს-მალეთიც კი გაუსწრებდა რუსეთს სახალხო ნარმომადგენე-ლობითი მმართველობის შემოღებაში, რომ იქაური მოქალაქე ესდენ საუკუნეთა განმავლობაში ტყვედქმნილი, დამონებუ-ლი, გაჩანაგებული, ფეხევეშგათელილი – თავისუფალი გახ-დებოდა, მოქალაქეობრივს უფლებას მოიპოვებდა; ნარმოვიდ-გენდი-კია, რომ გუშინდელი ტირანიისა და აღმოსავლეთის

დესპოტების სამეფო ერთპაშად ევროპულ წესწყობილების ტიპის მართვა-გამგეობას შემოიღებდა და რუსეთის ტირანიის მიერ დეკრიტი იქ დავინუებდი უშიშარ სავანის ძეპნას და თან დარწმუნებული ვიქენებოდი, რომ აქ არავინ მეტყოდა – შავი თვალები გაქვსო, სანამ მათს კანონებს პატივისცემით მოვეპყრობოდი?! დაიახ, ასეთი მეტამორფოზა, ასეთი ნახტომები პოლიტიკაში შესაძლებელი ყოფილა და მეც ასეთს გამეტამორფოზებულ სახელმწიფოში შევდიოდი... უკანა მრჩებოდა: ციხე, ბორკილები, ყოველგვარ ადამიანურ ღირსებათა ფეხქვეშ გათელვა, ტირეტელი ურიადნიკი, ტფილისის პოლიცმეისტერის თანაშემწეობის პრეტენდენტი... შევდიოდი ევროპის თავისუფალ ქვეყანაში თუ მთლად არა, მის კარიბჭეში მაინც. ბედის დაცინვა იყო რუსეთისათვის, მარა უბედურება იყო!..

ამასობაში დაპერა ზურგქარმა. მენავეებმა გაშალეს ანძაზე დაკიდებული იალქანი, რომელსაც ქარი მძლავრად მოაწვა და ნავისისნრაფით წაიყვანა. ჩვენ ორმა მეხოპემ ხოპები ცალკე დავაწყვეთ. ხოლო მესაჭემ თავისს საჭეს მოჰკიდა ხელი, ხოლო მეორე მენავე მის შორი-ახლო ჩამოჯდა. მე კიდენ მეორის პირდაპირ ჩამოვჯექი, გაიკეთეს პაპიროსები. მეც შემომთავაზეს. მადლობა გადავუხადე – არა ვსწევ-მეთქი.

ჩვენი ნავი ნაპირს დაშორებით მისრიალებს დამშვიდებულ ლურჯ ზღვაზე, რომელსაც ალისფრად ალაპლაპებს კარგა ამოზიდული ცხრათვალა მზე. საამურ ტყიან ნაპირების ცქერადა ვარ გადაქცეული. მომხიბულელი სურათი სურათსა სცვლის და არ მინდა თვალები მოვსწვიტო.

მენავენი, ერთიცა და მეორეც, მუშტრის თვალით მიყურებენ. აშკარად ეტყობათ, რომ საშინლად უნდათ გაიგონ ჩემი ვინაობა, თავგადასავალი, საითმიმავლობა, ბოლოს მესაჭემ დაარღვია დუმილი და ჩემს პირდაპირ მჯდარ მენავეს ლაზურად ეკითხება:

– ნეტავ, ვინ უნდა იყოს ეს კაცი?

– ვინ იქნება?! გამოქცეული ვინმე, ყაჩალი! – უპასუხა მეორემ.

პირველი. (რომელსაც ჩემი ტანადობა მაინცდა და მაინც თვალში არ მოსდის და ამხანაგის მიერ ჩემს ყაჩალად მონათ-

ვლას ეჭვის თვალით უყურებს) ამის ნაყაჩალარი რა უნდა იყოს!?

მეორე. იქნება, ვინმე კაცისმკვლელია!

პირველი. (რომელმაც მეტად ცუდი აზრი შეადგინა ჩემის ფიზიკურის ლონის შესახებ) შენც ამბობ, რაღა!.. ახლა კაცი მოაკვლევინე!.. ამის მოკლული კაცი ხელახლა მოსაკლავი იქნება...

მეორე. (ცოტა დაფიქრების შემდეგ) იცი, რას გეტყვი: მოსკოფის¹ ფადიშაპს² ხალხი აჯანყებია... გეყოფა, რაც იმეფე, ახლა ფუხარა³ ხალხი უნდა ჩაუდგეს ყველა საქმეს სათავეში! შენ კი ტახტიდან უნდა ჩამოპრძანდეო!.. იცი, რა მგონია: ეს კაცი დუშმანი უნდა იყოს მოსკოფის ფადიშაპისა, თავის სახელმწიფოში არ ედგომება და იმიტომ უნდა გადმოიხვენოს თურქეთში!.. რას იტყვი, ჭკუას ახლო არ არის?!..

მეორე. (რომელსაც რუსთხელმწიფის დუშმანად ვერ წარმოედგინა თუარორ მეტრნახევრიანი ბუმბერაზი ვინმე და არა ჩემის საშუალოზე ნაკლების ტანის კაცი) ვაი რა ვუთხრა იმ ფადიშაპს, ვისაც ამისი შეეშინდება ან ვისაც ეს კაცი რასმე დააკლებს?!

კიდევ პაუზა...

ვერცერთი კატეგორიის ავისმომქმედს ვერ მიმაკუთვნეს და ეტყობოდათ, სწუხდნენ – ნაირ-ნაირ ხალხის მნახველთ ჩემი გამოცნობა გაუჭირდათ და ამოცანა გამოსაცნობად ურჩებოდათ.

პირველი. (ცოტა დაფიქრების შემდეგ) ასეა თუ ისე, რაკი გამოქცეულია, ფული ექნება, შეიძლება ბევრიცა... მოდი, წავართვათ და მერე ზღვაში გადავაგდოთ... ხახვივით შეგვრჩება... რას იტყვი?!

...ვერ ვიტყვი, არ შემშინებია-მეთქი... მაგრამ იმედი მქონდა ჩემის ბედისა, რომელსაც ამაზე უარეს განსაცოლისაგან გადაურჩენივარ... აღვიჭურვე მოთმინებითა: ვნახოთ, რითი გათავდება მათი ბაასი-მეთქი.

1. მოსკოფი (ვითომ მოსკოველი) რუსეთისათვის უქვიათ ოსმალურად.

2. მეფე.

3. მდაბიო, ღარიბი ხალხი.

მეორე. რას ამბობ, კაცო, ეს როგორ შეიძლება?! რა პასუნდა გავსცეთ ან იმას, ვინც ამის თავი ჩვენ ჩაგვაბარა, ან იმ ბეგიებს, ვინც სანდლის პატრონსა სთხოვეს ამ კაცის გაყვანა სათურქოში? ხომ შევრცხვით და თავი მოგვეჭრა?!

გადავწყვიტე დავლაპარაკებოდი მათს ენაზე და ჩემი თავი გამეცნო, იმედი მქონდა, ამით ხიფათს გადავრჩები-მეთქი.

ნავი ნაპირიდან სულ ახლოს მიდიოდა. სოფელი დავინახე ფერდობზე შეფენილი, სამეგრელო-გურიის მთაგორიან ადგილის სოფელივით. ჩემს თანამგზავრთ მეგრულად ვეკითხები: ხოფამდე ბევრი გვიკლია ან ეს რა სოფელია-მეთქი?

უშველებელი განცვიფრების ნიშანი გამოეხატათ სახეზე როგორც ერთს, ისე მეორეს! ხან მე შემომხედავენ, ხანაც ერთიმეორეს დააკვირდებიან და ალბათ გულში ნანობენ: ეს რა მოგვივიდა, ამ კაცთან როგორ შევრცხვითო!...

ერთხანს ხმა ვერ ამოელოთ...

ბოლოს ისევ მესაჭემ დაარღვია დუმილი.

– შენ საიდან იცი ჩვენი ენა?

– საიდანა-და, – ვეუბნები, – მეგრელი ვარ... მეგრული და ლაზური ხომ ერთი და იგივეა?

პირველი. მართალია, ერთი და იგივეა!.. მაშ, ჩვენი ნათქვა-მი ყველაფერი გესმოდა?

მე. ერთი სიტყვაც არ გამომპარვია...

პირველი. მერე?...

მე. მერე და არაფერი!.. განა არ ვიცოდი, რომ იმ კაცი-სათვის, ვისაც, თქვენის აზრით, არც ყაჩაღობა შეეძლო, არც კაცისკვლა გამოუვიდოდა ხელიდან და ვისთვისაც მით უფრო შეუძლებელი უნდა ყოფილიყო მოსკოფის ფადიშაპის დუშმანობა, პო, ასეთ საცოდავ კაცისათვის ხელს არ გაისვრიდით... განა არ ვხედავდი, რომ ხუმრობდით!.. და მართლა რომ ფული მოგეთხოვნათ ჩემთვის, სულ რაღაც 15 მანეთი მაქვს, ამოვიღებდი და გაჩვენებდით. დარწმუნებული ვიყავ, დამიჯერებდით, რომ მეტი არა მქონდა, რათვან შეგეძლოთ გაგეჩრიკეთ და დაინახავდით, რომ მართალს გევუბნებოდით. იმედი მქონდა, ფულს აქეთ მომცემდით, არამცო ჩემის საცოდავის 15 მანეთის წართმევას იკადრებდით და ჩემის საცოდავობით

აივსებოდით! იმასაც ვხედავდი, რომ ძალიან გულით გინდოდათ ჩემის ვინაობის გაგება. უნდა გითხრათ: კაცი ჩემსდღეში არ მომიჯლავს, სხვისთვისაც არაფერი წამირთმევია. მოსკოფის ფადიშაპის მტრობა კი მქონდა, მაქვს და მექნება, სანამ პირში სული მიდგას... აი, სწორედ ჩემისთანებია, ამ ფადიშაპს მტრებად რომ ჰყავს და ისინია, ძილს რომ უფრთხობენ...

პირველი. თქვენი ჭირიმეთ, ჩვენი კაცი ყოფილხართ და ძალიანა გთხოვთ, გვაპატივოთ ჩვენი ხუმრობა. ძალიანა გთხოვთ, ბეგებსა არაფერი უთხრათ, თორემ თავი მოგვეჭრება. თქვენი ჭირიმეთ, პატიოსანი სიტყვა მოგვეცით, შემოგვფიცეთ....

მეც ავიღე და ჩემს მენავე ლაზებს შევფიცე, რაც გამაჩინდა, ყველა საფიცარი, მათი „ხუმრობა“ არავისთვის გამეზიარებინა, განსაკუთრებით ბათომელ ბეგებისათვის. მაპატივონ ჩემმა მხსნელებმა, რომ ახლა, 40 წელს შემდეგ, საჯაროდ გამომაქვს ეს ამბავი. ახლა შეიძლება მზეს არ უცქეროდნენ არც ის ბეგები, ვინც მენავე-ლაზების საშუალებით გამაპარეს ოსმალეთში, ციმბირიდან ლტოლვილი, და ცოცხლებში არ ერივნენ არც ის მენავენი, ვინც იყისრეს თავიანთი ნავით ნიკოლოზის სამეფოს გავსცლოდი... აქ საჯაროთა ვფიცავ, რომ ტკბილად, მეტად ტკბილად ვიგონებ ამათს სახელსაც და ჩემს შფოთიან ცხოვრების ამ მცირე ეპიზოდსაც, რომელმაც ელვის სისწრაფით მომანათა და ელვის სისწრაფითვე გაირბინა...

მენავეებმა ნავი ნაპირს მიაყენეს, ერთ ლაზურ სოფლის პირდაპირ, ხოფაზე ორის კილომეტრით დაშორებით. გამიყვანეს ნაპირად და თან ხოფა თითოთ მანიშნეს: აპა, შენი ხოფა, რაც გინდა, ისა ჰქენიო! – ეს მითხრეს, გზა დამილოცეს და გამომეთხოვნენ.

დავრჩი მარტო, სანამ ხოფაში წავიდოდი, მინდოდა დამეთვალიერებინა ჩემს წინ გორაკზე გაშენებული სოფელი, მისნი მოსახლენი, ლაზები... ათასმა ფიქრმა გამირბინა თავში კალეიდოსკოპივით. წარმომიდგა ჩემი სიყრმე, როცა ლაზები, როგორც ხუროები, სამეგრელოში მოდიოდნენ ხის სახლების საკეთებლად. მთელი ზამთარი მეგრელთა შორის რჩებოდნენ, მეგრელებთან ერთად ერთის ცხოვრებითა სცხოვრობდნენ: ჭამასმა, ლაპარაკი ერთნაირი გვქონდა. ზოგნი თავიანთ ძველ მეგ-

რულს გვარებს იგონებდნენ. ზამთარს აქა რჩებოდნენ, ხოლო, აქაურ ციების შიშით, გაზაფულიდანვე აქაურობას გაეცლებოდნენ, ისევ თავის მხარეში გასწევდნენ, საცა ჰაერი საღი იყო, და მით უფრო ცივებისა არ ეშინოდათ. მომაგონდა ლაზები, ჩამოსულები გუდაუთაში, სოხუმში, ოჩამჩირეში... აქ დარჩენილები სავაჭროდ. ვაჭრობით შეექმნათ ქონება და კარგი ქონებაცაა. მომაგონდა ლაზი-მენავენი, სოხუმ-ოჩამჩირეში ლაზუტის (სიმინდის) სასყიდლად ჩამოსულნი. აქ ნაყიდი სიმინდი ოსმალეთში გაჰქინდათ და ფულს იძენდნენ. მომაგონდა მათი მენავეობის სიყვარული, მათი სახელი, როგორც საუკთესო მენავეთა; მენავეობა – მათი საყვარელი ხელობა, წყარო მათის არსებობისა. მათის ნავების საყუდელი ადგილებია: ხოფა, სურმენე, რიზე, ტრაპიზონდი. ლაზისტანის ნაპირებთან აკავშირებენ: ბათომს, ქობულეთს, ფოთს, ყულევს, ანაკლიას, ოჩამჩირეს, სოხუმს, გუდაუთას და შავიზღვის სხვა სანაპიროებს. ლაზისტანიდან ფოთში მალულად შემოჰქონდათ დაფნა, რომელსაც რუსეთის იმპერიაში დიდი გასავალი ჰქონდა, და სხვა კონტრაბანდის საქონელი, ხოლო აფხაზეთისა და სამეგრელოს ნაპირებიდან გაჰქინდათ სიმინდი, თუთუნი (კონტრაბანდით) და სხ.

პო, ეს ლაზები მეგრელებს თავიანთ ნათესავებადა სთვლიდნენ, მხოლოდ შორეულებად. დღეს კი, როგორც მაჰმადის სჯულის აღმსარებელნი, და, მაშასადამე, როგორც მოწინააღმდეგე სჯულის პატრონი, – მტრებადა და მოწინააღმდეგებადა გვთვლიან... მერე, როცა თავს მოვეგე და გავიგე ლაზების ვინაობა, მათი ჩვენთან ნათესაობა და მკვიდრიცა, ნატვრის საგნად გადამექცა მათი პირი-პირს ნახვა, ნახვა მათის სამუდამო ბინისა, მათის ოჯახისა, მათის საზოგადოებრივის ცხოვრებისა. აპა, ასეთი შემთხვევაც კარზე მომადგა... მაგრამ, სამწუხაროდ, მდგომარეობა ლტოლვილისა და ისიც უსახსროსი, ხელ-ფეხს მიბორკავდა: არ მაძლევდა ნებას ჩვენი ძმები, ჩვენს გულმკერდს, ჩვენს მინა-წყალს საუკუნოებით მოწყვეტილები თავისუფლად, შინაურულად მენახნა, მათს შორის დატრიალებულვიყავ, მათს სულსა და გულს ჩავსწვდომოდი, საერთო ენა გამომენახნა სალაპარაკოდ, მეძებნა ნიადაგი ჩვენს შორის ძველის განყვეტილის კავშირის აღდგენისა...

ვწყევლიდი ჩვენს უბედობას, რომელიც ჩვენის ისტორიის აკვნიდანვე გვდევნიდა, მუხანათურად გვექცეოდა, იმავ თავითვე სდევნიდა მოსისხლე მტრებით გარშემორტყმულ საქართველოს განაპირა ადგილებს; ამ ადგილებს რიცხვმრავალ უცხო ტომთა სათარეშოდა ხდიდა, ჩვენის გულიდანა გვგლეჯდა, ამ ადგილებში მცხოვრებ ქართველობას ენას, სარწმუნოებას უცვლიდა, ეროვნულ სახეს ართმევდა და გუშინდელ ქართველს დღეს ჩვენთვის უცხო და მტრადგადაკიდებულ ადამიანად ხდიდა...

ოცნებამ გამიტაცა: იქნება მოვესწრათ იმ დღეს, როცა უკუღმადატრიალებული ჩარხი ბედისა წალმა დატრიალდეს და ეს დედა-საქართველოს გულიდან მოწყვეტილი სამოთხისებური და თან უსაზომოდ ტანჯული და განამებული მხარე – ლაზეთი და მისნი მკვიდრნი ლაზნი ისევ დაუბრუნდნენ საქართველოს-მეთქი, ერთმანერთს მხარდამხარამოდგართ გავიადვილოთ ცხოვრების უკუღმართობასთან ბრძოლა და, ოდნავაც არი, დავიამოთ სიცოცხლე ჩვენი.

მაგრამ...

ოცნებისათვის ფრთხები უნდა შემეკვეცნა. მეტი გზა არ იყო, რეალობისათვის თვალები გამესწორებინა და სულ ცოტას უნდა დასჯერებულვიყავ.

შევედი სოფელში... ასე მეგონა, რაღაც მანქანებით ვიღამაც ზეგან სამეგრელოს ან გურიის სოფელში გადამტყორცნა-მეთქი!.. ფიცრული სახლები, ხეებით სავსე ეზოებიანი... ხეებზე გასული ვაზები, ფორთოხლისა და ლიმონის ხეები. იქვე წყაროები, სადაც წყლის ამოსალებად და კოკაში ჩასასხმელად მეგრულ ტარიანი ხირკებია... მეგრული ლაპარაკი ქალებისა და ბავშვებისა... ჩემ მისვლისას მამაკაცები ყანებში იყვნენ სამუშაოდ გასულნი. ასე რომ უმამაკაცო ოჯახში შესვლა, როგორც არამაჰმადიანს, სათაკილოდ და საშიშოდ უნდა მიმეჩნია... თვალებით მივესალმე იქაურობას და სანამ რამე უსიამოვნება, და შეიძლება დიდიცა, არ შემხვედრია, სამჯობინოდ დავინახე აქაურობას გავცლოდი... თვალებითვე გამოვეთხოვე...

ოცნება მყისვე გაქრა, როცა გამოვფხიზლდი და შევხედე ქვემოდ გასავლელ მანძილს, ხოფამდე რომ დამრჩნოდა.

VIII

ხოფა. – ჩემი ციხის თანამცხოვრები და ნამოწაფარი ახ-
მეტ ბექირ-ოლლი. – ოსმალეთის რესპუბლიკა. – მემედ-ბეგ
აბაშიძე. – ხოფიდან გასვლა. – ტრაბიზონდში დაბინავება. –
დღევანდელი ტრაბიზუნდი. – სოლომონ მეფის საფლავი. – ლა-
ზები ტრაბიზუნდში. – ტრაბიზუნის ვალის (გუბერნატორის)
ნახვა. – ტრაბიზუნის განშორება. – ოსმალეთის დედა-ქალაქ-
ში. – ჰაბდულ ჰამიდი. – იონიის ზღვა. – რეჯიო. – მესინა. –
მარსელი. – ჰარიზი. – ბრუსელში დაბინავება. – ციმბირი თრ
ნელინადს მდევდა ევროპაში.

ხოფა – პატარა დაბაა, შავის ზღვის პირად მდებარე და
ტერასებად ამავალი გორაკისაკენ, რომელიც საამოდ გადმოს-
ცექერის ზღვას. შიგ თხუთმეტიოდ დუქანი იქნება, უფრო ხე-
ლოსნებისა (მესპილენძე, მეჩუსტე, თერძი და სხ.). არის სას-
ტუმროს მსგავსი საყავო, სადაც ათ შაურად ღამის გათევაც
შეიძლება.

ხოფაში მოვედი თუ არა, მომაგონდა, რომ თუ თვითონ ხო-
ფაში არა, ხოფის მახლობლად სადმე მაინც უნდა ყოფილყო
ჩემი ციხის ამხანაგი, ლაზი ახმეტ ბექირ-ოლლი. ეს ახმეტი წი-
ნათ გუდაუთაში ზეზეურათ ვაჭრობდა. როცა გაგრაში საზ-
ღვარგარეთიდან მოსული იარაღი გადმოვტვირთეთ და ერთი
ნაწილი ამ იარაღისა სერგო ორჯონიკიძის (იმ დროს გუდაუთა-
ში მსახურობდა და სარევოლუციო პროპაგანდას ეწეოდა) მე-
თაურობით გუდაუთის სოც.-დემოკრატიულმა ორიგანიზაციი-
ამ ამ დაბას ახლო (ბომბორაში) გადმოსცალა, სხვებთან ერ-
თად ამ საქმეში მონაწილეობას ღებულობდა ახმეტ ბექირ-ოლ-
ლიც. სხვებს ესეც მიაყოლეს და ჩამოიყვანეს 1905 წლის დე-
კემბერში სოხუმის ციხეში. როცა 1906 წლის თებერვალში ამ
იარაღის საქმეზე მეც დამიჭირეს, გუდაუთელ სოციალ-დე-
მოკრატებთან ერთად ციხეში დამხვდა ახმეტიც, რომელიც ყა-
ვეჯიდ (მეყავედ) ყოფილა გუდაუთში. ახმეტი ძალიან დავი-
ახლოვე. ვეკიოხებოდი ლაზების ამბავს, ხან საიდან მოვუ-
ლიდი და ხან საიდან ჩემთვის საინტერესო საგანს – მეგრელე-
ბისა და ლაზების ერთის შტოდან ნარმოშობის, მათის ძმურის

განუყრელობის ჭეშმარიტებას... ახმეტიც დამიახლოვდა, გული გადამიშალა... არ იცოდა, ჩემთვის როგორ ეამებინა. მაგრამ იმის მეტი ვერაფერი მითხრა: ძველად ჩვენც მეგრელები (ე. ი. ქრისტეანები) ყოფილვართო... ჩემი მაშინდელი გვარი ბაქრაძე ყოფილაო, ახლა-კი ბექირ-ოღლი მქვიანო.

ციხეში შესვლის მეორე დღესვე განვიზრახე ჩემს კამერაში წერა-კითხვის ლიკვიდაციას შევსდგომოდი. მოქალაქეთ ხელად მომანოდეს „დედა-ენები“, რვეულები და სანერ-კალამი. მსურველები სწავლისა საკმაოდ აღმოჩნდნენ. ამ სახელდახელო სკოლაში შეგირდობა ახმეტმაცა მთხოვა. მეც სიამოვნებით დავუწყე სწავლება. ჩემს თვალებს არ ვუჯერებდი: სამს თუ ოთხ დღეში ამ ოცდაათის წლის კაცმა, სხვა ენაზე უსწავლელმა, ქართული წერა-კითხვა ისწავლა!..

ერთ დღეს სატუსალოს ეზოში სასეირნოდ რომ გამოგვიშვეს, ახმეტი კამერაში დარჩა. რომ შემოვბრუნდი, ვკითხე: რატომ შენ არ გამოხველ სასეირნოდ-მეთქი? – იმან კიდევ პასუხად გამომიწოდა რვეული, რომელშიაც ლაზური ტექსტი იყო მოკლე სახალხო ლექსისა. ხმამაღლა რომ წავიკითხე და მისი ნაწერი გავიგონე, თვალებზე ცრემლები წამოასხდა და ხელებზე კოცნა დამიპირა. „აი, შენის წყალობით კაცი ვარ ახლა და შემიძლია, რაც მომინდება, ქაღალდზე დავსწერო შენსებ და შორს, სულ შორს გავუგზავნო ჩემს წაცნობ-მევობარსა! ხოფაში რომ წავალ, თუ აქედან გამომიშვეს, იქ თავს მოვიწონებ, რათვან ქართულად წერა ჩემს მეტს სხვას არავის ეცოდინებაო. ერთი ქართული ქითაბი (წიგნი) უნდა მომცე საკუთრად, რომ თან წავილო და გავაკვირვო ჩემი წაცნობები. მერე შენც უნდა მოხვიდე ჩვენთან ხოფაში – საზაფხულო ადგილებია, ცირება სრულებით არ იცისო.

ახმეტს, ამ ბუნების წამდვილ შვილს, უზადოს, გაურყვნელს, რომელსაც თანამედროვე კულტურისა არა მოსცხებია რა, დავპირდი: ხოფაში გინახულებ-მეთქი. წარმოვიდგენდი კია, რომ ჩემდა უნებურად თავს ამოვყოფი ხოფაში, სადაც, სრულ სამწელს წინად, ახმეტ ბექიროღლი მეპატიურებოდა!

რამდენსამე თთვეს შემდეგ სოხუმის დიდ ციხიდან პოლიტიკურები პატარა სატუსალოში (საარესტო სახლი) გადაგვიყ-

ვანეს, საიდანაც გაპარვა სულ ადვილი იყო. ერთს საღამოს თავისი მეზობელი ლაზი – მენავე ენახნა ხოფასაკენ მიმავალი. ჩვენ ციხეში დაგვტოვა და თვითონ კი ამ მეზობელს ნავში ჩას-ჯდომოდა და გაპარულა ხოფისაკენ, საითკენაც საშინლად მიუწევდა გული.

ჰო და, სწორეთ ეს ჩემი ნამონაფარი ახმეტი მომავრნდა. ყავეჯის მისი ამბავი ვკითხევი. იქვე მესამე თუ მეოთხე კილო-მეტრზე ყოფილა, პატარა საყავო ჰქონია და იმით თავს ირჩენდა თურმე. მივსწრე ქართულის ასოებითა და ქართული-სავე სიტყვებით – ჩამოსულიყო და ვენახნე. წერილი მიეღო თუ არა, ქუდგადაგლეჯილი გამოქცეულა და ქაქანით მოვიდა. გადამეხვია, როგორც დიდის ხნის უნახავს ძმას... დამიკოცნა გული, ხელები. რაც რამ საალერსო სიტყვები იცოდა, სულ ჩემთვის დახარჯა... გარშემო ხალხი გაშტერებული დარჩა, ასეთ მოყვარულ მეგობრებს რომ გვხედავდა. მისს სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, როცა ვუამბე, რომ მეც მასებ გამოქცეული ვიყავ, მხოლოთ ცოტათი უფრო შორი ადგილი-დან და მანძილიც მეტი მქონდა გამოვლილი, ვიდრე მან გამოიარა სოხუმიდან ხოფამდე... ბევრი ძვირი სთქვა ნიკოლოზისა, ცუდი კაცი იყოვო. „აი ჩვენ ვაჯობეთ, – განაგრძო ახმეტ-მა, – სულთან ჰამიდი ჩამოვაგდეთ ტახტიდან, რესპუბლიკა გვაქვს. ყველანი გვეუბნებიან, თავისუფლები ხართო, მაგრამ ჩვენი ფუხარა (ლარიბი) ხალხისათვის არაფერი მოუტანია, მი-სი მდგომარეობა არ გამოკეთებულა; მჭადი როგორც მაშინა გვქონდა გაჭირვებით საშოვარი, ახლაც ისევე გაჭირვებით ვშოულობთო, გადასახადებს ისევ ძველებურათ გვახდევინებენ და ის-კი არა – მომატებითაცა. შეიძლება ყველაფერი ერთბაშათ არ მომხდარიყო, მერე, დრო და უამი რო გაივლის, შეიძლება უკეთესობა დაგვეტყოს, დღევანდელი ჯანაბეთი (ჯოჯოხეთური) ცხოვრება გამოიცვალოს, კარგი ყისმათი (ბე-დი) დაგვიდგეს... შეიძლება... ვნახოთ, ჯანუმ...“

მეხვენა ახმეტი სახლში წავყოლოდი, ფუხარა ვარ, ბევრი არაფერი მაქვს, მაგრამ შენს საკადრისს საჭმელ-სასმელს როგორმე ვიშოვნიო. მადლობა გადავუხადე. საღამოს პატარა ორთქლმავალი გემი უნდა მოსულიყო ტრაბიზუნიდან და წა-

ვეყვანე. ახმეტმა კიდევ მაღლი შემომწირა მოგონებისათვის და გულდაწყვეტილი გამომეტხოვა.

ხოფადან ტრაპიზონში უნდა ჩასულვიყავ და იქ მომეხერ-ხებინა რაიმე საქმის შოვნა და დარჩენა, როგორც სამშობლო-დან დასამხარ ადგილას. მით უფრო, რომ ამ ქალაქში მეგუ-ლებოდა ჩემი პარტიული მეგობარი მემედ-ბეგი აპაშიძე, რო-მელიც ნიკოლოზის მთავრობას ბათომში არ დაუყენებია და ისიც ტრაპიზონში გადაბარგებულა, სადაც უფრო მოახერ-ხებდა ცხოვრებასთან ბრძოლას. სანამ ხოფადან გავიდოდი, ტელეგრამით შევატყობინე ჩემი ჩამოსვლა და ვთხოვდი ტრა-ბიზონის ნავთსადგურში დამხვედროდა.

სალამოს მთელი ხოფა ზღვის ნაპირასაა გამოკრეფილი, პატარა გემის მოლოდინში, მეც აქა ვდგევარ და ველოდები ჩემ წამყვან გემის მოსვლას. ამ დროს ჩემთან მოდის აქაურის ხელისუფლების წარმომადგენელი (ჩვენებური ბოქაული) და მეკითხება ვინაობას, საითმიმავლობას. მე კაკაბაძეს გვარი დავირქვი, ტრაპიზონდს მივდივარ-მეთქი. თურმე წესი შეუს-რულებია: უცხო კაცი მოსულვარ, ცოტა არ იყოს, საეჭვო (თურმე შინებია – სომეხი არ ყოფილვიყავ) და იღონდაც რომ უნდა დამკითხებოდა! ჩემ მიერ გაგზავნილ ტელეგრამის ში-ნაარსი უკვე სცოდნოდა. უფიქრნია: მე რათ უნდა დავიჭირო, სულ ერთია, ტრაპიზონდს ვერ ასცდება, ნაპირას გასვლისას დაუხვდებიან და თუ დასაჭერი ვინმეა, ფიქრი არ არის, არსად გაუშვებენო. თანაც ტელეგრამა დაუკრავს ტრაპიზონდში ჩემს შესახებ.

ხოფიდან დილის ორ საათზე გასულები, დილის 7-ზე რი-ზეში ვიყავით. გემზე აუარებელი ფორთოხალი შემოიტანეს კალათებით. ორ შაურად თუთხმეტი მეტი მომცეს, რაც დასა-ნაყრებლად თავისუფლად მეყო. მართლა რომ მშვენიერი სა-ყურებელი იყო რიზეს მიდამოები, ფორთოხლისა და ლიმონის ხეებით გადაფენილი. ორივე ეს ხილი აქ ისევე მოჰყავსთ, რო-გორც ჩვენში ვაშლი. სიცივე და ყინვა არ იცის, მაშასადამე, ეს ხეები თავს სრულებით თავიანთს სამშობლოში ჰგრძნობენ, ისევე, როგორც იტალია-ისპანეთში.

საათის ცხრაზე უკვე ტრაპიზონის საუცხოვო ნავთსად-

გურში ვიყავით. ნავით შემომეგება ჩემი კარგახნის უნახავი მეგობარი მემედ-ბეგი აბაშიძე. გამამხნევა: „ნუ გეშინის, რესპუბლიკაში ვართო!..“ ნავიდან ამოსვლისას დაგვიხვდა საბაჟოს მოხელე და პასპორტი მომთხოვა. მე განგებ ვიუცხოვე: რესპუბლიკაში კაცისათვის პასპორტის თხოვნა სად გაგონილა-მეტე! მოხელე თავისას არ იშლიდა და რაკი არა მქონდა, საქმე იმით გავათავეთ, რომ პასპორტის მაგივრად გადამახდევინეს თუმანი.

დავბინავდი შუაგულ ქალაქში, ერთად-ერთ რიგიან სასტუმროში – „შეფექ (განთიადის) ოტელში“ ერთი საკმაოდ სუფთა ოთახი თოვეში 17 მანეთად მომცეს. წინაც პატარა ბაღი (ესეც ერთად-ერთი მთელს ქალაქში) იდო. სასტუმროს გარდა ორიოდ შენობა კიდევ მოიძებნება აქ, ცოტათიც არის, სახლს რომ ჰგავს. ეს გახლავსთ ტრაბიზონდის ცენტრალური და ეგრედწოდებული ევროპული ნაწილი, სადაც ევროპულ გემოვნების კაცს შეუძლია თვალს წყალი ასვას. პერიფერიები, თუნდ საკომერციო ნაწილი ქალაქისა, ერთი მეორეს მიყრილ დაბალ ქოხ-მახებს წარმოადგენს. თვით მდებარეობა-კი საუცხოვო აქვს ქალაქს: ზღვის პირიდან თანდათან ტერასებად აჰყვება აღმართს და ამნაირად მთელი ქალაქი შეფენილია გორაკზე და ზედ გადასცერის ზღვას, რომელიც საუცხოვო სანახაობას წარმოადგენს. სიბინძურეს ხომ ნულარ იტყვით! განსაკუთრებით საკომერციო ქალაქის ძველს ნაწილში. აქ გავლის დროს ადამიანი გაიგუდება. კანალიზაცია არა აქვს. დაქანებული მდებარეობა რომ არა პშველოდეს, აქაურობა ბუდე იქნებოდა გამოულეველის ათასგვარ გადამდებ სენისა. საუკეთესო სანიტარი აქაურობისა – წვიმაა. სულ ზევიდან რომ დაჰყვება ნაწვიმარი, წმინდათ ჩარეცხავს ყველაფერს ზღვაში, რომლის მლაშე წყალი ყოველსავე დეზინფექციას უშვრება, რათქმა უნდა, შემდეგს წვიმამდე.

ქალაქში არ არის ის, რასაც ევროპულს ქალაქს უეჭველათ მოსთხოვთ. აქ ტყუილათ ეძებთ მოკირწყლულსა და დაგეგმილს ქუჩებს; აქ არავინ იცის, რა არის წიგნთსაცავი, თეატრი, თუ გინდ ცირკი. არსადაა სუფთა რესტორანი, ქუჩების ელეკტრონით განათება... გაზეთი... არავითარი ქარხანა, არა-

ვითარი მრეწველობა. აბანო კი არის, აღმოსავლური მექისე-ებითურთ. მექისეთა ფუნქციას შავშელები და იმერხეველები ასრულებენ. კარგი მექისეებიც არიან და სულ დარჩეული ბიჭებიცაა. ამბობენ, ტრაბიზუნდელებისათვის აბანო ერთგვა-რი დიდი ოჯახი არის და ქალების როლს მექისეები ასრულე-ბენ! ოღონდაც რომ საწყენი იყო ქართველის თავმოყვარე-ობისათვის!..

მცხოვრებთა რიცხვი 100.000-მდე ადის. ოსმალებს შემდეგ ბევრია ბერძნობა (7.000), მერე მოსდევს სომხობა (6.000) და ლა-ზები.

ტრაბიზონდი სატრანზიტო ქალაქია. აქედან მიდის გზა არ-ზრუმში. მაშასადამე, ევროპიდან მოსული საქონელი მიდის ამ გზით არზრუმისაკენ. აქედანაც ტრაბიზონდში მოდის საქო-ნელი სტამბოლ-ევროპისაკენ გასაგზავნად. ძალიან ბევრი მო-დის საზღვარგარედ გასაგზავნად ნედლეულობა: თუთუნი, ტყავეულობა, კვერცხი და სხ.

ტრაბიზუნდი, როგორც ვიცით, მე-XIII საუკუნეში ეგრედ-ნოდებულ ტრაბიზუნდის იმპერიის დედა-ქალაქი იყო და თა-მარ მეფემ აქ თავისი ძმისწულები ალექსი და დავითი გაამე-ფა. ქართველობის ძველის პრეტენზიებისა ამ ქალაქზე დღეს ამითლა თავდება და აგრეთვე იმით, რომ აქ გვიმარხია იმერე-თის უკანასკნელ მეფე სოლომონ მე-II-ეს გვამი. როგორც ვი-ცით, როცა რუსის მთავრობამ იმერეთის სამეფოს გაუქმება განიზრახა, იმერეთის მეფე სოლომონი დედოფლიანად იმე-რეთიდან ტფილისში ჩამოიყვანა და მერე აქედან რუსეთში უნ-და გადაესახლებინა. დაუყენებიათ იმ შენობაში, რომელიც მტკვრის მარჯვენა ტოტს გადასცექრის და სადაც ბოლო ხანე-ბამდე „გრანდ ოტელი“ იყო მოთავსებული. თანა ხლებია კარის-კაცი ვინმე თაბუკაშვილი. მეფის მახლობლებს გადაუწყვეტი-ათ მეფის გაპარება და ამ საქმეში მთავარი და გადამწყვეტი როლი უნდა ეთამაშნა თაბუკაშვილს, რომელიც სულ მეფეს-თან იყო, როგორც მსახური. მეფე უნდა ჩამოეშვათ თოკებით მტკვარში, იქ ნავტივებს დაახვედრებდენ და ნავტივებით ნა-პირას უნდა გამოეყვანათ. მერე ცხენებით ახალციხეზე უნდა გადაეყვანათ. მეფეს რომ გააპარებდენ, მცველებს რამე იჭვი

რომ არ აეღოთ, თაბუკაშვილი დედოფალთან უნდა დაწოლილიყო მეფის მაგივრად. მართლაც, მეფე ნავტივებზე ჩამოუშვეს, მერე ქვეით ნაპირზე გაიყვანეს, იქ ცხენები დაახვედრეს და მხლებლებმა ახალციხის გზას გაუყენეს, იქიდან ოსმალეთში გადაიყვანეს და ჩაიყვანეს ტრაპიზონდში. მეფის გაქცევის შემდეგ თაბუკაშვილი ძალაუნებურათ დედოფალს ჩასწოლია ლოგინში. მეორე დღეს მცველებს უკვირდათ, რომ მეფე ასე დიდსხანს არა სდგებოდა ლოგინიდან. ბოლოს, რომ შესულან, დაუნახავთ, მეფის მაგივრად თაბუკაშვილი ეწვა დედოფალს გვერდით. ისტორია სდუმს იმის შესახებ, თუ რა უყვეს თაბუკაშვილს, მხოლოთ თაბუკაშვილის მსგავს დღეში ჩავარდნილ კაცის შესახებ ანდაზა შექმნილა ასეთი: „გაჭირებამ დედოფალთან დამანვინაო...“ თუ ეს ისტორია არ იცი, ეს ანდაზა უაზრობად გეჩვენება კაცს.

სოლომონ მეფე თავისი ამალით ტრაპიზონდს ახლო ერთს პატარა სოფელში დაბინავებულა. დიდსხანს არ გაუვლია, ისე თვითონ გადაცვლილა და დაუსაფლავებიათ ტრაპიზუნდის ჩრდილოეთ მხარეს, ზღვის პირისაკენ, ბერძნების ნმ. გიორგის ეკლესიაში. საფლავს ძეგლიც ადგას შესაფერის ქართულის ზედნარწერითა.

ერთსდროს ლაზების ქალაქში, ლაზურს ელემენტს დღეს სრულიად უმნიშვნელო ადგილი უჭირავს. ჯერ ეს ერთი, ლაზები ძალიან ცოტანი არიან, და ვინც არიან, ისინიც მხოლოთ წვრილ ვაჭრობას მისდევენ. თავს სრულებით დაჩავრულება-და ჰერძნობენ, სუფრის ბოლოს გდებულნი. ეს უქნია ოსმალეთის იმპერიალიზმს, რომელიც თვინიერ ოსმალებისა, სხვა ეროვნებას არა ჰგუობს. თქვენ წარმოიდგინეთ, ლაზები ჰმა-ლავენ კიდეც თავის ვინაობას, ლაზობა და ლაზური ლაპარაკი ერცხვინებათ. ინტელიგენტი მათს შორის იშვიათი მოვლენაა. ჩემს იქ ყოფნაში ერთად-ერთ ლაზს შევხვდი, ვეტერინარს. ამას ლა ჰქონდა შეგნება, რომ ის ქართველის ჩამომავლობისა იყო, რომ ქართველთა ისტორია იმავე ლაზების ისტორია იყო. ჩვენს აზრს ერთმანერთს ფრანგულის საშუალებით და ცოტაოდნათ ლაზურის საშუალებით ვაგებინებდით. მთხოვა მი-მეცა მისამართი ისეთის დაწესებულებისა, საიდანაც შესძლე-

ბოდა გამოეწერნა წიგნები ჩვენის ძველის ცხოვრების შესახებ. „წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებაზე“ მიუწოდით და კიდევაც გამოეწერნა ფრანგულს ენაზე რაც რამ მოგვეპოვებოდა მის გამოსაყენებლად.

ჩემი იქ ჩამოსვლა მეორე დღესვე იცოდა მთელმა ქალაქმა. ხომ მოგეხსენებათ პროვინციალური ქალაქი და ისიც ოსმალეთისა, სადაც ყველამ იცის, მეზობელს რა ექნება სადილად, ან საცვალი როდის გამოიცვალა. ხელისუფლებამ, აპარატის უნდა, მოსვლისათანავე იცოდა ეს ამბავი. ერთს მშვენიერს დღეს კაცი მოვიდა სასტუმროში: ვალის (გუბერნატორის) კანცელიირიაში გთხვენ, მობრძანდეთო. ბარემ არ მესიამოვნა (უნდა მოგახსენოთ, რომ რუსის მოხელეებმა ვერ შემაყვარეს მათი დაწესებულებანი და კანცელიარიები!). ვეახელი. ფრანგულ ენის თარჯიმანის საშუალებით გამომკითხეს ვინაობა, სადაურობა, მიზეზი ტრაბიზონდში დაბინავებისა. რამდენადაც შევიძელი, დავარწმუნე, რომ განზრახვანი ჩემნი ისმალეთის ახალგაზდა რესპუბლიკის მიმართ სრულებით მშვიდობისმოყვარულ ხასიათისანი იყვნენ, რომ სულით და გულით ვნატრობ მისს აღორძინებას და რითაც შემეძლება, მზადა ვარ ხელი შევუწყო მისს პოპულიარიზაციას და განმტკიცებას-მეთქი. ამ თარჯიმანს შემდეგ დამალაპარაკეს მეგრულათ ერთ ლაზ ქითაბჩისთან ან ჩვენებურათ – კანცელიარიის მოხელესთან და ამან ჩემს ორატორობაზე უკეთესად დაამშვიდა ყველანი. თურმე ნუ ბრძანებთ, სომეხი ვგონებივართ, მათს წინააღმდეგ მომქმედი და მოღალატე. მერე ჩემი ნაცნობი გავლენიანი პირებიც ჩაერივნენ საქმეში და ტრაბიზონის ხელისუფლების ნარმომადგენელი და მე თითქმის მეგობრებად განვშორდით ერთმანერთს.

გასართობი აქ მცხოვრებთათვის არაფრისგან არაფერია. ქალაქის შუაგულს გამართულ ერთადერთ პატარა ბალში ჰპოვებს ტარბიზონდელი სიცხის დროს შვებას, უნდა მოუჯდე პატარა მაგიდას და მოითხოვო „ბირ აზ ყავე“ (ერთი ფინჯანი ყავა) და მასთან განუყრელი ნარგილე, რომლის ტარი, ვინ იცის, ვისინაპირალი, უდეზინფექციონული, მომტანის მიერ მხოლოთ ხელით ზეზეურათ განმენდილი, თუ გული მიგივიდა, პირში უნდა

ჩაიჩარო. ბალის გვერდში, ერთს პატარა და უპრეტენზიო საყავოში ვიღიასაც როდესლაც და საიდგანლაც გრამაფონი მოუტანია და მცხოვრებთა გასახარელად უკრავს დილიდან მეორე დილამდე ერთსა და იმასვე ოსმალურ სიმღერას, ნირშეუცვლელად. ეს სიმღერა მახსოვრებაში ისე მავრად ჩაგებეჭდებათ, რომ ძალიანაც რომ მოინდომოთ, ვერ მოგიხერხებიათ დავიწყება და ზოგჯერ, ათისა და ოცის წლის შემდეგაც, უნებურათ ჩაიღილინებთ და მოიგონებთ იმ ადგილს, სადაც იქაურებისათვის ეს გრამოფონი, ახალი ამბავი და სანუკვარი რამ, ტრაპიზონელებს ცნობისმოყვარეობას უდღიძებდა და ესტეტიკურ მოთხოვნილებასაც სავსებით უკმაყოფილებდა.

ჩემს აქ ფეხისმოკიდებას ვერაფერი ეშველა. როგორცა ვსთქვი, ცხოვრება სულ მიმკვდარებული იყო, მაჯისცემა ოდნავათ ეტყობოდა. ინტელიგენტისათვის, ისიც გარეშესათვის, აქრაიმე საქმის შოვნა და არსებობისათვის წყაროს გაჩენა ყოვლად შეუძლებელია; ევროპულ ენების ცოდნაც ვერაფერსა ჰშველის კაცს. მაშასადამე, ფუჭი იყო ოცნება სამშობლოდან ოჯახობის დაბარებაზე. სხვა გზა არ იყო, ისევ დასავლეთ ევროპას მიგაპყარ თვალი, სავანე უნდა მეძებნა ისევ იქ, სადაც ნაცნობ-მეგობრებიც ბევრი მეგულებოდა და თავის გატანაც შედარებით ადვილათ შემეძლო.

ერთს მკათათოვის დღეს გამოვეთხოვე ტრაპიზუნდს და ფრანგთა საზოგადოების „Messageries Maritimes“-ის გემმა „Circassie“-მ გამიყენა სტამბოლის გზას.

ჩავედი. იქაც ორ კვირას დავრჩი. ჩავუსწარი გალათაში მოედანზე გამართულ სახრჩობელებს და ზედ დაკიდებულს ახალგაზდა რესპუბლიკის ორგულებს... აქაც ვეძიებედი, მაგრამ რათგან აქაც ძნელი საპოვნელი შემექნა, სამუდამოდ გამოვეთხოვე ოსმალეთის ახალგაზდა რესპუბლიკას და მის სატახტო ქალაქს.

სტამბოლიდან გასულმა გემმა სალონიკს ახლო თითქმის გვერდით ჩამატარა იმ სახლთან, სადაც დაემწყვდიათ ადამიანის სისხლით გაუმაძღარი, აღმოსავლეთის დესპოტების ნამდვილი წარმომადგენელი, რისზვა და თავზარდამცემი მთელის ოსმალეთის ისტორიისა – აბდულ ჰამიდი, კაცი, რომლის წინა-

შეშიშითაძრნოდამთელი20მილიონიხალხის ესდენსაუკუნეთა განმავლობაში. მკაფიოთ მაჩვენეს სახლი, სადაც უკანასკნელ დღეებსაჲლევდა ყველასგან შეჩვენებული, წყევა-რულვით მოსახსენებელი, ზიზღით მოსაგონარი... თავის თვალით დაინახა თავის ტახტის დამსხვრევა, დაინახა გაბატონება ხალხისა, რომელიც, მისის აზრით, მისი ფერთა მტკვერი უნდა ყოფილიყო...

გემი მისრიალებს სარკის პირიან მუქ-ლურჯ ზღვაზე, მანქანების რითმული გუგუნი თუ-ლა აზანზარებს გემის გოლიათ სხეულს. აპა, განვლიერ იონის ზღვა. გავუარეთ იმ გაზაფხულზე საშინელ მინისძვრისაგან იტალიაში ნანგრევებად ქცეულ ქალაქ რეჯიოს, გემმა ისე ახლოს ჩაუარა, რომ მკაფიოთა ვხედავთ დანგრეულ სახლების კედლებს და ფანჯრებს. ცოტაცა... და თავი შევყავით მესინის სრუტეში, გავუარეთ სცილლას ზღვისქვეშა კლდეს, წავაწყდით ხარიბდას მორევს, გადავურჩით ორსავე. ესენი, როგორც ვიცით, თავზარსას ცემდა ძველებულ მენავებსა, რომლებიც, აქაურობას რომ გაივლიდენ, ზენაარსს სამადლობელო ზვარასა სწირავდენ ხიფათსა და განსაცთელს მშვიდობით გადარჩენისათვის. შორით სალამი ვუძღვენით კვამლის გვირგვინით შემკულ თავიან ვეზუვს, იტალიის ნაპირებს. ისევ დღის სინათლით გავიარეთ ბონიფაჩიოს სრუტე კუნძულებ კორსიკასა და სარდინიას შუა. ახლა ჯიქურ მარსელისაკენ მივდივართ.

მარსელის ნავთსადგურში საღამოხანს შევედით. მაგრამ სანამ ხმელეთზე ფეხს დავდგამდით და ქალაქში შევიდოდით, უკვე ლამის 11 საათი გახდა. ნაპირად გასვლისას, მოთხოვნა პასპორტისა, ურომლოდაც ნიკოლოზის სამეფოში კაცს ნაბიჯი ვერ გადაუდგამს, ვისმე ფიქრადაც არ მოსვლია. ჯიბეში ორი თუ სამი ფრანკი გადამრჩენოდა ამდენ მგზავრობას. კინაღამ საქონლის მატარებელზე პირუტყვების გამყოლობა (conducteur des bestiaux) არ ვიკისრევი... გ. დეკანოზიშვილისაგან, რომელიც მაშინ მონპელიეში ცხოვრობდა უკვე დაავადებული, პარიზში ჩასასვლელი ფული რომ არ მომსწრებოდა.

პარიზი... ლიონის სადგური... ლათინთა უბანი... Boul Miche... პანთეონის გარემო... ფრანგული ლაპარაკი... თავი სიზმარში მგონია...

აქედან იყო, რომ ამ ოთხ წელს წინათ, 1905 წლის გაზაფხულზე, რევოლუციის გარიურაჟზე, იმედებით სავსე, საპრძოლველად თავგადადებული სამშობლოსაკენ მივისწრაფვიდი... აქედან იყო წამოსული, საქართველოში იარაღი როგადმოვტვირთეთ... და ახლა აქვე იყო, რომ ვბრუნდებოდი. სამშობლოდან, შორეულ ციმბირში განაგზავნი და იქიდან ოტებული, ხელმწიფის მართლმსაჯულების მიერ დევნილი, აქეთკენ გადმოხვენილი, ძებნად მყუდრო თავშესაფარისა, ადამიანთა შორის სამყოფელად, თავისუფლად ამოსასუნთქავად, და შორებული სამშობლოსა, ჩემს ხალხსა, ოჯახსა, ტკბილ მეგობრებსა, მათთან მხარში დგომასა, მათთან ერთად მუშაობასა, დაწყებულ რევოლუციის საქმის გაგრძელებასა...

როდემდის?

იმედი მაინცა მქონდა, გული მითხრობდა, რომ დიდის ხნის ლოდინი არ დამჭირდებოდა. რაკი ერთადერთი ნავსი გატყდა, რაკი ერთადერთი დაიძახა ხალხმა „ძირს ნიკოლოზიო“, რაკი დაინახა, რომ ამის დაძახება შესაძლებელი ყოფილა, რაკი პირველი ნაბიჯი გადასდგა, ფიქრი არ იყო, საქმე კარგ ურმის თვლებზე იყო შემდგარი და გზაც მაინც და მაინც საბრკომიანი არა ჰქონდა, რომ არ შესძლებოდა გორებით წამოსვლა...

პარიზთან ბერეგვარად ვიყავ დაკავშირებული, ჩემის ახალგაზიდობის საუკეთესო დრო აქ გამიტარებია, მაგრამ მაინც ვეკრძალებოდი აქ შევბრძოლებოდი ცხოვრებას; თუმცა ხამი არ გახლდით ცხოვრებასთან ბრძოლისა, მაგრამ მაინც ვიშიშვოდი. ისევ საბოლაოდ მივაშურე პატარა ბელგიის დედა-ქალაქს – ბრუსელს, საცა ახლო მეგობარიცა მყავდა – პალიკო ყიფიანი, რომელიც უამსა გაჭირვებისასა მომეშველებოდა, და ცხოვრებაც, პარიზის ცხოვრებასთან შედარებით იაფი იყო.

არც ბრუსელში გადასვლა გამჭირებია. დავბინავდი. ასე თუ ისე, მოვითქვი სული. მაგრამ ბრუსელში დაბინავებიდან სრულის ორის წლის განმავლობაში ერთი ღამე არ გამიტარებია ისეთი, რომ სიზმარში, სხვადასხვა ვარიაციებით, მაგრამ არსებითად ასეთი სურათები არ მენახნა: ვარ ციმბირში (ან სხვაგან სადმე), მორბივარ, მომდევენ ჯერ ქვევითად და თოფიანი ურიანდნიკები, მერე ცხენოსნები, მირბივარ და თავის დაღწევას ვა-

ხერხებს. ბრუსელში ჰაეროპლანები რომ დავინახე, გულში გა-
ვივლე: რა კარგი იქნებოდა, ციმბირში ესენი რომ მქონოდა, ჩავ-
ჯდებოდი და მშვიდობით იქაურობა-მეთქი... სიზმარში კი ვხე-
დავ: როცა მორბივარ, ჯერ სირბილითა ვჯობნი ჩემს მდევრებს;
როცა საქმე სახრინავზე მიდგება¹ და, ეს არის, უნდა დამიჭი-
რონ-მეთქი, ერთპაშათ საითგანლაც ჰაეროპლანი გაჩნდება
მხსნელ ანგელოზად, ავიატორი ჩამისვამს და ციმბირელი ური-
ადნიკები ქვეითგან შემომცქერიან... და აპა სწორეთ მაშინ არ
დაენანგებოდათ ჩემთვის რუსული სამსართულიანი ქათინაუ-
რები!... ერთ სიზმარში პლატონ მიქაბერიძეც-კი დავინახე...
მცხეთის სადგურთან... ვითომ უკვე პოლიცმეისტერი იყო და
გულზედაც ორდენები ეკიდა... მოვასწარ ჰაეროპლანში ჩაჯ-
დომა და ნიშნის მოგებით თითო დავუქნიე...

1931, 27/V

1. სახრინავზე მიღეომა – უკანასკნელ დღეში ყოფნა, უკიდურესი გაჭირ-
ვება, მოქენეობა, უსახსრობა (თედო სახოკია, ქართული ხატოვანი სიტყვა-
თქმანი, გვ. 568) (გამომცემლის შენიშვნა).

პირთა საძიებელი

აბაშიძე მემედ-ბეგ (1873–1937) – მწერალი, პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, დახვრიტეს – 194, 197, 198.

აბდულ ჰამიდ – ოსმალეთის სულთანი 1876–1909 წლებში – 187, 194, 202.

აბშილავა – ქუთაისის ციხის უფროსი, რომელიც პატიმრებმა მოკლეს – 29.

ანდრონიკაშვილი გიორგი (1858–1928) – საგზაო ინჟინერი, 1905–1907 წლებში ირკუტსკის რევოლუციური მოძრაობის ერთერთი ლიდერი – 153, 155, 156.

ანდრონიკაშვილი ლუარსაბ (1872–1939) – იურისტი, მეცნიერი და საზოგადო მოღვაწე. მონანილეობდა ისტორიული მნიშვნელობის ასზე მეტ სასამართლო პროცესში – 24.

ბარათაშვილი იოსებ (1874–1937) – იურისტი, 1905 წლიდან ნაფიცი ვექილი, რუსეთის პირველი სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატი სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიიდან, 1917–1918 წლებში საქართველოს ეროვნული საბჭოს წევრი, საქართველოს დამოუკიდებლობის აქტის ხელმომწერი, დახვრიტეს – 24.

ბარსკი პავლე – ექიმი, წოდებათა წარმომადგენელი საზღვარგარეთიდან საქართველოში იარაღის შემომტანთა სასამართლო პროცესზე 1907 წელს – 23.

ბერეჟიანი ვასილ – ექიმი, თეატრ სახოკიას მეედარი – 182, 184. **ბექიორ-ოლი ახმეტ** (1880–1952) – სოციალ-დემოკრატი – 23, 194, 195, 196, 197.

ბოგოროდსკი – საზღვარგარეთიდან საქართველოში იარაღის შემომტანთა საქმის სასამართლოს თავმჯდომარე 1907 წელს – 23, 24.

გამყრელიძე ანთიმოზ (1851–1893) – ხალხოსანი, რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის ერთ-ერთი ხელმძღვანელი. გაასამართლეს „50-ის პროცესზე“ (1877, პეტერბურგი) და გადასახლეს – 83, 101, 103.

გამყრელიძე პარმენ – სოციალისტ-ფედერალისტ – 183.

გასვიანი მაქსიმე – 1905 წელს საზღვარგარეთიდან იარაღის შემომტანის გამო ქუთაისის ციხის პატიმარი – 28, 33, 47, 67, 68.

გეგეშიძე ვასილ – ციმბირში გადასახლებული პოლიტიკოსი – 114.

გელევანიშვილი იოსებ (სოსო) (1873–1939) – მწერალი, პუბლიცისტი, დრამატურგი, გენერალი, 1905–1923 წლებში სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის წევრი. დუმეთის მაზრის ხაზინის ექსპროპრიაციის მონაწილე 1906 წელს – 178.

გვაზავა გიორგი (1869–1941) – ადვოკატი, პუბლიცისტი, პოლიტიკური მოღვაწე, ეროვნულ-დემოკრატიული პარტიის ერთერთი ლიდერი, 1921 წლიდან ემიგრანტი – 8, 24, 179, 180.

გვარამაძე ილია – ბათუმის საბაჟოს მოხელე, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი, თე-დო სახოკიას მეგობარი – 182, 184.

გიგიძერია იასონ – სოციალ-დემოკრატი – 23.

გოგებაშვილი იაკობ (1840–1912) – პედაგოგი, საზოგადო მოღვაწე – 133.

გურიელი ტელემაკ (ალექსანდრე) (1850–1932) – პოეტ მა-მია გურიელის ძმა, ოზურგეთის მაზრის თავად-აზნაურთა საკრებულოს დეპუტატობის კანდიდატი – 161, 162, 163.

დადიანი იოსებ (1862–1937) – ინჟინერი, მრეწველი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებული ბაქოში – 173.

დედაბრიშვილი (არაგვისპირელი) შიო (1867–1926) – მწერალი, საზოგადო მოღვაწე – 8, 174.

დეკანზიშვილი გიორგი (1868–1910) – სამთო ინჟინერი, პუბლიცისტი, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამაარსებელი და ლიდერი, საზღვარგარეთიდან საქართველოში იარაღის შემოტანის ორგანიზატორი 1905 წელს – 8, 11, 12, 14, 15, 16, 176, 203.

დეკანზიშვილი ნიკო (1867–1938) – ინჟინერი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების წევრი – 173.

ელიაშვილი ივანე (1864–1932) – ექიმი, მწერალი, პედაგოგი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების რწმუნებული ბაქოში – 167, 173.

ესვანჯია ლავრენტი – პატიმარი – 29.

ზდანოვიჩი (მაიაშვილი) გიორგი (1855–1917) – პუბლიცისტი, ხალხოსანი, პოლიტიკური მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი ლიდერი, „50-ის პროცესზე“ მონაწილე (1877, პეტერბურგი) და გადასახლეს – 78, 83, 98, 100, 102, 103.

თავდგირიძე ნიკო (1870–1936) – პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სოხუმის ქალაქის თავი – 23, 26, 27, 162.

თოიძე ალექსანდრე (სანდრო) – ქველმოქმედი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების ნამდვილი წევრი, რესტორნების, სასტუმროების, გოგირდის აბანოს ფანტაზია მფლობელი, მატერიალურად ეხმარებოდა მწერლებს – 172.

თურმანიძე ვასო – ციმბირში გადასახლებული პოლიტიკური პატიმარი – 20, 113, 114, 127, 130, 131, 132, 136, 137, 141, 145, 146, 147, 149, 150, 151, 152, 153, 157, 158, 172.

ინალიშვილი ალექსანდრე – სოფელ ალაპაძის მცხოვრები, რომლის მამულში გადანაწილდა საზღვარგარეთიდან შემოტანილი იარაღი – 38.

იონინი ლ. – საზღვარგარეთიდან საქართველოში იარაღის შემომტანთა საქმის სასამართლოს წევრი 1907 წელს – 23, 24.

კალანდარიშვილი ნესტორ (ციმბირელი პაპა) (1876–1922) – ბათუმის როტშილდის ქარხანასთან არსებული დრამატული დასის ხელმძღვანელი, სოციალისტ-რევოლუციური პარტიის წევრი, შემდგომ ანარქისტი, ბოლო დროს – კომუნისტი. 1905 წელს გურიაში რევოლუციური საქმიანობის გამო ციმბირში გადასახლეს. იყო ციმბირის რევოლუციურ-პარტიზანული მოძრაობის მეთაური. ეხმარებოდა ბოლშევიკებს ირკუტსკვში საბჭოთა ხელისუფლების დამყარებაში, ერთ-ერთი ვერსიით, დაუმორჩილებლობის გამო მოკლეს ბოლშევიკების მიერ ორგანიზებულ ალყაში – 153, 154, 155, 156, 159.

კალანდარიშვილი პლატონ – ნესტორ კალანდარიშვილის ნათესავი – 159

კაჭარავა გელევან – ქუთაისის ციხის პატიმარი 1907 წელს – 29.

კვარაცხელია პეტრე – სოციალ-დემოკრატი – 23.

კვიცარიძე ისიდორე – გამომცემელი, ქუთაისში წიგნის მაღაზიის იმერეთი მფლობელი – 31, 34.

კობახიძე ვახტანგ (ვიკტორ) – ციმბირში გადასახლებული და იქ საცხოვრებლად დარჩენილი პატიმარი – 113, 125, 126, 127, 128.

კორშია კირილე – 1905 წელს საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანისთვის ციმბირში გადასახლებული პოლიტპატიმარი – 20, 21, 37, 46, 58, 67, 68, 74, 75, 85.

კუხალეიშვილი იონა – სოციალ-დემოკრატი, ბოლშევიკი – 35, 38.

ლასხიშვილი გიორგი (1866–1933) – პუბლიცისტი, საზოგადო მოღვაწე, სოციალისტ-ფედერალისტთა პარტიის ერთ-ერთი დამარსებელი და ლიდერი, გაზეთის ცნობის ფურცელი რედაქტორი, პოლიტიკური მოღვაწეობისთვის რამდენჯერმე გადასახლებული ციმბირში – 12, 13, 16, 17, 83.

ლალიაშვილი იოსებ (1866–19??) – თბილისის სასულიერო სემინარის მოსწავლე, რომელმაც შეურაცხყოფის გამო მოკლა სემინარის რექტორი პავლე ჩუდეცკი. გადაასახლეს სახალინზე, საიდანაც გაიქცა ამერიკაში – 78, 80, 81.

ლორთქიფანიძე – ქუთაისის პოლიციის აგენტი – 180, 181.

მანსვეტაშვილი იაკობ (1855–1944) – მწერალი, უურნალისტი, მრეწველი, მეცენატი, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების საპატიო წევრი და საადგილმამულო ბანკის ფილიალის ხელმძღვანელი ბაქოში – 173.

მატაბერია იოსებ – სოციალისტ-ფედერალისტი – 23.

მესხი კონსტანტინე (?–1932) – ხალხოსანი, 1887 წელს გიორგი ლასხიშვილთან ერთად გადაასახლეს დასავლეთ ციმბირში – 17, 19, 83.

მიქაბერიძე პლატონ – სოხუმის ბოქაული – 23, 26, 27, 28, 174, 176, 177, 178, 179, 180, 182, 205.

მოდებაძე კარპე – პოლიტპატიმარი ქუთაისის ციხეში – 29, 30, 31.

ნანეიშვილი ალექსანდრე (1857–1904) – პუბლიცისტი, ხალხოსანი, გაზეთების დროუბისა და შემდგომ ივერიის თანამშრომელი, 1883 წელს გადაასახლეს ციმბირში – 83.

ნოვოსადსკი – ციმბირში გადასახლებული უკრაინელი პატიმარი – 95, 99, 103, 108, 109.

ორლოვსკი ლ. – საზღვარგარეთიდან საქართველოში იარა-ლის შემომტანთა საქმის სასამართლოს წევრი 1907 წელს – 23, 24.

ორჯონიკიძე სერგო (1887–1937) – ბოლშევიკი, რუსეთის კო-მუნისტური პარტიის მოღვაწე. ხელმძღვანელობდა კავკასიის და-მოუკიდებელი რესპუბლიკების საბჭოთა ოკუპაციას – 23, 25, 38, 194.

პეშკოვი – პოლკოვნიკი – 161, 163, 164, 167, 168.

ჟორდანია თედო (1854–1916) – ისტორიკოსი, პედაგოგი, თბი-ლისის სასულიერო სასწავლებლის ზედამხედველი, გურია-სამეგ-რელოს ეპარქიის სამრევლო სკოლების მეთვალყურე – 133.

ჟოსია – სოფელ ვერხოლენსკის მცხოვრები – 98, 102, 103, 104, 106.

სამურიდი ქრისტეფორე – სოხუმის მოქალაქე, რომელიც თავდებად დაუდგა თედო სახოკიას სასამართლოზე – 24.

სასანია ნ. – სოციალ-დემოკრატი – 23.

საყვარელიძე პავლე – ქუთაისის ციხის პოლიტპატიმარი – 29.

სიგიზმუნდი – პოლონელი პატიმარი ციმბირში, ციხის საავად-მყოფოს მომვლელი – 68, 69, 72, 73, 74, 75, 76, 78, 84 .

სიდამონ-ერისთავი ნ. – ადვოკატი – 24.

სტეპანოვი საშა – პოლიტპატიმარი ქუთაისის ციხეში – 29.

სულაქველიძე ვლადიმერ (ვალოდია) (1884–1954) – პოლი-ტიკური მოღვაწე, სოციალ-დემოკრატი, 1918–1921 წლებში თბი-ლისის გენერალ-გუბერნატორი, 1921 წლიდან ემიგრანტი. დაკრძა-ლულია ლევილის სასაფლაოზე – 28.

ულმანი ფეიდრიხ – სოხუმის ახლოს მოსახლე ესტონელთა სოფლის მამასახლისი – 23.

ქავთარაძე კონსტანტინე (კონია) – სოციალ-დემოკრატი – 28.

ქუჩულორია დომენტი – სოციალ-დემოკრატი – 23.

ლურჯუა ვასილ – სოციალ-დემოკრატი – 23.

ყიფიანი მიხეილ (მიშო) (1846–1916) – პედაგოგი, მსახიობი, რეჟისორი, ხალხოსანი, ორჯერ გადასახლებული ციმბირში – 83.

ყიფიანი პავლე (პალიკო) (1864–1931) – თბილისის ბანკის დირექტორი, ბაქოს სააგენტოს მმართველი, სოციალისტ-ფედერალისტი, საქართველოში იარაღის შემოტანის მონაწილე – 204.

შავგულიძე – პატიმარი, რომელიც თედო სახოკიასთან ერთად გამოიქცა ციმბირიდან – 135, 145, 148, 149, 150, 152, 172.

შემეტოვ მიხეილ – სოფელ ვერხოლენსკის მამასახლისი – 98, 102, 107, 140.

შეროზია მაქსიმე – ციმბირში გადასახლებული პატიმარი – 96, 97.

ჩარტია ელიზბარ – 1905 წელს საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანისთვის ციმბირში გადასახლებული პოლიტპატიმარი – 20, 21, 37, 46, 58, 67, 74.

ჩერნიშვესკი ნიკოლაი (1828–1889) – რუსი მწერალი, პუბლიცისტი, რევოლუციურ-დემოკრატიული მოძრაობის ლიდერი, უურნალის „სოვრემენიკ“ რედაქტორი – 78, 82.

ჩიკოიძე მიხეილ (1852–1897) – ხალხოსანი, გაასამართლეს „50-ის პროცესზე“ (1877, პეტერბურგი) და გადასახლეს. მეორე გადასახლებაში გარდაიცვალა – 83, 98, 101, 103, 104.

ჩიქავა ალექსანდრე – პოლიტპატიმარი ქუთაისის ციხეში – 29.

ჩიჩუა გიორგი (1848–1924) – მრეწველი, ბანკირი, საზოგადო მოღვაწე, დახვრიტეს – 174, 176, 177, 179.

ჩუდეცკი პავლე (?–1886) – თბილისის ეგზარქოსი და სასულიერო სემინარიის რექტორი. მოკლა იოსებ ლალიაშვილმა – 80.

ციციშვილი ალექსანდრე (1852–1885) – ხალხოსანი, „50-ის პროცესზე“ (1877, პეტერბურგი) გაასამართლეს და გადასახლეს. პირველი რევოლუციონერი რუსეთის იმპერიაში, რომელმაც დაპატიმრების დროს შეიიარაღებული წინააღმდეგობა გაუწია პოლიციას. გარდაიცვალა გადასახლებაში – 83.

წერეთელი ირაკლი (1882–1959) – სახელმწიფო მოღვაწე, რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მოძრაობის ერთ-ერთი ლიდერი, მეორე სახელმწიფო სათათბიროს სოციალ-დემოკრატიული ფრაქციის თავმჯდომარე, დროებითი მთავრობის ფოსტა-ტელეგრაფის მინისტრი, საქართველოს ანექსიის შემდეგ პოლიტიკური ემიგრან-

ტი, ორატორი, რომელსაც რუსეთის რევოლუციის ოქროპირს, ცი-ცერონს უწოდებდნენ – 140.

ნულუკიძე (გულა ნულუკიძის ქალი) – სოციალ-დემოკრატი – 45, 47, 51.

ნულუკიძე მიხეილ (მიშა) (1877–1944) – პუბლიცისტი – 183.

ჭრელაშვილი სტეფანე (1857–1917) – პუბლიცისტი, გაზეთის ივერია თანამშრომელი, ხალხოსანი, იყო გადასახლებული – 83.

ხინტკირია სერგო – ტერორისტი, ციმბირში გადასახლებული პატიმარი – 53.

ხოშტარია აკაკი (1873–1932) – მრეწველი, მეცენატი, საბანკო და სარკინიგზზო კაპიტალდაბანდებების მფლობელი ამიერკავკასიასა და მცირე აზიაში. გარდაიცვალა საფრანგეთში. დასაფლავებულია პარიზში, პერ-ლაშეზის სასაფლაოზე – 174, 176.

ხუბუა ზოსიმე – 1905 წელს საზღვარგარეთიდან იარაღის შემოტანისთვის ციმბირში გადასახლებული პოლიტიკატიმარი – 20, 37, 46, 58, 67, 73, 74, 75, 84, 94, 95, 96, 99, 100, 108, 130, 135, 153, 156, 157.

ჯაბადარი ივანე (1852–1913) – პუბლიცისტი, ხალხოსანი, „სარულიად რუსეთის სოციალ-რევოლუციური ორგანიზაციის“ ერთ-ერთი ორგანიზატორი. გაასამართლეს „50-ის პროცესზე“ (1977, პეტერბურგი) და გადაასახლეს, მონაწილეობდა 1905 წლის რევოლუციაში. ეროვნული საქმისადმი ნიჰილისტური წერილის გამო სასტიკად გააკრიტიკა ილია ჭავჭავაძემ – 17, 83.

შინაარსი

დიმიტრი შველიძე – რამდენიმე ნაკლებად ცნობილი ეპიზოდი თედო სახოვიას ცხოვრება-მოღვაწეობიდან	7
კონსტანტინე მესხი – რეკომენდაცია	19
შესაფალი	22

ნაწილი პირველი

იქით

I	23
გასამართლება. – განაჩენის გასაჩივრება. – დაჭერა და ბოქაული მიქაბერიძე. – ქუთაისში გამგზავრება. – ქუთაისის ციხე. – გამოწყობა ციმბირში გასამგზავრებლად. – ფეხებში ბორკილები და „დიშლა“. – თანამგზავრნი. – ბათომში.	
II	35
ბათომიდან. – ნოვოროსიისკის კონვოი. – ნოვოროსიისკის ციხეში. – სოდომიტები. – ოონა კუხალაიშვილი. – ეკატერინოდარის კონვოი. – როსტოვში ჩასვლა. – სადგურიდან ციხემდე.	
III	43
როსტოვში. – შემოერთება ტფილის-ბაქოს ეტაპებისა. – როსტოვის ციხეში. – ლექები და ადმინისტრაციის თავგასულობის მსხვერპლი. – რიაჟსკი ჩასვლა. – რიაჟსკის ციხის რეჟიმი. – შემოერთება რუსეთის სხვადასხვა ადგილების ეტაპებისა. – ცირკულიარების თავისებურათ გაერბა ქუთაისის ციხის ადმინისტრაციის მიერ. – სამარამდე. – სამარის ციხე. – უფის კონვოი.	
IV	51
აზიაში გადასვლა. – სავსება ციმბირის გზაზე. – სიმდიდრე დასავლეთ ციმბირის ბუნებისა. – ახალ-ახალი ტუსალები. – ნიმუშები „ცივილიზაციისა“. – აღმოსავლეთ ციმბირის ზონაში გადასვლა. – სიცივები. – აქაური მზე და დღეები. – ერთლიანდაგინი გზა და მისი ნაკლი. – მატარებლის სისწრაფე. – ჩვენის კონვოის უფროსი „ვისიკორიდე“ და გაზეთი. – ირკუტსკში ჩასვლა.	
V	57
ირკუტსკის ციხე და ტუსალების დახვედრა. – რეტროსპექტული თვალის გადავლება გამოვლილ მგზავრობისათვის. – ციხის რეჟიმი. – ჩვენთვის მაზრების დანიშვნა. – ირკუტსკის გუბერნია და მისი თვისება. – კირენსკის მაზრა. – კირენსკის მაზრის მეზობლად. – მამონტი ანუ გარდასული ცხოველი აქაურობისა.	

VI	68
	საავადმყოფოში. – საავადმყოფოს ბატონ-პატრონები და წესი. – პან სიგიზმუნდი. – შემოწმება. – საავადმყოფოს მკვიდრნი. – პან სი-გიზმუნდის „ყისიკითელი“ ანუ „დასამშვიდებელი“. – ექიმი ქალი. – დამბლად ჩავარდნილი. – ავადმყოფების მკურნალობა. – მიცვა-ლებულების დასაფლავება და შესანდობარი. – გაზაფხულის ნიშ-ნები. – გამგზავრების მოლოდინში.
VII	78
	ციმბირი და მისი წარსული. – სხვადასხვა სახე სასჯელისა. სახალი-ნი და იოსებ ლალიაშვილი. – გაციმბირებულები ძველად. – ნ. ჩერნი-შევსკი. – გ. ზდანოვიჩი და სხვა ქართველები ციმბირში. – ადმინის-ტრაციულის წესით დასჯა. – საეტაპოდ გამოწყობა. – ყინულის უდაბ-ნო. – კონვოი. – ძველებური ტანჯვა – აწინდელთან შედარებული.
VIII	87
	აღთქმის ქვეყანა – უსტ-ორდინსკი. – პირველი ღამე თავისუფლად. – სახელდახელო სასტუმრო. – ბრეშეო-ბრეშეოვსკაია. – მეორე დღე მოგზაურობისა. – გზა. – ჩვენი გამყოლო. – ციმბირის ველი. – ყინუ-ლერობა. – მოსახლეობა. – პოლიტიკურებსა და არაპოლიტიკუ-რებს შორის უთანხმოების ჩამოვარდნა. – ჩხუბი. – არაპოლიტიკურთ მიერ ჩვენი სასიკვდილოდ გამეტება. – ბაანდაი და ტუსალ ყირგი-ზის მიერ ჩვენი, როგორც ქართველების, გამოქომავება. – რამდენისა-მე საეტაპო შენობაში მშვიდობით გადარჩენა. – კაჩუგა. – ვერხო-ლენსკამდე.
IX	98
	ვერხოლენსკში ჩასვლა. – მოსალოდნელი ხიფათი. – ჩვენს აბბავში მამასახლის შემეტოვის ჩარევა. – გიორგი ზდანოვიჩის და მისის ამხანაგების ხსოვნამ გადაგვარჩინა განსაცთელს. ანუ „კაი კაცის პურმარილი ზღვაზე ხიდად გაიდების“. – მიხ. ჩიკონიძის მასპინ-ძელთან პან უოსიასთან. – გამასპინძლება. – გამოსტუმრება.
X	109
	სოფ ტუტურაში ჩასვლა. – ოთხივ კუთხივ გაშვება. – ჩემის მარჯ-ვენის სინაბარი. – სოფელში დაბინავება. – ულმობელი გადამწყვე-ტი მო პარაზიტებს! – როგორ გვიყურებენ აქაური ჩალდონები პოლიტიკურებს. – მტრედებზე ნადირობა და ფიასკო. – აქედან აბარგება.
XI	113
	ჟიგალოვოში დაბინავება. – ცხოვრების დაწყება. – იაფობა. – უი-გალოვო, როგორც ყელი მოსკოვის ტრაკტისა. – ლენა და მისი მნიშვნელობა აქაურებისათვის. – მოსახლეთა შეძლებულობა. – მა-თი საქმიანობა. – ტყე. – ნავთმშენებლობა. – სხვადასხვა ხელობა.

– წერა-კითხვის საქმე. – მცხოვრებთა სოციალური შედგენილობა.
– აქაური ტიპები: ვიკორ ივანიჩი, ახმეტყა.

XII 130

წრე. – ცხოვრების პირობები. – უმწეობა. – პოლიტიკურთა ცხოვრება.
– აქედან ოტების აზრის ჩასახვა. – მოსალოდნელი სასჯელი ურჩობი-
სათვის. – ზოსიმე ხუბუა. – მოხეტიალე ფოტოგრაფი. – ვასო თურმა-
ნიძის გაუფრთხილებლობამ კინაღამ კერაზე ცეცხლი ჩაგვიქრო.

ნაწილი მეორე

აქით

I 137

გამოსვლა შიგაღლოვოდან. – გზაში შემოერთება თანამგზავრებისა.
– ცხოველმყოფელი გავლენა აქაურ ჰერისა ჭლევექიანებზე. – ირ-
კუტსკის გუბერნია – მთლიანი სანატორიუმი. – აქაური გზა. – ტა-
იგა. – უდიერი მოპყობა აქაურებისა ტყისადმი. – გზაში აქაური
albergo. – მდინარე ანგარა. – ქალაქი ბალაგანსკი. – ბურიატები.

II 145

ჩვენის წამყვანის დაეჭვიანება. – ურია ვაჭარი. – ვის უფრო მეტად
გვეშინოდა? – შავგულიძე და მისი თავის სარქველი. – ცამბირის რკ.
გზის სადგური ტირეტი. – ურიადნიკი, იგივე ტირეტელი ხელისუფა-
ლი. – მის მიერ წესიერების დამყარება. – აქაურიადნიკისა და ვ. თურ-
მანიძის ერთმანეთთან გამობაასება. – ინციდენტი ტირეტში.

III 153

ირკუტსკში ჩასვლა. – ნესტორ კალანდარიშვილი. – გიორგი ანდ-
რონიკაშვილი. – ჩემი თანამგზავრები: ვასო თურმანიძე და ზოსი-
მე ხუბუა. – ზოსიმე ხუბუას გამოსტუმრება. – კაცმა და ინატროს
– თურმანიძის დისთანა. – ჩემი გამოწყობა. – თავისუფალ ცხოვ-
რებას შეჩვევა. – ირკუტსკის რკ. გზის სადგურზე მე-II კლასით
მგზავრობის გადაწყვეტა.

IV 159

ირკუტსკის რკინისვზის სადგურზე. – მე-II კლასით მოგზაურობა.
– სამხედროთა წრეში. – გამომცნაურება. – ფრანგული გამომად-
გა. – თანამგზავრებთან დაახლოვება. – ცამბირის დასახლების კო-
ლონების ბედი. – ჩელიაბინსკში. – ბოქაული. – ჩელიაბინსკიდან
გამოსვლა.

V 167

დაშორება ირკუტსკელ თანამგზავრებთან. – ბაქოსაკენ. – ახალი

თანამგზავრები. – ნიკოლოზის მიერ დევნილთა პატრონობა. – შვილის ბილები. – თავგადასავალი ისრაელის ასულისა. – ვოლგის სანაპიროები. – დაახლოვება კავკასიონისა. – ბაქოში. – ექიმი ივ. ელი-აშვილთან. – ბაქოს სადგურზე. – ტფილისისაკენ.

VI 174

ტფილისში შიო დედაბრიშვილთან. – თანამესაგრეთა ნახვა. – რეაქციის შემდეგ. – აკაკი ხოშტარიასთან. – პლატონ მიქაბერიძის თავგადასავალი. – გიორგი ჩიჩიუა. – ვაის გავეყარე, და ცოტას გაწყდა, ვუის შევეყარე. – მიქაბერიძესთან შეხვედრა მცხეთის სადგურზე. – სასწაულებრივი გადარჩენა. – გორში. – სამტრედიდან. – თანამგზავრი გენერალი. – ჩვენი სუპ-ტროპიკები.

VII 182

ბათომში. – ჩემი მასპინძელი. – ჩემიანების ჩამოსვლა. – მასპინძელი და მკითხავი. – ილიკო გვარამაძე. – ვასო ბერეჟიანი. – ბეგების მიერ ჩემთვის საზღვარზე გადამყვანის შოვნა. – გონიას გზაზე. – გონიას ციხე. – ორი ლამე ჩემ გონიელ მასპინძელთან. – ზურგქარის ლოდინში. – მეზღვაურის სახით ნავში ჩაჯდომა და ზღვაში გასვლა ხოფისაკენ. – მენავე ლაზები და ჩემი დაბასიათება. მათი გაოცება. – ხოფაში გასვლა.

VIII 194

ხოფა. – ჩემი ციხის თანამცხოვრები და ნამონაფარი ახმეტ ბექიროლი. – ოსმალეთის რესპუბლიკა. – მემედ-ბეგ აბაშიძე. – ხოფიდან გასვლა. – ტრაბიზონდში დაბინავება. – დღევანდელი ტრაბიზუნდი. – სოლომონ მეფის საფლავი. – ლაზები ტრაბიზუნდში. – ტრაბიზუნის ვალის (გუბერნატორის) ნახვა. – ტრაბიზუნის განშორება. – ოსმალეთის დედა-ქალაქში. – ჰაბდულ ჰამიდი. – იონიის ზღვა. – რეჯიო. – მესინა. – მარსელი. – პარიზი. – ბრუსელში დაბინავება. – ციმბირი ორ წელიწადს მდევდა ევროპაში.

პირთა საძიებელი 206